

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ი. მელიქიუვილი

მარკირების მიმართება ფონოლოგიაში



გამომცემლობა „მეცნიერება“
თბილისი — 1976

ნაშრომი შედგება ორი ნაწილისაგან. პირველ ნაწილში განხილულია მარკირების მიმართების — დაპირისპირებულ ერთეულთა იერარქიული მიმართების — ცნების შემუშავებისა და განვითარების გზა. გამოყოფილია ამ ცნების განმსაზღვრელი ნიშნები. მეორე ნაწილში, შემუშავებული ფუნქციონალური კრიტერიუმების საფუძველზე, შესწავლილია ჩქამიერ ფონემათა კლასში მოქმედი ფონემური დაპირისპირებები. ნაშრომში გამოვლენილი ემპირიული მასალის საფუძველზე განხილულია რიგი ზოგადი ხასიათის საკითხებისა.

ნაშრომის ბოლოს განხილული მასალის საფუძველზე მოკუმულია კავკასიის ენათა მოკლე ტიპოლოგიური დახასიათება და წარმოდგენილია რეკონსტრუირებული და მკვდარი ენების ფონემური სისტემების ვერიფიკაციის ცდა.

შენსავალი

უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში იმდენად გაქაღერდა ინტერესი ზოგადი ენობრივი მოვლენებისა და მიმართებებისადმი, რომ ამ სახის კვლევა-ძიება „უნივერსალიათა ლინგვისტიკის“ სახელწოდებით დამოუკიდებელ მიმართულებად ჩამოყალიბდა¹. ზოგადი ენობრივი კანონებით დაინტერესებამ გამოიწვია ემპირიულ განზოგადებათა მომაწესრიგებელი და ამხსნელი პრინციპების ძიება. ერთ-ერთ ასეთ პრინციპად მიჩნეულ იქნა ოპოზიციის წევრთა მარკირების მიმართების ცნება, რომელიც ჩვენი საუკუნის 30-იან წლებში შეიმუშავეს პრალის სკოლის წარმოქმადგენლებმა².

მარკირების მიმართება ოპოზიციურ ერთეულთა იერარქიულ მიმართებაა. ოპოზიციური ერთეულები არათანაბარი ღირებულების მქონე ელემენტებად მიიჩნევა როგორც ფიზიკურა, ისე ფუნქციონალური თვალსაზრისით. ამგვარი მიდგომა ყურადღებას ამახვილებს ენის აგებულების ასიმეტრიულ ხასიათზე და, ამდენად, გარკვეულად უპირისპირდება ენობრივი ელემენტების განაწილების სიმეტრიული ხასიათის აბსოლუტიზაციას. სიმეტრიის პრინციპი კი, როგორც ცნობილია, სტრუქტურული ენათმეცნიერების ერთ-ერთ ამოსავალ პრინციპს წარმოადგენს.

¹ ტერმინისათვის „უნივერსალიათა ლინგვისტიკა“ იხ. ვ. ა. ზევეგინცვი (43, 295).

² ნ. ტრუბეცკოსა და რ. იაკობსონის ნაშრომებიდან ჩანს, რომ ენის იერარქიულ აგებულებაზე მათ ყურადღება XIX საუკუნის დამლევისა და XX საუკუნის დამლევის რუს ენათმეცნიერთა გრამატიკული ხასიათის შრომების გავლენით გაამახვილეს. რ. იაკობსონი მიუთითებს ვოსტოკოვის, ნეკრასოვის, ფორტუნატოვის, შახმატოვის, პეშკოვსკის, კარცევსკის გრამატიკული ხასიათის ნაშრომებზე, რომლებშიც ოპოზიციურ კატეგორიათა იერარქიული გააზრება არის წარმოდგენილი (119, 23).

ზოგადი ენობრივი მოვლენებითა და მარკირების პრინციპით დაინტერესება თანამედროვე ამერიკულ ენათმეცნიერებაში ამ საკვლევ სფეროსა და შესაბამისი თეორიული პრინციპების ხელახალი აღმოჩენის სახეს ატარებს. ეს მოვლენა შეპირობებული უნდა იყოს გარკვეული პერიოდის განმავლობაში ამერიკაში დესკრიფციული ენათმეცნიერების განუყოფელი ბატონობითა და ევროპულ ლინგვისტურ სკოლებთან სუსტი კავშირით. ამჟამად დესკრიფციული ენათმეცნიერების წარმომადგენლები თვითონ აღიარებენ მათ მიერ შემუშავებული თვალსაზრისის შეზღუდულობას (115), რომელმაც განაპირობა ის, რომ ენათმეცნიერების კანონიერი პრობლემები დღეს ხელახლა დგება და მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელი დისციპლინების სახით ყალიბდება.

ჩ. ჰოკეტი აღიარებს, რომ დესკრიფციული ენათმეცნიერების კვლევის სფეროს გარეთ დარჩა ისეთი საკითხები, როგორცაა: 1. რა მიმართებაა მოცემულ პერიოდში, მოცემულ საზოგადოებაში ენის ფუნქციონირებასა და დროში მის ცვალებადობას შორის? 2. როგორია გრამატიკის მექანიზმი? 3. რა მიმართებაა გრამატიკასა და მნიშვნელობას შორის? (115, 9-10).

ენა შეისწავლებოდა როგორც ჩაკეტილი და მკაცრი სისტემა, ყოველგვარი „ექსტრალინგვისტური“ მოვლენებისაგან განყენებით. ზოგად ენობრივ მოვლენათა გააზრება კი ამგვარი ფაქტორების გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია. სიმპტომატურია, რომ ენობრივ უნივერსალიათა შესახებ პირველი სიმპოზიუმის ჩატარების იდეა ფსიქოლინგვისტიკის საკითხებზე ჩატარებული სემინარის (სემინარის მუშაობა აისახა ნაშრომში: Psycholinguistics, A survey of theory and research problems, Bloomington, 1954) მონაწილეთა შორის ჩაისახა. ამასთან ამ სიმპოზიუმში ლინგვისტებთან ერთად ფსიქოლოგები და ანთროპოლოგებიც იღებდნენ მონაწილეობას.

ენობრივი ტიპოლოგიითა და ზოგადი ენობრივი მოვლენებით დაინტერესებული მკვლევრები, როგორც წესი, გახაზავენ, რომ ენათა შედარების აუცილებელ პირობას ენობრივი სტრუქტურის გათვალისწინება წარმოადგენს. მხოლოდ ფორმალური სტრუქტურულიდან ამოვსვლით ენათა შორის კავშირის დამყარება შეუძლებელი ხდება. რ. იაკობსონი შენიშნავს, რომ ენათა ფონოლოგიური ტიპოლოგიის განვითარებას ხელს უშლიდა ფონეტიკურ დონეზე ჩამოკუთრების შიში (128, 270; 36; 43; 70; 89). ასევე, გრამატიკული ტიპო-

ლოგია სემანტიკურ კრიტერიუმთა გამოუყენებლად შეუძლებელია 99, 74).

სტრუქტურული პრინციპის უკიდურესი სიმკაცრით გატარება ხელისშემშლელ პირობას წარმოადგენდა ენობრივი ტიპოლოგიითა და ზოგადი ენობრივი მოვლენებით დაინტერესებისათვის. ამ თვალსაზრისის თანახმად, რამდენადაც ყოველი სისტემის ელემენტები ცალსახად არიან განსაზღვრული ურთიერთმიმართებათა გზით, არაიდენტური სისტემების შედარებას აზრი ეკარგება (იხ. მაგ.: 155; 192, 20).

ლინგვისტთა აზროვნებაში მომხდარ ცვლილებას ნათლად ახასიათებს უნივერსალიათა საკითხებთან დაკავშირებული მეორე სიმპოზიუმის დევიზი: ენათა აღწერას მხოლოდ საკუთარი სტრუქტურის ტერმინებით, ზოგადი ლინგვისტური ფაქტების გათვალისწინების გარეშე აზრი არა აქვს (180, VI). დღეს კონკრეტული ენის აღწერისას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება უნივერსალური და საკუთრივ ამ ენისათვის დამახასიათებელი მოვლენების გამაჩვენას. როგორც შემდეგ ვნახავთ, წარმომშობი გრამატიკის წარმომადგენლები კონკრეტულ გრამატიკათა სიმარტივის ზომას სწორედ უნივერსალურ და ad hoc წესთა შეფარდებას უკავშირებენ (153, 167).

ზოგად ენობრივ მოვლენათა ძიებას საფუძვლად უდევს დებულება, რომელიც შემდეგნაირად აქვს ჩამოყალიბებული რ. იაკობსონს: „მსოფლიოს ენები წარმოადგენენ მთელი მსოფლიოს მომცველი ერთი თემის — ადამიანის ენის მრავალგვარ ვარიაციებს“ (128, 264). ამ ამოსავალ დებულებას შეესაბამება ლინგვისტური თეორიის განსაზღვრა წარმომშობი გრამატიკის ფარგლებში: „ლინგვისტური თეორია წარმოადგენს ჰიპოთეზათა სისტემას ენის ზოგადი თვისებების შესახებ“ (85, 50). ენათმეცნიერების ობიექტისა და ამოცანების ამგვარ გააზრებას ჩ. ოზგუდი ასე აფასებს: „ენათმეცნიერება ჩვენს თვალწინ აკეთებს გიგანტურ ნაბიჯს ენის აღწერის უბრალო მეთოდებიდან ენის ქვემარტივი მეცნიერებისაკენ“ (150, 299).

უნივერსალური ენობრივი მოვლენებით დაინტერესება განსაკუთრებით დამახასიათებელია ორი ლინგვისტური მიმდინარეობისათვის: ანთროპოლოგიური ლინგვისტიკისა და წარმომშობი გრამატიკისათვის³. საინტერესოდ გვეჩვენება ის გარემოება, რომ უნი-

³ ენობრივი უნივერსალიებისადმი მიძღვნილი პირველი სიმპოზიუმის ინიციატორები თუ ანთროპოლოგები იყვნენ, მეორე — წარმომშობი გრამატიკის წარმომადგენელთა მიერ იყო ორგანიზებული.

ვერსალური ენობრივი მოვლენებით დაინტერესებამ ორივე მიმართულების წარმომადგენლები ენობრივი სისტემის იერარქიული აგებენ — მარკირების მიმართების პრინციპთან მიიყვანა.

ანთროპოლოგიური ლინგვისტიკა შედარებით ზანგრძლივი ისტორიის მქონე მიმდინარეობაა. იგი მშვიდობიანად თანაარსებობდა დესკრიფციულ ენათმეცნიერებასთან, ძირითადად იზიარებდა მის ანოსავალ პრინციპებსა და აღწერის მეთოდიკას. დესკრიფციული ენათმეცნიერებისაგან მას უფრო ფართო ინტერესები და მეთოდოლოგიური ჩარჩოებით ნაკლები შეზღუდულობა განასხვავებდა. მას ყოველთვის აინტერესებდა ენის ურთიერთობა ადამიანის ქცევას სხვა აპექტებთან. ბუნებრივია, რომ სწორედ ამ მიმართულების ფარგლებში ჩაისახა ისეთი მიმდინარეობები, როგორცაა ფსიქო-ლინგვისტიკა, სოციოლინგვისტიკა, უნივერსალიათა ლინგვისტიკა. ანთროპოლოგიური ენათმეცნიერების წარმომადგენლებს, დაწყებული ამ მიმართულების ფუძემდებელი ე. სეპირიდან, ყოველთვის აინტერესებდათ ენათა ტიპოლოგიური შედარება, ამ რიგის კვლევა-ძიებას კი ბუნებრივად მიეყვარათ ზოგადი ენობრივი მოვლენების ძიებისაკენ⁴.

წარმომშობი გრამატიკა ჩამოყალიბდა როგორც რეაქცია დესკრიფციული ენათმეცნიერების შეზღუდულობაზე. ამ მიმდინარეობის ფარგლებში პრინციპულად იქნა უარყოფილი ანტიმენტალისტური ტენდენცია, ამიტომ მას, ანთროპოლოგიური ლინგვისტიკისაგან განსხვავებით, არ უხდება მნიშვნელოვან ლინგვისტურ პრობლემათა საკუთრივ ენათმეცნიერების გარეთ გატანა და ცალკე დისციპლინათა სახით დაფუძნება; იგი ამ საკითხების მოვლას ლინგვისტიკის ფარგლებში ცდილობს.

წარმომშობი გრამატიკის თვალსაზრისი ენის არსის შესახებ უპირისპირდება როგორც ლოგიკური პოზიტივიზმის წარმომადგენელთა თვალსაზრისს, რომლებიც ენის ერთი ნაწილისათვის მკაცრი ფორმალური სისტემის აგებას მიიჩნევენ შესაძლებლად, დანარჩენს კი კანონზომიერებათა გარეშე აცხადებენ (134, 5-6). ისე ინგლისური ენის ფილოსოფიის წარმომადგენელთა თვალსაზრისს, რომელიც ენის თეორიის ამოცანად ინდივიდუალურ ხმარებათა შესწავლას მიიჩნევს და ბუნებრივი ენის ფორმალური სტრუქტურის აგებაზე უარს ამბობს (134, 11). წარმომშობი გრამატიკის ამოსა-

⁴ ანთროპოლოგიური ენათმეცნიერების დასასიათებისათვის (იხ. 68, 284-307).

ვალი დაშვება მდგომარეობს იმაში, რომ ენას აქვს სისტემური ხასიათი, ენაში მოქმედებს კანონზომიერებები, მაგრამ მათ აპრიორული ხასიათი არა აქვთ. ნ. ზომსკი და მ. ჰალე წერენ: „როგორი ძნელიც არ უნდა იყოს შემოთავაზებული თეორიის სასარგებლო ან საწინააღმდეგო საბუთების პოვნა, პრობლემის ემპირიული ხასიათი ნათელია. ამას იმიტომ გავხაზავთ, რომ ხსენებული პრობლემა ზშირად მცდარად იყო გაგებული, როგორც „გემოვნების“ ან „ელეგანტურობის“ საკითხი“ (89, 331). პოზიტივიზმთან წარმომშობ გრამატიკას საერთო აქვს ენობრივი სისტემის ფორმალიზაციის შესაძლებლობის დაშვება, ინგლისურ ენის ფილოსოფიასთან — ენობრივ ელემენტთა გამოყენების დეტალებით დაინტერესება (134, 18).

შესაბამისად, უნივერსალურ მიმართებათა ძიება წარმომშობი გრამატიკის მიმდევართათვის ემპირიულ პრობლემას წარმოადგენს. ამას გარდა, მათ არ აშინებთ ენის „ექსტრალინგვისტურ“ მხარეთა კვლევა. ისინი უშვებენ, რომ უნივერსალურ ემპირიულ წესებს შესაძლებელია ფიზიკური და ფსიქიკური საფუძვლები ჰქონდეს, და მიზნად ისახავენ მაქსიმალური სისრულით გამოავლინონ ამ რიგის მოვლენები (153, 168).



როგორც აღვნიშნეთ, ზოგადი ენობრივი ფაქტებით და მიმართებებით დაინტერესებული ენათმეცნიერული მიმდინარეობები ამ რიგის მოვლენათა ძლიერ ამხსნელ და მომაწესრიგებელ პრინციპად მარკირების მიმართებას მიიჩნევენ.

პრალის სკოლის მიერ შემუშავებული ამ ცნებისადმი მეტნაკლები ინტერესი პრალელთა თანამედროვე და მომდევნო პერიოდის თითქმის ყველა ენათმეცნიერულმა მიმდინარეობამ გამოავლინა.

მარკირების მიმართება ჩვენ მხოლოდ ფონოლოგიის დონეზე გვინტერესებს. წინამდებარე ნაშრომის პირველ თავში შევეცდებით თვალი გავადევნოთ ამ ცნების განვითარებას ჩვენი საუკუნის 30-იანი წლებიდან დღემდე. შევეცდებით გამოვყოთ ამ ცნების განმსაზღვრელი ნიშნები და გავარკვიოთ, რა ცვლილებები განიცადა მან თავისი არსებობის ორმოცი წლის მანძილზე. ჩვენთვის საინტერესო საკითხის ისტორიის გადმოცემისას შემოვიფარგლებით იმ ნაშრომებით, რომლებშიც მარკირების მიმართება ფონოლოგიის დონეზე

არის განხილული. გამონაკლისის სახით განვიხილავთ მხოლოდ რ. იაკობსონის მორფოლოგიური ხასიათის ნაშრომებს, რადგან ვფიქრობთ, რომ მარკირების მიმართების ზოგიერთი თავისებურება პრალის სკოლის ფონოლოგიურ თეორიაში ამ ნაშრომების ფონზე უფრო გასაგები გახდება.

მარკირების მიმართების ცნებას განვიხილავთ შემდეგ ენათმეცნიერულ მიმდინარეობათა ფარგლებში: პრალის სკოლა (ნ. ტრუბეცკოისა და რ. იაკობსონის ნაშრომების მიხედვით), დესკრაფციული ენათმეცნიერება (ჩ. ჰოკეტის ნაშრომის მიხედვით), ანთროპოლოგიური ენათმეცნიერება (ჯ. გრინბერგის ნაშრომების მიხედვით); წარმომშობი გრამატიკა (ნ. ხომსკისა და მ. ჰალეს, პ. პოსტალის ნაშრომების მიხედვით). გლოსემატიკური თეორიის წარმომადგენლებს მარკირების მიმართება ფონოლოგიის დონეზე არ განუხილავთ, ამიტომ არც ჩვენ შევიჩერდებით მარკირების მიმართების გაგებაზე ამ სკოლაში.

ობოზიციურ ერთეულთა მარკირება-არამარკირების განმსაზღვრელი კრიტერიუმების შემუშავების შემდეგ, ნაშრომის მეორე ნაწილში, ამ კრიტერიუმების საფუძველზე განვიხილავთ ჩქამიერ ფონემათა კლასში მოქმედ ზოგიერთ ფონოლოგიურ დაპირისპირებას. ნაშრომში გამოვლენილი ემპირიული მასალის საფუძველზე განხილულია რიგი ზოგადი ხასიათის საკითხი. აქ წარმოდგენილია მსჯელობა დისტინქციური ნიშნების რთული აგებულების შესახებ, დისტინქციურ ნიშანთა და ფონემათა ფუნქციონალურ ღირებულებათა განმსაზღვრელი ფაქტორების შესახებ, დაპირისპირებულ ერთეულთა იერარქიული მიმართების გაპირობებული ხასიათის შესახებ. ნაშრომის ბოლოს, განხილული მასალის საფუძველზე, მოცემულია კავკასიის ენათა მოკლე ტიპოლოგიური დახასიათება და წარმოდგენილია რეკონსტრუირებულ სისტემათა და მკვდარ ენათა სისტემების ვერიფიკაციის ცდა.

თ ა ვ ი I

მარკირების მიმართების ცნების შემუშავების ისტორიისათვის

მარკირების მიმართებასთან დაკავშირებული უმნიშვნელოვანესი საკითხები, რომელთა გადაწყვეტაც განასხვავებს ჩვენ მიერ ქვემოთ განხილულ კონცეფციებს, შემდეგია:

1. მარკირების მიმართება ფონემათა მიმართებაა თუ დისტინქციურ ნიშანთა მიმართება?
2. როგორია მარკირების მიმართების სხვადასხვა ასპექტების ურთიერთდამოკიდებულება?
3. როგორია მარკირების მიმართების განმსაზღვრელი ფუნქციონალური კრიტერიუმის მოცულობა?
4. მარკირების მიმართება განუპირობებელი მიმართებაა თუ ოპოზიციურ ერთეულთა გამოვლენის პირობებთან არის დაკავშირებული?

ჩვენი მსჯელობაც ძირითადად ამ საკითხებს შეეხება.

1. მარკირების მიმართება პრალის სკოლაში

1. 1. მარკირების მიმართება ნ. ტრუბეცკოის ფონოლოგიურ თეორიაში

მარკირების მიმართება პრალის სკოლაში ოპოზიციითა ბანარულ ინტერპრეტაციას უკავშირდება. ფონოლოგიური კორელაციის ცნების შემუშავების შემდეგ ნ. ტრუბეცკოი იმ აზრისაკენ იხრება, რომ „ენობრივ ცნობიერებაში ყოველი ფონოლოგიური კორელაცია გვევლინება როგორც რაიმე ნიშნის დაპირისპირება ამავე ნიშნის უქონლობასთან“¹.

¹ ციტატა ამოღებულია რ. იაკობსონისადმი მიწერილი წერილიდან, რომელიც 1930 წლით თარიღდება (74).

მარკირების მიმართების ცნება ნ. ტრუბეცკოს ფონოლოგიურ თეორიაში ძალიან ადრე ჩნდება. ამ ცნების გაჩენა წინ უსწრებს მისი თეორიის ისეთ მნიშვნელოვან ცვლილებებს, როგორცაა: ფსიქოლოგისტურ-ფუნქციონალური თვალსაზრისიდან თანმიმდევრულ ფუნქციონალურ პოზიციებზე გადასვლა, ოპოზიციათა ორწევრა კლასიფიკაციიდან (დიზიუნქცია — კორელაცია) დაპირისპირებათა გაცილებით უფრო რთულ სისტემაზე გადასვლა და სხვ.

შესაბამისად, ნ. ტრუბეცკოს ფონოლოგიური თეორიის განვითარების მთელ მანძილზე მარკირების მიმართება ერთგვარად არ არის მოცემული. ამ მიმართების გაგებაში მომხდარი ცვლილებები ნაწილობრივ საკუთრივ ამ ცნების განვითარების შედეგია, ნაწილობრივ ფონოლოგიურ თეორიაში მომხდარი სხვა ცვლილებებით არის გამოწვეული. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ცვლილებებია, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ფონოლოგიური თეორიიდან ფსიქოლოგიზმის განდევნასთან არის დაკავშირებული.

შესაძლებელია გამოიყოს ნიშანთა კომპლექსი, რომელიც მარკირების მიმართებას ახასიათებს ნ. ტრუბეცკოს ფონოლოგიური თეორიის განვითარების ყოველ ეტაპზე. ეს ნიშნებია:

1. ოპოზიციურ ერთეულებს, რომელთა მიმართაც განისაზღვრება მარკირების მიმართება, ფო ნ ე მ ე ბ ი წარმოადგენენ.

2. მარკირების მიმართება ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ, უ პ ი რ ო ბ ო მიმართებას წარმოადგენს. დაპირისპირების წევრები გამოვლენის პირობებისაგან დამოუკიდებლად, მუდმივად იღებენ მარკირებული ან არამარკირებული წევრის კვალიფიკაციას.

3. მარკირების მიმართება ფონემათა ფ უ ნ ქ ც ი ო ნ ა ლ უ რ უ რთიერთმიმართებას ასახავს.

აზრი ოპოზიციურ ფონემათა არათანაბარი ღირებულების შესახებ ფონემათა ფუნქციონირების პროცესზე დაკვირვებამ წარმოშვა. მარკირების მიმართება ფუნქციონალური მოვლენის — ნეიტრალიზაციის საფუძველზე განისაზღვრება. მოცემულ პარადიგმატულ მიმართებათა ფონზე ნეიტრალიზაცია წარმოადგენს ფონოლოგიური დაპირისპირების მოხსნას. ამდენად, ნეიტრალიზაციის პროცესში ვლინდება დაპირისპირების ერთ-ერთი წევრის ფუნქციონალური უპირატესობა.

ნ. ტრუბეცკოს თეორიაში მარკირების მიმართება გვევლინება ფონემათა სინტაგმატური ურთიერთობის ინტერპრეტაციად პარადიგმატულ მიმართებათა თვალსაზრისით. ფუნქციონალური

უთანაბრობის ლოგიკურ-ფსიქოლოგიური გააზრების შედეგად ვი-
ღებთ ბინარულ დაპირისპირებას, რომლის ერთი წევრი ხასაათდება
როგორც გარკვეული ნიშნის მქონე, მეორე კი — როგორც უნიშნო.
ასეთ ოპოზიციებს ნ. ტრუბეცკოი პრივატიულ ოპოზიციებს უწო-
დებს. ამრიგად, ნეიტრალიზაციის მოვლენაზე დამყარებული მარ-
კირების მიმართება წარმოადგენს ფონემათა რ ე ლ ე ვ ა ნ ტ უ რ ი
და ა რ ა რ ე ლ ე ვ ა ნ ტ უ რ ი ნიშნების გამიჯვნის ძირითად ფუნქ-
ციონალურ კრიტერიუმს.

ნ. ტრუბეცკოის აზრით, ნეიტრალიზაციის პოზიციაში ფუნქციო-
ნირებს არა ოპოზიციის რომელიმე წევრი, არამედ არქიფონემა, რო-
მელიც დაპირისპირებულ ფონემათა საერთო თვისებების ერთობ-
ლიობას წარმოადგენს. ოპოზიციის წევრი, რომელიც ნეიტრალიზა-
ციის პოზიციაში არქიფონემის წარმომადგენლად გვევლინება, ხა-
საათდება როგორც უნიშნო, საპირისპირო წევრი კი — როგორც გარ-
კვეული ნიშნის მქონე, მარკირებული. ამდენად, ოპოზიციის არა-
მარკირებული წევრი იდენტიფიცირებულია უფრო ზოგად, გ ვ ა-
რ ე ო ბ ი თ ცნებასთან.

უნდა აღინიშნოს, რომ ნეიტრალიზაციის ცნება წმინდა ფუნქ-
ციონალურ ცნებას არ წარმოადგენს, მას გარკვეული ლოგიკური
(პირველ პერიოდში ფსიქოლოგისტურად გააზრებული) შეზღუდვე-
ბი ედება. ნ. ტრუბეცკოის აზრით, ფონემათა განაწილებას ყოველი
შეზღუდვა ნეიტრალიზაციად ვერ იქნება მიჩნეული. ნეიტრალიზე-
ბადია მხოლოდ ისეთი ოპოზიციები, რომელთაც აქვთ არქიფონემა
(ორი ფონემის საერთო ნიშანთა ერთობლიობა, რომელიც არც ერთ
სხვა ფონემაში არ მეორდება) — ე. ი. ისეთი ფონემური დაპირის-
პირებები, რომლებიც ნ. ტრუბეცკოის თეორიაში ბინარულ ინტერ-
პრეტაციას ექვემდებარება (ერთგანზომილებიანი პრივატიული ოპო-
ზიციები). ამიტომ იმ ტიპის შეზღუდვები, როგორცაა გერმანულ-
ში l-ს წინ h-ს და p-ს დაშვება და d-ს და t-ს აკრძალვა, არ მიიჩნე-
ვა ნეიტრალიზაციად. რამდენადაც h და d, t და p ფონემებს არ გა-
აჩნიათ არქიფონემა, ამიტომ, ნ. ტრუბეცკოის აზრით, თავკალური
h და p l-ს წინ ინარჩუნებენ ყველა რელევანტურ ნიშანს (177, 31-
32, 179, 87-88).

ამრიგად, ნ. ტრუბეცკოის თეორიაში მარკირების მიმართება არ
ვრცელდება ყოველ დაპირისპირებაზე, რომლის წევრებს განაწი-
ლების შეზღუდვები ედება. მრავალგანზომილებიანი დაპირისპირე-
ბების (რომელთა საერთო ნიშნების ერთობლიობა სისტემის სხვა

ელემენტებშიც მეორდება) დისტრიბუციული შეზღუდვები არ მიიჩნევა ნეიტრალიზაციად.

მარკირების მიმართების განსაზღვრის სფეროდან ლოგიკური მოსაზრებებით გამოირიცხა დაპირისპირებათა გარკვეული რიცხვი ($d-b, l-p$), რომლებიც ფუნქციონალური თვალსაზრისით შეიძლება ბოდა მასში შეგვეტანა. ნ. ტრუბეცკოს თეორიაში საპირისპირო მოვლენასაც აქვს ადგილი: გარკვეული დაპირისპირებები, რომლებიც ლოგიკური თვალსაზრისით შესაძლებელი იყო პრივატიულ ოპოზიციებად (ე. ი. მარკირებული-არამარკირებული წევრის დაპირისპირებად) მიგვეჩნია, ასეთად არ არის მიჩნეული, თუ მათი პრივატიულობა ფუნქციონალურად — ე. ი. ნეიტრალიზაციის პროცესის გზით, არ საბუთდება.

ამრიგად, იმისათვის, რომ ოპოზიცია მიჩნეულ იქნეს ფაქტობრივ პრივატიულ დაპირისპირებად, ე. ი. მარკირებული-არამარკირებული წევრის დაპირისპირებად, მან ორი რიგის მოთხოვნები უნდა დააკმაყოფილოს: ლოგიკური და ფუნქციონალური. ოპოზიცია, რომელიც ამ ორი რიგის მოთხოვნებიდან მხოლოდ ერთს აკმაყოფილებს, ვერ მიიჩნევა ნიშნად და უნიშნო წევრის დაპირისპირებად. ლოგიკური და ფუნქციონალური კრიტერიუმები კი ისე ზღუდავენ ერთმანეთს, რომ მარკირების მიმართებას მოქმედების საკმაოდ ვიწრო არე რჩება.

ჩამოთვლილი შეზღუდვების გარდა მარკირების მიმართებას ნ. ტრუბეცკოსთან სხვა შეზღუდვებიც ედება. საქმე ისაა, რომ ოპოზიციის წევრთა მარკირებული-არამარკირებული ხასიათის განსაზღვრისათვის რელევანტურად არის მიჩნეული არა ყოველგვარი ნეიტრალიზაციის ჩვენება, არამედ მხოლოდ სტრუქტურული ნეიტრალიზაციის ჩვენება. კონტექსტუალური ნეიტრალიზაციის ჩვენება მხედველობაში არ მიიღება.

სტრუქტურული და კონტექსტუალური ნეიტრალიზაციის გამოიკვანას მარკირების მიმართების განსაზღვრის თვალსაზრისით ნ. ტრუბეცკო ყოველთვის ერთგვარ ღირებულებას არ ანიჭებდა. პირველ, ფსიქოლოგისტურ პერიოდში მარკირების მიმართება განისაზღვრებოდა როგორც სტრუქტურული, ისე კონტექსტუალური ნეიტრალიზაციის საფუძველზე.

ამრიგად, ნ. ტრუბეცკოს ფონოლოგიური თეორიის „ფსიქოლოგისტური“ და „არაფსიქოლოგისტური“ პერიოდები განსხვავდებიან მარკირების მიმართების ფუნქციონალური კრიტერიუმის მოცულობით. შევეცდებით გავარკვიოთ, თუ რატომ გამოიწვია

წმინდა ფუნქციონალიზმის თვალსაზრისზე გადასვლამ მარკირების მიმართების ფუნქციონალური კრიტერიუმის დაეწროება.

პირველი პერიოდის ნაშრომში „ფონოლოგიური სისტემები:“ (1931 წ.) ნ. ტრუბეცკოი დაპირისპირების ნიშნაინი — უნიშნო წევრების გამიჯვნისას მეტყველის ენობრივ ცნობიერებას მიმართავს. იგი ამბობს:

არქიფონემის (ე. ი. კორელაციის საფუძვლად მყოფი, შესაბამისი კორელაციური თვისებებისაგან აბსტრაქტიზებული ზოგადი ბგერითი ცნების) სიმბოლოდ ყოველი ნორმალური სამეტყველო ცნობიერებისათვის ყოველთვის კორელაციის უნიშნო წევრი გამოდის, ნიშნაინი წევრი კი — არასდროს (175, 98).

ასე, მაგალითად, ყოველი რუსულად მოლაპარაკე პირი სიტყვებზე — „ლაბილური ზმული“, უნებურად ყრუ *л*-ს გაიხსენებს და არა მელერ *н*-ს ან პალატალიზებულ *л'*-ს (*л'*-ზე რომ არაფერი ვთქვათ).

ისეთ პირობებში, როდესაც ერთი ფონემის კორელაციური თვისება ფონოლოგიურ ღირებულებას კარგავს, ეს ფონემა კორელაციის უნიშნო წევრთან იდენტიფიცირდება, თუნდაც იგი ობიექტურად კორელაციის ნიშნაინი წევრის იდენტური იყოს.

ნ. ტრუბეცკოის შემდეგი მაგალითი მოჰყავს: რუსულში ნეიტრალიზაციის პოზიციაში გამოვლენილი წევრი რუსული სამეტყველო ცნობიერების მიერ აღიქმება როგორც არარბილი, მიუხედავად იმისა, ობიექტურად მართლაც არარბილია იგი (მაგ., მაგარი დენტალების წინ ყველა თანხმოვანი, გარდა *ж*-სი, ობიექტურად მაგარია), თუ რბილი (მაგ., რბილი დენტალებისა და ნაწილობრივ რბილი *ж*-ს წინ ყველა თანხმოვანი, გარდა *р, л, т, д*-სი ობიექტურად ყოველთვის რბილია). მაგალითად, რუსულ სიტყვებში *свечка* (*s'v'ečka*), *стена* (*s't'ina*) — *с* ობიექტურად რბილია, მაგრამ აღიქმება როგორც არარბილი. მხოლოდ ფონეტიკურად გაწვრთნილი სპეციალისტი თუ შეამჩნევს, რომ ამ პოზიციაში *с* დარბილებულია. ასეთი პირის აღქმა კი, ნ. ტრუბეცკოის აზრით, ვერ შეფასდება როგორც „ნორმალური“ რუსის აღქმა.

„ობიექტურისა“ და „ცნობიერის“ დაპირისპირების საფუძველი, ნ. ტრუბეცკოის მიხედვით, შემდეგში მდგომარეობს: დაპირისპირებაში: „მაგარი: რბილი“ მაგარი წევრი წარმოადგენს უნიშნო წევრს. პალატალიზაციის წარმოდგენის გამორთვის შემდეგ ფონემა შესაბამის არქიფონემად იქცევა, ეს უკანასკნელი კი სამეტყველო ცნობიერებაში უნიშნო წევრის სახით სიმბოლიზირდება. ამიტომ ხდება

ფონეტიკურად რბილი s'-სა (s't'ina) და ფონეტიკურად მაგარი s-სა (s'ni) ფონოლოგიურად მაგარ s-სთან (son) იდენტიფიკაცია².

ამრიგად, ფონოლოგიური თეორიის განვითარების ამ ეტაპზე, როდესაც სამეტყველო ცნობიერებისადმი მიმართვას გადამწყვეტი არგუმენტის ღირებულება ენიჭებოდა, ნეიტრალიზაციის პოზიციამში გამოვლენილი ყოველი ოპოზიციის წევრი, მიუხედავად იმისა, რეალურად ოპოზიციის რომელ წევრს ემთხვევა იგი, ოპოზიციის უნიშვნო, არამარკირებულ წევრთან იყო გაიგივებული. ოპოზიციის არამარკირებული წევრი განისაზღვრებოდა არა უშუალოდ ფუნქციონალურ მოვლენებზე დამყარებით, არამედ ფუნქციონალურ მოვლენათა ფსიქოლოგიური ინტერპრეტაციის საფუძველზე.

ფონოლოგიური დონის მოვლენათა განხილვიდან „ენობრივი ცნობიერებისადმი“ მიმართვის გამორიცხვის შემდეგ ნ. ტრუბეცკოვის ეკარგება ნეიტრალიზაციის ცალკეულ შემთხვევათა გაერთიანების საფუძველი, ზოგადი პრინციპი, რომელიც ყოველგვარი ნეიტრალიზაციის უნიფიცირებული ინტერპრეტაციის შესაძლებლობას იძლეოდა. იგი რჩება ისეთი რთული ფაქტობრივი ვითარების პირისპირ, როდესაც ნეიტრალიზაციის ერთ პოზიციამში არქიფონემის წარმომადგენლად ოპოზიციის ერთი წევრი გვევლინება, სხვაში კი — მეორე. ასეთია, მაგალითად, მკლელობა-სიყრუს, პალატალიზაციისა და ზოგიერთი სხვა დაპირისპირება.

ასეთი ვითარება კი ეწინააღმდეგებოდა მარკირების მიმართების ნ. ტრუბეცკოვისეულ გაგებას: მარკირება-არამარკირება ოპოზიციის წევრთა მუდმივ მახასიათებელს წარმოადგენს და გამოვლენის პირობათაგან დამოუკიდებელია. ორაზროვნების თავიდან ასაცილებლად, მარკირების თვალსაზრისით ოპოზიციის წევრთა ცალსახა კვალიფიკაციის მიღების მიზნით ნ. ტრუბეცკოვი ძალზე ზღუდავს მარკირების მიმართების მოქმედების არეს.

ორაზროვანი შემთხვევების (ასეთია ძირითადად ასიმილაციურ პროცესთა შედეგად მიღებული შემდეგი ტიპის ნეიტრალიზაციები:

² ოპოზიციის მარკირებული-არამარკირებული წევრის დაპირისპირებაზე მსჯელობისას დღესაც არაიშვიათად ფუნქციონალური კრიტერიუმების გვერდით ფსიქოლოგიურ ნიშნებსაც ითვალისწინებენ. მაგალითად, ლ. ბონდარკო, რომელიც ფიქრობს, რომ „მარკირების მიმართება ელინდება სისტემაში ნიშანთა ფუნქციონირების ანალიზისას“, ექსპერიმენტის გზით ცდილობს დაასაბუთოს, რომ მაგარი თანხმოვნები ფსიქოლოგიური თვალსაზრისით სისტემის ძირითად ელემენტებს წარმოადგენენ, ხოლო რბილი თანხმოვნები ნაკლებ დამოუკიდებელ როლს თამაშობენ (29, 397).

მეღერი ფონემის წინ დასაშვებია მხოლოდ მეღერი, ყრუს წინ — მხოლოდ ყრუ) გამორიცხვის მიზნით მან უგულებელყო ნეიტრალიზაციათა მთელი კლასი, სახელდობრ, კონტექსტუალურ ნეიტრალიზაციათა კლასი და მარკირების მიმართების განსაზღვრაში მხოლოდ სტრუქტურული ნეიტრალიზაცია დატოვა.

შაგრამ ამ გზით ნ. ტრუბეცკოიმ სასურველ შედეგს ვერ მიაღწია, ორაზროვანი შემთხვევები თავიდან ვერ აიცილა, ამასთან, აშკარა ორაზროვან შემთხვევებთან ერთად მსჯელობიდან გამოირიცხა ნეიტრალიზაციათა ისეთი სახეებიც, რომელთა ჩვენება უფრო ცალსახაა, ვიდრე სტრუქტურულ ნეიტრალიზაციათა ჩვენება. ასეთია: 1. დისიმილაციური ნეიტრალიზაციები³ და 2. ნეიტრალიზაციები კომპლექსთა დონეზე.

დისიმილაციური ნეიტრალიზაციის ნიმუშებია: წახურულში, რუთულურში, არჩიბულში, აღულურში, დარგულში, კუბაჩურში ლაბიალიზაციის კორელაცია ნეიტრალიზდება ლაბიალიზებულ ხმოვნების წინ — არქიფონემის წარმომადგენლებად არალაბიალიზებული თანხმოვნები გვევლინება; ფრანგულში ნაზალიზებული და არანაზალიზებული ხმოვნების ნეიტრალიზაცია ხდება ნაზალური თანხმოვნების წინ; ზოგ ჩრდილოურ ენაში გრძელი და მოკლე ხმოვნების ნეიტრალიზაცია ხდება გრძელი გემინირებული თანხმოვნების წინ⁴. როგორც ჩანს, რიგ დაპირისპირებათა მიმართ, როგორცაა: ლაბიალიზაცია, ველარიზაცია, ფარინგალიზაცია, ნაზალიზაცია, სიგრძე, აგრეთვე ზოგი ისეთი დაპირისპირება, რომელთაც ნ. ტრუბეცკოი პრივატიულად არ მიიჩნევს, ენა არაერთგვაროვან, კონტრასტულ შეერთებებს აძლევს უპირატესობას: არამარკირებული + მარკირებული ტიპის შეერთებას ამჯობინებს მარკირებული + მარკირებული ტიპის შეერთებას.

კომპლექსთა ნეიტრალიზაცია გვაქვს მაშინ, როდესაც ოპოზიციის ერთი წევრი სხვა ფონემებთან შეერთების გაცილებით დიდ უნარს ამჟღავნებს, ვიდრე მეორე. მაგალითად, შესაძლებელია, ენა შეიცავდეს როგორც ყრუ, ისე მეღერ ფონემებს, მაგრამ გვეკონძღვს შეერთება: ყრუ + ყრუ და აკრძალული იყოს შეერთება: მეღერი +

³ ტრუბეცკოიმ „დისიმილაციური ნეიტრალიზაცია“ ნ. ტრუბეცკოის ნაშრომებში აღინიშნება ოპოზიციის მოხსნა იმავე ან მონათესავე დაპირისპირების მეზობლად (იხ. 177, 37; 179, 257-258). ნ. ტრუბეცკოისგან განსხვავებით ჩვენ დისიმილაციას ტრადიციული მნიშვნელობით, — კონტრასტული ბგერათშეერთების აღსანიშნავად ვხმარობთ.

⁴ ნიმუშები ამოღებულია ნ. ტრუბეცკოის ნაშრომიდან (179, 259-260).

მკლერი; ან ენა უშვებდეს არაგლოტალიზებულ თანხმოვანთა შეერთებას და კრძალავდეს შეერთებას: გლოტალიზებული + გლოტალიზებული⁵. ეს შეზღუდვები ასიმილაციურია, მაგრამ ზემოგანხილულ ასიმილაციურ შეზღუდვათაგან განსხვავებით ისინი ცალმხრივი ხასიათისაა: შეზღუდულია არა ოპოზიციის ორივე წევრი, არამედ ერთ-ერთი. თუ ოპოზიციის შეზღუდულ წევრს მარკირებულად მივიჩნევთ, თავისუფალს კი არამარკირებულად, შივილებთ დებულებას: გარკვეულ შემთხვევაში დსსაშვებია არამარკირებული + არამარკირებული წევრის შეერთება და აკრძალულია შეერთება: მარკირებული + მარკირებული.

აღსანიშნავია, რომ ოპოზიციის წევრი, რომელიც ცალმხრივი ნეიტრალიზაციების თვალსაზრისით ფასდება, როგორც ოპოზიციის არამარკირებული წევრი, ჩვეულებრივ ასეთსავე შეფასებას იღებს როგორც სტრუქტურული ნეიტრალიზაციის, ისე ფონეტიკური თვალსაზრისით განხილვისას.

ვფიქრობთ, თუ მიზნად დავისახავთ მარკირების მიმართების ცალსახა განსაზღვრას, მეტ სამსახურს გაგვიწევს ნეიტრალიზაციათა კლასიფიკაცია ცალმხრივ და ორმხრივ ნეიტრალიზაციებად⁶, ე. ი. 1. ისეთ ნეიტრალიზაციებად, სადაც არქიფონემის წარმომადგენელი შესაძლებელია დაემთხვეს მხოლოდ ერთ წევრს და 2. ისეთ ნეიტრალიზაციებად, სადაც არქიფონემის წარმომადგენელი ემთხვევა ოპოზიციის ხან ერთ წევრს და ხან მეორეს. ერთმხრივ ნეიტრალიზაციებს წარმოადგენს დისიმილაციური შეზღუდვები და ასიმილაციურ შეზღუდვათა ერთი ნაწილი, ხოლო ორმხრივ ნეიტრალიზაციებს — ასიმილაციურ შეზღუდვათა მეორე ნაწილი. ოპოზიციის წევრი, რომელიც თავისუფალი აღმოჩნდება ცალმხრივ ნეიტრალიზაციათა თვალსაზრისით, არის ის, რომელიც ყველა სხვა თვალსაზრისითაც მარკირებულად მიიჩნევა.

მარკირების მიმართების თვალსაზრისით სტრუქტურულ და კონტექსტუალურ ნეიტრალიზაციათა გამიჯვნის არარელევანტობაზე მიუთითებს ისიც, რომ სტრუქტურული ნეიტრალიზაციის საფუძველზე ყოველთვის არ ხერხდება ოპოზიციის არამარკირებული წევ-

⁵ ამ რიგის შეზღუდვები მოცემულია ჟ. გ რ ი ნ ბ ე რ გ ი ს ნაშრომში (36, 57-58).

⁶ ნეიტრალიზაციათა ამგვარი კლასიფიკაცია მოცემული აქვს ლ. ი ე ლ მ ს ლ ე ე ს. იგი მიჩნავს უნილატერალურ და ბილატერალურ (ან მულტილატერალურ) იმპლიკაციებს (42, 346).

რის ცალსახა განსაზღვრა. ნ. ტრუბეცკოისათვის ცნობილი იყო ისეთი ფონემური სისტემების არსებობაც, რომლებშიც სტრუქტურული ნეიტრალიზაციის შემთხვევაშიც არქიფონემის წარმომადგენლად ოპოზიციის ხან ერთი წევრი გვევლინება და ხან მეორე.

ასე მაგალითად, გერმანული ენის /s:z/ ოპოზიცია ნეიტრალიზდება ანლაუტში და არქიფონემის წარმომადგენელია ოპოზიციის მეორე წევრი /z/; აუსლაუტში კი იმავე /s:z/ ოპოზიციის ნეიტრალიზაციის შემთხვევაში არქიფონემის წარმომადგენლად გვევლინება ოპოზიციის ყრუ წევრი /s/ (179, 92). ასევე ყირგიზულში /n:n/ ოპოზიციის ნეიტრალიზაცია ხდება როგორც ანლაუტში, ისე აუსლაუტში. ამასთან ანლაუტში არქიფონემის წარმომადგენელია მჟღერი /n/, აუსლაუტში კი ყრუ /n/ (76, 484).

ასეთი შემთხვევებისათვის ნ. ტრუბეცკოის დამატებითი კრატერებში შემოაქვს: არქიფონემის ის წარმომადგენელი მიიჩნევა ოპოზიციის არამარკირებულ წევრად, რომელიც გვხვდება მაქსიმალური ფონემათაგანმასხვავებელი ძალის მქონე პოზიციაში. გერმანულისათვის ასეთ პოზიციას წარმოადგენს ანლაუტი, რადგან ამ პოზიციაში მხოლოდ /s:z/ დაპირისპირების ნეიტრალიზაცია ხდება, აუსლაუტში კი მჟღერობა-სიყრუის მიხედვით დაპირისპირებული ყველა ფონემური წყვილი ნეიტრალიზდება. ამ დამატებითი კრიტერიუმის საფუძველზე ნ. ტრუბეცკოი ცალსახად წყვეტს საკითხს: რომელია /s:z/-ს შორის ოპოზიციის არამარკირებული წევრი. ასეთად მას მიაჩნია /z/, როგორც მაქსიმალურ ფონემათაგანმასხვავებელ პოზიციაში გამოვლენილი ოპოზიციის წევრი (179, 93).

ამრიგად, თუმცა ხელოვნურად, მაგრამ მაინც, გაურკვეველობა იხსნება ფონემათა დონეზე, მაგრამ დიფერენციალურ ნიშანთა დონეზე ორაზროვნება რჩება. ანლაუტში /s:z/ დაპირისპირების არამარკირებულ წევრად მიიჩნევა მჟღერი /z/, აუსლაუტში კი მჟღერობა-სიყრუის ნიშნით დაპირისპირებულ ყველა დანარჩენ ფონემურ წყვილთა /b:p, d:t, g:k, v:f/ ყრუ წევრები /p, t, k, f/, რადგან აუსლაუტი მათთვის სტრუქტურული ნეიტრალიზაციის ერთადერთი პოზიციაა. ამრიგად, ანლაუტში მჟღერი წევრია არამარკირებული, აუსლაუტში კი — ყრუ. მართალია, ნ. ტრუბეცკოისათვის ოპოზიციური ერთეული, რომელსაც მარკირების თვისება მიეწერებოდა, ფონემა იყო, მაგრამ იგი ერთი და იმავე ნიშნით დაპირისპირებულ წყვილებს კორელაციებში აერთიანებდა, ამდენად, ასეთი შედეგი არც მისთვის უნდა ყოფილიყო დამაკმაყოფი-

ლებელი. ხოლო თუ საანალიზო ერთეულად დიფერენციალურ ნიშანს მივიღებთ, კიდევ უფრო გაძნელება მარკირების მიმართების გაპირობებული ხასიათისაგან თავის დაღწევა.

საფიქრებელია, რომ ყოველთვის ვერც ფონემათა დონეზე მოჩერდება ნ. ტრუბეცკოს მიერ შემოთავაზებული დამატებითი კრიტერიუმის საშუალებით ცალსახა გადაწყვეტის მიღება. ძნელი წარმოსადგენი არ არის ენა, რომელშიც რაიმე ნიშნით დაპირისპირებული ყველა ფონემური წყვილის ორმხრივი ნეიტრალიზაცია ხდება სტრუქტურული ნეიტრალიზაციის პოზიციაში, — ე. ი. სტრუქტურული ნეიტრალიზაციის ორივე პოზიციის სიტყვათგანმასხვავებელი ძალა ერთნაირია.

ამრიგად, ფუნქციონალურ თვალსაზრისზე გადასვლის შედეგად ცნება, რომელიც ნ. ტრუბეცკოს ინტუიციურად (მეტყველის ცნობიერების გათვალისწინებისას) გაცილებით უფრო ფართოდ მიიჩნდა, უკიდურესად დავიწროვდა. ამასთან მიზანი, რომელსაც ეს დავიწროება ემსახურებოდა, ვერ იქნა მიღწეული, ვერ მოხერხდა ისეთ შენახვევათა სრული გამოორიცხვა, რომლებშიც ოპოზიციის ხან ერთი წევრი ავლენს ფუნქციონალურ უპირატესობას და ხან მეორე.

მარკირების მიმართების ფუნქციონალური კრიტერიუმის დავიწროება ნ. ტრუბეცკოსთან წარმოდგენს ფსიქოლოგიზმის უარყოფის შემთხვევით, თანმხლებ მოვლენას. იგი ფუნქციონალური თვალსაზრისიდან გამომდინარე ლოგიკური აუცილებლობით არ არის გამოწვეული, რამდენადაც მარკირების მიმართების გაგება ორივე პერიოდში არსებითად ერთგვარია.

რაც შეეხება იმას, რომ სტრუქტურული ნეიტრალიზაციის პოზიციაში არქიფონემის წარმომადგენელი გარემომცველი პირობებით არ არის გაპირობებული და, ამდენად, აქ ოპოზიციურ ერთეულთა განსხვავებული ღირებულება ბგერათმეერთებისაგან დამოუკიდებლად იჩენს თავს, ვფიქრობთ, რომ ამ პოზიციაშიც კი იგი პირობათაგან დამოუკიდებლად ვერ ჩაითვლება. აქ სხვა ფონეტიკურ ფაქტორთა — ძირითადად პროსოდიულ ნიშანთა მოქმედება იჩენს თავს (116, 36). ჰონიგსვალდი ფონემათა ბოლოკიდურ დაყრუებას ასიმინაციური რიგის მოვლენად მიიჩნევს⁷. ამასთან ნიშანდობლივია,

⁷ იხ. აგრეთვე მაკკოლის ნაშრომი (142, 566), სადაც ავტორი უარყოფს სტრუქტურული და კონტექსტუალური ნეიტრალიზაციის გამოყენის საჭიროებას მარკირების მიმართების თვალსაზრისით.

რომ იმ პერიოდში, როდესაც სტრუქტურული და კონტექსტუალური ნეიტრალიზაციის ჩვენებათა გაერთიანების საფუძველი არსებობდა, ნ. ტრუბეცკოი არქიფონემის პირობათაგან დამოუკიდებელი რეალიზაციის ძიებას საჭიროდ არ მიიჩნევდა.

შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ნ. ტრუბეცკოის ფონოლოგიური თეორიის უკანასკნელ ვარიანტში მარკირების მიმართების ფუნქციონალურ კრიტერიუმს შემდეგი სახე აქვს: გათვალისწინებულია მხოლოდ ფონემათა მიმდევრობებად შეერთება, მაგრამ არასრულად.

ფონემათშეერთების წესთაგან გამოყოფილია ერთი ჯგუფი, რომელსაც ნეიტრალიზაცია ეწოდა. ნეიტრალიზაციად მიჩნეულია ზგერათშეერთების მხოლოდ ისეთი აკრძალვები, რომლებიც ერთგანზომილებიანი პრივატიული ოპოზიციის წევრებს ეხება.

ნეიტრალიზაციად მიჩნეულ შეზღუდვათაგან გათვალისწინებულია მხოლოდ სტრუქტურული ნეიტრალიზაცია, კონტექსტუალური ნეიტრალიზაციის ჩვენება მარკირების მიმართების თვალსაზრისით არარელევანტურად არის მიჩნეული.

ამდენად, მარკირების მიმართება ძალზე შეზღუდული პოქმედების არის მქონე პრინციპის სახეს იღებს. ფიზიოლოგიურ-აკუსტიკური და ლოგიკური თვალსაზრისით ახლოს მდგომი ოპოზიციები, რომლებიც ერთ ენაში ხასიათდება როგორც მარკირებული-არამარკირებული წევრის დაპირისპირება, მეორე ენაში ასეთ კვალიფიკაციას ვერ მიიღებს, თუ დაპირისპირება მუდმივია, არანეიტრალიზებადია, ან მხოლოდ კონტექსტუალურ ნეიტრალიზაციას ემორჩილება (177, 192).

ნ. ტრუბეცკოი მარკირების მიმართების ცნების შემუშავების პირველსავე ეტაპებზე გამოყოფს და განიხილავს ამ მიმართების სხვა ასპექტებსაც. ესენია ფონეტიკური, ფსიქოლოგიური და ლოგიკური. გარდა ფსიქოლოგიური ასპექტისა, რომელსაც პირველ ეტაპზე გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა, ამ ასპექტებს ფუნქციონალური მხარის მიმართ მეორეხარისხოვანი, დაქვემდებარებული ხასიათი აქვთ.

ნ. ტრუბეცკოის აზრით, „ნებისმიერ მოდალურ კორელაციას ახასიათებს „ბუნებრივი არამარკირებულობა“. ეს არის ოპოზიციის წევრი, რომლის არტიკულაცია მინიმალურად არის გადახრილი ნორმალური სუნთქვისაგან. ცხადია, რომ ოპოზიციის საპირისპირო წევრი მარკირებული იქნება. ამ ზოგადი, ანუ „ბუნებრივი“ თვალსაზრისით დაქიმულობის კორელაციის მარკირებული წევრი იქნება

ძლიერი თანხმობანი, ინტენსივობის კორელაციისა — შიში, მეღერობის კორელაციისა — მეღერი, ასპირაციის კორელაციისა — რეკურსიული, გახსნის კორელაციისა — ინექტიური (179, 175).

ნ. ტრუბეცკოი არ მოელის სრულ შესაბამისობას მარკირების მიმართების ფონეტიკურ და ფუნქციონალურ ასპექტებს შორის. იგი უშვებს როგორც ისეთ შემთხვევებს, როდესაც ბგერათა ფონეტიკურ მიმართებას არ მოეპოვება ფუნქციონალური შესატყვისი, ისე წინააღმდეგობას ფონეტიკურ და ფუნქციონალურ ასპექტებს შორის (179, 176). ასეთ შემთხვევებში უპირატესობა ფუნქციონალურ ასპექტს ენიჭება.

ასევე, როგორც ვნახეთ, ლოგიკურად პრივატიული ოპოზიცია ფაქტობრივ პრივატიულად მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიჩნევა, თუ არსებობს ანისი ფუნქციონალური საბუთი — ე. ი. თუ შესაბამის ოპოზიციის წევრებს შორის სტრუქტურულ ნეიტრალიზაცია აქვს ადგილი.

შესაბამის ასეთი დიდი ხარისხი მარკირების მიმართების სხვადასხვა ასპექტებს შორის, ეფიქრობთ, მისი განმსაზღვრელი ფუნქციონალური კრიტერიუმის უკიდურესი შეზღუდულობით არის გამოწვეული.

მარკირების მიმართების განმსაზღვრელი ფუნქციონალური კრიტერიუმის შეზღუდულობა ნ. ტრუბეცკოის თეორიაში იმითაც არის გამოწვეული, რომ ფუნქციონალურ მოვლენათა რიგიდან მხოლოდ ნეიტრალიზაცია არის გათვალისწინებული.

ნ. ტრუბეცკოის შემჩნეული ჰქონდა კავშირი მის მიერ განსაზღვრულ მარკირების მიმართებასა და ისეთ ფუნქციონალურ მოვლენას შორის, როგორცაა ოპოზიციურ ფონემათა კანონზომიერი სიხშირული მიმართებები. გ. ციბფმა შენიშნა, რომ კორელაციური დაპირისპირების წევრთა ერთი რიგი, როგორც წესი, მეტი სიხშირით ხასიათდება, ვიდრე მეორე (191, 61-71). ნ. ტრუბეცკოი უარყოფს ამ ფაქტების ციბფისეულ „ბუნებისმეტყველურ“ ინტერპრეტაციას და იღებს მის „ფონოლოგიურ“ ფორმულირებას, შემოთავაზებულს მ. კოენის მიერ: „პრივატიული ოპოზიციის ორი წევრიდან არამარკირებული უფრო ხშირად გვხვდება გაბმულ მეტყველებაში, ვიდრე მარკირებული“ (179, 292). მაგრამ ნ. ტრუბეცკოის იქვე უხდება დაზუსტება, რომ განსხვავება ნეიტრალიზებად და არანეიტრალიზებად ოპოზიციებს შორის არ არის საკმარისი სიხშირულ მიმართებათა ასახნელად, რადგან სხვადასხვა ენებში ყოველთვის არსე-

ბობს ოპოზიციები, რომელთა პრივატიული ხასიათი ობიექტურად ვერ დამტკიცდება. ასე, მაგალითად, ფრანგულში მკვლერობის კორელაცია პრივატიული და ნეიტრალიზებადია, მაგრამ იგი მხოლოდ კონტექსტით გაპირობებულ ნეიტრალიზაციას ექვემდებარება, ასე რომ, ამ ოპოზიციის რომელიმე წევრის არამარკირებული ხასიათი, ნ. ტრუბეცკოის აზრით, ობიექტურად ვერ მტკიცდება. მაგრამ სიხშირული მიმართება აქ ისეთივეა, როგორც იმ ენებში, სადაც ოპოზიციის ერთ-ერთი წევრის მარკირებული ხასიათის დასაბუთება შესაძლებელია: ყრუ ჩქამიერები უფრო ხშირია, ვიდრე შესაბამისი მკვლერები (ასეთი შეფარდებით: 60:40) (176, 33; 179, 298).

ამრიგად, მარკირების მიმართებასა და ერთეულთა სიხშირულ მიმართებებს შორის აშკარა პარალელიზმის არსებობის მიუხედავად, ნ. ტრუბეცკოი სიხშირულ მიმართებებს მარკირების მიმართების განმსაზღვრელ მოვლენათა რიგში მაინც არ აყენებს, თუმცა ფონოლოგიური სტატისტიკა მას ფონოლოგიური კვლევა-ძიების მნიშვნელოვან სფეროდ მიაჩნია (179, 293). ეს იმით უნდა იყოს შეპირობებული, რომ ნ. ტრუბეცკოის მარკირების მიმართება გააზრებული ჰქონდა ნეიტრალიზაციის მოვლენასთან და, რაც მთავარია, არქიფონემის ცნებასთან მჭიდრო კავშირში. ეს კი იმდენად ავიწროებდა მარკირების მიმართების ცნებას, რომ შეუძლებელი ხდებოდა მისი დაკავშირება ისეთ უნივერსალურ მოვლენასთან, როგორცაა ოპოზიციურ ერთეულთა შორის კანონზომიერ სიხშირულ მიმართებათა არსებობა.

როგორც შემდგომ დავინახავთ, უმნიშვნელოვანესი ცვლილებები მარკირების მიმართების ცნების განვითარების პროცესში სწორედ მის ფუნქციონალურ კრიტერიუმს შეეხო.

1. 2. მარკირების მიმართება რ. იაკობსონის ნაშრომებში

1. 2. 1. მარკირების მიმართება რ. იაკობსონის პრადული პერიოდის ნაშრომებში. რ. იაკობსონს ნ. ტრუბეცკოისთან ერთად გარკვეული წვლილი აქვს შეტანილი პრადის სკოლის ფონოლოგიური თეორიის ძირითადი ცნებების შემუშავებაში. რაც შეეხება მარკირების მიმართებას, რ. იაკობსონი თავისი მოღვაწეობის პრადულ პერიოდში ამ პრინციპით გრამატიკულ დონეზე მეტად იყო დაინტერესებული, ვიდრე ფონოლოგიის დონეზე⁸. ფონოლოგიის ფარგლებ-

⁸ გრამატიკულ დონეზე რ. იაკობსონი მარკირების მიმართებას განიხილავს ნაშრომებში (119; 120; 121). ამ საკითხებს უბრუნდება რ. იაკობსონი მომდევნო პერიოდის ნაშრომებშიც (77).

ში მარკირების მიმართებას იგი მეტ ყურადღებას უთმობს პრალის პერიოდის შემდეგ დაწერილ ნაშრომებში.

მარკირების მიმართების რ. იაკობსონისა და ნ. ტრუბეცკოსეული გაგებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა არქიფონემის ცნებას უნდა ჰქონდეს. არქიფონემის ცნება პირველად რ. იაკობსონს აქვს განსაზღვრული თავის მონოგრაფიაში რუსული ენის ფონოლოგიის განვითარების შესახებ (118, 7-117). რ. იაკობსონის მოხედვით, არქიფონემა არის აბსტრაქტული ერთეული, რომელიც აერთებს კორელაციური ვარიანტების ერთ ან რამდენიმე წყვილს. არქიფონემა გვაროვნულ ცნებას წარმოადგენს. ამ ეტაპზე რ. იაკობსონს. ისევე როგორც ნ. ტრუბეცკოსი, არქიფონემა ფსიქიკურ ერთეულად მიაჩნდა. იგი განისაზღვრებოდა როგორც კორელაციურ წყვილთა საერთო სუბსტრატი, რომელიც კორელაციური წყვილებისაგან ენობრივი ცნობიერების საშუალებით გამოიყოფა (118, 9-12).

არქიფონემის გვაროვნულ ცნებად მიჩნევის შემთხვევაში თითქოს ბუნებრივი კავშირი მყარდება მარკირების მიმართების ფონოლოგიურ და გრამატიკულ ინტერპრეტაციებს შორის და გვეძლევა საფუძველი ფონემათა მიმართების ინტერპრეტაციის ზოგიერთ ასპექტი გრამატიკის დონეზე მიღებული დასკვნების ფონოლოგიაზე გავრცელების შედეგად მივიჩნიოთ.

პირველი ნაშრომი, რომელშიც რ. იაკობსონი მარკირების მიმართებას გრამატიკულ დონეზე განიხილავს, არის გამოკვლევა რუსული ზნის სტრუქტურის შესახებ. ამ ნაშრომში იგი არ იზიარებს ოპოზიციურ კატეგორიათა დამოკიდებულების ყველაზე გავრცელებულ გააზრებებს: 1. ერთი კატეგორია გამოხატავს A-ს, მეორე B-ს; 2. ერთი კატეგორია გამოხატავს A-ს, მეორე — A-ს არარსებობას. მას მართებულად მიაჩნია ოპოზიციურ კატეგორიათა მიმართების ამგვარი წარმოდგენა: ერთი კატეგორია გამოხატავს A-ს, მეორეს კი უბრალოდ აკლია A-ს სიგნალიზაცია. თუ ზოგიერთ კონტექსტში იგი A-ს არარსებობაზე მიუთითებს, ეს მოცემული კატეგორიის კერძო ზმარებაა, თუნდაც ეს მისი ხმარების ყველაზე ხშირი სახე იყოს (120, 22). ამრიგად, არამარკირებული კატეგორიისათვის ძირითად მნიშვნელობად მიჩნეულია არა მარკირებული კატეგორიის საპირისპირო მნიშვნელობა, არამედ ზოგადი, გვაროვნული მნიშვნელობა, რომელიც მოცემულ დაპირისპირებას უდევს საფუძველად.

მაგალითად, რუსული სიტყვა телка გამოხატავს ცხოველის მდებარეობით სქესს, ხოლო სიტყვა теленок-ის ჩვეულებრივი მნიშ-

ენელობა არ შეიცავს მითითებას მოცემული ცხოველის სქესის შესახებ. ჩვეულებრივ იგი „ხბოს“ აღნიშნავს სქესის მიუთითებლად. ამ სიტყვის ხმარება მაშრობითი სქესის ცხოველის აღსანიშნავად გაცილებით უფრო იშვიათია. პირველი მნიშვნელობა სიტყვისათვის ზოგადია, მეორე კი გაპირობებული.

ასეთსავე კვალიფიკაციას აძლევს რ. იაკობსონი გრამატიკულ დაპირისპირებებს: ასპექტური დაპირისპირების თვალსაზრისით პერფექტი ნიშნიანი კატეგორიაა, იმპერფექტი — ზოგადი, უნიშნო და ა. შ.

ამრიგად, უნიშნო, არამარკირებული კატეგორია ათავსებს გვაროვნული ცნების მნიშვნელობას და მარკირებული კატეგორიას საპირისპირო წევრის მნიშვნელობას, ამასთან, გვაროვნული ცნების მნიშვნელობა ამ კატეგორიისათვის ძირითადად არის მიჩნეული.

უნიშნო კატეგორიას რ. იაკობსონი ნულოვან კატეგორიას უწოდებს (119, 24; 121, 109; 120, 67). ეს კატეგორია მიაჩნია მას ამოსავალ კატეგორიად, ნიშნიანი კატეგორია კი წარმოებულად უნიშნოსთან შედარებით. გრამატიკულ კატეგორიათა მიმართება, რ. იაკობსონის აზრით, იერარქიული, ასიმეტრიული ხასიათისაა.

გრამატიკულ ფორმათა ასიმეტრიული აგებულებიდან კი გამომდინარეობს ანტინომია არამარკირებული კატეგორიის მნიშვნელობაში: ერთი ფორმა ათავსებს ზოგად და კონკრეტულ მნიშვნელობას: „A“-ს არასიგნალიზაციას და „არა-A“-ს სიგნალიზაციას (მაგალითად, სქესის აღმნიშვნელ კორელაციაში არამარკირებულა წევრი არ შეიცავს სქესის სპეციფიკაციას, ან იხმარება არამდებრობითი სქესის აღსანიშნავად). ერთ შემთხვევაში გარკვეული ნიშანი (A) არ არის ფიქსირებული — მისი არსებობა არც დადასტურებულია და არც უარყოფილი, სხვა შემთხვევაში კი ნიშნის არარსებობა იწვევს წინ. ამ რიგის შინაგანი წინააღმდეგობები რ. იაკობსონს გრამატიკულ მუტაციათა გამომწვევ მიზეზად მიაჩნია (119, 30).

მოყვანილი მსჯელობის ფონზე ადვილი შესამჩნევია მსგავსება გრამატიკულ და ფონოლოგიურ დონეებს შორის (თუმცა, როგორც შემდეგ ვნახავთ, სრულ დამხვევაზე არ შეიძლება ლაპარაკი): როგორც გრამატიკის, ისე ფონოლოგიის დონეზე არამარკირებული კატეგორიის ცნება უკავშირდება ზოგადი, გვაროვნული კატეგორიის ცნებას. ოღონდ, გრამატიკის დონეზე ეს კავშირი გაცილებით უფრო ბუნებრივი და თვალსაჩინოა, ვიდრე ფონოლოგიის დონეზე. გრამატიკულ დონეზე არამარკირებულ კატეგორიათა იგივეობა გვა-

როვნულ ცნებასთან კატეგორიათა ფუნქციონირების პროცესში ვლინდება. ფონოლოგიურ დონეზე კი ამ რიგის იდენტიფიკაცია ფუნქციონალურ ფაქტთა ლოგიკური ინტერპრეტაციის გარეშე შეუძლებელი ჩანს.

ნ. ტრუბეცკოს ფონოლოგიურ თეორიაში მარკირების მიმართების სტრუქტურულ ნეიტრალიზაციასთან დაკავშირება და ამ პოზიციაში არამარკირებული წევრის „არქიფონემა (გვაროვნული ცნება)+ნული“ სახით წარმოდგენა ფონოლოგიურ დაპირისპირებათა ისეთსავე გააზრებას უნდა უკავშირდებოდეს, როგორც რ. იაკობსონს. გრამატიკულ დონეზე აქვს მოცემული.

ოღონდ, უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს სხვაობაც ფონოლოგიურ და გრამატიკულ დონეებზე მარკირების მიმართების წარმოდგენას შორის. რ. იაკობსონის მიერ შემოთავაზებული ტერმინებით რომ ვინაჟღოთ, ნ. ტრუბეცკოს ფონოლოგიურ თეორიაში წინ წამოწეულია მარკირების მიმართების გააზრება A-სა და არა-A-ს მიმართებად, მაშინ როდესაც რ. იაკობსონი გრამატიკულ დონეზე წამყვანად მიიჩნევდა დაპირისპირებას A-ს სიგნალიზაციასა და A-ს არასიგნალიზაციას შორის.

ამას გარდა, გრამატიკულ დონეზე გვაროვნული და ნაწარმოები მნიშვნელობები ერთ ფორმაში თანაარსებობენ. უნიშნო ფორმა ათავსებს გვაროვნულ და ოპოზიციურ მნიშვნელობებს. რ. იაკობსონი არ გამოყოფს კატეგორიათა გვაროვნულ მნიშვნელობას არქიკატეგორიის სახით. ფონოლოგიის დონეზე კი გამოიყოფა ფონემასთან შედარებით მაღალი რანგის ერთეული — არქიფონემა, რომელიც ოპოზიციის არც ერთ წევრს არ ემთხვევა. ნეიტრალიზაციის პოზიციაში გამოვლენილი წევრი არქიფონემის წარმომადგენელია და არა თვითონ არქიფონემა.

აღსანიშნავია კიდევ ერთი მომენტი: რ. იაკობსონს გრამატიკულ დონეზე მიმართება უნიშნო კატეგორიის ზოგად და სპეციფიზარებულ მნიშვნელობებს შორის ასე წარმოუდგება: გვაროვნული მნიშვნელობა ამოსავალია, სპეციფიზირებული მნიშვნელობა კი მეორეულია, იგი წარმოქმნილია ზოგადი მნიშვნელობის ხმარების პროცესში. ფონოლოგიის დონეზე კი ნ. ტრუბეცკო ასე მსჯელობს: „პირობებში, სადაც ნეიტრალიზაციის უნარის მქონე დაპირისპირება მართლაც ნეიტრალიზდება, ოპოზიციის წევრთა სპეციფიკური ნაშნები კ ა რ გ ა ვ ე ნ თავიანთ ფონოლოგიურ მნიშვნელობას. რელევანტურ ნიშნებად რჩება ნიშნები, რომლებიც საერთოა ორივე ოპოზიცი-

ისათვის (ანუ მოცემული ოპოზიციის შედარების საფუძველი)“ (178, 87).

ამრიგად, ფონოლოგიის დონეზე ზოგადი მნიშვნელობა კი არ არის ამოსავალი და ეს ზოგადი მნიშვნელობა კი არ ვიწროვდება ფუნქციონირების პროცესში, არამედ კონკრეტული მნიშვნელობის განზოგადება ხდება სპეციფიკური ნიშნის დაკარგვის შედეგად. ამგვარი წარმოდგენა საპირისპიროა წარმოდგენისა, რომელიც რ. იაკობსონს გრამატიკულ დონეზე ჰქონდა მოცემული. გრამატიკულ დონეზე ამოსავალი იყო ზოგადი მნიშვნელობა, ნაწარმოები კი — კონკრეტული მნიშვნელობა.

ექვს გარეშეა, გამორიცხული არ არის ფონოლოგიის დონეზე ოპოზიციურ ერთეულთა იმგვარი წარმოდგენა, როგორც რ. იაკობსონს გრამატიკულ დონეზე აქვს მოცემული. ნ. ტრუბეცკოისათვის საანალიზო ერთეულს ფონემა წარმოადგენს და კორელაციათა დადგენის გზით იგი გამოყოფს კორელაციურ ფონემათა საერთო და განსხვავებულ მასალას. შემდგომი პერიოდის ფონოლოგიური თეორიების ფარგლებში (რ. იაკობსონისა და მის თანამშრომელთა დიფერენციალურ ნიშანთა თეორია, წარმომშობი გრამატიკის ფონოლოგიური თეორია) დიფერენციალური ნიშნები წინასწარ არის მოცემული და მათგან ხდება ცალკეულ ენათა ფონოლოგიური სისტემების აგება. ამ თეორიის ფარგლებში მარკირებული-არამარკირებული წევრის მიმართება ისეთსავე სახეს იღებს, როგორსაც მას რ. იაკობსონი გრამატიკის დონეზე აძლევდა. მაგალითად, მ. ჰალე ნაშრომში რუსული ენის ფონოლოგიური სისტემის შესახებ ლაპარაკობს მთლიანად იდენტიფიცირებადი და არა მთლიანად იდენტიფიცირებადი მორფონემების შესახებ. არა მთლიანად იდენტიფიცირებადი მორფონემა ფაქტობრივ იგივეა, რაც ნ. ტრუბეცკოის არქიფონემა. გარკვეული ნიშნის იდენტიფიკაცია არ ხდება, რადგან მისი წინასწარმეტყველება კონტექსტიდან არის შესაძლებელი. ამ ნიშნის სპეციფიკაცია მოხდება იქ, სადაც მისი წინასწარმეტყველება შეუძლებელი იქნება (108, 320-322; 89, 403), ამრიგად, ფონოლოგიურ ერთეულთა იდენტიფიკაციისას უფრო ზოგადიდან ნაკლებ ზოგადისკენ მივიდვიართ.

უნივერსალურ ენობრივ მოვლენათა თვალსაზრისით მარკირების მიმართების განხილვის შემთხვევაშიც არამარკირებული წევრი არის ძირითადი, ამოსავალი, მარკირებული კი — მეორეული. როგორც წესი, ოპოზიციის არამარკირებული წევრი იმპლიკაციურ უნივერსალურ დებულებებში იმპლიცირებული, ძირითადი, პარო-

ბებით შეუზღუდავი წევრის ადგილს იკავებს, მარკირებული წევრა კი — მაიმპლიცირებელი, ანუ დამოკიდებული, პირობებით შეზღუდული წევრის ადგილს (101, 513; 100, 21; 83, 863-866). ენათა ტიპოლოგიური შედარებისასაც და დიაქრონიული ხასიათის კვლევა-ძიების დროსაც არამარკირებული კატეგორია ამოსავალ კატეგორიად გვევლინება. პ. პოსტალისა და ჯ. გრინბერგის აზრით, ფონოლოგიურ ცვლილებებსა და დიალექტურ ვარიაციებზე დაკვირვების გზით შესაძლებელია არამარკირებული კატეგორიის ამოსავალი ხასიათი შევნიშნოთ. არამარკირებული სერიისაგან შესაძლებელია მარკირებული და არამარკირებული სერიების მიღება ვახლეჩის (split) გზით, შერწყმისას (merge) კი მარკირებული და არამარკირებული სერიების შეერთება არამარკირებულ სერიას გვაძლევს (100,64; 101, 514-515; 153,170).

ამრიგად, ზოგადი ენობრივი კანონებისა და ენობრივი დინამიკის გათვალისწინების საფუძველზე არსებობს შესაძლებლობა, რომ ნიშანთა ასიმეტრიული მიმართება ფონოლოგიის დონეზეც ამოსავალი და ნაწარმოები კატეგორიების მიმართებად იქნეს მიჩნეული.

რ. იაკობსონს ყოველთვის ახასიათებდა ენობრივი მოვლენების ზოგად მიმართებათა თვალსაზრისით განხილვის ტენდენცია (122; 123). ოპოზიციის მარკირებული-არამარკირებული წევრის დაპირისპირების გაგება, შემუშავებული ამ თვალსაზრისით, შეესაბამებოდა ამ დაპირისპირების იმ გაგებას, რომელიც მას გრამატიკული მოვლენების შესწავლისას გამოუმუშავდა.

1. 2. 2. მარკირების მიმართება რ. იაკობსონის მეორე პერიოდის ნაშრომებში. პრაქტიკული პერიოდის შემდგომ ნაშრომებში რ. იაკობსონმა მოხსნა ყველა ის მკაცრი შეზღუდვა, რომლებიც მარკირების მიმართებას ნ. ტრუბეცკოის ფონოლოგიურ თეორიაში ახასიათებდა. მის ნაშრომებში გათვალისწინებულა ყველა ფუნქციონალური მოვლენა, რომლებიც თანამედროვე მკვლევრებს მარკირების მიმართების განსაზღვრაში შეაქვთ.

სიხშირულ მიმართებებს ოპოზიციურ ერთეულთა მარკირების მიმართების დასადგენად რ. იაკობსონის ადრეულ ნაშრომებში არავითარი მნიშვნელობა არ ენიჭებოდა, მას ოპოზიციის წევრთა კვალიფიკაცია მარკირების მიმართების თვალსაზრისით სიხშირულ მიმართებათა საპირისპიროდაც კი მიაჩნდა შესაძლებლად (119, 22). მოგვიანო ნაშრომებში სიხშირულ მიმართებათა მნიშვნელობა იზრდება. გამოკვლევაში ბავშვის ენის შესახებ რ. იაკობსონი გაბაზავს,

რომ ცალმხრივი გაპირობებულობის კანონების იმპლიცირებული წევრი, როგორც წესი, უფრო მაღალი სიხშირით ხასიათდება, ვიდრე მაიმპლიცირებელი (122, 366). მ. ჰალესთან და ე. ჩერისთან ერთად დაწერილ ნაშრომში კი იგი რუსული ენის მაგალითზე უჩვენებს, რომ ოპოზიციის არამარკირებული წევრი ყოველთვის უფრო მაღალს სიხშირით ხასიათდება, ვიდრე მარკირებული (131, 279-299). ამრიგად, უკანასკნელ პერიოდში იგი გადაჭრით აკავშირებს სახშირულ მიმართებებს მარკირების მიმართებასთან.

რ. იაკობსონის ადრეულ პრალულ შეხედულებებსა და მომდევნო პერიოდის თვალსაზრისს შორის მნიშვნელოვან სხვაობას ქმნის ოპოზიციური ღირებულების გადატანა ფონემიდან დიფერენციალურ ნიშანზე⁹. ძირითად ფონოლოგიურ ერთეულებად დიფერენციალური ნიშნების მიჩნევამ ახალი საკითხები დასვა: თუ კომპონენტური ანალიზი ადრე მხოლოდ ფონემათა მიმდევრობებად შეერთებას სწავლობდა, ახლა შესაძლებელი ხდება მისი გავრცელება ფონემის სტრუქტურაზეც. რ. იაკობსონის აზრით, „კონტექსტის საკითხები მოიცავს არა მარტო წინამავალსა და მომდევნოს, არამედ ერთ-ერთი ფაქტორებსაც“ (125, 636). ამ გზით მარკირების მიმართება დიფერენციალურ ნიშანთა მიმართებად მიიჩნევა და მის განმსაზღვრელ ფუნქციონალურ კრიტერიუმთა რიცხვს ფონემის სტრუქტურაში დიფერენციალურ ნიშანთა მონაწილეობის უნარი ემატება¹⁰. როგორც შემდეგ ვნახავთ, ამ ცვლილებამ რ. იაკობსონს საშუალება მისცა ენის იერარქიული აგებულების ამსახველი უნივერსალური კანონზომიერებები მარკირების მიმართებასთან დაეკავშირებინა.

რამდენადაც რ. იაკობსონის ფონოლოგიურ თეორიაში ოპოზიციურ ერთეულებს დიფერენციალური ნიშნები შეადგენენ, მასში ადგილი აღარ ეძებნება ისეთ ოპოზიციებს, რომლებიც ნ. ტრუბეცკოსთან ხასიათდებოდა როგორც მრავალგანზომილებიანი, ეკვიპოლენტური (ადრეულ უტაპზე — როგორც დიზიუნქციური: მაგ.,

⁹ პირველად ეს დებულება წარმოდგენილია რ. იაკობსონის ნაშრომში (124, 272-279), რომელიც წაკითხული იქნა მოხსენებად 1938 წელს ფონეტიკურ შეცნობებთან III ინტერნაციონალურ კონგრესზე. ამ თვალსაზრისით საინტერესოა კოპენჰაგენში 1939 წელს წაკითხული მოხსენებაც (126, 280-310).

¹⁰ რ. იაკობსონი ენის ფონოლოგიური დონის იერარქიული აგებულების ამსახველ წესთა შესახებ წერს: „დისტინქციურ ნიშანთა კონებად ან მიმდევრობებად შეერთება შესაძლებელია და განსაზღვრულია უნივერსალურ იმპლიკაციურ წესთა გარკვეული რიცხვით“ (128, 265).

($f \sim k, s \sim m$ და მისთ.) დაპირისპირებები. ენაში წარმოდგენილ დაპირისპირებათა რიცხვი ძალზე შემცირდა, დარჩენილი დაპირისპირებები კი მიჩნეულია ბინარულ დაპირისპირებებად. რ. იაკობსონის თეორიაში ბინარულ დაპირისპირებებად არის გააზრებული ნ. ტრუბეცკოს პრივატიული დაპირისპირებები, ამას გარდა, გრადუალური და ზოგიერთი ეკვიპოლენტური დაპირისპირებებიც (ლოკალური რიგების დაპირისპირებები). აკუსტიკურ გამოკვლევებზე დაყრდნობით, რ. იაკობსონი ლოკალურ რიგებს შემდეგი ნიშნების საშუალებით აღწერს: მაღალი-დაბალი ტონი და კომპაქტური-დიფუზური. ამ ნიშანთა მიმართება, ისევე როგორც რ. იაკობსონის სქემის სხვა ნიშანთა ურთიერთმიმართება, მიჩნეულია მარკირებული-არამარკირებული წევრის დაპირისპირებად. ლოკალური რიგები აშკარად ავლენენ ფუნქციონალურ უთანაბრობას (როგორც დინამიკურად აღწერილ შეზღუდვათა, ისე სინთეზურ მიმართებათა და ცარიელ უკრათა განაწილების თვალსაზრისით), ამდენად მათი ურთიერთმიმართების იერარქიულად მიჩნევა და მათზე მარკირების მიმართების გავრცელება გამართლებულად გვეჩვენება. ოპოზიციურ ერთეულებად დიფერენციალურ ნიშანთა მიჩნევის შემდეგ, ცხადია, მარკირების მიმართება სრულიად დამოუკიდებელი ხდება ისეთი ხელოვნური ცნებისაგან, როგორცაა არქიფონემის ცნება და მას ავტომატურად ეხსნება ამ ცნებიდან გამომდინარე რიგი ხელოვნური შეზღუდვა (მაგალითად, შეზღუდვა, რომელიც გამოწვეულია დინამიკურად აღწერილ მიმართებათაგან ნეიტრალიზაციითა კლასის გამოყოფით).

ამრიგად, მარკირების მიმართების ფუნქციონალური ასპექტი რ. იაკობსონის უკანასკნელი დროის ნაშრომებში გაცილებით უფრო ფართოდ არის წარმოდგენილი, ვიდრე ნ. ტრუბეცკოს ფონოლოგიურ თეორიაში. იგი მოიცავს: 1. დიფერენციალურ ნიშანთა კონებად შეერთებას ფონემის სტრუქტურაში, 2. დიფერენციალურ ნიშანთა მიმდევრობებად შეერთებას და 3. დიფერენციალურ ნიშანთა სინთეზურ მიმართებებს.

რ. იაკობსონი კიდევ ერთ საკითხში გვევლინება მარკირების მიმართებისადმი თანამედროვე მიდგომის წინამორბედად. როგორც აღვნიშნეთ, ამჟამად მარკირების მიმართებით დაინტერესება ძირითადად ზოგად ენობრივ მიმართებათა მომაწესრიგებელი პრინციპების ძიებით არის შეპირობებული. რ. იაკობსონი პირველი მკვლევარია, რომელმაც გახაზა მარკირების მიმართების მნიშვნელობა უნივერსალურ მოვლენათა კვლევა-ძიებისათვის.

პრადის სკოლის წარმომადგენლები ამ სკოლის ჩამოყალიბების პირველსავე ეტაპებზე დაინტერესდნენ ენის ფონოლოგიური სისტემის იერარქიული აგებულების ამსახველი კანონზომიერებებით. ამ მიმდინარეობის ფარგლებში გამოვლინდა ცალმხრივი გაპირობებულობის (იმპლიკაციური) წესების მნიშვნელობა ენათმეცნიერებისათვის. ცალმხრივი გაპირობებულობის კანონები ასახავენ ისეთ ენობრივ მოვლენათა ურთიერთკავშირს, რომელთაგან ერთი წყება თავისუფალია, მეორის ფუნქციონირება კი პირველის გამოვლენასთან არის დაკავშირებული. ამრიგად, ეს კანონები ენობრივ მოვლენათა იერარქიულ მიმართებას ასახავენ. ასეთი წესების გამოვლენას ცდილობდნენ ნ. ტრუბეცკოი—ხმოვანთა სისტემაში (174), რ. იაკობსონი — ძირითადად თანხმოვანთა სისტემაში (122), ბ. ტრნკა — ფონემათშეერთებების მიმართ (172). მაგრამ რამდენადაც ამ წესებში ძირითადად პარადიგმატული სისტემები იყო გათვალისწინებული, — ე. ი. მათში აისახებოდა დიფერენციალურ ნიშანთა ფონემებად კომბინირების განსხვავებული უნარი, მარკირების მიმართების იმ ხანად არსებული განსაზღვრა კი ამ მოვლენას არ ითვალისწინებდა, ამიტომ პრადელები ფონოლოგიური სისტემის იერარქიული აგებულების ამსახველ უნივერსალურ წესებს მარკირების მიმართებასთან არ აკავშირებდნენ.

უშუალოდ მარკირების მიმართებასთან ეს წესები რ. იაკობსონმა გაცილებით უფრო გვიან, უნივერსალიათა საკითხებთან დაკავშირებულ პირველ სიმპოზიუმზე წაკითხულ მოხსენებაში დააკავშირა (128). ამას გარდა, მან ისინი გაითვალისწინა დიფერენციალურ ნიშანთა უნივერსალური სქემის აგებისას. როგორც ცნობილია, ეს ნიშნები მიჩნეულია უნივერსალურ ფონეტიკურ ნიშნებად, რომელთა ურთიერთდამოკიდებულება მარკირებული-არამარკირებული წევრის მიმართებას წარმოადგენს.

მარკირების მიმართების ამსახველ უნივერსალურ იმპლიკაციურ მიმართებებს რ. იაკობსონი აქრონიული ხასიათის მიმართებებად მიიჩნევს. ეს წესები, მისი აზრით, თანაბარი ძალით ვლინდება როგორც სინქრონიასში, ისე დიაქრონიასში, როგორც ენობრივ სტატიკაში, ისე ენობრივ დინამიკაში. რ. იაკობსონის განსაზღვრით, დებულება: „თუ x , მაშინ y “ ასახავს არა მარტო იმას, რომ x არ შეიძლება არსებობდეს სისტემაში y -ის გარეშე, არამედ იმასაც, რომ x არ გაჩნდება, თუ არა გვაქვს y და y არ დაიკარგება, სანამ არ დაიკარგება x (122, 396; 130, 252). რ. იაკობსონის აზრით, ენათა ისტორიაში, აგრეთვე ბავშვის მიერ ენის შესწავლისა და აფაზიის შემ-

თხვევაში ენობრივი უნარის დაკარგვის პროცესში (ე. ი. ისეთ მოვლენებში, რომლებშიც ენობრივი დინამიკის უშუალო დაკვირვება არის შესაძლებელი) ისევე ვლინდება ენის იერარქიული აგებულების ამსახველი კანონზომიერებები, როგორც უკვე ჩამოყალიბებულ ენათა ფუნქციონირებაში (122, 328).

სინქრონიულ და დიაქრონიულ კანონზომიერებათა შორის მიმართების მსგავს გააზრებას ვხვდებით უნივერსალური მიმართებებით დაინტერესებულ სხვა მკვლევართა ნაშრომებშიც. უნივერსალათა პირველი სიმპოზიუმის „მემორანდუმის“ ავტორები წერენ: „არ არსებობს სინქრონიული მდგომარეობა, რომელიც არ გამომდინარეობს შესაძლებელ დიაქრონიულ პროცესთან და დაუშვებელია დიაქრონიული პროცესი, რომელიც დაარღვევს უნივერსალურ სინქრონიულ ნორმას“ (105, XXIII. იხ. აგრეთვე 101).

შზოლოდ ერთ საკითხში არ წყვეტს თითქოს რ. იაკობსონი კავშირს მარკირების მიმართების კლასიკურ პრადულ გაგებასთან. შესაძლებელია ითქვას, რომ უკანასკნელი დროის ნაშრომებშიც მას მარკირების მიმართება მიაჩნია აბსოლუტურ მიმართებად და არა შეუარღვებით, გაპირობებულ მიმართებად¹¹.

ამრიგად, თანაჲდროვე მკვლევართა მიერ მარკირების ნიშანების გააზრება თითქმის მთლიანად რ. იაკობსონის შეხედულებებს ემყარება.

აუსანიშნავია ისიც, რომ თავის ნაშრომში „ბავშვის ენა“ რ. იაკობსონმა იერარქიულ მიმართებათა კიდევ ერთ სახეზე გაამახვილა ყურადღება: იერარქიული მიმართება არსებობს არა მარტო დიფერენციალურ ნიშანთა და — ლირებულელებს შორის, არამედ უფრო მაღალი რიგის ერთეულებს, საკუთრივ დიფერენციალურ ნიშნებს შორისაც. ეს კი ფონოლოგიური ხეების „არანებისმიერი“ ხააიათის დასაბუთებას წარმოადგენს. ამ რიგის კვლევა შემდგომში არ გაღრმავებულა და იერარქიულ მიმართებათა ეს სფერო ნაკლებ დაქუშაებულა, ვიდრე მარკირების მიმართება¹².

¹¹ წარმომში გრამატიკის წარმომადგენლების მოწმობით, მარკირების მიმართების გაპირობებული ხასიათის გაზრებასაც რ. იაკობსონმა მოუშადა საფუძველი (142, 566; 153, 180). სამუხაროდ, ასეთი მოსაზრების გამოთქმისას ისინი რ. იაკობსონის კონკრეტულ ნაშრომებს არ ასახელებენ, ამიტომ გაურკვეველია, დაბეჭდილ ნაშრომებს ემყარებიან ისინი თუ ზეპირ გამოსვლებს. შესაძლებელია, აქ იჯულისხმება რ. იაკობსონის ნაშრომები, რომლებშიც ფონემათმიდევრობათა ანალიზისას კარბად არის მიჩნეული როგორც მარკირებული, ისე არამარკირებული ნიშნები.

¹² უკანასკნელ ხანებში სშირად გაიზაზება ამ სახის იერარქიულ მიმართებათა შესწავლის საქიროება (153, 165; 60, 70).

საინტერესოა აგრეთვე რ. იაკობსონის დამოკიდებულება ფონეტიკური მოვლენებისადმი. თავისი თეორიის განვითარების გვიანდელ ეტაპზე რ. იაკობსონი ენის იერარქიული აგებულების კვლევისა და დასაბუთებისას ფონეტიკურ ფაქტორთა მიმართ ისეთსავე ინტერესს იჩენს, როგორსაც ფუნქციონალურ მოვლენათა მიმართ. დიფერენციალურ ნიშანთა + — ღირებულებათა განსაზღვრა ფონეტიკურ (ფიზიოლოგიურ-აკუსტიკურ) მოვლენებზე დამყარებით ხდება. მის უკანასკნელი დროის ნაშრომებში იშვიათად ვხვდებით მსჯელობას ნეიტრალიზაციის (ე. ი. დისტრიბუციულ მოვლენათა) შესახებ. ოპოზიციურ ნიშანთა სიხშირულ მიმართებათა კვლევა ამ ნიშანთა ღირებულების დადგენის შემდეგ ხდება (131, 279-299). ამდენად, წარმოებს ფონეტიკურ მოვლენათა ფუნქციონალური ეკვივალენტების ძიება და არა პირიქით.

აღსანიშნავია ისიც, რომ რ. იაკობსონისათვის ენის იერარქიული აგებულების თეორიის ძირითად დაშვებას ფონოლოგიურ მოვლენათა ფსიქოფიზიკური გაპირობებულობის აღიარება წარმოადგენს. მისი აზრით, მინიმალურ ფონოლოგიურ სისტემას (ე. ი. მსოფლიოს ენებში ყველაზე გავრცელებულ დაპირისპირებათა ერთობლიობას) ქმნის ფიზიოლოგიურად ყველაზე ნაკლებ დიფერენცირებული ელემენტების მაქსიმალურად კონტრასტული დაპირისპირებები. ბგერითი სისტემის განვითარების პროცესში წარმოიშევა არტიკულაციურად შეტად დიფერენცირებულ ელემენტთა ნაკლებ კონტრასტული დაპირისპირებები. როგორც ვხედავთ, რ. იაკობსონი ითვალისწინებს როგორც მეტყველის, ისე მსმენელის დამოკიდებულებას ბგერით მოვლენათა მიმართ. მარკირების მიმართების თითქმის ყველა მკვლევარი გარკვეულ ინტერესს იჩენდა მარკირების მიმართების ფიზიკური და ფსიქოლოგიური მხარეების მიმართ, მაგრამ რ. იაკობსონის გარდა არც ერთი მათგანი არ ცდილა ამ სფეროში მოპოვებული ემპირიული მასალის ერთიანი თეორიის ფარგლებში მოწესრიგებას.

ამრიგად, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ მარკირების მიმართების ცნების განვითარების დღევანდელი დონე დიდად არის დავალეული რ. იაკობსონის ნაშრომებისაგან.

2. მარკირების მიმართება ამერიკის ენათმეცნიერულ მიმდინარეობებში

ფონოლოგიის დონეზე მარკირების მიმართება განხილულა ამერიკის შემდეგ ენათმეცნიერულ მიმდინარეობებში: დესკრიფცი-

ულ ენათმეცნიერებაში, ანთროპოლოგიურ ენათმეცნიერებაში და წარმომშობ გრამატიკაში¹³. უნდა ითქვას, რომ ყურადღება, რომლითაც მარკირების მიმართება ამ სამ მიმდინარეობაში საჩვენებლობს, თანაბარი არ არის. დესკრიფციული ენათმეცნიერების ფარგლებში იგი ძალზე იშვიათად ხდება მსჯელობის საგანი, წარმომშობი გრამატიკის წარმომადგენელთა უკანასკნელი დროის ფონოლოგიური ნაშრომები კი ძირითადად ამ მიმართების განხილვისადმი მიძღვნილი.

2. 1. მარკირების მიმართება დესკრიფციულ ენათმეცნიერებაში

დესკრიფციული მიმდინარეობის ფარგლებში მხოლოდ ერთ ნაშრომს ვიცნობთ, რომელშიც მარკირების მიმართების შესახებ გვხვდება მსჯელობა. ეს არის ჩ. ჰოკეტის „ფონოლოგიის საბუნძღვანელო“. ამ ნაშრომშიც მარკირების მიმართების განხილვას ეპიზოდური ხაზით აქვს.

მარკირების მიმართებისადმი დესკრიპტივისტთა უყურადღებობა ერთ-ერთ მიზეზად ფონოლოგიური პარადიგმატიკის უგულებელყოფისა და ძირითადად სინტაგმატური ანალიზით შემოფარგლის ტენდენცია შეიძლება შევიჩინოთ. როგორც ვნახეთ, მარკირების მიმართებას აზრი არა აქვს ისეთი პარადიგმატული ცნების გარეშე, როგორცაა ოპოზიცია. მარკირების მიმართება წარმოადგენს ერთეულთა ფუნქციონალურ შედარებას ოპოზიციის ფარგლებში.

ამას გარდა, დესკრიფციული თეორია ენობრივი აღწერის იდეალად სიმეტრიული მოდელების შემუშავებას თვლიდა. ამდენად მარკირების მიმართება, რომელიც ენის ასიმეტრიული, იერარქიული აგებულების ასახვას წარმოადგენს, მისთვის არსებითად უცხო უნდა დარჩენილიყო.

ჩვენთვის საინტერესო მიმართების განხილვისას ჩ. ჰოკეტი პრაქტიკულ ტერმინებს „მარკირებული — არამარკირებული“ ცვლის ტერმინებით: „ფონოლოგიურად რთული — მარტივი“ (113, 166). ტერმინთა ამგვარი შენაცვლება ფონოლოგიურ დაპირისპირებათა ბინარული ანალიზისადმი ჩ. ჰოკეტის დამოკიდებულების გამოხატვას უნდა წარმოადგენდეს.

¹³ არსებობს გამოკვლევები, რომლებიც მარკირების მიმართების გამოყენების ცდას შეიცავენ სტრატეგიკული ფონოლოგიის ფარგლებში. ასეთ ცდას ვხვდებით, მაგალითად, დ. გ. ლოკუდიის ნაშრომში (140).

ერთეულები, რომლებიც ჩ. ჰოკეტთან ფასდება სიმარტივე-სირთულის თვალსაზრისით, ფონემებია. თუმცა ჩ. ჰოკეტისათვის უცხო არ არის ფონემათა კომპონენტური ანალიზი, ფონოლოგიური ანალიზის უმცირესი ერთეულების ფუნქციონალური შესწავლისა და შეფასების საკითხი მასთან მაინც არ არის წამოყენებული.

ერთეულთა მარკირება-არამარკირების საკითხი ჩ. ჰოკეტმა დესკრიფციული ფონოლოგიის ერთ-ერთ ძირითად საკითხს — სეგმენტთა მონოფონემატური თუ ბიფონემატური ინტერპრეტაციის საკითხს დაუკავშირა. მარკირების მიმართება მისთვის ამ საკითხის ფუნქციონალური გადაწყვეტის საფუძველია, ხშირად მარკირებულ ელემენტები ფასდება როგორც ფონოლოგიურად უფრო რთული ერთეულები — ფონემათმიმდევრობები. ამ მიმდევრობებში დამატებით არტიკულაციას იგი ხაზოვანი კომპონენტის სახეს აძლევს¹⁴. მაგალითად, ხშირად ასპირირებული ფონემები მიიჩნევა მიმდევრობებად, რომლებიც მეორე კომპონენტად შეიცავს /h/ ფონემას, პალატალიზებულები — /j/ ფონემას, ლაბიალიზებულები — /w/ ფონემას და ა. შ.

ჩ. ჰოკეტი კონტრასტულ ელემენტთა ფონოლოგიური „სიმარტივე-სირთულის“ თვალსაზრისით შეფასებას ორი კრიტერიუმის საფუძველზე ახდენს. იგი ფიქრობს, რომ ამ კრიტერიუმთა ჩვენება ურთიერთსაწინააღმდეგო არ შეიძლება აღმოჩნდეს, მაგრამ მათ საფუძველზე ვერ მოხერხდება ყველა კონტრასტული ელემენტის „სიმარტივე-სირთულის“ განსაზღვრა.

მოგვყავს ჩ. ჰოკეტის მიერ შემოთავაზებული კრიტერიუმები:

1. ფონოლოგიურად უფრო მარტივად მიიჩნევა ერთეული. რომელსაც მასთან კონტრასტში მყოფ სხვა ერთეულებთან შედარებით უფრო ფართო დისტრიბუცია ახასიათებს.

შედარებით შეზღუდული დისტრიბუციის მქონე ერთეული ფონოლოგიურად უფრო რთულად მიიჩნევა და ხშირად ფონემური კომპლექსის კვალიფიკაციას იღებს.

2. ერთეულთა ორი ან მეტი შესაბამისი სიმრავლიდან ფონოლოგიურად უფრო მარტივად ის სიმრავლე მიიჩნევა, რომელსაც არადისტინქციური ვარიაციის უფრო ფართო საზღვრები აქვს.

რამდენადაც დესკრიფციულ ენათმეცნიერებაში დისტრიბუციული შეზღუდვები ფონემათმეერთების წესების მთელ სიმრავლეს

¹⁴ იხ. კორეულის, ვინებაგოსა და სუის თანხმობანთა სისტემების ანალიზი (114, 106-107).

მოცავს, გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ჩ. ჰოკეტის პირველი კრიტიერიუმი ნ. ტრუბეცკოის ნეიტრალიზაციის ცნებას უფრო ფართო ფუნქციონალური უნარის მქონე ცნებით ცვლის. მაგრამ, აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ საილუსტრაციოდ ჩ. ჰოკეტს ძირითადად სტრუქტურული ნეიტრალიზაციის (სიტყვაში ადგილთან დაკავშირებული) შემთხვევები მოჰყავს, ამიტომ ძნელია განსაზღვრა, აქ ტერმინთა უბრალო შენაცვლებასთან გვაქვს საქმე, თუ ჩ. ჰოკეტი არსებით ცვლილებასაც გულისხმობს.

მოყვანილ კრიტიერიუმებზე დაყრდნობით კონტრასტულ ფონემურ ერთეულთა ერთი რიგის ფონემათკომპლექსებად მიჩნევა შემთხვევითა უმრავლესობაში შესაძლებელია გამართლებული არ იყოს. ოპოზიციურ ერთეულთა შორის ერთ-ერთი, როგორც წესი, შედარებით ფართო დისტრიბუციით ხასიათდება. /l/-სთან შედარებით შეზღუდული დისტრიბუციით, შესაძლებელია, ხასიათდებოდეს როგორც ფონემა /l^h/, ისე ფონემათმომდევრობა /lh/, რომელიც /l/-ს გამოვლენას მხოლოდ ერთ, შეზღუდულ პოზიციაში ასანავს¹⁵.

ჩ. ჰოკეტის მეორე კრიტიერიუმი ფონემური და სუბფონემური დონეებს ურთიერთმიმართებას ასახავს და პირველი კრიტიერიუმის მოქმედების შედეგად შესაძლებელია წარმოვიდგინოთ. ფონოლოგიური ერთეული, რომელიც უფრო ფართო დისტრიბუციით ხასიათდება, ე. ი. პირობათა უფრო დიდ სიმრავლეში გვხვდება, სავარაუდოა პირობათა შესაბამისად სუბფონემური ვარიაციის უფრო მაღალ ხარისხს ამჟღავნებდეს.

აღსანიშნავია კიდევ ერთი რამ: ჩ. ჰოკეტის მიერ შემოთავაზებული მეორე კრიტიერიუმის გამოყენება მასალის საკმაოდ ფაქიზ ანალიზს მოითხოვს, რადგან ხშირად ძნელია გამიჯვნა, ფონემური ოპოზიციის ნეიტრალიზაციასთან გვაქვს საქმე, თუ ალოფონურ ვარიაციასთან. ასე მაგალითად, სალიტერატურო ქართულ ენაში თუ აუსლაუტში მკვლერ ფონემათა დაყრუებას სუბფონემურად მივიჩნევთ. ე. ი. ჩავთვლით, რომ აუსლაუტში გვხვდება ამ ფონემის დაყრუებული ვარიანტი, რომელიც მეტ საერთოს ინარჩუნებს მკვლერ ფონემასთან, ვიდრე ასპირირებულთან¹⁶, მაშინ მკვლერ ფონემებს

¹⁵ როგორც ჩანს, აქ თავი იჩინა ერთდროული კომპონენტების ხაზოვანი მომდევრობების სახით წარმოდგენის ტენდენციამ, რომელიც დესკრიფციული და შემდეგ სტრატეგიკული ფონოლოგიის დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს. ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. 153, 53.

¹⁶ ამგვარ კვალიფიკაციას აძლევს ამ მოვლენას გ. ახელედიანი (3, 85-86).

ნეტი ალოფონური ვარიაციის უნარი აღმოაჩნდება, ვიდრე ყრუ ასპირირებულებს. ეს კი ერთი საბუთი შეიძლება იყოს პოზიციის არამარკირებულ წევრად მათი მიჩნევისათვის. მაგრამ თუ დავუშვებთ, რომ აუსლაუტის სეგმენტი უფრო ახლოს დგას ყრუ ფშვინვიერ ფონემასთან და მოვახდენთ ამ სეგმენტის ყრუ ფშვინვიერ ფონემასთან იდენტიფიკაციას (1, 120; 33, 437), მაშინ აღმოჩნდება, რომ ოპოზიციის ასპირირებული წევრი ნაკლებ შეზღუდულია დისტრიბუციულად, რაც მისი არამარკირებული ხასიათის დასადაბუთებლად გამოდგება. რამდენადაც სუბფონემური ვარიაცია და ფონემური დაპირისპირების ნეიტრალიზაცია ერთი პროცესის ორ სხვადასხვა (აღრეულ და გვიანდელ) ეტაპებს წარმოადგენს, ამგვარი სიტუაცია არც თუ იშვიათად უნდა იქნებოდეს ენაში.

ბოლოს, ჩ. ჰოკეტი თვითონ შენიშნავს, რომ მის მიერ შემოთავაზებული კრიტერიუმები უნივერსალური ხასიათისა არ არის: შესაძლებელია, ყველა ენის ყველა დაპირისპირება ვერ შეფასდეს მათ საფუძველზე სიმარტივე-სირთულის თვალსაზრისით.

2. 2. მარკირების მიმართება „უნივერსალიათა ლინგვისტიკის“ თვალსაზრისით

როგორც აღვნიშნეთ, მარკირების მიმართება ზოგად ენობრივ კანონზომიერებათა თვალსაზრისით პირველად რ. იაკობსონს აქვს განხილული. შემდგომ ამავე თვალსაზრისით მარკირების მიმართების გამოყენების საინტერესო ცდა აქვს მოცემული ჟ. გრინბერგს. ჟ. გრინბერგის კვლევა-ძიების ძირითად სფეროს ყოველთვის ენობრივი ტიპოლოგია წარმოადგენდა (98; 99); მისთვის უცხო არ იყო აგრეთვე ენობრივ მოვლენათა ფსიქოლოგიური, სოციოლოგიური ასპექტებისადმი ინტერესი, (104), ზოგადი ენობრივი მოვლენებით დაინტერესება კი ამ რიგის მუშაობის ბუნებრივ შედეგს წარმოადგენს. ჟ. გრინბერგი მარკირების მიმართებით მას შემდეგ დაინტერესდა, რაც გამოაქვეყნა რამდენიმე გამოკვლევა ზოგადი ენობრივი კანონების შესახებ (99, 74-114; 36). მან შენიშნა, რომ მის მიერ მიღებული უნივერსალური წესები და აგრეთვე სხვა მკვლევართა მიერ გამოვლენილი ზოგი კანონზომიერებაც (92, 58) შესაძლებელია ერთ პრინციპს დაუქვემდებაროთ¹⁷. ასეთ პრინციპად მან

¹⁷ უფრო ადრე ჟ. გ რ ი ნ ბ ე რ გ ი ს სინტაქსურ უნივერსალიათა ინტერპრეტაცია მარკირების მიმართების თვალსაზრისით მოცემული აქვს რ. ი ა კ ო ბ ს ო ნ ს (128, 269).

ოპოზიციის მარკირებულ-არამარკირებულ წევრთა დაპირისპირების პრალული ცნება მიიხნია (101; 100).

მაშინ როდესაც პრალელი ენათმეცნიერები ოპოზიციურ ერთეულთა იერარქიული მიმართებით ნეიტრალიზაციის მოვლენამ დაანტერესა, ჯ. გრინბერგი ამ მიმართების განსაზღვრამდე სხვა ფუნქციონალური მოვლენების: ოპოზიციურ ერთეულთა სიხშირულ მიმართებათა და პარადიგმატულ სისტემებში ცარიელ უჭრათა განაწილების ანალიზმა მიიყვანა.

პირველ ნაშრომებში, რომლებშიც მარკირების მიმართება არის განხილული, ჯ. გრინბერგი აყალიბებს სინქრონიულ უნივერსალიათა ოთხ ტიპს, რომლებშიც არამარკირებული კატეგორია ყოველთვის იმპლიკაციური მტკიცების იმპლიცირებული წევრის სახით ფიგურირებს. ამ სახის მტკიცებებში ტერმინები მარკირებული და არამარკირებული განიხილება როგორც ცვლადები, რომელთაც შესაძლებელია ჩაენაცვლოს სხვადასხვა ოპოზიციური წყვილები (მაგ.: ნახალური-ორალური, გლოტალიზებული-არაგლოტალიზებული და სხვ.). მოგვყავს ჯ. გრინბერგის შიერ ჩამოყალიბებულ უნივერსალიათა ტიპები:

a) მარკირებული კატეგორიის არსებობა გულისხმობს შეაბამისი არამარკირებული კატეგორიის არსებობას.

b) მარკირებული კატეგორიის დისტინქციურ ფონემათა რიცხვი არასდროს არ აღემატება არამარკირებული კატეგორიის ფონემათა რიცხვს.

c) მარკირებული კატეგორიის ყველა ფონემის საერთო ტექსტობრივი სიხშირე ყოველთვის ნაკლებია არამარკირებული კატეგორიის ფონემების საერთო ტექსტობრივ სიხშირეზე.

d) მარკირებული კატეგორიის ყოველი ცალკეული ფონემა ნაკლებ ხშირია, ვიდრე არამარკირებული კატეგორიის შესაბამისი წევრი (101, 512).

როგორც ვხედავთ, მტკიცებათა ეს ოთხი ტიპი დიფერენციალურ ნიშნათა (a, c) და ფონემათა (b, d) სიხშირულ მიმართებებს ასახავს ტექსტში (c, d) და სისტემაში (a, b).

მომდევნო, მონოგრაფიულ გამოკვლევაში ჯ. გრინბერგი ცდილობს მაქსიმალური სისრულით გამოავლინოს მარკირების მიმართების განსაზღვრელი ნიშნები. ამ რიგის ნიშნების გამოვლენას იგი ცდილობს როგორც ფონოლოგიის, ისე გრამატიკისა და სემანტიკის დონეებზე და შემდეგ, შესაბამისობათა გარკვეული წესების საშუა-

ლებით, იზომორფიზმს ამყარებს სხვადასხვა დონეზე გამოვლენილ ნიშნებს შორის. ჩვენ აქ ძირითადად ნაშრომის ფონოლოგიური ნაწილის (100, 12-24) მიმოხილვით შემოვიფარგლებით.

აღრე გამოყოფილ ორ ნიშანს (სიხშირული მიმართებები და ხარვეზები სისტემაში) იგი ნ. ტრუბეცკოისა და ჩ. ჰოკეტის მიერ ჩამოყალიბებულ ნიშნებს უმატებს. ეს ნიშნები ზემოთ უკვე გვქონდა განხილული, მაგრამ აქ მათ ერთხელ კიდევ ჩამოვთვლით:

1. ნეიტრალიზაციის პოზიციაში, გარემოცვაში, სადაც არქიფონემის წარმომადგენელი შინაგანად არის გაპირობებული, არქიფონემის წარმომადგენლად ოპოზიციის არამარკირებული წევრი გვევლინება (ნ. ტრუბეცკოი).

2. არამარკირებული კატეგორიის ფონემები შედარებით უფრო ფართო დისტრიბუციით ხასიათდებიან (ჩ. ჰოკეტი).

3. ოპოზიციის არამარკირებულ წევრს მარკირებულთან შედარებით მეტი სუბფონემური ვარიაცია ახასიათებს (ჩ. ჰოკეტი). ამას გარდა, იგი თავის მხრივ კიდევ ორ ნიშანს ამატებს. ამათგან ერთი დისტრიბუციული კრიტერიუმის უნივერსალურ იმპლიკაციათა სახით ჩამოყალიბებას წარმოადგენს:

1. თუ ენას აქვს მარკირებული ნიშნის მქონე ფონემათა შეერთება, მას აუცილებლად ექნება არამარკირებული ნიშნის მქონე ფონემათა შეერთებაც. ხოლო მეორე წარმოადგენს მარკირების ნიშანების განმსაზღვრელი ნიშნების გავრცელებას სუბფონემურ დონეზე;

2. ალოფონური ვარიაციის შემთხვევაში ძირითადი ალოფონი, რომელიც ხასიათდება უფრო მაღალი ტექსტობრივი სიხშირით და გამოვლენის პირობათა მეტი სიმრავლით, შეიცავს არამარკირებულ ნიშანს, არაძირითადი ალოფონი კი — მარკირებულ ნიშანს.

როგორც ვხედავთ, მის მიერ აღრე გამოყოფილ ნიშნებს კ. გრინბერგი ფაქტობრივად ერთ ნიშანს უმატებს, ეს არის ოპოზიციურ ერთეულთა დისტრიბუციული სიმძლავრის ნიშანი. ეს ნიშანი მას მოჰყავს როგორც ნ. ტრუბეცკოის, ისე ჩ. ჰოკეტის ფორმულირებით, ამას გარდა, მას უნივერსალურ მიმართებათა თვალსაზრისითაც აყალიბებს.

ჩ. ჰოკეტის მიერ ჩამოყალიბებულ მეორე კრიტერიუმზე უკვე გვქონდა მსჯელობა ზემოთ და იგი სხვა ნიშანთა მიმართ მეორეულად და აშდენად არაარსებითად მივიჩნით.

ამრიგად, ჯ. გრინბერგის მიერ ჩამოყალიბებული ნიშნები ოპოზიციურ ერთეულთა ფუნქციონალური იერარქიის სამ ძირითად შხარეს ასახავს:

1. დიფერენციალურ ნიშანთა ფონემებად (ერთეამიერ კონებად) შეერთების განსხვავებულ უნარს: ხარვეზები სისტემაში გვაქვს მარკირებული ნიშნით შექმნილ ფონემურ კლასებში.

2. ოპოზიციურ ერთეულთა მიმდევრობებად შეერთების განსხვავებულ უნარს: არამარკირებული ელემენტები მეტი დისტრიბუციული ძალით ხასიათდებიან, ვიდრე მარკირებული ელემენტები.

3. ოპოზიციურ ერთეულთა სიხშირულ მიმართებებს — ფონოლოგიურ ერთეულთა ერთმანეთთან შეერთების შეფარდებით შეზღუდვებს.

როგორც აღვნიშნეთ, ჯ. გრინბერგს შენიშნული აქვს, რომ ოპოზიციური ნიშნები ამ კრიტერიუმთა თვალსაზრისით განსხვავებულ ქცევას აქვდავენბენ როგორც ფონემურ, ისე სუბფონემურ დონეზე. ერთი და იგივე (მაგალითად, მჟღერობის) ნიშანი მარკირებულ კვალიფიკაციას ერთ ენაში ფონემურ დონეზე მიიღებს (მარკირებული იქნება მჟღერი ფონემები ყრუების საპირისპიროდ), მეორე ენაში კი ალოფონურ დონეზე (ერთი ფონემის მჟღერ და ყრუ ალოფონთაგან მარკირებულის კვალიფიკაციას მჟღერები მიიღებენ).

ნიშანდობლივია, რომ არამარკირებულ ალოფონსა და შესაბამის ფონემას შორის ისეთივე მიმართება არსებობს, როგორიც ნ. ტრუბეცკოის თეორიაში ოპოზიციის არამარკირებულ წევრსა და არქიფონემას შორის.

ფონემურ დონეზე არამარკირებულა წევრა არქიფონემასთან იყო გაიგივებული, ალოფონური ვარიაციის შემთხვევაში კი ხდება არამარკირებული ალოფონის სათანადო ფონემასთან გაიგივება. ამრიგად, ორივე შემთხვევაში არამარკირებული ელემენტი მარკირებულთან შედარებით უფრო მაღალი დონის ერთეულად მიიჩნევა.

ამგვარი პარალელიზმი ფონემურ და სუბფონემურ დონეებს შორის უფრო ადრე შენიშნული აქვს რ. იაკობსონს ნაშრომში რუსული ენის ისტორიული ფონოლოგიის შესახებ (118, 12).

ამრიგად, ჯ. გრინბერგს არც ერთი ისეთი ახალი ნიშანი არ დაუმატებია მარკირების მიმართების განსაზღვრისათვის, რომელიც მანამდე სხვა მკვლევარებს (ნ. ტრუბეცკოის, რ. იაკობსონს, ჩ. ჰოკეტს) არ ჰქონდათ შენიშნული, მაგრამ მისი ნაშრომი პირველია, რომელშიც ყველა ეს მნიშვნელოვანი კრიტერიუმი ერთად არის თავმოყრი-

ლი. აღსანიშნავია აგრეთვე ჯ. გრინბერგის განსაკუთრებული ყურადღება იმ ნიშნებისადმი, რომლებიც უნივერსალური მიმართულების ჩამოყალიბების საშუალებას აძვილად იძლევა (სიხშირული მიმართებები, ხარვეზები სისტემაში).

მარკირების მიმართების ცნების განვითარებაში ჯ. გრინბერგის განსაკუთრებულ წვლილს წარმოადგენს ამ მიმართების გაპირობებული ხასიათის გამოვლენა. მარკირების მიმართების გაპირობებული ხასიათის ამსახველი ნიმუშები ჯ. გრინბერგს მოჰყავს როგორც ფონოლოგიის, ისე გრამატიკის დონეზე. აღსანიშნავია, რომ იგი ამჩნევს დიფერენციალურ ნიშანთა კონტრასტების გაპირობებულ ხასიათს, მაგრამ არაფერს ამბობს მიმდევრობის სტრუქტურის შესახებ.

ფონოლოგიის დონეზე მას ნიმუშად მოჰყავს მყდერობის ნიშნის ქცევა ჩქამიერ და სონორ ბგერათა კლასებში. ჩქამიერობის ნიშანთან კავშირში მყდერობა აშკარად მარკირებულ კატეგორიას წარმოადგენს, სონორ ბგერათა კლასში კი იგი არამარკირებული კატეგორიისათვის დამახასიათებელ ყველა თვისებას ამჟღავნებს (100, 24).

სემანტიკურ დონეზე იგი სანიმუშოდ განიხილავს სიტყვას nurse „ძიძა“, რომელიც ათავსებს „ძიძობის“ ზოგად მნიშვნელობას და მდებარეობითი სქესის ძიძის აღნიშვნას. ძიძის მამრობითობის გამოსახატავად საჭიროა მარკირებული გამოთქმის male nurse ხმარება. ეს წარმოადგენს დაპირისპირების — „მამრობითი—მდებარეობითი“ გაპირობებულ ფუნქციონირებას, რამდენადაც ჩვეულებრივ ამ დაპირისპირების არამარკირებული წევრი მამრობითი სქესია (100, 66).

აღსანიშნავია, რომ ანალოგიური შემთხვევები რ. იაკობსონაც ჰქონდა შემჩნეული, მაგრამ რამდენადაც მარკირების მიმართება მას აბსოლუტურ მიმართებად მიაჩნდა, იგი მათ მეტაფორული, აფექტური შეფერილობის ხმარების ნიმუშად თვლიდა (119, 23).

ჯ. გრინბერგს შენიშნული არა აქვს, რომ მის მიერ ჩამოთვლილი ნიშნები შესაძლებელია ერთმანეთთან წინააღმდეგობაში აღმოჩნდეს: ე. ი. ერთის საფუძველზე ოპოზიციის ერთი წევრი აღმოჩნდება არამარკირებული ხასიათისა, მეორის საფუძველზე კი — მეორე.

ასეთ ვითარებას ადგილი აქვს, მაგალითად, ქართულსა და ოსურში (169). თუ მივიღებთ, რომ ამ ენებში მყდერ და ასპირირებულ ფონებათა ნეიტრალიზაცია ხდება აუსლაუტში და არქიფონემის წარმომადგენლად ოპოზიციის ასპირირებული წევრი გვევლინება (1, 120; 33, 437), სტრუქტურული ნეიტრალიზაციის კრიტერიუმის

საფუძველზე ოპოზიციის არამარკირებულ წევრებად ასპირირებულ ფონემები უნდა მივიჩნიოთ, სიხშირულ მიმართებათა საფუძველზე კი — მქედრები, რადგანაც ორივე ამ ენაში მქედრ ხშულთა სიხშირე სქარბობს შესაბამის ასპირირებულ და გლოტალიზებულ ფონემათა სიხშირეს¹⁸.

ასეთი სიტუაცია გასაგები გახდება, თუ გავითვალისწინებთ მარკირების მიმართების გაპირობებულ ხასიათს და მას ფონემათიმედევრობებზეც გავავრცელებთ. სტრუქტურული ნეიტრალიზაცია ფონემათა ქცევას ერთ გარკვეულ პოზიციაში ასახავს. ცალკეულ პოზიციებში კი, როგორც ვნახეთ, ფონემათა ქცევა ყოველთვის ერთგვარი არ არის. რამდენადაც სიხშირულ მიმართებებში ასახულია ფონემათა ქცევა ყველა პოზიციაში, ამდენად იგი საშუალო ზაჩვენებელს, უპირობო ალბათობას წარმოადგენს. მარკირების მიმართების გაპირობებული ხასიათის გამო არსებობს შესაძლებლობა, რომ ნიშანთა ქცევა გარკვეულ პოზიციებში არ დაემთხვეს ფონემათა სიხშირულ მიმართებებს. სალიტერატურო ქართულში ძნელი არ არის ისეთი პოზიციების გამოძებნა, რომლებშიც მქედრი ხშულები ასპირირებულებზე უფრო თავისუფალი დისტრიბუციის მქონე აღმოჩნდება. ასეთია, მაგალითად, ხშულთა აქცესიური კომპლექსის მეორე წევრის პოზიცია, რომელიც მხოლოდ მქედრმა ფონემამ შეიძლება დაიკავოს (დასაშვებია: თბ, ტბ, გბ, კბ, ყბ, გდ, კდ, ყდ და აკრძალულია თფ, ტპ, კპ, კტ, და მისთ.). დისტრიბუციული მოდელის საერთო ჩვენება კი, როგორც ქვემოთ ვნახავთ (გვ. 83). შეესაბამება სიხშირულ მიმართებებს.

ამრიგად, სიტუაცია, როდესაც სტრუქტურული ნეიტრალიზაციისა და სიხშირულ მიმართებათა ჩვენება ერთმანეთს არ ემთხვევა, მარკირების მიმართების გაპირობებული ხასიათიდან გამომდინარეობს. ვფიქრობთ, ფონემათა საერთო სიხშირული მიმართებები და სტრუქტურული ნეიტრალიზაცია, რომელთაგან ერთი ფონემათა ქცევას პირობათაგან განყენებით ასახავს, მეორე კი კონკრეტულ პირობებთან კავშირში, ერთი რიგის მოვლენებს არ წარმოადგენენ და ერთმანეთის გვერდით არ უნდა იყვნენ მოცემული მარკირების მიმართების განმსაზღვრელ მოვლენათა ჩამოთვლისას.

დიფერენციალურ ნიშანთა სიხშირულ მიმართებებს ჯ. გრინბერგი დიაქრონიულ ტენდენციებთან აკავშირებს (100, 65). მისი აზრით, დიაქრონიულ პროცესთა შედეგად შესაძლებელია: ან

¹⁸ სათანადო სიხშირული მონაცემები ქართულისა და რუსურისათვის იხ. ამ შრომის II ნაწილში, გვ. 77.

1. მარკირებული სერიის მოსპობა (არამარკირებულთან შერწყმის ვიზით), ან 2. მარკირებული სერიის წარმოქმნა არამარკირებულისაგან. ცვლილებათა პროცესი იმგვარია, რომ მარკირებულ ფონემათა სიხშირე ყოველთვის უფრო დაბალი აღმოჩნდება, ვიდრე შესაბამისა არამარკირებული ფონემებისა.

ფიქრობთ, ამგვარი ვითარება იმის შედეგია, რომ მარკირებას მიმართების ამსახველი წესები უნივერსალურ მიმართებათა იმ რიგს ეკუთვნის, რომელიც საფუძვლად უდევს როგორც ენობრივ სტატუკას, ისე ენობრივ დინამიკას.

საინტერესოა ჯ. გრინბერგის კიდევ ერთი დაკვირვება. იგი მარკირების მიმართების ამსახველ უნივერსალურ მტკიცებათა იერარქიას აღგენს ქვეშარიტების ხარისხის თვალსაზრისით. მისი აზრით, ფონემათა სიხშირულ მიმართებათა ამსახველი წესები მეტ გამოწაკლისებს შეიცავს, ვიდრე ცარიელ უჭრათა განაწილების წესები და დიფერენციალურ ნიშანთა სიხშირული მიმართებების ამსახველი წესები (101, 513); როგორც შემდეგ ვნახავთ (თავი III, § 1), ამ მტკიცების სისწორეს ჩვენ მიერ განხილული მასალაც ადასტურებს.

ბოლოს, აღსანიშნავია ისიც, რომ ჯ. გრინბერგთან ვხვდებით მსჯელობას მარკირების მიმართების ფონეტიკური და ფსიქოლოგიური ასპექტების შესახებ. იგი გამოთქვამს აზრს, რომ ოპოზიციის მარკირებული-არამარკირებული წევრის დაპირისპირება კავშირში უნდა იყოს შესაბამის ბგერათა მეტ-ნაკლებ არტიკულატორულ სირთულესთან (100, 70-71). რაც შეეხება ფსიქოლოგიურ ასპექტს, იგი ფიქრობს, რომ არამარკირებული კატეგორია, რომელსაც უფრო მაღალი სიხშირე აქვს, აღიქმება როგორც თავისთავად ცხადი, როგორც ფონი, ნაკლებ ხშირი მარკირებული კატეგორია კი დაქოტომიის ფიგურის მნიშვნელობას იძენს (110, 70). ამგვარი ინტერპრეტაცია ინფორმაციის თეორიას ემყარება.

ჯ. გრინბერგთან ვხვდებით მარკირების მიმართების ფსიქოლოგიური რეალობის დასაბუთების ცდას ექსპერიმენტული მასალის საფუძველზე. მას მოჰყავს ჯ. ჩენკინსთან ერთად ჩატარებული ფსიქოლინგვისტური ექსპერიმენტის შედეგები, რომლის მიხედვითაც ცდის პირები მარკირებული ნიშნის მქონე ფონემებს მსგავსების უფრო მაღალ ხარისხს მიაწერენ, ვიდრე არამარკირებული ნიშნის მქონე ფონემებს (მაგ., ნახალები უფრო მსგავსად არის მიჩნეული, ვიდრე ორალები, მკლერები უფრო მსგავსად, ვიდრე ყრუები და ა. შ.). ეს ექსპერიმენტი ძირითადად იმავე შედეგებით გამოირჩევა, რომელიც ბ. მორისა და ვ. ვანგის მიერ (147, 31-46). იგი მარკირებულ

ფონემათა საერთო ნიშნის მეტ გამოკვეთილობას, მეტყველთა მიერ გაცნობიერების მეტ შესაძლებლობას გვაპარაულებინებს. მარკირებული ნიშნით შექმნილი ფონემების კლასის, და უნდა ვიფიქროთ, თვით ამ ნიშნის გამოყოფა — გაცნობიერება უფრო ადვილი ჩანს მეტყველთათვის, ვიდრე არამარკირებული ნიშნით შექმნილი კლასის გაცნობიერება.

ამრიგად, მარკირების მიმართების ცნებასთან დაკავშირებული არც ერთი საკითხი არ დაუტოვებია ჯ. გრინბერგს უყურადღებოდ. ვფიქრობთ, მის ძირითად დამსახურებას ამ ცნების განვითარებაში წარმოადგენს ის; რომ მან 1. ერთხელ კიდევ გაუსვა ხაზი უნივერსალურ მიმართებათა კვლევისათვის მარკირების მიმართების მნიშვნელობას და 2. შენიშნა მარკირების მიმართების გაპირობებული ხასიათი.

2. 3. მარკირების მიმართება წარმომშობ გრამატიკაში

წარმომშობ გრამატიკაში მარკირების მიმართების ცნება მხოლოდ ფონოლოგიის დონეზე არის გამოყენებული. ამ დონეზეც იგი გათვალისწინებული იყო არა ფონოლოგიური თეორიის ჩამოყალიბების პირველსავე ეტაპზე¹⁹, არამედ უფრო გვიან. 1968 წელს გამოვიდა მთლიანად ფონოლოგიის საკითხებისადმი მიძღვნილი ორი მონოგრაფია, რომელთა ავტორები მარკირების მიმართების ცნების საშუალებით ცდილობენ ენის იერარქიული აგებულების გათვალისწინებას. ეს ნაშრომებია: ნ. ხომსკისა და მ. ჰალეს „ინგლისური ენის ბგერითი მოდელი“ და პ. პოსტალის „ფონოლოგიური თეორიის ასპექტები“. აღნიშნული ავტორები ფონოლოგიური დონის ერთეულთა იერარქიული ურთიერთმიმართების კვლევას ამ ერთეულთა შინაგანი ბუნების გამოვლენის და, ამდენად, ფორმალური ანალიზის არაადეკვატობის დაძლევის ძირითად საშუალებად მიიჩნევენ.

წარმომშობი გრამატიკის ფონოლოგიური კომპონენტი გააზრებულია როგორც წესთა სისტემა, რომელიც წინადადებათა სინტაქსური აღწერის ფონეტიკურ ინტერპრეტაციას ემსახურება. ამ დონის წესები გამოიყენება ზედაპირული სინტაქსური სტრუქტურის მიმართ და მათ ფონოლოგიური ჭაჭვი ფონეტიკურში გადააქავთ

¹⁹ წარმომშობი გრამატიკის ფარგლებში ფონოლოგიური კომპონენტის დამუშავება 50-იანი წლების დამლევებიდან იწყება.

(39, 9)²⁰. სემანტიკური კომპონენტის მსგავსად და სინტაქსური კომპონენტისაგან განსხვავებით, მას მხოლოდ ინტერპრეტაციული ფუნქცია მიეწერება და მოკლებულია პროდუქტიულ (რეკურსიულ) უნარს (85; 89, 6-7; 153, 204-205).

ფონოლოგიური დონის ძირითად დაშვებას, რომელიც ფონოლოგიურ და ფონეტიკურ სტრუქტურათა ურთიერთმიმართებას განსაზღვრავს, წარმოადგენს „ბუნებრივობის დაშვება“ (naturalness assumption). „ბუნებრივობის დაშვების“ არსი შემდეგში მდგომარეობს: ენის მორფოფონემური სტრუქტურა შედგენილია არა ad hoc, ნებისმიერი სიმბოლოებისაგან, არამედ ელემენტებისაგან, რომელთაც სისტემატური მიმართება აქვთ ენის თეორიაში ჩამოყალიბებულ ფონეტიკურ სტრუქტურასთან და, ამდენად, იგი უმეტეს წილად უნივერსალური ხასიათისაა. ეს პირობა არ შეიცავს მტკიცებას, რომ ფონემური სტრუქტურა მთლიანად ფონეტაური მოვლენებით განისაზღვრება, მაგრამ უშვებს, რომ ფონეტიკური მოვლენები უშუალოდ განსაზღვრავენ ფონოლოგიურ თვისებათა მნიშვნელოვან წილს. ფონოლოგიური დონის მოვლენათა: მორფოფონემური და ფონემური წესების, დიფერენციალურ ნიშანთა კონეზად და მიმდევრობებად შეერთების წესების არანებისმიერად მიჩნევა და ფონეტიკურ თვისებებთან მათი დაკავშირება ნიშნავს, რომ დიდი წილი ფონოლოგიურ-ფონეტიკური მიმართებებისა უნივერსალური ხასიათისაა და მოცემული უნდა იყოს არა ცალკეულ ენათა გრამატიკაში, არამედ ლინგვისტურ თეორიაში (153, 73)²⁰.

წარმომშობი გრამატიკის წარმომადგენელთა თვალსაზრისის თავისებურებას წარმოადგენს არა იმდენად ფონოლოგიურ მოვლენათა ფონეტიკური გაპირობებულობის აღიარება, — იგი გააზრებული იყო ენათმეცნიერულ მიმდინარეობათა უმრავლესობის ფარგლებში, — არამედ ფონოლოგიურ და ფონეტიკურ სტრუქტურათა მიმართების ამსახველი წესების უნივერსალური ხასიათის გახაზვა (153, 89-90). ამასთან გათვალისწინებულია ამ რიგის უნივერსალურ მიმართებათა ემპირიული ხასიათი. გათვალისწინებულია ისიც, რომ ჩვენი ცოდნა ზოგად ფონეტიკურ მოვლენათა სფეროში საკმაოდ ღარიბია და, ამდენად, სრული და ადეკვატური ლინგვისტური თე-

²⁰ ფონოლოგიური კომპონენტის წესები გამოიყენება სინტაქსური კომპონენტის ზედპირული სტრუქტურის ან ამ ზედპირული სტრუქტურიდან შესაბამისობაში მოპყვანი წესების (readjustment rules) მოქმედების შედეგად მიღებული რეკურსიურობის მიმართ.

ორიის შემუშავება დიდად არის დამოკიდებული ბგერათა ფიზიოლოგიურ-აკუსტიკურ-პერცეფციული ასპექტების შესახებ ცოდნის გაღრმავებაზე (153, 168).

ფონოლოგიური კომპონენტის ხასიათისა და დანიშნულების ამგვარი გააზრების შემთხვევაში, ცხადია, გამორიცხულია წმინდა ფორმალური ანალიზით დაკმაყოფილება. თავიანთი „ძველი“ ფონოლოგიური თეორიის²¹ ნაკლის დაძლევის, რაც სწორედ მის ფორმალურ ხასიათში მდგომარეობდა, ნ. ხომსკი და მ. ჰალე მარკირების მიმართების შემოტანის გზით აპირებენ. მათი აზრით, ეს მიმართება საშუალებას იძლევა გამოვლენილ იქნეს ფონოლოგიურ ერთეულთა შინაგანი სტრუქტურა და გათვალისწინებულ იქნეს მათი იერარქიული დამოკიდებულება.

მარკირების მიმართების შემოტანამდე წარმომქმნელი გრამატიკის ფონოლოგიური თეორია სრულებით არ ითვალისწინებდა დიფერენციალურ ნიშანთა იერარქიული მიმართების არც ერთ ასპექტს: 1. გათვალისწინებული არ იყო დიფერენციალურ ნიშანთა — ღირებულებათა ასიმეტრიული ბუნება: დაშვებული იყო, რომ ნიშანთა ორივე ღირებულება ერთნაირად ართულებს ფონეტიკურ აღწერას და მხოლოდ ნულოვანი აღნიშვნა იძლევა გარკვეულ ეკონომიას, რაჲდენადაც იგი წინასწარმეტყველებად ღირებულებებს ასახავს. 2. გათვალისწინებული არ იყო თვით დიფერენციალურ ნიშანთა განსხვავებული ღირებულება. ფონოლოგიური „ხეების“ აგება ნებისმიერ ხასიათს ატარებდა და არ იყო გააზრებული ნიშანთა ქვეშარიტი იერარქია, რომელიც მას უნდა დასდებოდა საფუძვლად (153, 165). ამგვარი ვითარება გაოცებას იწვევს, თუ გავიხსენებთ, რომ რ. იაკობსონის დიფერენციალურ ნიშანთა თეორიაში, რომელსაც ძირითადად ემყარებიან ნ. ხომსკი და მ. ჰალე, გათვალისწინებულია ენის აგებულების იერარქიული ხასიათი. ამ მხრივ წარმომშობი გრამატიკის ფონოლოგიური თეორიის შემუშავების პირველი პერიოდი რ. იაკობსონის ნაშრომებთან შედარებით უკან გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა. აქ დესკრიფციული თეორიის გავლენა შეიძლება დავინახოთ, წარმომშობი გრამატიკა თუმცა უპირისპირდება მას, მაგრამ მისგან ჭერ მთლიანად განთავისუფლებული არა ჩანს.

²¹ ვ. კოსტალი, მაგალითად, 1968 წლამდე ფონოლოგიურ თეორიას „ძველ თეორიას“ უწოდებს, 1968 წლის შემდეგ შემუშავებულს კი — „ახალს“ (153, 163).

მ. ჰალეს ადრინდელი ნაშრომიდან მოყოლებული (109, 334-354) ფონოლოგიური კომპონენტის წესებისა და კლასების შეფასების ძირითად კრიტერიუმს ამ წესების ჩამოყალიბებისა და კლასების განსაზღვრისათვის საჭირო დიფერენციალურ ნიშანთა რიცხვი წარმოადგენდა. ამ კრიტერიუმის უკმარისობა კი აშკარად ჩანს მაგალითიდან, რომელიც ნ. ხომსკისა და მ. ჰალეს მოჰყავთ: ხმოვანთა სამი სისტემა: (1) i u (2) i u (3) ū i

e o	e o	Λ
a	æ	æ a

ნიშანთა ერთი და იმავე რიცხვით განისაზღვრება, მაგრამ ყოველი ენათმეცნიერისათვის აშკარაა ამ სისტემათა ბუნებრიობის განსხვავებული ხარისხი. ასევე მკლერ ხშულთა კლასი უფრო ბუნებრივია, ვიდრე მკლერ სეგმენტთა კლასი, მაგრამ მეორე კლასს უფრო მარტივი დეფინიცია აქვს (89, 400-402).

ფორმალური მიდგომიდან გამომდინარე ხარვეზების დაძლევა წარმომშობი გრამატიკის წარმომადგენლები მარკირების მიმართების გათვალისწინების გზით აპირებენ.

წარმომშობი გრამატიკის წარმომადგენლებმა გარკვეული წვლილი შეიტანეს მარკირების მიმართების განვითარებაში ამ მიმართების გაპირობებული ხასიათის გამოვლენით და შესწავლით. როგორც ვნახეთ, ჯ. გრინბერგს მარკირების მიმართების გაპირობებული ხასიათი მხოლოდ ერთყამიერ კომპონენტთა მიმართ ჰქონდა შემჩნეული. წარმომშობი გრამატიკის წარმომადგენლები მას მიმდევრობის სტრუქტურაზეც ავრცელებენ. ამას გარდა, ჯ. გრინბერგი მარკირების მიმართების გაპირობებული ხასიათიდან არავითარ დასკვნას არ აკეთებს, მის შემდგომ მსჯელობაში იგი არ აისახება, წარმომშობი გრამატიკის წარმომადგენლები კი მასზე ამყარებენ ფონოლოგიური თეორიის არსებით ნაწილს. ისინი გახაზავენ, რომ ძირითად განსხვავებას მარკირების პრადულ ცნებასა და ამ ცნების მათ გააზრებას შორის სწორედ მისი გაპირობებული ხასიათის აღიარება წარმოადგენს (89, 404).

ფონოლოგიური ჯაჭვის ფონეტიკური ინტერპრეტაციის წესების ძირითად ნაწილს მარკირების პირობები წარმოადგენენ. თუ გავიხსენებთ, რომ ფონოლოგიური კომპონენტის დანიშნულებად ისინი სწორედ ფონოლოგიური ჯაჭვის ფონეტიკურში გადაყვანას მიიჩნევენ, ნათელი გახდება დიფერენციალურ ნიშანთა მარკირების პირობების ძიების მნიშვნელობა მათი თეორიისათვის.

მარკირების მიმართების გაპირობებული ხასიათის აღიარების გამო შეუძლებელია ფონეტიკური ღირებულებისათვის მარკირებული თუ არამარკირებული ხასიათის მუდმივად, პირობათაგან დამოუკიდებლად მიწერა. ამიტომ საჭირო ხდება ორმაგი აღნიშვნის შემოტანა. ამ აღნიშვნათაგან Π და μ (მარკირებული — არამარკირებული) უფრო ღრმა resp. აბსტრაქტულ დონეს ეკუთვნის, ხოლო π და μ — აღნიშვნები — ნაკლებ აბსტრაქტულ — ფონეტიკურ დონეს. მარკირებულ პირობათა საშუალებით ხდება Π , μ ღირებულებათა π , μ სპეციფიკაცია. ამასთან, დაშვებულია, რომ Π და μ ღირებულებათაგან თითოეული შესაძლებელია სპეციფიზირებული იქნეს როგორც π , ისე — აღნიშვნით. ამრიგად, გაწყვეტილია კავშირი მარკირება-არამარკირებასა და ფონეტიკური ნიშნის არსებობა-არარსებობას შორის. გარკვეულ პირობებში მარკირებული ან არამარკირებული ხასიათი შეიძლება აღმოაჩნდეს დიფერენციალურ ნიშანთა როგორც π , ისე — ღირებულებებს.

ნ. ხომსკისა და მ. ჰალეს, აგრეთვე პ. პოსტალს, მოცემული აქვთ ხმოვნების, თანხმოვნების, ლიკვიდების მარკირების პირობათა გარკვეული რიცხვი (89, 404-407; 153, 81-82). საინტერესოა ამ თვალსაზრისით ჩ. კერნსის ნაშრომი, რომელშიც ჯ. გრინბერგის მიერ დადგენილი ზოგადი დისტრიბუციული წესები განხილულია მარკირების მიმართების თვალსაზრისით (83, 863-886). ავტორებს გათვალისწინებული აქვთ, რომ ამ ხასიათის წესთა რიცხვი ამოწურული არ არის.

მარკირების მიმართების შემოტანამ ძირეული ცვლილება გამოიწვია ფონოლოგიური კომპონენტის კლასების, წესების, ლექსიკონში ერთეულთა ფონემური რეპრეზენტაციის სირთულის შეფასებაში. როგორც უკვე აღვნიშნეთ, პირველი პერიოდის თეორია სიმეტრიული ხასიათისა იყო. ნიშანთა π და μ — ღირებულებათა შეფასება ერთგვარად ხდებოდა. ნიშანთა არც ერთი ღირებულება არ იყო მიჩნეული უფრო „ბუნებრივად“, „ნორმალურად“, „დომინანტურად“ და ამდენად, ნაკლები სირთულის შემოშტანად.

მარკირების მიმართების შემოტანის შემდეგ გამოირიცხა ნულოვანი აღნიშვნები. სირთულე-სიმარტივის თვალსაზრისით შეფასების საფუძველი მარკირების მიმართება გახდა. ლექსიკური ერთეულის ამსახველ მატრიცაში ნიშანთა სპეციფიკაცია ხდება არა π , μ და 0 ღირებულებებით, არამედ Π და μ ღირებულებებით, რომლებიც ინტერპრეტაციის უნივერსალური წესების საშუალებით სისტემატურად იცვლება π და μ — სიმბოლოებით. რამდენადაც ეს

წესები უნივერსალურია, ისინი არ ართულებენ კონკრეტულ ენათა გრამატიკებს (89, 402-403). ამრიგად, იქ, სადაც მოცემული ნიშნისათვის ძველი თეორია სპეციალურად უშვებდა: არსებობა, არარსებობა და არაინფორმატიულობა (+, —, 0), ახალი თეორია მხოლოდ ორს უშვებს: „ნორმალურს“ და „არანორმალურს“ (II და III). თუ ძველი თეორია სიმარტივეს მხოლოდ ნულს — ე. ი. წინასწარმეტყველებადობას უკავშირებდა, ახალი თეორია უშვებს, რომ ყოველ კონტექსტში გარკვეული ღირებულება არის „ბუნებრივი“ და ამდენად, ნაკლები სირთულის შემოშენი, მეორე კი „არაბუნებრივი“ და ამდენად, უფრო რთული. ახალი თეორია აერთებს არაინფორმატიულობის (წინასწარმეტყველებადობის) და ბუნებრივი ღირებულების მოვლენებს და ორივეს სპეციფიკაციას II სიმბოლოთა ახდენს (153, 166-167).

კონკრეტულ ენათა ფონოტაქტიკა, რომლის საფუძველზეც განისაზღვრება გარკვეულ ნიშანთა წინასწარმეტყველებადობა, როგორც წესი, თანხმობაშია მარკირების უნივერსალურ პირობებთან. ამდენად, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ახალ თეორიაში სიმარტივისა და ეკონომიურობის ცნება თითქმის მთლიანად მარკირების მიმართებაზეა დამყარებული.

ნ. ხონისკი და მ. პალე ექსპლიციტურად არ აყალიბებენ უნივერსალურ ინტერპრეტაციულ პირობათა მიღების ხერხებს. ასეთ წესთა შესახებ მათი მსჯელობიდან ჩანს, რომ ისინი ძირითადად დიფერენციალურ ნიშანთა კომბინირების აბსოლუტურ შეზღუდვებს ითვალისწინებენ.

პ. პოსტალი სპეციალურად მსჯელობს იმ მოვლენათა შესახებ, რომელთაც უნდა დავემყაროთ მარკირების პირობების დადგენისას (153, 169-172). ამ თვალსაზრისით იგი ორიგინალურს ბევრს არაფერს იძლევა. მისი ჩამოთვლა გამოირჩევა სისტემატა და მრავალმხრივობით, მაგრამ არ არის მოცემული ჩამოთვლილ მოვლენათა ურთიერთმიმართების გარკვევის ცდა.

პ. პოსტალი ითვალისწინებს ფონოლოგიურ ერთეულთა სინქრონიულ ფუნქციონირებას (ყოველგვარი სახის ნეიტრალიზაციას, სინქრონულ მიმართებებს); დიაქრონიულ ცვლილებებს და დიალექტურ ვარიაციებს; უნივერსალურ წესებს, რომლებიც ფონოლოგიურ ელემენტთა მსოფლიოს ენებში გავრცელების ხარისხს ასახავენ: ფონოლოგიურ ერთეულთა ფიზიოლოგიური, აკუსტიკური, პერსონალური შესწავლის შედეგებს (აქ იგი ითვალისწინებს მოვლენათა ორ წყებას: 1. განსხვავებულ არტიკულაციათა ერთმანეთთან დაკავ-

შირებს სიადვილე-სიძინელეს, გარკვეულ შემთხვევებში ამ კავშირის ავტომატურ ხასიათს და 2. „მეორეულ, დამატებით“ არტუკულაციათა მარკირებულ ბუნებას, ე. ი. იმას, რასაც ნ. ტრუბეცკოი სამეტყველო ორგანოთა ნეიტრალური მდგომარეობიდან მეტ-ნაკლებ გადახრას უწოდებდა; ენობრივი პათოლოგიისა და ბავშვის მეტყველების შესწავლის შედეგებს.

ნ. ხომსკისა და მ. ჰალეს ყურადღება გამახვილებული აქვთ მარკირების მიმართების დიაქრონიული ფუნქციონირების ერთ საინტერესო ასპექტზე. მათ შენიშნეს, რომ გარკვეულ შემთხვევებში მარკირების პირობები ენობრივი ცვალებადობის მამოძრავებელი ძალის ამხსნელად შეიძლება გამოდგეს. ნ. ხომსკი და მ. ჰალე მათ მიერ შენიშნულ მოვლენას „წესთა დაკავშირებას“ (rule linking) უწოდებენ და თვლიან, რომ ამ ცნებამ შესაძლებელია დიდი სამსახური გაგვიწიოს „წესის შესაძლებლობის“ (rule plausibility) ცნების განსაზღვრაში (82, 420).

ამ მოვლენის არსი შემდეგში მდგომარეობს: მარკირების პირობები დიფერენციალურ ნიშანთა ურთიერთკომბინირების შეზღუდვებს ასახვენ, მიგვითითებენ დიფერენციალურ ნიშანთა როლები შეერთებები წარმოადგენენ ოპტიმალურ კომბინაციებს.

ასეთ წესებში ერთი კომპონენტის ცვლილებაც კი ავტომატურად იწვევს სხვა გარკვეული წესების ამოქმედების აუცილებლობას, რადგან ახალი კომპონენტი არამარკირებულ ხასიათს უკვე სხვა ნიშნებთან კომბინაციაში იძენს. ამ გზით ვიღებთ ავტომატურად ურთიერთდაკავშირებულ წესთა ჯაჭვს, რომელთაგან პირველის ამოქმედება ვარაუდობს სხვა გარკვეულ წესთა ამოქმედებას. ამდენად, თითქოს შესაძლებელი ხდება გარკვეულ ცვლილებათა წინასწარმეტყველება და უკვე მომხდარი ცვლილებების შემთხვევაში ცვლილებათა თანმიმდევრული ნაბიჯების საკმაო დამაჯერებლობით აღდგენა. საილუსტრაციოდ ნ. ხომსკი და მ. ჰალე განიხილავენ სლავურ პალატალიზაციათა წყებას და ვარაუდობენ, რომ ამ გზით შესაძლებელი უნდა იყოს ბევრ სხვა ბგერით ცვლილებათა აღწერაც.

ნ. ხომსკი და მ. ჰალე მარკირების მიმართების თვალსაზრისით განიხილავენ ფონოტაქტიკის ისეთ ძირითად ცნებებს, როგორიცაა განაწილების „შემთხვევითი ხარვეზი“. ისინი არადამაკმაყოფილებლად მიიჩნევენ პოტენციალურ ლექსიკურ ერთეულთა გავრცელებულ დაყოფას სამ კატეგორიად: არსებული, შემთხვევითი, დაუშვებელი. მათი აზრით, ლექსიკონში არარსებული ერთეულები დიდად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან „დასაშვებობის ხარისხით“.

ავტორები გვთავაზობენ ამ „დასაშვებობის ხარისხის“ ზომის ფორმალური განსაზღვრის ხერხს, რომლის არსიც შემდეგში მდგომარეობს: დასაშვებობის ხარისხი უკუპროპორციულია წესის სირთულისა, რომელიც საჭიროა მოცემული ენის ლექსიკონში მისი შეტანისათვის (89, 417).

შესაძლებელია დავასკვნათ, რომ მარკირების მიმართებას გაგება წარმომშობ გრამატიკაში ემყარება ფონოლოგიური თეორიის განვითარების რ. იაკობსონისეულ ეტაპს. აქაც, ისევე როგორც რ. იაკობსონთან, მარკირების მიმართება დიფერენციალურ ნიშანთა მიმართებად წარმოგვიდგება, აქაც მოხსნილია დაპირობებება წარმოების ადგილისა და რაგვარობის თვალსაზრისით შექმნილ ოპოზიციათა შორის და მარკირების მიმართება ვრცელდება წარმოების ადგილის ამსახველ ნიშნებზე (ნ. ხომსკისა და მ. ჰალესთან ეს ნიშნებია: კორონალური, ანტერიორული). კონტექსტის ცნება აქაც ფართოდ არის გაგებული: იგი მოიცავს როგორც ერთჟამიერ კომპონენტებს, ისე მიმდევრობის ხაზოვან კომპონენტებს.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს წარმომშობი გრამატიკის წარმომადგენელთა მიერ მარკირების მიმართების აბსოლუტურობის მოთხოვნის უარყოფას, ამ მიმართების გაპირობებული ხასიათის — ე. ი. კონტექსტით განსაზღვრულობის აღიარებას. ამ გზით მარკირების მიმართების ცნება უფრო მოქნილი ხდება, ხოლო მისი გამოყენება — უფრო პერსპექტიული.

მარკირების მიმართების გაგება წარმომშობი გრამატიკის ფარგლებში წარმოადგენს არა იმდენად მოცემული ფაქტების ამხსნელ დასრულებულ თეორიას, რამდენადაც ფონოლოგიურ და ფონეტიკურ მოვლენათა ურთიერთმიმართების ემპირიული კვლევისათვის მიმართულებისა და ბიძგის მიმცემ ჰაპოთეზათა ერთობლიობას.

3. მარკირების მიმართება პრადის სპოლიდან წარმოშობა გრამატიკამდე

როგორც ვნახეთ, არსებობის თითქმის 40 წლის მანძილზე (ნ. ტრუბეცკოვისა და რ. იაკობსონის პრადული პერიოდის ნაშრომებიდან დღემდე) მარკირების მიმართების ცნებამ საკმაო ცვლილებები განიცადა. უცვლელი დარჩა მხოლოდ მისი არსი: მარკირების მიმართება ოპოზიციურ ერთეულთა იერარქიულ მიმართებას წარმოადგენს, რაც უფლებას გვაძლევს საკმაოდ დაშორებული ინტერპრეტაციები ერთი ტერმინის ქვეშ გავაერთიანოთ და ერთი და იმავე ცნების განვითარების სხვადასხვა ეტაპებად მივიჩნიოთ.

3. 1. მარკირების მიმართების ფუნქციონალური კრიტიკიუმის გაფართოება

თითქმის ყველა ცვლილება, რომელიც ნ. ტრუბეცკოს შემდეგ მარკირების მიმართების გაგებამ ვანიცადა, ამ მიმართების ფუნქციონალური ასპექტის გაფართოებას იწვევდა. ასე რომ, თანდათანობით იხსნება დაბრკოლებები, რომლებიც ელობებოდა მარკირების მიმართების სხვადასხვა ასპექტების ურთიერთდამოკიდებულების კვლევას, თვით ეს მიმართება კი იღებს სულ უფრო ფართო და ძლიერი პრინციპის სახეს, რომელიც ფონოლოგიური დონის ელემენტთა ფუნქციონირების საფუძველს წარმოადგენს.

მარკირების მიმართების მოქმედების სფეროს გაფართოება მდგომარეობს როგორც მარკირების მიმართებად მიჩნეულ დაპირისპირებათა, ისე ამ მიმართების გამოსავლენ ფუნქციონალურ მოვლენათა რიცხვის გაზრდაში. ეს ორი მოვლენა ურთიერთშეპირობებულია, ამიტომ მათი გათიშვა მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ მარკირების მიმართების გაგებაში მომხდარ ცვლილებათა უშუალო მიზანს, როგორც წესი, არ წარმოადგენდა ამ მიმართების მოქმედების სფეროს გაფართოება. ჩვეულებრივ, ეს მოვლენა სხვა ცვლილებათა მეორეულ შედეგად წარმოგვიდგება.

მიზეზები, რომლებმაც გამოიწვიეს მარკირების მიმართების მოქმედების სფეროს გაფართოება, შესაძლებელია ორ ჯგუფად გაიყოს: I. ფონოლოგიურ თეორიაში მომხდარი ცვლილებები, რომლებიც საკუთრივ მარკირების მიმართების ცნებთს განვითარებასთან არაა დაკავშირებული და II. საკუთრივ მარკირების მიმართების გაგებაში მომხდარი ცვლილებები.

პირველი რიგის ცვლილებებად შესაძლებელია მივიჩნიოთ:

1. ოპოზიციური ღირებულების გადატანა ფონემიდან დიფერენციალურ ნიშანზე, ფონოლოგიური ანალიზის უმცირეს ერთეულად დიფერენციალურ ნიშანთა მიჩნევა.

2. დიფერენციალურ ნიშანთა დაპირისპირების უნიფიცირებული განხილვა. ყველა სახის დაპირისპირებათა ბინარული აღწერა.

ოპოზიციურ ერთეულად დიფერენციალური ნიშნის გამოცხადების შედეგად მარკირების მიმართება განისაზღვრება არა როგორც ფონემათა, არამედ როგორც დიფერენციალურ ნიშანთა მიმართება. ძირითად საანალიზო ერთეულებად დიფერენციალურ ნიშანთა მიჩნევა გულისხმობს ფონოლოგიურ სეგმენტთა რთული შინაგანი

სტრუქტურის აღიარებას, კონტექსტის ცნების გაფართოებას: ფონემათა მიმდევრობიდან ერთჯამიერ კომპონენტებზე მის გავრცელებას. ამდენად, მარკირების მიმართების ფუნქციონირების სფეროდ ფონემის სტრუქტურაც მიიჩნევა.

მართლაც, მარკირების მიმართების ერთჯამიერ კომპონენტებზე გავრცელება სრულიად გამართლებული აღმოჩნდა. ენობრივ მასალაზე დაკვირვება ადასტურებს, რომ დიფერენციალურ ნიშნებს სხვა დიფერენციალურ ნიშნებთან შეერთების განსხვავებული უნარი აქვთ. ამდენად, რთული სტრუქტურების — ფონემების წარმოქმნისათვის სხვადასხვა დიფერენციალურ ნიშანთა გამოყენების ხარისხი სხვადასხვაგვარია. ეს კი ნიშნავს, რომ ერთჯამიერი შეერთებაც დიფერენციალურ ნიშანთა განსხვავებულ ფუნქციონალურ ძალას ავლენს.

დიფერენციალურ ნიშანთა ერთჯამიერ კონებად შეერთების განსხვავებული უნარი შესაძლებელია აისახოს ორი რიგის მოვლენებში: 1. მარკირებული კატეგორიის არსებობა ენაში გულისხმობს არამარკირებული კატეგორიის არსებობას. ასე მაგალითად, ნაზალურ თანხმოვანთა არსებობა აუცილებლად გულისხმობს ორალურ თანხმოვანთა არსებობას, მაგრამ არა პირიქით. 2 მარკირებულ კატეგორიის განსხვავებულ ფონემათა რიცხვი არასდროს არ არის მეტი არამარკირებული კატეგორიის განსხვავებულ ფონემათა რიცხვზე (101, 513). ე. ი. მაშინ, როდესაც ენაში ორივე დიფერენციალური ნიშანი არსებობს, ჩვეულებრივ მათ ბევრათა დიფერენცირებული კლასების შექმნის განსხვავებული უნარი აქვთ. მაგალითად, ორალურ თანხმოვანთა რიცხვი ყოველთვის სჭარბობს ნაზალურ თანხმოვანთა რიცხვს — ე. ი. ორალურ თანხმოვნებს დაპირისპირებათა უფრო დიდი რიცხვის შექმნის უნარი აქვთ, ვიდრე ნაზალურ თანხმოვნებს. ამრიგად, პარადიგმატული სისტემის ხარვეზები (ცარიელი უჯრები) ასახავს დიფერენციალურ ნიშანთა ერთჯამიერ კომპლექსად შეერთების განსხვავებულ უნარს და მარკირების მიმართების გამოვლენის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს.

პარადიგმატული სისტემის ცარიელ უჯრათა კვლევის დაკავშირება მარკირების მიმართებასთან აუცილებლად გულისხმობს ერთი ენის ფარგლებიდან გასვლას, რამდენადაც ამ თვალსაზრისით კანონზომიერების გამოვლენა მხოლოდ ფართო ტიპოლოგიურ ძიებას შეიძლება მოჰყვეს შედეგად.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ თუმცა რ. იაკობსონმა ამ რიგის ფაქტები ჯერ კიდევ 1941 წელს შეისწავლა (იხ. მისი „ბავშვის ენა“),

მაგრამ მარკირების მიმართებასთან ისინი გაცილებით უფრო გვიან დააკვენირა. როგორც ჩანს, ამ პერიოდში მას ჯერ კიდევ არ ჰქონდა გათვალისწინებული ის ცვლილებები, რომლებსაც მარკირების მიმართების გაგებაში გამოიწვევდა საანალიზო ერთეულად დიფერენციალური ნიშნის მიჩნევა და კონტექსტის ცნების ერთჯამიერ კომპონენტებზე გავრცელება.

როგორც აღვნიშნეთ, მარკირების მიმართების მოქმედების სფეროს გაფართოების მეორე პირობას ფონოლოგიურ დაპირისპირებათა ერთგვაროვანი განხილვის ტენდენცია წარმოადგენს.

დღეს მარკირების მიმართებით დაინტერესებულ მკვლევართა უმრავლესობა იზიარებს ფონოლოგიურ დაპირისპირებათა აღწერის მეთოდს. რომელიც რ. იაკობსონმა შემოგვთავაზა 40-იან წლებში: ყოველგვარ დაპირისპირებას შესაძლებელია მიეცეს ბინარული კვალიფიკაცია, და ამდენად, მოხსნილია სხვაობა წარმოების ადგილისა და რაგვარობის თვალსაზრისით შექმნილ ოპოზიციებს შორის.

ამჟამად ჩვენ არ გვაინტერესებს ფონოლოგიურ დაპირისპირებათა უნიფიცირებული განხილვის ყველა მხარე. ამ საკითხს მხოლოდ მარკირების მიმართების თვალსაზრისით განვიხილავთ. მარკირების მიმართების გავრცელება ლოკალურ რიგებზე კი გამართლებული ჩანს, რადგანაც განსხვავებული რიგები აშკარა ფუნქციონალურ უთანაბრობას ავლენენ. სანიმუშოდ შესაძლებელია დავასახელოთ დენტალური არტიკულაციის აშკარა უპირატესობა ლაბიალურ და ველარულ არტიკულაციებთან შედარებით: დენტალური რიგის ფონემათა სიხშირე, როგორც წესი, სკარბობს სხვა რიგების ფონემათა სიხშირეს (141). ამასთან, ამ რიგის ფონემათა რიცხვი არასდროს არ არის ნაკლები სხვა რიგების ფონემათა რიცხვზე. შესაძლებელია, ლოკალური რიგების დაპირისპირებებმა მარკირების მიმართების თვალსაზრისით გარკვეული თავისებურებები გამოამჟღავნონ, მაგრამ არა გვეგონია ეს თავისებურებანი იმ სახისა იყოს, რომ ამ რიგის ფაქტები იერარქიული მიმართებების სფეროდან გამოგვარიცხვიანოს.

მარკირების მიმართების გაგების ყველაზე არსებით ცვლილებად, ამასთან ისეთ ცვლილებად, რომელიც საკუთრივ ამ ცნებას ეხება და არ წარმოადგენს მეორეულ ცვლილებას სხვა უფრო არსებით ცვლილებებთან შედარებით, უნდა მივიჩნიოთ ამ მიმართების გაპირობებული ხასიათის გამოვლენა და აღიარება.

როგორც ზემოთ ვნახეთ, ნ. ტრუბეცკოის შენიშნული ჰქონდა მარკირების მიმართების გაპირობებული ხასიათის ამსახველი გარ-

კვეული ფაქტები, მაგრამ მან ამ რიგის მოვლენები არა თუ კვლევას საგნად არ გაიხადა, არამედ ხელოვნური წესების საშუალებით შეეცადა მათ გამოროცხვას მარკირების მიმართების განხილვის სფეროდან.

თანამედროვე მკვლევრებმა მარკირების მიმართების აღორძინება სწორედ მისი გაპირობებული ხასიათის აღიარებით დაიწყეს (ჯ. გრინბერგი, ნ. ხომსკი, მ. პალე, პ. პოსტალი). ნ. ხომსკი და მ. პალე აღრეული პრალული პერიოდის შემდგომ ენათმეცნიერთა უყურადღებობას ამ ცნების მიმართ სწორედ ამ მოვლენას — აბსოლუტურობის ჩარჩოებით მკაცრ შეზღუდვას უკავშირებენ (81, 404).

ამ ცვლილების თავისთავადი მნიშვნელობა ექვს არ უნდა იწვევდეს. ამჟამად გვინდა იმ შედეგებს შევხვით, რომლებიც მან მარკირების მიმართების მოქმედების სფეროს გაფართოების თვალსაზრისით გამოიწვია. მას შედეგად მოჰყვა ორი არსებითი ცვლილება:

1. ნ. ტრუმბეცკოი კონტექსტუალურ ნეიტრალიზაციას ძირითადად მარკირების მიმართების აბსოლუტური ხასიათის შენარჩუნების მიზნით გამოროცხავდა ამ მიმართების განხილვის სფეროდან. მარკირების მიმართების გაპირობებული ხასიათის დაშვების შემდეგ ასეთი შეზღუდვის საჭიროება იხსნება. მარკირების მიმართების მოქმედების სფეროდ მიიჩნევა ხაზოვანი კონტექსტის ყველა სახეობა, მთელი დისტრიბუციული მოდელი.

2. შესაძლებელი ხდება მარკირების მიმართების ცნების განსაზღვრაში ოპოზიციურ ერთეულთა სიხშირულ მიმართებათა გათვალისწინებაც. როგორც ცნობილია, ემპირიულ კავშირს მის მიერ შემუშავებულ ცნებასა და სიხშირულ მონაცემებს შორის ნ. ტრუმბეცკოიც ხედავდა, მაგრამ მის თეორიაში მარკირების მიმართებას ისეთი მკაცრი და ხელოვნური შეზღუდვები ედებოდა, რომ სიხშირულ მიმართებათა უნივერსალურ მოვლენასთან ასეთი შეზღუდული ცნების დაკავშირება შეუძლებელი იყო.

მარკირების მიმართების ამსახველ ერთ-ერთ ფუნქციონალურ კრიტერიუმად სიხშირულ მიმართებათა მიჩნევა ნიშნავს ფონოლოგიურ ერთეულთა ფუნქციონირების აბსოლუტურ შეზღუდვათა (კომბინირების აკრძალვათა) გარდა შეფარდებით შეზღუდვათა გათვალისწინებას. რამდენადაც ენობრივ კანონზომიერებათა გამოვლენა შეფარდებითი წესების სახით გაცილებით უფრო გავრცელებულია, ვიდრე მათი გამოვლენა აბსოლუტური წესების სახით, სიხშირულ მიმართებათა გათვალისწინების გზით მარკირების მიმართება უნივერსალურ მოვლენად იქცევა: ი გ ი ა რ ს ე ბ ბ ს

ყველა ენაში და ვლინდება ყოველ ფონოლოგიურ დაპირისპირებაში.

ამ თვალსაზრისით სიხშირულ მიმართებათა კრიტერიუმი შესაძლებელია შევუდაროთ ცარიელ უჭრათა კრიტერიუმს. ორივეს სხვადასხვა მხრიდან უნივერსალურ მოვლენათა კვლევისაკენ მივყავართ. საინტერესოა, რომ ჯ. გრინბერგი, რომელსაც მარკირების მიზანბრუნება უნივერსალურ მოვლენათა თვალსაზრისით აინტერესებს, პირველად სწორედ ამ ორ მოვლენაზე ამახვილებდა ყურადღებას (101).

სახვასშით უნდა აღვნიშნოთ, რომ მარკირების მიმართების მოქმედებებს სფეროს გაფართოება ამ ორი თვალსაზრისით (მთელი დისტრიბუციული მოდელისა და აბსოლუტურის გარდა შეფარდებით შეზღუდვათა გათვალისწინება) და განსაკუთრებით ფონემის ფარგლებში ერთეამიერი კონტექსტის სრული გათვალისწინება მხოლოდ მარკირების მიმართების გაპირობებულ ხასიათის დაშვების შემთხვევაში არის შესაძლებელი. წინააღმდეგ შემთხვევაში ემპირიული მონაცემები ყოველ ნაბიჯზე წინააღმდეგობაში აღმოჩნდება თეორიულ დაშვებებთან.

ასე რომ, მარკირების მიმართების ფუნქციონალური ასპექტის გაფართოება და ამ მიმართების გაპირობებული ხასიათის დაშვება ერთმანეთს გულსაჩხობს, რამდენადაც პირველი აუცილებლობით მოითხოვს მეორეს, მეორე კი შესაძლებელს ხდის პირველს. ამიტომ გამართლებული ჩანს მტკიცება, რომ რ. იაკობსონმა ნიადაგი პოუპზადა მარკირების მიმართების გაპირობებული ხასიათის დაშვებას, რამდენადაც მან მარკირების მიმართების განსაზღვრის სფეროში შემოიტანა ისეთი ფუნქციონალური მოვლენები, როგორცაა ოპოზიციის წევრთა სიხშირული მიმართებები და დიფერენციალურ ნიშანთა ურთიერთკომბინირება ფონემის სტრუქტურაში.

ამრიგად, მარკირების მიმართების ფუნქციონალური ასპექტი ანეთ სახეს იღებს:

რამდენადაც გათვალისწინებულია დიფერენციალურ ნიშანთა ფუნქციონირება ორი რაგის კონტექსტში: ა) ხაზოვან და ბ) ერთეამიერ კონტექსტში და გათვალისწინებულია ფუნქციონირების როგორც აბსოლუტური, ისე შეფარდებითი შეზღუდვები, ვიღებთ სამ ძირითად სადიაგნოსტიკო ნიშანს, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელია ოპოზიციურ ერთეულთა ფუნქციონალური უთანაბრობის, ან მარკირებული-არამარკირებული ხასიათის გამოვლენა. ეს ნიშნებია:

1. ხარვეზები პარადიგმატულ სისტემაში (ხარვეზები გვექნება ოპოზიციის მარკირებულ წევრის ადგილას).

2. დისტრიბუციული აკრძალვები (შეზღუდვები სხვა ფონემურ ერთეულებთან შეერთების თვალსაზრისით ეხება ოპოზიციის მარკირებულ წევრს, არამარკირებული წევრი კი მათგან თავისუფალი იქნება).

3. ოპოზიციურ ერთეულთა სინშირული ურთიერთმიმართებანი (ოპოზიციის არამარკირებული წევრის სინშირე მეტია მარკირებულ წევრის სინშირეზე).

როგორც წესი, სამივე ამ კრიტერიუმის ჩვენება ერთი მიმართულებასა და ოპოზიციის წევრების ფუნქციონალური იერარქიის თვალსაზრისით შეფასების საშუალებას იძლევა.

3. 2. მარკირების მიმართების სხვადასხვა ასპექტების ურთიერთდამოკიდებულება

მარკირების მიმართება წარმოიშვა როგორც ფონოლოგიური დონის ერთეულთა არათანაბარი ფუნქციონალური უნარის ამსახველი ცნება. პრადის სკოლის წარმომადგენლებმა ნეიტრალიზაციის მოვლენის შესწავლის პროცესში მიაქციეს ყურადღება ოპოზიციურ ერთეულთა განსხვავებულ ქცევას. რამდენადაც მათი თეორია ფუნქციონალურ თეორიას წარმოადგენდა, ამ განსხვავებულმა ქცევამ განსხვავებული შეფასება მიიღო, განსხვავებულ ღირებულებას დაუკავშირდა. ამრიგად, მარკირების მიმართების ცნება ფონოლოგიურ თეორიაში ფუნქციონალური იერარქიის ასახვის მიზნით იქნა შემოტანილი.

მარკირების მიმართების ფუნქციონალური ასპექტი შემდგომშიც ყველა მკვლევარს მიერ წინ იყო წამოწეული. მაგრამ თითქმის ყველა მკვლევარი ამჩნევს მარკირების მიმართების განხილვის სხვა შესაძლებელ მხარეებსაც: ფიზიოლოგიურ-აკუსტიკურ, ფსიქოლოგიურ, ლოგიკურ მხარეებს. მარკირების მიმართების ფუნქციონალური ასპექტი ყველა მკვლევართან ძირითადად არის მიჩნეული, მაგრამ დამოკიდებულება დანარჩენ ასპექტთა მიმართ განსხვავებულია.

როგორც ვნახეთ, ნ. ტრუბეცკოის ფონოლოგიური თეორიიდან ფსიქოლოგიზმის თანმიმდევრული გაძევების შემდეგ საკმაოდ შეზღუდული ფუნქციონალური ძალის მქონე ცნება შერჩა ხელთ. ასეთ პირობებში შეუძლებელი იყო შესაბამისობის დამყარება მარკირების მიმართების ფუნქციონალურ, ფონეტიკურ და ფსიქოლოგიურ

მხარეებს შორის. ის, რომ მარკირების მიმართება, განსაზღვრული ნ. ტრუბეცკოის მიერ, არა მარტო ვერ ფარავდა ფონეტიკურ და ფსიქოლოგიურ მოვლენებს, არამედ შესაძლებელი იყო წინააღმდეგობაშიც აღმოჩენილიყო მათთან, ჩვენი აზრით, მის მიერ შემოთავაზებული ცნების არაადეკვატურობას მოწმობს. მარკირების მიმართების სხვადასხვა ასპექტები: ფუნქციონალური, ფონეტიკური, ფსიქოლოგიური — ერთი მოვლენის სხვადასხვა მხარეებს წარმოადგენდნენ და მათ შორის შესაბამისობა უნდა არსებობდეს. მარკირების მიმართების ფუნქციონალური ასპექტის გაფართოების შემდეგ ჩნდება ასეთი შესაბამისობის დამყარების შესაძლებლობა.

3. 3. თბოზიციურ ერთეულთა იერარქიული მიმართების აღმნიშვნელი ტერმინისათვის. რელევანტობის ცნება და მარკირების მიმართება

როგორც ზემოთ აღინიშნა, მარკირების მიმართება შესაძლებელია სხვადასხვა თვალსაზრისით იქნეს განხილული. სხვადასხვა თვალსაზრისით განხილვისას ამ მიმართების განსხვავებული მხარეები იწვევს წინ, ასე რომ, ტერმინის შერჩევისას ერთ ასპექტზე ორიენტაციამ შესაძლებელია ერთი სახელწოდება აგვარჩევიდეს, მეორეზე ორიენტაციამ კი — სხვა.

მარკირების მიმართების რომელ მხარეს უნდა დავემყაროთ ამ მიმართების სახელდებისას: ფუნქციონალურს, ფონეტიკურს, ფსიქოლოგიურს თუ ლოგიკურს? ვფიქრობთ, ფუნქციონალურ ასპექტზე დამყარება აჯობებდა, რადგანაც: 1. ეს ასპექტი ყველაზე მნიშვნელოვანია ლინგვისტური თვალსაზრისით და 2. იგი ყველაზე დამუშავებულია მარკირების მიმართების სხვადასხვა მხარეებს შორის.

თბოზიციის წევრთა იერარქიული ურთიერთმიმართების აღმნიშვნელი გავრცელებული ტერმინები: „თბოზიციის მარკირებულ — არამარკირებულ წევრი“ ემყარება ფუნქციონალური მიმართების ლოგიკურ-ფსიქოლოგიურ ინტერპრეტაციას. ამ რიგის ინტერპრეტაციებს ჩვენ ზემოთ გავეცანით. ორი ელემენტის დაპირისპირება გააზრებულია როგორც ნიშნისა და უნიშნობის დაპირისპირება, როგორც A-სა და არა A-ს დაპირისპირება (ან, რ. იაკობსონის მიერ აღრე წარმოდგენილი გააზრებით, A-სა და A-ს არასიგნალიზაციის დაპირისპირება). ამრიგად, თბოზიციის ერთი წევრი წარმოგვიდგება როგორც მარკირებული (ნიშნისანი), მეორე კი როგორც არამარკირებული (უნიშნო).

რამდენადაც თანამედროვე ფონოლოგიურ თეორიებში ოპოზიციურ ერთეულებს დიფერენციალური ნიშნები წარმოადგენენ და არა ფონემები, საჭირო ზღედა დაპირისპირების მარკირებული და არამარკირებული წევრების დიფერენციალური ნიშნების მიმართ განსაზღვრა. ასეთი განსაზღვრის ჩამოყალიბება შესაძლებელია: მარკირებულია დაპირისპირების ის წევრი, რომელიც აღინიშნება ფონემის სტრუქტურაში, არამარკირებულია დაპირისპირების ის წევრი, რომელიც არ აღინიშნება ფონემის სტრუქტურაში. ამრიგად, დაპირისპირების ცნების ფონემათაგან დიფერენციალურ ნიშნებზე გადატანა არ წარმოადგენს დაბრკოლებას იმისათვის, რომ დაპირისპირებულ ერთეულთა იერარქიული მიმართება განხილულ იქნეს როგორც მარკირების მიმართება და დაპირისპირებულ ერთეულებს ეწოდოს ოპოზიციის მარკირებული-არამარკირებული წევრები.

საინტერესოა ლოგიკურ-ფსიქოლოგიური ინტერპრეტაცია. რომელსაც დღეს გვთავაზობენ მკვლევარები ინფორმაციის თეორიაზე დამყარებით: ოპოზიციის წევრი, რომელიც მაღალი სიხშირით ხასიათდება და, ამდენად, მცირე ინფორმაციის მატარებელია, აღაქმება როგორც ფონი საპირისპირო ნაკლები სიხშირის მქონე და, ამდენად, მეტი ინფორმაციის მატარებელი წევრისათვის, რომელიც ოპოზიციის მარკირებულ, ნიშნიან წევრად მიიჩნევა. იგი ემთხვევა ნ. ტრუბეცკოისა და რ. იაკობსონის მიერ მოცემულ ინტერპრეტაციას, რომელიც ემყარება არა სიხშირულ მიმართებებს, არამედ ნეიტრალიზაციის მოვლენას. ნეიტრალიზაციის პოზიციაში გამოვლენილი წევრი იდენტიფიცირდება გვარეობით, ზოგად ცნებასთან, და ამიტომ დაპირისპირების უნიშნო წევრად მიიჩნევა, საპირისპირო წევრი კი, რომელიც ხმარებათა უფრო ვიწრო სფეროთი ხასიათდება, მიიჩნევა მარკირებულად, ნიშნიანად, ე. ი. იგი, როგორც უფრო კონკრეტული ცნება, ნიშანთა მეტი რიცხვით განისაზღვრება.

იდენტური შედეგების მიღება, მიუხედავად ფუნქციონალური კრიტერიუმების სხვაობისა (ერთში ასეთი კრიტერიუმი ნეიტრალიზაცია, მეორეში კი სიხშირული უთანაბრობა) ორ განსხვავებულ კონცეფციაში შეპირობებულია იმით, რომ ორივესთვის განმსაზღვრელია ფუნქციონალურ უთანაბრობათა ინტერპრეტაცია სიპარბისა და რელევანტობის ცნებებზე დამყარებით. ორივეში მაღალი ფუნქციონალური დატვირთვის მქონე ოპოზიციის წევრის სპეციფიკური ნიშნები უგულებელყოფა — ერთ შემთხვევაში იგი გვა-

რეობით ცნებასთან — არქიფონემასთან იდენტიფიცირდება, მეორე შემთხვევაში კი ფასდება როგორც ფონი მეორე სპეციფიკური ელემენტისათვის. ასიმეტრიული დაპირისპირების „მარკირების მიმართებად“ გააზრებისათვის განმსაზღვრელია ფონოლოგიური თეორიის დაფუძნება ისეთ ცნებებზე, როგორცაა სიქარბისა და რელევანტობის ცნებები და არა ის, ფონემების მიმართ განისაზღვრება ეს მიმართება თუ დიფერენციალური ნიშნების მიმართ. იმ რიგის ფონოლოგიურ თეორიებში, რომელთა ერთ-ერთ ძირითად პრინციპს წარმოადგენს რელევანტობის ცნება, ყოველთვის იქნება შესაძლებელი დაპირისპირებულ ერთეულთა იერარქიული მიმართება ინტერპრეტირებულ იქნეს, როგორც მარკირების მიმართება. ასეთ ფონოლოგიურ თეორიებს წარმოადგენენ როგორც ნ. ტრუბეცკოვის ფონოლოგიური თეორია, ასევე რ. იაკობსონისა და მ. ჰალეს დისტინქციურ ნიშანთა თეორია და ნ. ხომსკისა და მ. ჰალეს წარმომშობი გრამატიკის ფონოლოგიური თეორია. უნდა აღინიშნოს, რომ ფუნქციონალურ უთანაბრობაზე დამყარებით რელევანტური ნიშნების გამოყოფას დაბრკოლებას უქმნის მარკირების მიმართების გაპირობებული ხასიათის დაშვება. ამიტომ, რომ ნ. ხომსკისა და მ. ჰალეს ფონოლოგიურ თეორიაში ორგვარი აღნიშვნა არის გამოყენებული: + და —, გარკვეულ ფონემურ სეგმენტში ჩამოთვლილ ნიშანთა არსებობა-არარსებობის აღსანიშნავად და III და II ამ + და — ღირებულებათა ფუნქციონალური შეფასებისათვის. ამრიგად, წყდება კავშირი ფუნქციონალურ უთანაბრობასა და ნიშნის აღნიშვნას, ე. ი. მარკირებას შორის, ტერმინები მარკირებული-არამარკირებული სრულიად წყვეტენ კავშირს თავიანთი სახელდების პრინციპთან, რელევანტობის ცნება კი, ფუნქციონალურ საფუძველს მოკლებული, კონვენციონალურ ცნებად იქცევა. გამოსავალს წარმომშობი გრამატიკის ფონოლოგიური თეორიისათვის უნდა წარმოადგენდეს ან რელევანტობის ცნების უარყოფა და თეორიის სხვა საფუძველზე აგება, ან რელევანტობის ცნების ისეთი ფუნქციონალური საფუძველის გამონახვა, რომელიც გაპირობებულობის დაშვებასთან წინააღმდეგობაში არ იქნება.

ჩვენი ნაშრომის მეორე ნაწილში შევეცდებით ემპირიულ მასალაზე ვაჩვენოთ, რომ რელევანტობის ცნებაზე დამყარებული ფონოლოგიური თეორია არ გამოდგება საფუძველად ენის ფუნქციონირებისა და ცვალებადობის ახსნისათვის. ენის ფუნქციონირებისა და ცვალებადობის ახსნის უნარი კი წარმოადგენს ძირითად მოთხოვ-

ნას, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს ლინგვისტური თეორია საერთოდ და ენის ფონოლოგიური დონისათვის — ფონოლოგიური თეორია (იხ. მაგ. 87). არარელევანტურად მიჩნეული ფიზიკური მახასიათებლების ფონოლოგიური აღწერის გარეშე დატოვება იწვევს იმას, რომ ფუნქციონალური და დიაქრონიული მოვლენების ახსნისათვის საკმაო საფუძვლის ძიება საჭირო ხდება ფონოლოგიური აღწერის გარეშე. უპირატესობა უნდა მიენიჭოს ისეთ ფონოლოგიურ თეორიას, რომელიც უზრუნველყოფს ფუნქციონალურ და დიაქრონიულ მოვლენათა განმსაზღვრელი ფაქტორების გათვალისწინებას ფონოლოგიური აღწერის ფარგლებში. მაგრამ ფონოლოგიურ თეორიაში გათვალისწინებული უნდა იქნეს ის ფაქტიც, რომ ბგერათა მრავალრიცხოვან ფიზიკურ მახასიათებელთაგან თითოეულს ცალ-ცალკე, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ყოველთვის არა აქვს სიტყვათაგანმასხვავებელი ღირებულება. ამ ორი მოთხოვნა (ფუნქციონირების ამომწურავი ახსნისა და სიტყვათაგანმასხვავებელი ღირებულების გათვალისწინების) დაკმაყოფილება შესაძლებელი გახდება, თუ დისტინქციური ღირებულება ახსნისა და ერთი სისტემის ფარგლებში ერთმანეთთან ავტომატურად დაკავშირებულ ფიზიკურ მახასიათებელთა კომპლექსებს — ე. ი. დისტინქციური ნიშნებს წარმოვადგენთ არაროგორც მარტივ, დაუშლელ ელემენტებს, არამედ როგორც რთული სტრუქტურის მქონე ერთეულებს, რომლებიც სიტყვათაგანმასხვავებელ ფუნქციას ერთიანი სტრუქტურების სახით ასრულებენ. დისტინქციური ნიშნების ამგვარი წარმოდგენის შემთხვევაში იზრდება ფონოლოგიური თეორიის ამხსნელი ძალა: იქმნება პირობა ფონოლოგიური დონის ფუნქციონალური მიმართებებისა და ცვალებადობის მექანიზმის ახსნისა ფონოლოგიურ აღწერაზე დამყარებით, არალინგვისტური დონისადმი მიმართვის გარეშე, და, ამავდროს, გათვალისწინებულია ფონოლოგიურ ერთეულთა ფუნქცია სიტყვათაგანმასხვავებელი ღირებულების თვალაზრისით: დისტინქციური ნიშნები სიტყვათაგანმასხვავებელი ღირებულების მქონე უმცირესი ერთეულებია, მისი შემადგენელი კომპონენტები კი ასეთ ღირებულებას ცალ-ცალკე მოკლებული არიან.

ამრიგად, ჩვენ ვასხვავებთ ნიშნებს — დისტინქციური ღირებულების მქონე უმცირეს არახაზოვან, მაგრამ რთული სტრუქტურას მქონე ერთეულებს და ნიშნების კომპონენტებს — ფონეტიკურ

თვისებებს, რომელთაც ცალ-ცალკე დისტინქციური ღირებულება არა აქვთ, მოცემული სისტემის ფარგლებში ერთმანეთთან ავტომატურ კავშირში იწყობებიან, შედიან ნიშნის სტრუქტურაში და განსაზღვრავენ ნიშნის ფუნქციონირებას ჰინქრონიასა და დიქრონიასში.²²

ვფიქრობთ, რომ ერთეულთა ლინგვისტური ღირებულების გათვალისწინება აუცილებლობით არ გულისხმობს სუბსტანციონალურ მოვლენათაგან ერთი რიგის რელევანტურად მიჩნევას და მეორე რიგის ლინგვისტიკის სფეროდან განდევნას. შესაძლებელია მოვლენათა ჯგუფების გამოყოფა, რომლებიც ერთიანი კომპლექსების სახით ფუნქციონირებენ, ერთი დანიშნულება აქვთ. ამ ერთიანი კომპლექსის კომპონენტები კი განსაზღვრავენ ნაერთის ფუნქციონალურ თვისებებს. ამრიგად, იქმნება პირობა, რომ ერთიანი თეორიის ფარგლებში, ფონეტიკისა და ფონოლოგიის გამიჯვნის გარეშე, მიღწეულ იქნეს სუბსტანციალურ მოვლენათა სრული აღწერა და ამასთან გათვალისწინებული იქნეს ერთეულთა ღირებულება — ფუნქცია: განასხვავონ ერთმანეთისაგან მნიშვნელობის მქონე ენობრივი ერთეულები. ასეთი ერთიანი ფონოლოგიური თეორიის ძირითადი დანიშნულებაა: გამოვლინდეს უმცირესი დისტინქციური ერთეულების ერთმანეთთან შეკავშირების წესები (შეერთება ერთჯამიერ კონებად და სულ უფრო რთული სტრუქტურის მქონე ხაზოვან მიპლევრობებად, რომელთაც გარკვეულ ეტაპზე მნიშვნელობა უკავშირდება) და ამასთან გამოვლენილ იქნეს ამ ურთიერთშეკავშირების წესების განსაზღვრელი ფაქტორები. ვფიქრობთ, რომ ჩვენი ნაშრომის მეორე ნაწილში წარმოდგენილი ფუნქციონალური ფაქტები მოგვცემენ აქ ნათქვამის დასაბუთების საშუალებას. ამიტომ ამ საკითხების შესახებ მსჯელობას დავუბრუნდებით ემპირიული მასალის განხილვის შემდეგ.

თუ უარს ვიტყვით ფონემურ ერთეულთა ფიზიკური მახასიათებლებიდან რელევანტური ნიშნების გამოყოფაზე, მაშინ ტერმინს „მარკირების მიმართება“ ლოგიკური საფუძველი გამოეცლება. ამიტომ ამ მიმართების აღნიშვნას ჩვენ ვარჩევდით ტერმინებით. რომლებიც დაპირისპირებულ ერთეულთა ფუნქციონალურ უთანაბრობას ასახავდნენ უშუალოდ და არა ამ მიმართების ლოგიკურ-ფსიქოლოგიურ (ყოველ შემთხვევაში რელევანტობის ცნებაზე დამ-

²² ნიშნათა რთული სტრუქტურა ვლინდება აკუსტიკურ-პერსონალური კვლევის დროსაც (40).

ყარებულ ლოგიკურ-ფსიქოლოგიურ) ინტერპრეტაციაზე დამყარებით.

უარის თქმა რელევანტობის ცნებასა და ამდენად იმ ლოგიკურ გააზრებაზე, რომელიც „მარკირების მიმართების“ ცნებას და ტერმინს ედო საფუძვლად, არ ნიშნავს კავშირის გაწყვეტას ფონოლოგიური დონის ერთეულთა იერარქიული მიმართების კვლევის ტრადიციასთან, რომელსაც პრალის სკოლის წარმომადგენლებმა ჩაუყარეს საფუძველი. ცხადია, რომ კვლევა-ძიება, რომლის საგანია დაპირისპირებულ ერთეულთა ფუნქციონალური ასიმეტრია ფონოლოგიის დონეზე, იმავე საკითხის შესწავლას წარმოადგენს, რომელიც ნ. ტრუბეცკოსა და რ. იაკობსონის ნაშრომებში არის დაწყებული. დაპირისპირების წვერთა მარკირებულ-არამარკირებულ კვალიფიკაციას ჩვენ ვუფარდებთ დიფერენციალურ ნიშანთა ფუნქციონალური სიმძლავრის ხარისხს, — ე. ი. მათ შეფარდებით უნარს მიიღონ მონაწილეობა რთული სტრუქტურების აგებაში სხვადასხვა კატეგორიის ნიშნებთან ერთუამიერი და ხაზოვანი შეერთების გზით. შემდგომ, ემპირიული მასალის განხილვისას და განზოგადებათა ჩამოყალიბებისას ჩვენ ვარჩევთ ვილაპარაკოთ დაპირისპირებულ დიფერენციალურ ნიშანთა ფუნქციონალური იერარქიის შესახებ.

* * *

დაპირისპირებულ ერთეულთა იერარქიულ მიმართებათა განხილვასთან მრავალი საკითხი არის დაკავშირებული. ზემოთ წამოყენებული საკითხების გარდა (დიფერენციალურ ნიშანთა რთული სტრუქტურის საკითხი, მარკირების მიმართებისა და ფონოლოგიური დონის ერთეულთა რელევანტურობის საკითხი — ე. ი. ენის გამოხატულების დონეზე სუბსტანციისა და ფორმის ურთიერთიმართების საკითხი: ფორმა სუბსტანციურ მოვლენათა ერთ რიგს გამოყოფს და მას აწესრიგებს, თუ ფორმა მოიცავს სუბსტანციურ მოვლენათა მთლიანობას, — ფონეტიკისა და ფონოლოგიის ურთიერთმიმართების საკითხი), ამ რიგისა საკითხები:

1. მარკირების მიმართება განისაზღვრება თვისებებით, რომლებიც დიფერენციალურ ნიშნებს თავისთავად არა აქვთ და რომლებიც შეერთებაში წარმოიქმნება, თუ დიფერენციალურ ნიშნებს აქვთ გარკვეული ფუნქციონალური უნარი, რომელიც გამოვლენის

პირობებთან ურთიერთმოქმედების პროცესში განიცდის ცვლილებებს. ყ. მაკ-კოლი ასე სვამს საკითხს: რა უფრო მიზანშეწონილია, ვილაპარაკოთ ნიშანთა მარკირებაზე პირობებთან დაკავშირებით თუ ნიშანთა კომბინაციების მარკირებაზე? (142, 566).

2. ფუნქციონალურ მოვლენათა განმსაზღვრელი ფაქტორების საკითხი. ფუნქციონალურ მოვლენათა ფსიქო-ფიზიკური შეპირობებულობის საკითხი.

3. უნივერსალური და ტიპოლოგიური სისტემების ურთიერთმიმართების საკითხი.

4. სინქრონიულ და დიაქრონიულ კანონზომიერებათა ურთიერთმიმართების საკითხი.

ამ და რიგ სხვა საკითხზე მსჯელობისას, ვფიქრობთ, გარკვეულ სამსახურს გაგვიწევს ჩვენი ნაშრომის მეორე ნაწილში წარმოდგენილი ფაქტები. ამიტომ მსჯელობა მათ შესახებ ზოგაერთი დიფერენციალური ნიშნის მარკირების პირობის დადგენის შექდეგ. გვექნება.

თ ა ვ ი I I

დიფერენციალურ ნიშანთა ფუნქციონალური იმპარაქია ჩქამიერ ფონემათა კლასში

1. შესასწავლი ნიშნები და საანალიზო მასალა

1. 1. შესასწავლი ნიშნების შესახებ.

ჩვენი შესწავლის საგანს წარმოადგენს გარკვეულ დიფერენციალურ ნიშანთა ფუნქციონირება ჩქამიერ ბგერათა კლასში. აქ განვიხილავთ ბგერათა ისეთ კლასებს, როგორცაა ხმოვანთა კლასი და სონორ ბგერათა კლასი, თუმცა შესწავლილ ნიშანთაგან ზოგიერთი ამ კლასებშიც ფუნქციონირებს.

ნიშნები, რომელთა ფუნქციონირებასაც ვსწავლობთ, სამ ჯგუფად იყოფა. თითოეულ ჯგუფში გაერთიანებული ნიშნები ერთი ფონემის სტრუქტურაში ერთმანეთს არ უკავშირდება (ე. ი. ურთიერთგამომრიცხველია ფონემის სტრუქტურის თვალსაზრისით). ეს ჯგუფებია:

1. ს ა რ ე ზ ო ნ ა ნ ს ო ა რ ი ს ა ნ უ წ ა რ მ ო ე ბ ი ს ა დ გ ი ლ ი ს ნ ი შ ნ ე ბ ი. ამ ნიშანთაგან განვიხილავთ სამ ძირითად ლოკალურ რიგს: ლაბიალურს, დენტალურს (აპიკალურს) და ველარულს (დორსალურს). წარმოების ადგილის ამსახველ ნიშანთა შესახებ მსჯელობისას ვიყენებთ ტრადიციულ ფიზიოლოგიურ ტერმინებს.

რამდენადაც სხვადასხვა დროს შემოთავაზებული დიფერენციალურ ნიშანთა სქემები¹ ჰიპოთეზათა ერთობლიობას წარმოადგენენ (107, 66-67) და შემდგომ დასაბუთებას საჭიროებენ, როგორც ფო-

¹ რიგი არსებითი ნიშნით განსხვავდება ერთმანეთისაგან რ. ი ა კ ო ბ ს ო - ნ ი ს ა და მ. ჰ ა ლ ე ს (130) და ნ. ხ ო მ ს კ ი ს ა და მ. ჰ ა ლ ე ს (89) მიერ შემოთავაზებული დიფერენციალურ ნიშანთა სქემები.

ნეტიკური (არტიკულაციურ-აქუსტიკური), ისე ფუნქციონალური თვალსაზრისით, ვფიქრობთ, რომ ჩვენ მიერ განხილულ მასალასაც შესაძლოა გარკვეული მნიშვნელობა ექნეს დიფერენციალურ ნიშანთა სქემების შემოწმებისათვის ფუნქციონალური თვალსაზრისით.

2. არტიკულაციის რაგვარობის ნიშნები. ამათგან განვიხილავთ ნიშნებს, რომლებიც საფუძვლად უდევს ჩქაიერ ფონემათა სამი ძირითადი კლასის გამოყოფას: ნაპრალოვნობა, ხშულობა, აფრიკატობა. ამ სამ ნიშანსაც დაუშლელი ოდენობების სახით განვიხილავთ, თუმცა არსებობს მათი დიფერენცირებული ანალიზის რამდენიმე ცდა (130, 30-31; 89, 318-322). ამ ნიშანთა ფუნქციონირების ამსახველი გარკვეული წესების მიღების შემდეგ შევეცდებით მათ განხილვას არსებული ბინარული სქემების თვალსაზრისით.

3. ბგერის წყაროს ნიშნები (ლარინგალური არტიკულაციის ნიშნები: მჟღერობა — სიყრუე, ასპირაცია, გლოტალიზაცია) და ამ ნიშნებთან ფუნქციონალურად ახლოს მდგომი დაქიშულობის ანუ ინტენსივობის ნიშანი. ეს ის ნიშნებია, რომლებიც ლოკალურ რიგებთან დაკავშირების გზით კორელაციურ სერიებს ქმნიან ჩქაიერ ფონემათა კლასებში. ნ. ტრუბეცკოი მათ მეორე ხარისხის მოდალურ კორელაციათა სახელწოდებით აერთიანებდა (179, 172-175).

ჩამოთვლილ დიფერენციალურ ნიშნებს განვიხილავთ სამი ფუნქციონალური კრიტერიუმის საფუძველზე. ეს კრიტერიუმებია: 1. ცარიელ უჯრათა განაწილება პარადიგმატულ ფონოლოგიურ სისტემებში. 2. ფონემათა დისტრიბუციული შეზღუდვები, 3. ფონოლოგიურ ერთეულთა სიხშირული მიმართებები. ეს სამი კრიტერიუმი შესაძლებლობას იძლევა მოვახდინოთ დიფერენციალურ ნიშანთა ამომწურავი ფუნქციონალური დახასიათება: გათვალისწინებულია როგორც დიფერენციალურ ნიშანთა ერთჟამიერ კონებად შეერთება, ისე მათი ხაზოვანი შეერთება და ამ შეერთებათა როგორც აბსოლუტური, ისე შეფარდებითი (სტატისტიკური) შეზღუდვები. ამიტომ შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ნიშანთა იერარქია, გამოვლენილი ამ გზით, სრულად ასახავს ფუნქციონალურ ფაქტებს. ჩამოთვლილ კრიტერიუმთაგან ძირითადად განხილული იქნება ობოზიციურ ელემენტთა სიხშირული მიმართებები და ცარიელ უჯრათა განაწილება, ყველაზე ნაკლებ — დიფერენციალურ ნიშანთა დისტრიბუციული შეზღუდვები.

ფონოლოგიური დონის ოპოზიციურ ერთეულთა სიხშირულ მიმართებათა განხილვისას ვასხვავებთ დიფერენციალურ ნიშანთა პირობით და უპირობო ალბათობებს. დიფერენციალური ნიშნის უპირობო ალბათობა წარმოადგენს ამ ნიშნის მქონე ყველა ფონემის ალბათობათა ჯამს. დიფერენციალურ ნიშანთა პირობითი ალბათობა კი — ცალკეულ ფონემათა ალბათობას უდრის, რამდენადაც, მაგალითად, /ბ/ ფონემის ალბათობა წარმოადგენს მქლერობის ნიშნის ალბათობას ლაბიალობის ნიშნის პირობებში, ან ლაბიალობის ნიშნის ალბათობას მქლერობის ნიშნის პირობებში.

დიფერენციალურ ნიშანთა პირობითი და უპირობო ალბათობები ყოველთვის არ ემთხვევა ერთმანეთს. მათი ერთმანეთთან შედარება საინტერესო სურათს იძლევა.

დიფერენციალური ნიშნების ურთიერთმიმართებას შექმდეგა თანმიმდევრობით განვიხილავთ:

1. ლარინგალური არტიკულაციის ნიშანთა მიმართება ხშულობის, აფრიკატობის, ნაპრალოვნობის ნიშნებთან.

2. ლარინგალური არტიკულაციის ნიშნების მიმართება ლოკალური რიგის ნიშნებთან.

3. ლოკალური რიგების ურთიერთმიმართება ნაპრალოვანთა და აფრიკატთა კლასებში.

ლარინგალური არტიკულაციის ნიშნები: მქლერობა-საყრუე, ასპირაცია, გლოტალიზაცია წარმოგვიდგება როგორც სამი რიგის მახასიათებლების შეერთება: 1) თვით ლარინგალური არტიკულაციის სახეობა: ყრუ, მქლერი, ასპირირებული, გლოტალიზებული; 2) არტიკულაციის დაქიმულობისა და შესაბამისად ბგერის ინტენსივობის ხარისხი; 3) ბგერის გრძლივობის ხარისხი. ამ მახასიათებელთა შეერთება იძლევა დიფერენციალურ ნიშნებს, რომლებიც სხვა ნიშნებთან შეერთებით ქმნიან მოცემულ დიფერენციალურ ნიშნებში გაერთიანებულ ფონეტიკურ თვისებათა კონით დაპირისპირებულ ფონემათა სერიებს.

ლარინგალური არტიკულაციის ნიშანთა კომპონენტება სხვადასხვაგვარი შეერთების გზით ქმნიან ერთეულებს, რომლებსაც განსხვავებული ფუნქციონალური თვისებები აქვთ. მაგალითად, დიფერენციალური ნიშანი, რომელიც ხასიათდება მქლერობითა და არადაქიმული არტიკულაციით (რუსული ტიპის მქლერება) ფუნქციონალური თვალსაზრისით განსხვავდება დიფერენციალური ნიშნისაგან, რომელიც სუსტი მქლერობითა და დაქიმული არტიკუ-

ლაციით ხასიათდება (იბერიულ-კავკასიური ტიპის მქედერები). ფუნქციონალურ სხვაობას ამქედანებენ აგრეთვე ყრუ ასპირირებულ დაქიმული (გერმანიკული ტიპი) და ყრუ ასპირირებული არადაქიმული (იბერიულ-კავკასიური ტიპი) ბგერები.

კომპონენტების შეერთება დიფერენციალურ ნიშნებად ნებისმიერი ხასიათისა არ არის. დიფერენციალურ ნიშანთა კომპონენტებს შორის ბუნებრივი კავშირები არსებობს. ბუნებრივი კავშირი არსებობს დაქიმულობის (ინტენსივობის) და გრძლივობის ხარისხებს შორის, დაქიმულობის (ინტენსივობის) და მქედრობის ხარისხებს შორის, გლოტალიზაციასა და გრძლივობისა და დაქიმულობის ხარისხებს შორის. ეს კომპონენტები ერთმანეთის შეპირობებას ახდენენ ნიშანთა სტრუქტურაში. ამასთან, რამდენადაც დიფერენციალურ ნიშანთა სტრუქტურაში რამდენიმე კომპონენტი, კომპონენტთა ყოველი წყვილი ერთმანეთთან გარკვეულ კავშირშია და ეს კავშირები ყოველთვის ერთი მიმართულების არ არის, მათი ურთიერთმოქმედება საკმაოდ რთულ სახეს იღებს. სანიმუშოდ განვიხილოთ გლოტალიზაციის ნიშანი. დიდი ხანია შენიშნულია კავშირი ბგერის დაქიმულობის ხარისხსა და გრძლივობას შორის. რაც უფრო დაქიმულია ბგერა, მით გრძელია იგი. როგორც წესი, ეს კავშირი ავტომატურ ხასიათს ატარებს, მაგრამ გლოტალიზაცია იწვევს ამ კავშირის საპირისპირო წევრების შეერთებას ერთმანეთთან. საქმე ისაა, რომ, ერთი მხრივ, გლოტალიზაცია აპირობებს ბგერის სიმოკლეს, მეორე მხრივ კი გლოტალიზებული ბგერები მაღალი ინტენსივობით, დაქიმული არტიკულაციით ხასიათდებიან. ამგვარად, გლოტალიზაციის კომპონენტი უკავშირდება თვისებებს, რომლებიც ბუნებრივი კავშირის თვალსაზრისით ურთიერთსაპირისპიროა: მაღალ ინტენსივობას (დაქიმულ არტიკულაციას) და ბგერის სიმოკლეს.

სხვა ლარინგალური კომპონენტებიც ამქედანებენ ბუნებრივ კავშირს გრძლივობისა და დაქიმულობის (ინტენსივობის) კომპონენტებთან. მაგალითად, მქედრობის ხარისხი კავშირშია დაქიმულობის ხარისხთან; რაც უფრო დაქიმულია ბგერა, მით უფრო ნაკლებია მისი მქედრობის ხარისხი². არადაქიმული ბგერები მქედრობის მაღალი ხარისხით ხასიათდებიან (რუსული ტიპი), დაქიმულ არტიკუ-

² ეს კავშირი შენიშნული აქვს მ. პალეს. მისი დაკვირვება, რომელიც იბერიულ-კავკასიურ ენათა მასალაზეც დასტურდება, მოგვყავს პ. პოსტალინს ნაშრომის მიხედვით (153, 78).

ლაციას კი მეღერობის შედარებით დაბალი ხარისხი უკავშირდება. შეაბამისად, მაღალი მეღერობის ხარისხის მქონე ბგერები მოკლეა სუსტი მეღერობის მქონე ბგერებთან შედარებით.

განსაკუთრებით დიდი დაქიმულობით (შესაბამისად მაღალი ინტენსივობით) და დიდი გრძლივობით ხასიათდება ნიშანი, რომელსაც შესაძლებელია ინტენსივობის ნიშანი ეწოდოს. დაქიმულობის (ინტენსივობის) განსაკუთრებით მაღალი ხარისხი შესაძლებელია დაუკავშირდეს მხოლოდ ყრუ არტიკულაციას. მეღერობას იგი არ უკავშირდება. მაგრამ იგი შესაძლებელია შეუერთდეს როგორც ასპირაციას, ისე გლოტალიზაციას.

ლარინგალური არტიკულაციის ნიშნებს შორის შესაძლებელია ნიშანთა ორი ჯგუფის გამოყოფა. თითოეული ჯგუფის ნიშნები ერთმანეთთან შეერთების თვალსაზრისით ურთიერთგამომრაცხველია, მაგრამ უკავშირდება მეორე ჯგუფის ლარინგალური არტიკულაციის ნიშნებს. ეს ჯგუფებია: ა) მეღერობა და სიყრუე; ბ) ასპირაცია და გლოტალიზაცია; არსებობს როგორც ყრუ ასპირირებული და გლოტალიზებული ბგერები, ასევე მეღერი ასპირირებული და გლოტალიზებული (იჰპლოზიური) ბგერები.

ამრიგად, კომპონენტების სხვადასხვა სახით შეერთების ვიღობით დიფერენციალურ ნიშნებს. კომპონენტები შეადგენენ ფონემური სისტემების უნივერსალურ საფუძველს. დიფერენციალური ნიშნები კი ტიპოლოგიური და ცალკეულენობრივი დონის ერთეულებია. მართლაც, დიფერენციალური ნიშნები, როგორც დისტინქციური, სიტყვათგანმასხვავებელი ღირებულებების მქონე ერთეულები, შესაძლებელია განისაზღვროს კონკრეტული ფუნქციონალური სისტემების მიმართ. ფუნქციონალური სისტემების ვარეთ ტერმინს „დისტინქციური ღირებულება“ აზრი არა აქვს.

ენათა ფართო ტიპოლოგიურმა შედარებამ უნდა გამოავლინოს აგრეთვე დიფერენციალურ ნიშანთა ერთი სისტემის ფარგლებში შეერთების შესაძლებლობანი. ერთი სისტემის ფარგლებში დიფერენციალურ ნიშანთა თანაარსებობის შესაძლებლობას უნდა განსაზღვრავდეს ოპტიმალური მანძილი დიფერენციალურ ნიშნებს შორის ფიზიოლოგიური და აქუსტიკური თვალსაზრისით. სისტემათა გამოვლენილი ტიპების ფუნქციონალური ანალიზი (დიფერენციალურ ნიშანთა და ფონემათა განაწილების წესებისა და სიხშირული მიმართებების კვლევა) საშუალებას მოგვცემს შესაბამისობა დავამყაროთ სისტემათა ფონეტიკურ და ფუნქციონალურ ტიპებს შორის.

1. 2. საანალიზო მასალის შესახებ

დიფერენციალურ ნიშანთა სიხშირულ მიმართებათა შესახებ მსჯელობისას იბერიულ-კავკასიურ ენათათვის ძირითადად ჩვენს გაანგარიშებებს ვეყარებოდით, სხვა ჯგუფის ენათათვის — ლიტერატურაში გამოქვეყნებულ მასალას.

ჩვენს ხელთ იყო 58 ენის ფონოსტატისტიკური მონაცემები. იბერიულ-კავკასიურ ენათაგან განხილულია შემდეგი ენობრივი ერთეულები: ქართველურ ენათაგან: ახალი სალიტერატურო ქართული, ძველი ქართული, ქართული ენის ხევსურული დიალექტი, სვანური (უშგულური კილოკავი და ლენტეხური კილო), მეგრული (სენაკური კილოკავი). ქანური (ხოფური და არქაბული კილოკავები); დალესტნურ ენათაგან: ანდიური, ახვახური, ბოთლიხური, დიდოური (ხუნძურ-ანდიურ-დიდოური ჯგუფი), თაბასარანული (ლენჯიური ჯგუფი): ლაკური, დარგუელი ენის კუბაური დიალექტი (ლაკურ-დარგუელი ჯგუფი); ნახურ ენათაგან: ბაცბური და ჩაჩნური ენის ახური კილო; აფხაზურ-ადილურ ენათაგან: აფხაზური (აშხარული დიალექტი)³.

³ ცხრილში წარმოდგენილი მონაცემები ეყარება შემდეგი მასალის ანალიზს: ძველი ქართული: ექუსთა დღეთაჲ, თბ., 1947, გვ. 57-60; 5000 ფონემა; წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაჲ, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I, თბ., 1964, გვ. 12-20; 10000 ფონემა; ხევსურული: ალ. ჭინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი, თბ., 1960, გვ. 326-332, 10000 ფონემა; სვანური: 1. სვანური პროზაული ტექსტები, I. ბალსუგოური კილო, თბ., 1939, გვ. 58-65, 10000 ფონემა; 2. სვანური პროზაული ტექსტები, III, ლენტეხური კილო, თბ., 1967, გვ. 48-58, 15000 ფონემა; მეგრული: მ. ხუბუა, მეგრული ტექსტები, თბ., 1937, გვ. 1-7, 14000 ფონემა; ქანური: — 1. ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ქანური ტექსტები, 1, ხოფური კილოკავი, თბ., 1929, გვ. 4-12; 10000 ფონემა, 2. ს. ე ლ ე ნ ტ ი, ქანური ტექსტები, არქაბული კილოკავი, თბ., 1938, გვ. 68-74, 10000 ფონემა, ანდიური: ი. ე რ ც ვ ა ძ ე, ანდიური ენა, თბ., 1965, გვ. 298-310; 7000 ფონემა, ახვახური; 3. М. Магомедбекова. Ахвахский язык, Тб., 1967, გვ. 136-158; 10000 ფონემა; ბოთლიხური: ტ. გ უ დ ა ვ ა, ბოთლიხური ენა, თბ., 1963, გვ. 161-168; 20000 ფონემა; დიდოური: Д. С. Имнайшвили, Дидойский язык, Тб., 1963, გვ. 276-286; 10000 ფონემა; თაბასარანული: А. А. Магомедов, Табасаранский язык, Тб., 1965, გვ. 351-373; 15000 ფონემა; ლაკური: Л. И. Жирков, Лакский язык, М., 1955, გვ. 140-150; 10000 ფონემა; კუბაური: А. А. Магомедов, Кубачинский язык, Тб., 1963, გვ. 307-324; 10000 ფონემა; ბაცბური: რ. გ ა გ უ ა, ბაცბური ენის ქრესტომათია (ხელნაწერი), 23600 ფონემა; ახური: И. А. Арсханов, Аккинский диалект в системе чечено-ингушского языка, Грозный, 1959, გვ. 164-174, 10000 ფონემა; აფხაზური: ქ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, აშხარული დიალექტი და მის ადგილი აფხაზურ-აბაზურ

არაიბერიულ-კავკასიურ ენათაგან ჩვენს ხელთ იყო . შექმდეგი ენების მონაცემები: ინდოევროპულ ენათაგან: ინგლისურის (91; 165), შვედურის (165), დანიურის, პოლანდიურის, ფრანგულის, იტალიურის (191), ესპანურის (191; 139), პორტუგალიურის (191), რუმინულის (156), რუსულის, უკრაინულის, ბულგარულის, ჩეხურის, (191), პოლონურის, ალბანურის (71), ბენგალიურის (165), ბერძნულის, ლათინურის (191) და კავკასიურ ენათა გარემოცვაში მყოფი ორი ენის: ოსურისა და ძველი სომხურის⁴ მონაცემები. სემიტურ ენათაგან განხილულია: ბიბლიის ებრაული (84), არაბულის ქაიროს დიალექტი (170); თურქულ ენათაგან: თურქული; უნგრულ-ფინურ ენათაგან: უნგრული (191; 182); ჩინურ-ტიბეტურ ენათაგან: ჩინური, ბერძნული (191); ინდონეზიურ ენათაგან: ინდონეზიური (78), ფილიპინური (80); პოლინეზიურ ენათაგან: სამოას ენა (165); აფრიკის ენათაგან: ჰაუსა; ამერიკის ინდიელთა ენათაგან: კუსი, იუროკი (100), კაივა (165), ჩირიკაპუა, კლამათი, მაიდუ (100).

ზოგიერთი ენობრივი ერთეულისათვის ჩვენთვის რამდენიმე ანალიზის შედეგი იყო ცნობილი: მაგალითად, ქართულისათვის—3⁵,

დიალექტთა შორის, ტექსტებითურთ, თბ., 1954, გვ. 14—27, 20000 ფონემა. ახალი სალიტერატურო ქართული ენის ფონოსტატისტიკური მონაცემები მოცემავს თ. გ ა ჩ ე ჩ ი ლ ა ძ ი ს ა და ა. ე ლ ი ა შ ვ ი ლ ი ს ნაშრომის (10) მიხედვით. ანალიზი ჩატარებულია 100000 ფონემის მოცულობის ტექსტზე. მეგრულის ფონოსტატისტიკური მონაცემები ამოღებულია ი. ბოკუჩავას ნაშრომიდან (5). საანალიზო ტექსტის მოცულობა იყო 10000 ფონემა.

⁴ ოსურის, სომხურისა და თურქულისათვის თვითონ მოგიხდა ანალიზის ჩატარება. საანალიზო მასალა იყო: ოსურისათვის: ქასანჯ ჩინგგ, დეგავ ხამ, სტალინური, 1947, გვ. 88-91, 2710 გრაფემა. სომხურისათვის: Արարատյան Հայկուն, თბილისი, 1882, გვ. 10-21 და 241-252; თურქულისათვის: ს. ჯიქია, თურქული ქრესტომათია, თბილისი, 1955, გვ. 81-87; 10000 გრაფემა. ოსურისათვის ხელთ გექონდა მოკლე ტექსტის ფონემატური ანალიზის შედეგიც (169). გაანალიზებული იყო 2420 ფონემის მოცულობის ტექსტი.

⁵ ზემოთ დასახელებულის გარდა, ქართულისათვის ჩვენს ხელთ იყო ფონოსტატისტიკური მონაცემები, მიღებული პ. ფოგტის მიერ (20, 76—77) და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ექსპერიმენტული ფონეტიკის ლაბორატორიაში ჩატარებული ანალიზის შედეგები. ანალიზი ჩატარებული იყო ი. ქავკავაძის ნაწერებიდან აღებულ ტექსტებზე, არჩევანის საერთო მოცულობა იყო 89 932 ფონემა. ექსპერიმენტული ფონეტიკის ლაბორატორიის თანამშრომელთა მიერ მიღებული სიდიდეები ძალიან ახლოსა გაჩეჩილაძისა და ელიაშვილის მიერ მიღებულ შედეგებთან.

მეგრულთათვის — 2⁶, ინგლისურისათვის — 7; უნგრულისათვის — 8, ესპანურისათვის — 3.

ცხრილების სახით მთელი ამ მასალის მოტანა მიზანშეუწონილად არ ჩაეთვალეთ. სრულად მოგვეყავს იბერიულ-კავკასიურ ენათა მონაცემები, შედარების თვალსაზრისით მოგვეყავს გ. ციპფის მიერ შედგენილი ცხრილი, რომელიც 15 ინდოევროპული ენისა და უნგრულის მონაცემებს შეიცავს. ეს ტაბულა იმითაცაა მოსახერხებელი, რომ მასში მოცემულია ინდოევროპულ ენათა ნორმის გარკვეული დახასიათება: გამოთვლილია საშუალო მახასიათებლები. იბერიულ-კავკასიურ ენათათვისაც გამოვთვალეთ საშუალო მახასიათებლები. საშუალო სიდიდეების გამოთვლას რამდენადმე პირობითი ხასიათი აქვს, რადგან იბერიულ-კავკასიური ენები დღემდე სხვაობენ ერთმანეთისაგან სისტემაში ფონემათა რაოდენობის თვალსაზრისით და ამდენად, ცხადია, მოსალოდნელია განსწავლება ცალკეულ ენებში ფონემათა სიხშირული მახასიათებლებს მხრივ. საშუალო სიდიდეები გამოთვლილია შემდგომი მსჯელობის სიპარტივისათვის: ცალკეულ ენათა სიხშირული მონაცემების მოყვანას მაგივრად მოვიყვანთ საშუალო სიხშირულ მიმართებებს და ვიკულისხმებთ. რომ ჩვენთვის საინტერესო მიმართების თვალსაზრისით (ე. ი. „მეტა-ნაკლები“. მიმართების თვალსაზრისით) ამ საშუალო სიხშირულ მიმართებებს შეესაბამება ცალკეულ ენათა მიმართებებიც. დანარჩენ ენათა მონაცემები მოყვანილია საერთო ცხრილში, რომელიც ხშულთა ლოკალური რიგების ურთიერთმიმართებას ასახავს, ამას გარდა, ნაშრომის ტექსტშიც, იმდენად, რამდენადაც ისინი ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე მსჯელობისათვის აღმოჩნდა საჭირო.

ცხრილებში მასალა დალაგებულია არა კლებადი სიხშირის მიხედვით, არამედ ოპოზიციათა მიხედვით. ჩვენთვის ძირითად ინტერესს წარმოადგენდა ფონემათა სიხშირული მიმართება ოპოზიციის ფარგლებში. ამ თვალსაზრისით ბევრათა ურთიერთმიმართება პირველად გ. ციპფმა შეისწავლა. მან შენიშნა, რომ ერთი ნიშნით დაპირისპირებულ ფონემათა მიმართება, ჩვეულებრივ, ერთგვარია მთელი კორელაციის ფარგლებში. მაგალითად, მკლერ ხშულთა სიხშირე ყოველთვის ნაკლებია ყრუ ხშულთა სიხშირეზე, ყრუ ასპირირებულთა სიხშირე — ყრუ არასპირირებულთა სიხშირეზე და ა. შ. (191).

მ მეგრულის მეორე ანალიზი შესრულებული იყო ჩვენ მიერ, საანალიზო ტექსტი ამოღებული იყო: მ. ხუბუა, მეგრული ტექსტები, თბ., 1937, გვ. 1-7; 14 000 ფონემა.

1. 3. საანალიზო ტექსტის სიგრძისა და ფონემათა ლექსიკური და ტექსტობრივი სისშირეების ურთიერთმიმართების შესახებ

ჩამოთვლილ ენათა საანალიზო არჩევნების მინიმალური სიგრძე იყო 10 000 ფონემა⁷. ის, რომ ამ ზომის ტექსტი საკმარისია ბგერათა სისშირეების განაწილების ადეკვატური სურათის მისაღებად, ჩანს ინგლისური და უნგრული ენებისათვის ჩატარებული ანალიზიდან.

ინგლისური ენისათვის არსებობს გამოკვლევა, რომელშიც რანგობრივი კორელაციის მეთოდით შედარებულია სხვადასხვა ავტორთა მიერ სხვადასხვა დროს სხვადასხვა დიალექტისა და განსხვავებული მოცულობის ტექსტის ანალიზზე დამყარებული 6 გამოთვლის შედეგი (97, 133-141). ამ გამოთვლათაგან ხუთი ამერიკულ ინგლისურს ემყარება, ერთი — სამხრეთ ბრიტანულს, ერთი — XIX საუკუნეში არის შესრულებული (1874 წ.), ხუთი — XX საუკუნის 30-იან, 40-იან, 50-იან, 60-იან წლებში. საანალიზო მასალის სტილიც განსხვავებულია. ზოგი სალაპარაკო ენას ითვალისწინებს, ზოგი სამწერლო სალიტერატურო ენას. ერთი გამოკვლევა მთლიანად სატელეფონო საუბრების ჩანაწერებს ემყარება. მასალის სიგრძეც დიდად განსხვავებულია: ორი გამოკვლევა 10 000 ფონემის სიგრძის ტექსტს ემყარება; საანალიზო მასალის მაქსიმალური სიგრძეა 72 210 ფონემა. ასეთი მასალის შედარების შედეგად ავტორებმა კორელაციის მაღალი მაჩვენებელი მიიღეს და დაასკვნეს, რომ მოცემული ენის სტატისტიკური შეზღუდვები იმდენად მკაცრია, რომ დროის, ადგილისა და ფორმის ვარიაციები მცირე გავლენას ახდენს ტექსტის ფონოსტატისტიკურ სტრუქტურაზე (97, 140). მოგვყავს ამ ნაშრომის მონაცემები. შესადაარებელ გამოთვლებს ციფრებით აღვნიშნავთ⁸.

⁷ გარდა ანდიური ენისა, რომლისთვისაც ჩვენთვის მისაწვდომი ტექსტის სიგრძე 7 000 ფონემის ტოლი იყო.

⁸ 1.—J. V. Tobias, Relative Occurrence of Phonemes in American English, JASA, v. 5, 1934, გვ.242; 2.—N. R. French, C. W. Carter, W. Koenig, Bell System Tech. J., v. 9, გვ. 250-324; 1930; 3.—C. V. Volker, Count of Phonemic Frequency in Formal American Speech, JASA, 5, 242, 134; 4.—W. Whitney, The Relative Frequency of Simple Sounds of English, 1874; 5.—G. Dervey, Relative Frequency of English Speech Sounds, London, 1923, 6.—P. B. Denes, On the Statistics of Spoken English, JASA, 30, 1964, გვ. 892-902.

1—2	$\rho = 0.935$
3—2	0.935
3—4	0.912
4—5	0.903
4—2	0.899
1—5	0.899
1—6	0.893
5—2	0.880
3—1	0.878
2—6	0.859
5—3	0.849
4—6	0.846
4—1	0.826
3—6	0.777
5—6	0.775

მსგავსი სამუშაო ჩატარებულია უნგრული ენის მასლაზე (182, 136-137). ერთმანეთთან შედარებულია შვიდი ანალიზის შედეგი. თითოეული მათგანი განსხვავებულ დროს, განსხვავებულ მეთოდით, განსხვავებული ხასიათისა და მოცულობის მასალაზე არის შესრულებული. პირველი ანალიზი შესრულებულია 33218 ფონემის სიგრძის ტექსტზე, მეორე — 100 000 ფონემის სიგრძის ტექსტზე, მესამე 15 398, მეოთხე — 11949, მეხუთე — 25 000, მეექვსე — 238 779, მეშვიდე — 12 000. უნგრული ენისათვისაც კორელაცია მაღალი აღმოჩნდა.

რანგობრივი კორელაციის მეთოდით ჩვენ შევუდარეთ ერთმანეთს ქართულისა და მეგრულის ორ-ორი ანალიზის შედეგი. რანგობრივი კორელაციის ხარისხი გამოვიანგარიშეთ შემდეგი ფორმულის საფუძველზე:

$$\rho = 1 - \frac{6 \sum_{i=1}^n d_i^2}{n^3 - n}$$

სადაც n აღნიშნავს უმაღლეს რანგს, ანუ შესადარებელ წყვილთა რიცხვს, d_i კი — მოცემულ ობიექტთა რანგებს შორის სხვაობებს⁹.

⁹ ფორმულისათვის იხ. (67).

ქართულისა და მეგრულისათვისაც რანგობრივი კორელაციის კოეფიციენტი მაღალი აღმოჩნდა. ქართულისათვის — $\rho = 0.956$; მეგრულისათვის — $\rho = 0.967^{10}$; ამგვარი ანალიზით საბუთდება 10 000 ფონემის სიგრძის ტექსტის ფონოსტატისტიკური სტრუქტურის სტაციონარულობა. მოგვეყავს ქართულისა და მეგრულისათვის ჩქამიერ

ახალი სალიტერატურო
ქართული

მეგრული

I		II		I		II	
1 ს	6,05	1 დ	4,60	1 დ	4,55	1 კ	4,55
2 დ	4,93	2 ს	4,48	2 კ	4,49	2 დ	4,10
3 თ	3,34	3 თ	3,34	3 თ	3,92	3 თ	3,59
4 ბ	2,51	4 ბ	2,39	4 შ	3,37	4 ს	3,17
5 გ	2,50	5 გ	2,15	5 ს	3,19	5 შ	2,98
6 ხ	1,88	6 ხ	1,75	6 გ	2,41	6 გ	2,36
7 ც	1,71	7 შ	1,22	7 ბ	1,70	7 ბ	1,80
8 შ	1,44	8 ც	1,14	8 ხ	1,69	8 ხ	1,56
9 კ	1,25	9 კ	1,10	9 კ	1,07	9 კ	1,46
10 ყ	1,21	10 კ	1,03	10 ფ	0,98	10 ფ	1,27
11 ქ	1,12	11 ტ	0,67	11 ჩ	0,81	11 ჯ	0,98
12 წ	0,90	12 ყ	0,79	12 ჯ	0,76	12 ჩ	0,94
13 ტ	0,82	13 წ	0,65	13 ძ	0,74	13 ლ	0,82
14 ჩ	0,63	14 ზ	0,63	14 წ	0,74	14 წ	0,78
15 ზ	0,55	15 ლ	0,61	15 ლ	0,61	15 ტ	0,57
16 ფ	0,52	16 ჩ	0,50	16 ტ	0,55	16 კ	0,57
17 ძ	0,46	17 ფ	0,45	17 კ	0,54	17 ძ	0,50
18 ჰ	0,28	18 ძ	0,37	18 ე	0,38	18 ე	0,41
19 ლ	0,24	19 ჯ	0,27	19 ც	0,21	19 ც	0,24
20 კ	0,22	20 ჰ	0,25	20 ყ	0,16	20 ყ	0,24
21 ჯ	0,22	21 კ	0,21	21 ჰ	0,16	21 ზ	0,17
22 ე	0,06	22 ე	0,04	22 ზ	0,15	22 ჰ	0,16

$$d_i^2 = 276$$

$$\rho = 0,956$$

$$d_i^2 = 210$$

$$\rho = 0,967$$

¹⁰ ქართულისათვის ერთმანეთთან შედარებულია 89 932 ფონემიანი და 100 000 ფონემიანი არჩევნების ანალიზის შედეგები, მეგრულისათვის 10 000 ფონემიანი და 14 000 ფონემიანი არჩევნების ანალიზის შედეგები.

ფონემათა დალაგება კლებადი სიხშირის მიხედვით, რომელსაც ემყარება რანგობრივი კორელაციის კოეფიციენტის გამოთვლა¹¹.

საანალიზო მასალის საკმარისობა კიდევ უფრო აშკარა გახდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენ გვიანტერესებს არა ცალკეულ ფონემათა აბსოლუტური სიხშირული მახასიათებლები და მათი რიგი კლებადი სიხშირის მიხედვით, არამედ ფონემათა სიხშირულ შიშარუბები ოპოზიციის ფარგლებში. ეს მიზანი კი კიდევ უფრო მკითრე მოთხოვნებს უყენებს საანალიზო ტექსტს. თითქმის ყველა ენაში, რომელთათვისაც ბგერათა სიხშირეების ერთზე მეტი გამოთვლა არის ცნობილი ჩვენთვის (ქართული, მეგრული, ესპანური, უნგრული), მიშარუბა მეტი-ნაკლები ერთგვარია ოპოზიციურ ერთეულებს შორის.

ამას გარდა, საინტერესოა ფონემათა სიხშირეების ურთიერთ-მიშარუბა ტექსტსა და ლექსიკონში. ზოგიერთი ავტორის აზრით. „ბგერათა სიხშირული განაწილება ტექსტში არ უნდა აირიოს ბგერათა სიხშირესთან ლექსიკონში, რადგან ბგერათა სიხშირე ლექსიკონში განუპირობებელ სიხშირეს წარმოადგენს, ბგერათა ტექსტობრივი სიხშირე კი გაპირობებულია სიტყვათა ხმარების სიხშირით (112, 84)¹².

სხვადასხვა ენის ფონემათა ლექსიკური და ტექსტობრივი სიხშირეების რანგობრივი კორელაციის მეთოდით შედარება გვიჩვენებს, რომ საკვლევ მოვლენებს შორის მაღალი კორელაცია არსებობს. რაც შეეხება ჩვენთვის საინტერესო ასპექტს — ფონემათა სიხშირულ მიშარუბას ოპოზიციის ფარგლებში, აქ ტექსტსა და ლექსიკონს შორის სრულ შესაბამისობას აქვს ადგილი. ბგერათა ტექსტობრივი და ლექსიკური სიხშირეების შედარების შესაძლებლობა გვქონდა ფილიპინური და ესპანური¹³ ენებისათვის. ამ ენებისათვის რანგობრივი კორელაციის ასეთი მაჩვენებლები მივიღეთ:

ფილიპინური 0.741

ესპანური 0.893

¹¹ ქართულისათვის პირველ სვეტში მოცემულია ექსპერიმენტული ფონემების თანაშრომელთა ანალიზის შედეგები, მეორეში — ი. გაჩეჩილაძისა და ა. ელიაშვილის მონაცემები (10); მეგრულისთვის — პირველ სვეტში წარმოდგენილია ჩვენ მიერ მიღებული მონაცემები, მეორე სვეტში — ი. ბოკუჩავას მონაცემები (5).

¹² ფონემათა ლექსიკური და ტექსტობრივი სიხშირეების შედარების საქიროებაზე მიუთითებენ რ. იაკობსონი და მისი თანაშრომლები (131).

¹³ შესადაარებელ მასალად გამოვიყენეთ შემდეგ ნაშრომებში მოცემული გამოთვლები: ფილიპინურისთვის (80), ესპანურისთვის (139).

ამას გარდა, რანგობრივი კორელაციის მეთოდით ერთმანეთს შევეუდარეთ ქართული ენის ხევსურული დიალექტის ფონემათა სიხშირეების განაწილება 10 000 ფონემიან ტექსტში და ამავე ტექსტისათვის შედგენილ 1000 ფონემიან მორფემათა ლექსიკონში. დასაბუთებულა, რომ 1000 ფონემისაგან შედგენილი ტექსტა, რომელშიც გამორიცხულია გამეორებული სიტყვები, სტატისტიკურად სტაციონარულია ფონემათა განაწილების თვალსაზრისით (95, 47-52). ხევსურული დიალექტისათვის რანგობრივი კორელაციის კოეფიციენტი აღმოჩნდა 0.877-ის ტოლი. ოპოზიციის ფარგლებში ფონემათა სიხშირეების განაწილება კი მთლიანად ემთხვევა ერთმანეთს.

მოგვეყავს ხევსურული დიალექტის ფონემათა რიგი კლებადი სიხშირის მიხედვით ტექსტსა და ლექსიკონში:

ტექსტი				ლექსიკონი			
1 ს	5,60	13 ხ	0,73	1 ლ	3,50	13 შ	1,10
2 დ	3,92	14 ზ	0,63	2 ს	3,30	14 წ	0,80
3 თ	3,01	15 ჩ	0,58	3 ხ	2,80	15 ძ	0,80
4 გ	1,91	16 ლ	0,47	4 თ	2,60	16 კ	0,80
5 ბ	1,90	17 კ	0,38	5 გ	2,60	17 ლ	0,70
6 ც	1,68	12 ჰ	0,25	6 ც	2,10	18 ჰ	0,70
7 შ	1,37	19 ჯ	0,21	7 ყ	1,80	19 ჯ	0,60
8 ქ	1,25	20 ძ	0,21	8 ბ	1,70	20 ზ	0,40
9 ყ	1,10	21 ფ	0,15	9 ქ	1,60	21 ფ	0,40
10 კ	1,05	22 ჰ	0,09	10 ტ	1,30	22 ჰ	0,20
11 ტ	0,86	23 უ	0,01	11 ჩ	1,30	22 უ	0,10
12 წ	0,77			12 კ	1,20		

$$r = 0,877$$

ამრიგად, ტექსტისა და ლექსიკონის ფონოსტატისტიკურ სტრუქტურებს შორის საკმაოდ მაღალი კორელაცია არსებობს, თუმცა ჩვეულებრივ რამდენადმე უფრო დაბალი, ვიდრე ერთი ენის სხვადასხვა მოცულობის ტექსტებს შორის. შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ტექსტის ლექსიკური სტრუქტურა გარკვეულ, მაგრამ ძალიან მცირე გავლენას ახდენს ტექსტის ფონოსტატისტიკურ სტრუქტურაზე. ეს გავლენა იმდენად მცირეა, რომ არ მოქმედებს ოპოზიციურ ფონემათა სიხშირულ მიმართებებზე. იმ ენობრივ ერთეულებში,

რომელთათვისაც ფონემათა ტექსტობრივი და ლექსიკური სინშირეების შედარების შესაძლებლობაც გვექონდა (ფილიპინური, ესპანური, ხევსურული), ოპოზიციურ ერთეულთა სინშირული მიმართება ტექსტსა და ლექსიკონში, როგორც წესი, იდენტური იყო. შესადარებლად მოგვყავს ამ ენების ბგერათა სინშირეები ოპოზიციათა მიხედვით:

ხევსურული

ტექსტი			ლექსიკონი		
ბ 1,90	ფ 0,15	პ 0,09	ბ 1,70	ფ 0,40	პ 0,20
დ 3,92	თ 3,01	ტ 0,86	დ 3,50	თ 2,60	ტ 1,30
გ 1,91	ქ 1,25	კ 1,05	გ 2,60	ქ 1,60	კ 1,20
ძ 0,21	ც 1,68	წ 0,77	ძ 0,80	ც 2,10	წ 0,80
ჯ 0,21	ჩ 0,58	ჭ 0,25	ჯ 0,60	ჩ 1,30	ჭ 0,70
	ჭ 0,38	ყ 1,10		ჭ 0,80	ყ 1,80
ზ 0,63	ს 5,60		ზ 0,40	ს 3,30	
შ 0,01	შ 1,37		შ 0,10	შ 1,10	
ლ 0,47	ხ 0,73		ლ 0,70	ხ 2,80	

ფილიპინური

ტექსტი	ლექსიკონი	ტექსტი	ლექსიკონი
b 2,2	3,6	p 3,2	4,1
d 1,6	1,5	t 4,4	4,9
g 3,4	4,4	k 4,2	4,7

ესპანური¹⁴

b 2,50	2,92	p 2,10	2,36
d 4,00	3,81	t 4,60	5,32
g 1,00	1,46	k 3,80	3,76

* * *

მეორე კრიტერიუმი, რომლის საფუძველზეც განვიხილავდით დიფერენციალურ ნიშანთა ურთიერთმიმართებას მარკირების მიმართ-

¹⁴ ესპანურში დენტალურ და ველარულ რიგებში ყრუ ფონემათა სინშირე სკარბობს მკლერ ფონემათა სინშირეს, ლაბიალურ რიგში კი შებრუნებული მიმართებაა. ასეთი ტიპის ენათა შესახებ იხ. ქვემოთ, გვ. 99-100.

თების თვალსაზრისით, არის ენათა პარადიგმატულ ფონოლოგიურ სისტემებში ცარიელი უჭრედების განაწილება. შევეცადეთ გავკეთვალისწინებინა შეძლებისდაგვარად დიდი და ტიპოლოგიურად და გენეტურად დაშორებული ენობრივი მასალა. ეს გარკვეულ სიძნელებებთან იყო დაკავშირებული, რამდენადაც ხარვეზი ფონოლოგიურ სისტემაში, — ე. ი. გარკვეული ბგერის სიხშირის უქილურესი კლება¹⁵ საკმაოდ იშვიათ მოვლენას წარმოადგენს. მიღებული შედე-

ცხრილი 1

კავკასიური ენები

ხშულთა სისტემა¹⁶

	ბ	ფ	პ	ღ	თ	ტ	გ	ქ	კ
1. ახ. სალიტ. ქართ.	2,33	0,45	0,25	4,60	2,97	0,67	2,15	1,03	1,10
2. ხევსურული დიალ.	1,90	0,15	0,09	3,52	3,01	0,86	1,91	1,25	1,05
3 ძვ. ქართული	1,50	0,58	0,43	6,50	4,00	0,81	1,98	0,98	1,26
4. სვანური (უშგ.)	1,0	0,51	0,12	5,33	2,38	1,12	2,99	1,60	0,81
5. სვანური (ლენტ.)	1,46	0,62	0,28	4,10	1,22	0,70	2,40	1,65	1,95
6. მეგრული	1,80	1,27	0,16	4,10	3,59	0,57	2,36	4,55	1,46
7. ჭანური (არქაბ.)	3,14	0,84	0,54	2,94	2,18	1,04	1,25	4,28	1,89
8. ანდიური	4,67	0,17		5,34	0,61	0,5	1,41	0,88	0,91
9. ახუბური	2,87	0,06		4,16	0,61	0,56	2,35	1,19	1,46
10. ბოთლხური	4,79	0,07		5,24	1,18	0,53	1,04	1,04	1,03
11. დიდოური	3,23	0,17		2,93	0,94	0,84	0,42	1,02	1,38
12. ლაკური	3,70	0,35	0,03	1,89	1,25	0,75	1,29	1,13	1,28
13. კუბაჩური დიალ.	6,30	0,23	0,06	3,10	1,34	0,75	0,88	1,70	1,44
14. თაბასარანული	1,76	1,06	0,56	3,00	0,39	0,27	0,90	0,72	0,70
15. ბაცური	2,10	0,74	0,03	3,53	1,74	1,42	1,55	0,92	1,50
16. ჩანურის ახური დიალექტი	2,10	0,23	0,00	3,80	3,14	0,64	1,70	1,33	0,34
17. აფხაზური	1,70	1,25	0,48	2,72	0,89	1,77	2,13	0,52	1,42
18. ოსური	1,69	0,62	0,00	5,74	4,83	0,04	1,78	2,77	0,25
საშუალო	2,73	0,57	0,18	3,95	1,85	0,81	1,65	1,51	1,23

¹⁵ ჩ. ჰოკეტი პარადიგმატული სისტემის ცარიელ უჭრედს უტოლებს სიხშირის კლების უქილურეს საფეხურს, ნულოვან ალბათობას (113, 142).

¹⁶ საშუალო სიდიდეების გამოანგარიშებისას მხედველობაში არ არის მიღებული ოსურის — კავკასიური არეალის ინდოევროპული ენის მონაცემები.

1—5 ცხრილებში მოცემული ციფრები პროცენტებს წარმოადგენს. ხარვეზი ტაბულაში ასახავს ენის ფონემურ სისტემაში შესაბამისი ფონემის არ არსებობას, ხოლო სიხშირული მახასიათებელი 0,00 — გაანალიზებულ ტექსტში ფონემის ნულოვან სიხშირეს სისტემაში მისი არსებობის შემთხვევაში. საშუალო მახასიათებლების გამოთვლისას ხარვეზის ეს ორი ტიპი ერთგვარად ფასდებოდა: სიხშირეთა ჯამი ყოველთვის იყოფოდა 17-ზე (ენათა რაოდენობა ოსურის გამოკლებით).

კავკასიური ენები
აფრიკატთა სისტემა

	ძ	ც	წ	ჩ	ჩ	ჭ	ჯ	ყ
1. აბ. სალიტერატურო ქართული	0,37	1,14	0,65	0,27	0,50	0,21		0,79
2. ხევსურული დიალ.	0,21	1,68	0,77	0,21	0,58	0,25	0,38	1,10
3. ძვ. ქართული	0,61	1,40	1,08	0,24	0,38	0,10	0,20	0,91
4. სვანური (უშგ.)	0,26	0,43	0,22	1,61	1,50	0,35	0,67	0,68
5. სვანური (ლენტ.)	0,07	0,35	0,32	0,78	2,20	0,40	0,64	0,94
6. მეგრული	0,50	0,24	0,78	0,98	0,54	0,57		0,24
7. ჰანური (არქაბ.)	0,09	0,21	1,26	1,05	1,28	0,59		
8. ანდიური			0,43	0,35	0,5	0,65	0,41	1,50
9. ახვახური		0,01	0,03	0,02	1,53	0,50	0,28	0,48
10. ბოთლიხური		0,40	0,45	0,05	0,38	0,83	0,62	0,53
11. დიდოური		0,64	0,17		0,33	0,67	1,30	0,29
12. ლაქური		1,24	0,60		0,87	0,53	1,11	0,55
13. კუბანური		0,07	0,22		1,34	0,36	0,23	0,30
14. თაბასარანული		0,17	0,12	1,28	0,64	0,21	0,61	0,32
15. ბაქბური	0,12	1,44	1,22	0,11	0,2	0,22	1,25	0,80
16. ჩაჩნურის ახური დიალ.		1,40	0,45	0,14	1,06	0,14	1,5	0,74
17. აფხაზური	0,29	0,85	0,80	0,18	0,56	0,22	0,46	0,66
18. ოსური	0,82	7,65	0,00	0,55	0,50	0,00		
საშუალო	0,15	0,72	0,56	0,42	0,91	0,42	0,57	0,62

ცხრილი 3

კავკასიური ენები
ნაპარალელანთა სისტემა

	ზ	ს	ჟ	შ	ლ	ხ
1. აბ. სალიტ. ქართული	0,63	4,48	0,04	1,22	0,61	1,75
2. ხევსურული დიალ.	0,63	5,60	0,01	1,37	0,47	0,73
3. ძვ. ქართული	0,32	6,10	0,06	1,60	0,60	1,69
4. სვანური (უშგ.)	0,49	3,67	0,83	2,04	0,89	4,66
5. სვანური (ლენტ.)	0,66	4,27	1,04	2,36	0,86	5,28
6. მეგრული	0,17	3,17	0,41	2,58	0,82	1,56
7. ჰანური (არქაბ.)	1,52	2,90	0,04	2,52	1,06	1,81
8. ანდიური	0,15	0,95	0,20	0,67	0,74	0,84
9. ახვახური	0,12	0,06	0,39	0,75	0,51	0,50
10. ბოთლიხური	0,49	0,79	0,06	1,08	0,88	1,26
11. დიდოური	0,80	2,10	0,94	0,34	0,42	1,52
12. ლაქური	0,38	0,54	0,42	0,61	0,39	0,80
13. კუბანური	0,35	3,31	1,00	0,43	0,87	1,00
14. თაბასარანული	2,48	2,18	0,22	1,42	3,70	1,40
15. ბაქბური	0,47	2,89	0,14	1,56	0,50	2,76
16. ჩაჩნურის ახური დიალ.	0,83	1,45	0,55	3,70	0,80	3,81
17. აფხაზური	2,23	2,67	0,21	0,80	0,02	1,07
18. ოსური	2,07	4,55			0,71	2,60
საშუალო	0,77	2,77	0,38	1,49	0,83	1,93

კ ა ვ კ ა ს ი უ რ ი ე ნ ე ბ ი
ინტენსივობის კორელაცია

1. ხმელთა კლასი

	ბ	ფ	ფა	კ	ლ	თ	თბ	ტ	გ	ქ	ჭ	ძ	წ
1. ანლიური									1,41	0,88	0,17	0,51	0,00
2. აგახური									2,3	1,19		1,41	0,24
3. ბოთლობური	3,70	0,35	1,10	0,03	1,89	1,25	0,57	0,77	1,04	1,04	0,30	1,03	0,16
4. ლაკური	8,81	0,32	0,07	0,09	4,40	1,88	1,10	1,05	1,29	1,13	0,46	1,28	
5. კუბაჩური	1,76	1,06	0,19	0,56	3,00	0,39	0,38	0,27	1,28	2,32	0,65	1,08	
6. თაბასარანული									0,90	0,72	0,47	0,70	

2. ა ფ რ ი კ ა ტ თ ა კ ლ ა ს ი

	ძ	ც	ცპ	წ	წა	ქ	ჩ	ჩბ	ჭ	ჭპ	ძ	წ	ყ
1. ანლიური			0,06	0,43	0,40	0,35	0,59	0,31	0,65	0,01	0,41	0,54	0,50
2. აგახური	0,01	0,03	0,03	0,24	0,02	0,02	1,53	0,01	0,50	0,03	0,28	0,60	0,48
3. ბოთლობური	0,40	0,45	0,45	0,43	0,05	0,38	0,40	0,83	0,18	0,62	0,62	0,66	0,52
4. ლაკური	1,24	0,05	0,60			0,87	0,36	0,93		1,11	0,89	0,65	1,08
5. კუბაჩური	0,01	0,83	0,40			1,88	0,40	0,50		0,89	0,61	0,30	0,32
6. თაბასარანული	0,17	0,04	0,12		1,28	0,64	0,28	0,21					

3. ნ ა ვ რ ა ლ ო ვ ა ნ თ ა ს ი ს ტ ე მ ა

	ზ	ს	სა	ყ	უ	უა	ლ	ბ	ბა	კ	კა	ღ	წ
1. ანლიური	0,15	0,95	1,45	0,20	0,67	1,21	0,74	0,84	0,18			1,13	0,25
2. აგახური	0,12	0,06	0,56	0,39	0,75	0,20	0,51	0,90	0,33			0,62	1,45
3. ბოთლობური	0,25	0,39	0,15	0,60	1,08	0,66	0,88	1,26	0,52	4,76	0,30	0,95	0,87
4. ლაკური	0,38	0,54	1,59	0,42	0,61	0,49	0,39	0,80	0,86	4,76	0,30	0,95	0,87
5. კუბაჩური	0,48	4,64	0,45	1,42	0,69	0,74	1,22	1,52	0,43			0,95	0,87
6. თაბასარანული	2,48	2,18	0,00	0,22	1,42	0,00	3,70	1,40	0,00				

გების განხილვისას არ ვუთითებთ წყაროზე, საიდანაც ამოღებული გვაქვს ინფორმაცია ამა თუ იმ ენის ფონემური ინვენტარის შესახებ, რამდენადაც ამ რიგის ელემენტარული ცნობები ცალკეულ ენათა ყოველ ფონოლოგიურ აღწერაში მოიპოვება და, ჩვეულებრივ, ამ საკითხებთან დაკავშირებით აზრთა სხვაობა არ არსებობს.

მოგვეყავს იბერიულ-კავკასიურ ენათა ფონოსტატისტიკური მონაცემები. ცალ-ცალკე ტაბულათა სახით არის წარმოდგენილი ხშულ, აფრიკატ და ნაპრალოვან ბგერათა ტექსტობრივი აღბათობები. ცალკე ტაბულას სახით არის მოცემული ინტენსივობის კორელაციის მქონე ენათა მონაცემები. შედარებისათვის მოგვეყავს აგრეთვე ინდოევროპულ ენათა მასალა, დამუშავებული გ. ციპფის მიერ.

ცხრილი 5

გ. ციპფის მიერ დამუშავებული მასალა¹⁷

	t	d	p	b	k	g
1. ჩეხური	5,60	3,73	3,52	1,86	3,53	0,15
2. პოლანდიური	7,83	4,76	1,99	1,20	3,21	0,03
3. ინგლისური	7,13	4,31	2,04	1,81	2,71	0,74
4. უნგრული	7,18	3,30	1,04	1,71	5,72	2,45
5. ლიტვერი	5,76	2,61	3,71	1,35	4,61	1,36
6. ჩრდილო რუსული	7,97	1,52	3,38	1,01	3,36	0,77
7. სამხრეთ რუსული	7,05	2,46	2,79	1,51	3,97	1,66
8. უკრაინული	3,83	3,24	2,82	2,11	4,11	—
9. ბულგარული	7,54	3,55	2,82	1,32	2,08	1,46
10. ბერძნული	7,58	2,87	3,38	0,47	4,07	1,74
11. სანსკრიტი	6,65	2,85	2,46	0,46	1,43	0,82
12. ლათინური	8,66	3,12	2,54	1,32	4,34	0,76
13. იტალიური	4,72	3,64	2,14	0,52	3,38	0,48
14. ესპანური	4,46	1,56	2,52	0,46	3,84	1,02
15. პორტუგალიური	5,06	2,44	2,68	0,30	3,44	0,92
16. ფრანგული	5,50	4,54	3,56	1,82	3,30	0,36
საშუალო	6,36	3,14	2,75	1,22	3,66	1,07

**2. ლარინგალური არტიკულაციის ნიშნების მიმართება
წარმოების რამპარობის (ხშულობის, აფრიკატობის,
ნაპრალოვნობის) ნიშნებთან**

სიხშირული მიმართებები. ჩვენს ზეღთ არსებული მასალა საშუალებას გვაძლევს ერთმანეთს შევედაროთ ორი ტიპის სის-

¹⁷ ამ სახით ტაბულა მოცემულია გ. ციპფთან (189, 6).

ტემები იბერიულ-კავკასიური სამწევრა ტიპი: მქლერი დაქიმული — ასპირირებული არადაქიმული — გლოტალიზებული ფონემების დაპირისპირებით და ინდოევროპული ტიპი: ყრუ დაქიმული — მქლერი არადაქიმული ფონემების დაპირისპირებით. ტაბულეებში მოყვანილი მასალის საფუძველზე იბერიულ-კავკასიური სამწევრა ტიპისათვის დიფერენციალურ ნიშანთა გაპირობებული ფუნქციონირება აღმოჩნდა დამახასიათებელი. მოვიყვანთ საშუალო მახასიათებლებს:

ბ 2,73	ფ 0,57	ჰ 0,18
დ 3,95	თ 1,85	ტ 0,81
გ 1,69	ქ 1,54	კ 1,23
ძ 0,15	ც 0,72	წ 0,56
ჯ 0,42	ჩ 0,91	ჭ 0,42
	ც 0,57	ყ 0,62
ზ 0,77	ს 2,77	
ჟ 0,38	შ 1,49	
ლ 0,83	ხ 1,93	

ეს მახასიათებლები საშუალებას გვაძლევს ხშულ, ნაპრალოვან და აფრიკატ ფონემათა კლასებში დიფერენციალურ ნიშანთა შემდეგი იერარქია დავადგინოთ: ხშულები: მქლერობა (8.37) — ასპირაცია (3.96) — გლოტალიზაცია (2.22). აფრიკატები: ასპირაცია (2.20) — გლოტალიზაცია (1.62) — მქლერობა (0.57). ნაპრალოვნები: სიყრუე (6.19) — მქლერობა (1.98).

ამ მონაცემების მიხედვით. გამოიყოფა იბერიულ-კავკასიური ფონემური ტიპის ორი ძირითადი ფუნქციონალური მახასიათებელი: ა) ხშულთა კლასში მქლერ ფონემათა ყველაზე მაღალი სიხშირე და ბ) განსხვავებული სიხშირული მიმართებულები მქლერ და ყრუ ფონემებს შორის, ერთი მხრივ, ხშულთა და, მეორე მხრივ, ნაპრალოვანთა და აფრიკატთა კლასებში. ამ ფუნქციონალურ მახასიათებლებს იზიარებს კავკასიური არეალის ინდოევროპული ენა — ოსურიც.

ინდოევროპული ორწევრა სისტემები დიფერენციალურ ნიშანთა განსხვავებულ ფუნქციონირებას ავლენენ. აქ როგორც ხშირლთა, ისე ნაპრალოვანთა და აფრიკატთა კლასებში გვაქვს იერარქია: **ყ რ უ და ჰ ი მ უ ლ ი — მ ქ ლ ე რ ი ა რ ა დ ა ჰ ი მ უ ლ ი.**

ამრიგად, ჩვენ მიერ შესწავლილი მასალის საფუძველზე ხშირლთა, ნაპრალოვანთა და აფრიკატთა კლასებში მქლერი და ყრუ ფონემები ფუნქციონალური ურთიერთმიმართების თვალსაზრისით ენათა ორი ტიპოლოგიური კლასის გამოყოფის შესაძლებლობას იძლევა:

1. როგორც ხშირლთა, ისე ნაპრალოვანთა და აფრიკატთა კლასებში ყრუ ფონემათა ფუნქციონალური ძალა მეტია მქლერ ფონემათა ფუნქციონალურ ძალაზე. ასეთია ინდოევროპულ ენათა უმრავლესობა.

2. ხშირლთა სისტემაში მქლერ ფონემათა ფუნქციონალური სიმძლავრე აღემატება ყრუ ფონემათა ფუნქციონალურ სიმძლავრეს, ნაპრალოვანთა და აფრიკატთა სისტემებში კი საპირისპირო მიმართებას აქვს ადგილი. ამ ტიპს ეკუთვნის იბერიულ-კავკასიურ ენათა დიდი უმრავლესობა. ამასთან, როგორც ჩანს, იგი კავკასიური ენებით არ ამოიწურება. ფონეტიკურ აღწერათა მიხედვით ამ ტიპს უნდა მიეკუთვნებოდნენ ენები: ნიებური (44), ღუნგანური (51), კიოვა-აბაჩე (81), ჰეირი (117). ყველა ამ ენაში არადაჰიმულნი ნაპრალოვნები ხასიათდება როგორც მქლერები, ხშირლები კი როგორც სუსტი. მქლერობის მქონე, ან საერთოდ არამქლერი ფონემები.

თეორიულად შესაძლებელი დანარჩენი ორი ტიპის სისტემები ფაქტობრივ დადასტურებული არ არის: ე. ი. დადასტურებული არ არის ა) სისტემები, სადაც მქლერი ფონემების ფუნქციონალური ძალა აღემატება ყრუთა ფუნქციონალურ ძალას მთელი სისტემის ფარგლებში (ე. ი. როგორც ხშირლ, ისე აფრიკატ და ისე ნაპრალოვან ფონემათა კლასებში) და ბ) სისტემები, სადაც მქლერთა ფუნქციონალური სიმძლავრე ყრუთა სიმძლავრეზე მაღალი იქნებოდა ნაპრალოვან და აფრიკატ ფონემათა კლასებში და დაბალი — ხშირლთა კლასში.

თუ დავაკვირდებით ხშირლთა კლასში მიღებულ იერარქიულ რიგებს: მქლერი დაჰიმული—ასპირირებული არადაჰიმული—გლოტალიზებული (იბერიულ-კავკასიური ტიპი) და ყრუ დაჰიმული — მქლერი არადაჰიმული (ინდოევროპული ტიპი), შევამჩნევთ, რომ ლარინგალური არტიკულაციის ნიშნის ადგილი ფუნქციონალურ იერარქიაში არ არის დამოკიდებული დიფერენციალურ ნიშანთა ისეთ კომპონენტებზე, როგორიცააა მქლერობა და სიყრუე (ინ-

დოევროპულ სისტემებში ყრუ ფონემებს აქვთ დომინანტური ადგილი სისტემაში, იბერიულ-კავკასიურ სისტემებში — მჟღერებს). სამაგიეროდ, იგი კავშირში ჩანს ისეთ კომპონენტთან, როგორცაა დაქიმულობის ხარისხი (ორივე ტიპში დომინანტურ ადგილს იერარქიაში იკავებს დაქიმული არტიკულაციის მქონე ფონემათა კლასები). ამ კორელაციას, სხვა ფონეტიკურ-ფუნქციონალურ მიმართებებთან ერთად, განვიხილავთ შემდეგ, ნაშრომის დასკვნით ნაწილში.

დისტრიბუციული მიმართებები. ფონემათა დისტრიბუციულ მიმართებათა ანალიზი სიხშირულ მიმართებათა ანალოგიურ სურათს გვიჩვენებს. განხილული ტიპის ყველა დისტრიბუციულ მიმართებათა გათვალისწინება ვერ მოხერხდა. სანიჟუშოდ განვიხილავთ ქართული ენის მასალას.

ქართულ ენაში მჟღერ ხშულთა დისტრიბუციული ძალა, ანუ ვალენტობა, სწარბობს ასპირირებულ და გლოტალიზებულ ხშულთა დისტრიბუციულ ძალას, ხოლო აფრიკატთა და ნაპარალოვანთა კლასში ყრუ ფონემათა დისტრიბუციული ძალა აღემატება მჟღერ ფონემათა დისტრიბუციულ ძალას. ეს კარგად ჩანს იმ გამოკვლევების მიხედვით, რომლებიც ფონოლოგიური აღწერის ფ. ჰერარისა და პ. პეიპერის მიერ შემუშავებულ მოდელს იყენებენ (15; 25; 19). ერთ-ერთი ასეთი გამოკვლევის მიხედვით ქართული ენის ჩქამიერები სისრულის ხარისხის (დისტრიბუციული ძალის) თვალსაზრისით ასე ზასიათდება (მოგვყავს ირ-ს მნიშვნელობები 25, 56).

ბ 33	ფ 13	ჰ 10
დ 23	თ 21	ტ 18
გ 21	ქ 17	კ 17
ძ 16	ც 17	წ 15
ჭ 12	ჩ 13	კ 12
ზ 19	ს 31	
ჟ 10	შ 21	
ღ 17	ხ 22	

შესაძლებელია მივეთითოთ პოზიციებზე, სადაც ქართველურ ენებსა და დიალექტებში დასაშვებია მჟღერი ხშულები და აკრძალულია ყრუ ხშულები. ასეთია, მაგალითად, თანამედროვე ქარ-

თულ სალიტერატურო ენაში აქცესიური კომპლექსის მეორე წევრის პოზიცია. ამ პოზიციაში დაუშვებელია ყრუ ხშულები და დასაშვებია მჟღერები (დასაშვებია კომპლექსები ყბ, ყდ, კბ, ტბ თბ, დც, ჰდ წბ და მისთ. დაუშვებელია ყპ, კპ, თფ და მისთ). როგორც გ. ახვლედიანმა უჩვენა, სვანურში, ქართული ენის მთის კილოებში, ოსურში, მოქმედებს ერთი მორფემის ფარგლებში ორი გლოტალიზებული თანხმოვნის დაძლევის ტენდენცია. მიმდევრობა: გ ლ ო ტ ა ლ - ზ ე ბ უ ლ ი — ხ მ ო ვ ა ნ ი — გ ლ ო ტ ა ლ ი ზ ე ბ უ ლ ი იცვლება მიმდევრობით მჟღერი — ხ მ ო ვ ა ნ ი — გ ლ ო ტ ა ლ ი ზ ე ბ უ ლ ი. ამ პროცესს გ. ახვლედიანმა დისიმილაციური გამჟღერების პროცესი უწოდა (3). ვფიქრობთ, რომ დისიმილაციური გამჟღერების წესი ქართველურ ენათა ფონეტიკური სტრუქტურის ერთ-ერთი უძველესი წესია, იგი აშკარად მოქმედ პროცესს წარმოადგენს ძველ ქართულში, ხოლო საერთო-ქართველურ რეკონსტრუირებულ ძირთა ანალიზი ავლენს საერთო-ქართველურში CVC ტიპის ძირებში ჩქამიერ ფონემათა შეერთების შემდეგ შეზღუდვას: დაუშვებელია ერთი ძირის ფარგლებში ხმოვნით გათიშული ორი გლოტალიზებული თანხმოვნის არსებობა, მაშინ როდესაც ტიპები: მჟღერი — ხ მ ო ვ ა ნ ი — გ ლ ო ტ ა ლ ი ზ ე ბ უ ლ ი და გ ლ ო ტ ა ლ ი ზ ე ბ უ ლ ი — ხ მ ო ვ ა ნ ი — მჟღერი ყველაზე გავრცელებულია.

გადახრები ძირითად სიხშირულ მიმართებათაგან. ხშულთა კლასში გადახრებს კანონზომიერი ხასიათი აქვს. მიმართება: მჟღერი ხშულის სიხშირე სჭარბობს ყრუ ასპირირებული ხშულის სიხშირეს — ძირითადად ველარულ რიგებში ირლევვა¹⁸.

ნაპრალოვანთა და აფრიკატთა კლასებში გადახრები უფრო ხშირია და ნაკლებ სისტემური ხასიათისაა, ვიდრე ხშულთა კლასში. ეს შეესაბამება იმ მოვლენას, რომ ხშულთა კლასი ყველაზე სტაბილურია სიხშირეების განაწილებაში.

ჩვენი მასალის მიხედვით, ნაპრალოვანთა კლასში მიმართება: ყრუ ფონემათა სიხშირე სჭარბობს მჟღერ ფონემათა სიხშირეს, დარ-

¹⁸ ამის შესახებ დაწერილებით გვექნება მსჯელობა მომდევნო პარაგრაფში.

ღვეულია: ა) სისინა რიგში — ახვახურსა და თაბასარანულში, ბ) შიშინა რიგში — კუბაჩურსა და დიდოურში; გ) ველარულ რიგში — თაბასარანულში.

აფრიკატთა კლასში ეს მიმართება დარღვეულია მხოლოდ შიშინა რიგში სვანურსა და თაბასარანულში. როგორც სისინა, ისე შიშინა რიგში — მეგრულსა¹⁹ და ჭანურის ხოფურ კილოკაეში, აფრიკატთა ფარინგალურ და ლატერალურ რიგებში ეს მიმართება არა თუ არ ირღვევა, არამედ უკიდურესად მკაცრად არის გატარებული: ამ რიგებში მყდერ ფონემათა პოზიცია იმდენად სუსტია, რომ, როგორც წესი, მათ ადგილას ხარვეზები გვაქვს.

გადახრათა შემთხვევები ნაპრალოვანთა კლასში შესაძლებელია ინტენსივობის (გემინაციის) კორელაციის არსებობას დაუკავშირდეს. ჩვენ მიერ მოყვანილ ყველა მერყევი სისტემის მქონე ენას აქვს, ან ჰქონდა (დიდოური) ინტენსივობის კორელაცია. ჯერ კიდევ ნ. ტრუბეცკოიმ გამოავლინა ამ კორელაციასთან დაკავშირებული მრავალრიცხოვანი გადასვლები, რომელთაც შესაძლებელია მიეწეროს ნაპრალოვანთა კლასში სიხშირულ მიმართებათა შეცვლა (173, 7-36)²⁰.

ამას გარდა, მარტივი არ არის ინტენსივობის კორელაციის ადგილის განსაზღვრა. მაგალითად, ნაპრალოვანთა სისტემაში ინტენსივობის კორელაციის მქონე ექვსი ენიდან, რომელთა ფონემების სიხშირეების განაწილება ჩვენთვის ცნობილია, სამში სისინა რიგში გემინირებული ნაპრალოვნის სიხშირე სჭარბობდა არაგემინირებულისას (ლაკური, ანდიური, ახვახური), სამში კი პირიქით, არაგემინირებულთა სიხშირე სჭარბობდა გემინირებულთა სიხშირეს (ბოთლიხური, თაბასარანული, კუბაჩური), ასეთ პირობებში, ახვახური ენის ვითარება, სადაც მყდერი ნაპრალოვანი /ხ/-ს სიხშირე სჭარ-

¹⁹ მეგრულის შიშინა რიგში /ჰ/ და /ჩ/ ფონემათა სიხშირე თითქმის ტოლია.

²⁰ დაწერილებით ეს პროცესები შესწავლილია ტ. გუდავას მონოგრაფიაში (37, 82-115). ჩვენ მიერ შენიშნულ გადახრათა ასახსნელად, მაგალითად, შესაძლებელია, მოვიყვანოთ შემდეგი პროცესები: ახვახურში ამოსავლი სუსტი /*ხ/ და /*ს/ გადასულია შიშინა /ქ/ და /შ/-ში. სისინა ნაპრალოვანთა ადგილი ამჟამად ძირითადად ნასესხებ სიტყვათა გზით არის შევსებული (იხ. 57, 28-29). ამასთან, ტ. გუდავას ცნობით, ნასესხები სიტყვების /ს/ ახვახურში მფარვი /ს/-ს სახით გამოდის, რამდენადაც ამ ბგერის პოზიცია ვაცილებით მტკიცეა ახვახურში. დიდოურში მოქმედებდა ისტორიულად ყრუ სუსტი ნაპრალოვნების გამჟღავნების ტენდენცია, რომელიც შიშინა რიგში უფრო გავრცელებული ჩანს, ვიდრე სისინა რიგში. ხუნძურ-ანდიურ ენათა /შ/-ს დიდოურში მყდერი /ც/ შეესატყვისება (37, 83-84, 156-157).

ბობს სუსტი ყრუ /ს/-ს სიხშირეს, მაგრამ ნაკლებია ძლიერი ყრუ /სა/-ს სიხშირეზე, შესაძლებელია, არც ჩაითვალოს გადახრად ძირითადი წესიდან.

გარკვეული მნიშვნელობა შესაძლებელია ჰქონდეს იმასაც, რომ ნაპრალოვანთა კლასში გადახრის მქონე არც ერთ ენას არ მოეპოვება შესაბამისი მელერი აფრიკატები. მელერ აფრიკატთა დეზაფრიკაციზაციის შედეგად მელერ ნაპრალოვანთა სიხშირის ზრდას შეეძლო გამოეწვია ამ ფონემათა და შესაბამის ყრუ ნაპრალოვანთა სახშირული მიმართების შეცვლა.

სენანურისა და თაბასარანულის აფრიკატთა სისტემებში გადახრა შიშინა რივში შესაძლებლად მიგვაჩნია ხშულთა აფრიკატიზაციის პროცესს მივაწეროთ, რომელიც ორივე ამ ენაში არის დადასტურებული. გააფრიკატებული ხშულები იწვევენ ხშულთა კლასში გაბატონებული მიმართების გავრცელებას აფრიკატთა კლასზე.

მეგრულ-ჭანურში ცვლილებები აფრიკატთა კლასში, სავარაუდოა, საერთო პროცესების შედეგი იყოს. /ჟ/-ს სიხშირის ზრდის ერთი წყარო შესაძლებელია რ > ჟ პროცესი ყოფილიყო²¹. მაგრამ იგი ვერ ხსნის ცვლილებათა მთელ ერთობლიობას, რადგან მიმართება: ყრუს სიხშირე მეტია მელერის სიხშირეზე — დარღვეულია სინთა აფრიკატთა რიგშიც.

ყოველი გადახრის მიზეზის დადგენა, ცხადია, ჩვენს ძალებს აღემატება. მაგრამ ვფიქრობთ, რომ შემთხვევათა დიდ წილში ისინი დიაქრონიულ პროცესთა შედეგია და, ამდენად, შესაძლებელია სტიმული მისცენ ამ პროცესთა ძიებას.

3. მელროპისა და სიყრუის ნიშნების მიმართება ლოკალურ რიგებთან ხშულთა კლასში

ჩვენ მიერ შესწავლილმა მასალამ გვიჩვენა, რომ ლოკალური რიგებს ურთიერთმიმართება არ არის ერთგვარი მელერ და ყრუ ფონემათა კლასებში. ამ საკითხის გაანხილვისას ჯერ ცარიელ უჭრედთა განაწილების შესწავლის შედეგად მიღებულ სურათს წარმოვადგინოთ, ხოლო შემდეგ სიხშირული და დისტრიბუციული მიმართებების შესახებ გვექნება მსჯელობა.

პარადიგმატულ სისტემებში ცარიელ უჭრედთა განაწილება. ორწევრა და სამწევრა სისტემათა მქონე ენებს, რომელთაც ხარვეზი

²¹ რ . . . პროცესის ამ შესაძლებელ შედეგზე მივითითა ტ. გ უ დ ა ე ა მ.

ყრუ (ასპირირებულ ან გლოტალიზებულ) ფონემათა სერიაში აქვთ, როგორც წესი, შემდეგი სახე აქვთ:

1.	b —	2.	b p ^h —	3.	b — —
	d t		d t ^h ṭ		d t ^h ṭ
	g k		g k ^h ḳ		g k ^h ḳ

პირველი ტიპის სისტემა აქვს, მაგალითად: ქაიროს არაბულ დიალექტს, ძველ სამწერლო მონგოლურს, ბურიატულს, ყალმიკურს, იორუბას, ნამას.

გლოტალიზებულ სერიაში ხარვეზი აქვთ შემდეგ ენებს: ანდიურს, ახვახურს, ბაგვალალურს, ბოთლიზურს, რუთულურს, ტინდიურს, ლოდობერიულს, ხუნძურს, ჰინალულურს (იბ.-კავკ. ენები), ჰაიდას, აპაჩეს, იტონამას, დასავლეთის მივოკს, ნავახოს, კიოვა-აპაჩეს, ჩიპევას, კუჩინს, ჰარეს, ბივერს, სარცეს, გალიცეს, ჰუპას. მატოლეს, კატოს, ოტომის, ლიპანს, სან-კარლოსს, იკარილას, ჩირიკაპუას (ამერიკის ინდიელთა ენები), ტიგრინას, ბილინის (ყუშიტური ენები).

მესამე ტიპის სისტემა (ხარვეზით გლოტალიზებულ და ასპირირებულ სერიებში) აქვთ შემდეგ ენებს: ნავახოს, ჩიპევას, კუჩინს, ჰარეს, ბივერს, კარიერს, სარცეს, გალიცეს, ჰუპას, მატოლეს, კატოს, ლიპანს, სან-კარლოსს, იკარილას, ჩირიკაპუას, კიოვა-აპაჩეს, ტიგრინას, საპოს²².

ამ რიგად, გლოტალიზაციისა და ასპირაციის ნიშნები გაცილებით უფრო შეზღუდულია ლაბიალობის ნიშანთან კომბინირების თვალსაზრისით, ვიდრე ველარობის ნიშანთან კომბინირების თვალსაზრისით.

საპირისპირო მოვლენა: ლაბიალურ რიგში ასპირირებული ან გლოტალიზებული წვევრის არსებობის შემთხვევაში ველარული რიგის შესაბამისი წვევრის კლებისა — დადასტურებული არა გვაქვს, თუ არ ჩავთვლით ადიღურსა და ყაბარდოულ ენებს, რომლებშიც ველარული რიგი მთლიანად პალატალიზებული და ფერიკატიზებულია, მაგრამ არსებობს წინაველარული ლაბიალიზებული ხშულები. მხოლოდ ერთ ენას, ბურიატულს, აკლია ველარული ასპირირებული

²² საპოსა და ტიგრინას ჩვენს ხელთ არსებულ აღწერათა მიხედვით არ ჩანდა, ორი ყრუ სერიიდან ერთ-ერთი ასპირირებულია თუ არა. მეორე სერიის გლოტალიზებულობა ეჭვს არ იწვევს.

წევრი ლაბიალურ ასპირირებულთან ერთად, ხოლო ისეთი ენა, რომელსაც საერთოდ ველარული რიგის არსებობის შემთხვევაში არ ექნებოდა გლოტალიზებული წევრი, თუნდაც ლაბიალურ რიგებში შესაბამისი წევრი არ ყოფილიყო, არ შეგვხვედრია. იმ იშვიათ შემთხვევებში (ადილური, ყაბარდოული ენები), როდესაც არა გვაქვს ამ ნიშანთა კომბინაცია ველარულ რიგთან, მაგრამ გვაქვს ლაბიალური ასპირირებული და გლოტალიზებული ფონემები, ველარული რიგი საერთოდ არ არსებობს. აქ სულ სხვა კანონზომიერება მოქმედებს: ველარული ასპირირებული და გლოტალიზებული მარტივი ფონემების არ არსებობის საფუძველია არა ამ ნიშანთა ურთიერთშეზღუდვა, არამედ ველარული რიგის მთლიანი პალატალიზაციის სპონტანური პროცესი.

საგულისხმოა, რომ ასპირირებული და გლოტალიზებული ფონემები ერთ კანონზომიერებას ავლენენ. ამდენად, შესაძლებელია ამ კანონზომიერების შემდეგი სახით ჩამოყალიბება:

1. თუ x ულთა სისტემაში არსებობს საერთოდ ველარული რიგი და ყრუ ასპირირებულან გლოტალიზებულ ფონემათა კლასი ხარვეზინია, ცარიელი უჭრა გვექნება ლაბიალურ რიგში²³.

ზემომოყვანილი მასალის საფუძველზე შესაძლებელია კიდევ ერთი განზოგადების წარმოდგენა. თუ ჩვენთვის ცნობილ რომელიმე სამწევრა ხშულთა სისტემას აკლდა ასპირირებული წევრი, მას არ ჰქონდა არც გლოტალიზებული წევრი, მაგრამ არა პირიქით: გლოტალიზებული ლაბიალური ფონემის არსებობა დამოუკიდებელი იყო სისტემის სხვა ფონემათაგან. ამიტომ:

2. თუ ასპირაციისა და გლოტალიზაციის დაპირისპირებათა მქონე ხშულთა სისტემას აკლია ასპირირებული წევრი, მაშინ მას არ ექნება არც გლოტალიზებული წევრი.

ამრიგად, გლოტალიზაციის ნიშანი კიდევ უფრო შეზღუდულია ლაბიალობის ნიშანთან კომბინირების თვალსაზრისით, ვიდრე ასპირაციის ნიშანი.

²³ გლოტალიზებულ ფონემათა სერიაში ლაბიალური ფონემის ადგილას ხარვეზის არსებობის ტენდენცია შემჩნეული აქვს ჯ. ვრინბერგს (103, 127).

საპირისპირო მიმართება არსებობს მჟღერ ფონემათა კლასში. ამასთან, არა აქვს მნიშვნელობა, როგორი სისტემის წევრება არიან ეს მჟღერი ფონემები: მარტივ ყრუ ფონემებს უპირისპირდებიან ისინი, თუ ყრუ ასპირირებულებს, მჟღერ ფონემათა სერია ფუნქციონალური თვალსაზრისით ძლიერია თუ სუსტი. თუ სისტემაში ხარვეზი არის ფონეტიკურად მჟღერობის რაიმე ხარისხის მქონე კლასში, ეს ხარვეზი გვექნება არა ლაბიალურ, არამედ ველარულ ფონემათა კლასში. ამრიგად, სისტემებს, რომელთაც ხარვეზი აქვთ მჟღერ ფონემათა კლასში, შესაძლებელია მხოლოდ ასეთი სახე ჰქონდეს:

(4) ორწევრა სისტემები (5) სამწევრა სისტემები

b p
d t
— k

b p p
d t t
— k k

მეოთხე ტიპის სისტემა აქვს შემდეგ ენებს: ჰოლანდიურს, ჩეხურს, უკრაინულს, ბელორუსულს, ჩეუანურს, მარიულს, კეტურს, ნენეცურს, ალაბამას, კოასატის, ჩოკტავს, სუის.

მეხუთე ტიპის სისტემათა მქონე ენებია: სოთო, ტაის ენა, იანა, სნოკუალმიკი, ცელტალი, დუვამიში.

ოთხწევრა სისტემები ხარვეზით მჟღერი ველარის ადგილას აქვს ენებს: ვინტუ, პატეინი, ტბის მოვოკი, აღმ. პომო, კაშაია.

არც ამ კანონზომიერებას აქვს გამონაკლისი, გარდა ენათა ძალიან მცირე რიცხვისა, რომელთაც ლაბიალური რიგი საერთოდ არა აქვთ. ჩვენთვის ცნობილია ორი ასეთი ენა: ტლინგიტი და ტილაპუკი²⁴. ამიტომ ეს განზოგადებაც ასეთ სახეს მიიღებს:

3. თუ ხ მ უ ლ თ ა ს ი ს ტ ე მ ა შ ი ა რ ს ე ბ ო ბ ს ს ა ე რ თ ო დ ლ ა ბ ი ა ლ უ რ ი რ ი გ ი დ ა მ ჟ ლ ე რ ფ ო ნ ე მ ა თ ა კ ლ ა ს ი ხ ა რ ვ ე ზ ი ა ნ ი ა, ც ა რ ი ე ლ ი უ ჯ რ ე დ ი ვ ე ლ ა რ უ ლ რ ი გ შ ი გ ვ ე ქ ნ ე ბ ა.

ლაბიალურ და ველარულ რიგებში ხარვეზის ქონის ტენდენცია განსხვავებული ტიპის სისტემებს უჩანთ. პირველ ტიპს ახასიათებს ასპირაციის, ან ასპირაციისა და გლოტალიზაციის ოპოზიციები. ხო-

²⁴ ამ ენებში ლაბიალური რიგის კლებას რ. ი ა კ ო ბ ს ო ნ ი ბ ა გ ე ე შ ი სამაულების ტარების ჩვეულებით ხსნის (122, 357).

ლო ველარულ რიგში ხარვეზის არსებობა მქედრობა-სიყრუის და-
პირისპირების მქონე ენებს უფრო ახასიათებს. აღსანიშნავია, რომ
ლაბიალურ კლასში ხარვეზის ქონის თვალსაზრისით უფრო მკაცრად
შეზღუდულ კლასს ვიღებთ, ვიდრე ველარულ კლასში ხარვეზის არ-
სებობის თვალსაზრისით. /g/ ფონემა პირველი ტიპის სისტემებსაც
შეიძლება აკლდეს. ამდენად, მკაცრი ზღვარი ამ ორი ტიპის სისტე-
მათა შორის არ არსებობს. არსებობს სისტემები, რომელთაც ხარ-
ვეზი ერთდროულად აქვთ როგორც ყრუ, ისე მქედრ ფონემათა
კლასში. შერეული ტიპის არსებობა მეორე ტიპის ნაკლები შეზღუ-
დულობის შედეგი უნდა იყოს. ასეთია, მაგალითად, კლასიკური არა-
ბულის ორწევრა სისტემა:

b —
d t
— k

და იტონანასა და დასავლეთის მიეოკის სამწევრა სისტემები:

b p —
d t t̥
— k k̥

რაც შეეხება დენტალურ რიგს, იგი ცარიელ უკრათა განაწილე-
ბის თვალსაზრისითაც, ისევე როგორც სიხშირისა (141; 106, 103-
104) და დისტრიბუციულ მიმართებათა თვალსაზრისით (36, 62),
ძირითადი ჩანს ლოკალურ რიგებს შორის. შესაძლებელია ითქვას,
რომ:

4. დ ე ნ ტ ა ლ უ რ ი რ ი გ ი ს ფ ო ნ ე მ ა თ ა რ ა ო დ ე ნ ო ბ ა
მ ე ტ ი ა ა ნ ტ ო ლ ი ა ს ხ ვ ა რ ი გ ი ს ფ ო ნ ე მ ა თ ა რ ა ო დ ე
ნ ო ბ ი ს ა . ე . ი . თ უ ზ შ უ ლ თ ა ს ი ს ტ ე მ ა შ ი ა რ ს ე ბ ო ბ ს
რ ა ი მ ე დ ი ფ ე რ ე ნ ც ი ა ლ უ რ ი ნ ი შ ა ნ ი , ე ს ნ ი შ ა ნ ი
ი ქ ნ ე ბ ა დ ე ნ ტ ა ლ უ რ რ ი გ შ ი .

ამ კანონზომიერებიდან გამონაკლისს წარმოადგენს ჩ. ჰოკეტის
„ფონოლოგიის სახელმძღვანელოში“ მოყვანილი სამი ენა: კოახატი,
ალაბამა, ჩოკტავე (113, 108) და შარიული ენა თავისი ორი დიალექტ-
ტით (55a, 225, 242)²⁵, რომელთა ხშულთა სისტემებს ასეთი სახე
აქვთ: b, p, t, k. შესაძლებელია ჩამოვაყალიბოთ ასეთი წესი გამო-

²⁵ d და g ამ ენაში სპირანტიზებულია.

ნაკლისებისათვის: თუ დენტალურ რიგში არ არის მქდერი წვერი, მაშინ შესაბამისი წვერი არ იქნება ველარულ რიგში²⁶.

სიხშირული მიმართებები. ვნახოთ, უქერს თუ არა მხარს ზემოთ მოყვანილ განზოგადებებს სიხშირულ მიმართებათა ანალიზი.

განვიხილოთ ლაბიალური და ველარული რიგების სიხშირული ურთიერთმიმართება ორივე ტიპის ენათა მონაცემების საფუძველზე. პირველი ტიპის ენათა ნიმუშად გამოდგება იბერიულ-კავკასიური ენები. ამ ენათა ხშულთა სისტემებში, როგორც ვნახეთ, არსებობს ფუნქციონალური იერარქია: მქდერი დაქიმული — ასპირირებული არადაქიმული — გლოტალიზებული. მეორე ტიპს მიეკუთვნება ინდოევროპულ ენათა უმეტესობა. აქ მქდერი ფონემების სიხშირე ნაკლებია ყრუ ფონემათა სიხშირეზე. გვაქვს ფუნქციონალური იერარქია: ყრუ დაქიმული — მქდერი არადაქიმული.

კავკასიურ და ინდოევროპულ ენებში ლოკალური რიგების საერთო სიხშირული მიმართება ასეთია:

	კავკასიური ენები	ინდოევროპული ენები
ლაბიალური რიგი:	3.48	3.97
დენტალური რიგი:	3.61	9.50
ველარული რიგი:	4.46	4.73

ლოკალური რიგებისა და ლარინგალური არტიკულაციის ნიმუშების ურთიერთმიმართების გარკვევისათვის მოგვყავს ხშულთა კლასის ცალკეულ ფონემათა საშუალო სიხშირული მონაცემები:

კავკასიური ენები		
ბ 2,73	ფ 0,57	პ 0,18
დ 3,95	თ 1,85	ტ 0,81
გ 1,69	ქ 1,54	კ 1,23
ინდოევროპული ენები		
p 2,75	b 1,22	
t 6,36	d 3,14	
k 3,66	g 1,07	

²⁶ კავიურის სისტემა, მოყვანილი ჩ. კოკეტთან, დენტალური ფონემის ადგილას ხარვეზს შეიცავს მარტივ ყრუ ფონემათა სერიაშიც. მას შემდეგი სახე აქვს: p, k; ამდენად იგი გამოჩაქის წარმოადგენს მოყვანილი განზოგადებულად.

ამ მონაცემების საფუძველზე ჩანს, რომ საერთოდ ველარული რიგის სიხშირე სკარბობს ლაბიალური რიგის სიხშირეს²⁷, მაგრამ მჟღერი და ყრუ ფონემათა კლასების ცალცალკე განხილვისას ვიღებთ, რომ ყრუ ველართა სიხშირე სკარბობს ყრუ ლაბიალთა სიხშირეს, ხოლო მჟღერ ველართა სიხშირე. პირიქით, ნაკლებია მჟღერ ლაბიალთა სიხშირეზე. ეს სამართლიანია ორივე განხილული ტიპის სისტემისათვის. მიმართება: „ყრუ ველარულის სიხშირე სკარბობს ყრუ ლაბიალის სიხშირეს“, — ვრცელდება როგორც მარტივ ყრუ ფონემებზე, ისე დამატებითი ნიშნების მქონე ფონემებზე: ყრუ ასპირირებულებზე, ყრუ გლოტალიზებულებზე. ასევე, მიმართება „მჟღერი ლაბიალის სიხშირე სკარბობს მჟღერი ველარის სიხშირეს“ ვრცელდება როგორც მარტივ მჟღერ, ისე მჟღერ ასპირირებულ და მჟღერ იმპლოზიურ ფონემებზე. ამდენად, სრული შესაბამისობა გვაქვს ცარიელი უჯრების განაწილებასთან.

ცარიელ უჯრათა განაწილებასთან შესაბამისობა არსებობს იმ თვალსაზრისითაც, რომ გლოტალიზებული ლაბიალის სიხშირე ყოველთვის ნაკლებია ასპირირებული ველარის სიხშირეზე (ფ—0.57; კ—0.18).

ამრიგად, ერთი სისტემის ფარგლებში თანაარსებობის შემთხვევაში გლოტალიზაცია ფუნქციონალური ეარაქიაში უფრო პერიფერიულ ადგილს იჭერს, ვიდრე ასპირაცია. ეს ეთანხმება იმ ფაქტსაც, რომ საერთოდ ენებში ასპირაციის ნიშანი უფრო ხშირია, ვიდრე გლოტალიზაციის ნიშანი, ამდენად საფუძველი გვაქვს გლოტალიზაცია უფრო სუსტ ნიშნად მივიჩნიოთ ფუნქციონალური თვალსაზრისით, ვიდრე ასპირაცია. ოღონდ უნდა გავითვალისწინოთ, რომ თვით ამ ნიშნებს შორის იმპლიკაციური კავშირი არ არსებობს, ისინი ურთიერთდამოუკიდებელნი არიან. გლოტალიზაციის ნიშანი წინაპირობად არ გულისხმობს იმავე სისტემაში ასპირაციის ნიშნის არსებობას.

ლოკალური რიგების შემოთ წარმოდგენილ მიმართებებს ვიღებთ დადასტურებული და თეორიული სიხშირეების შედარებისასაც.

²⁷ ეს მონაცემები ეწინააღმდეგება რ. იაკობსონის დებულებას, რომლის თანახმადც ლაბიალური რივი ველარულთან მიმართებით არამარკირებულია (122, 328-401).

პ. გიროს მოჰყავს ინდოევროპულ ენათათვის თეორიული სიხშირე-ები, რომლებიც მიიღება დიფერენციალურ ნიშანთა სიხშირეების გადაზრავლებით (106, 104).

	დადასტ.	თეორ.	დადასტ.	თეორ.
p	2,75	— 2,80	b	1,22 — 1,20
k	3,66	— 3,35	d	1,07 — 1,41

ყრუ ლაბიალის დადასტურებული სიხშირე ნაკლებია თეორიულ სიხშირეზე, მჟღერი ლაბიალისა კი — მეტია; ველარულ რიგში, პირიქით, ყრუ ველარის სიხშირე თეორიულად მოსალოდნელზე მეტია, მჟღერი ველარისა კი — ნაკლები.

რომელ ფონეტიკურ ნიშანს უკავშირდება გამოვლენილი კანონზომიერება: მჟღერობა-სიყრუის, დაჭიმულობის, ასპირაციისა თუ გლოტალიზაციის ნიშანს?

დაჭიმულობის ნიშანთან ამ მიმართების დაკავშირების საკითხი გამორიცხულად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან 1. იბერიულ-კავკასიური ასპირირებული ყრუები არადაჭიმული არტიკულაციით ხასიათდება, მჟღერები კი ასპირირებულ ფონემებთან შედარებით უფრო დაჭიმული არტიკულაციით (16,90-102) და აკუსტიკური თვალსაზრისით მეტი ინტენსივობით ხასიათდებიან²⁸. ასე რომ, დაჭიმულობის (resp. ინტენსივობის) ხარისხის თვალსაზრისით, იბერიულ-კავკასიურ ენებში ხშულები ასე დალაგდება: გლოტალიზებულები — მჟღერები — ასპირირებულები. ჩვენთვის საინტერესო მიმართება კი განასხვავებს მჟღერ ფონემათა კლასს ასპირირებულ და გლოტალიზებულ ფონემათაგან. 2. ისეთ ენებში, სადაც ასპირაციისა ან გლოტალიზაციის ნიშნის მქონე ფონემათა რიგებს უპირისპირდება მარტივი ყრუ არადაჭიმული რიგი, რომელსაც მჟღერობა არაერთარი ხარისხით არ გააჩნია, ეს რიგი ველარულ და ლაბიალურ ფონემათა ისეთსავე მიმართებას გვიჩვენებს, როგორც ყრუ ფონემებს აწასიათებს. მოგვყავს ამ ტიპის ენების მონაცემები²⁹.

²⁸ ამას მოწმობს, მაგალითად, ენათმეცნიერების ინსტიტუტის ექსპერიმენტული ფონეტიკის ლაბორატორიაში ნ. ი მ ნ ა ძ ი ს მიერ ჩატარებული მეგრული ენის ოსცილოგრაფიული ანალიზი. მ. ჰ ა ლ ე ს დაკვირვებით, ნახევრადმჟღერი ბგერები, სრული მჟღერობის მქონე ბგერათა საპირისპიროდ, დაჭიმული არტიკულაციით ხასიათდებიან. მ. ჰალეს ეს ნაშრომი გამოუქვეყნებელია, მოგვყავს პ. პოლტალის ნაშრომის მიხედვით (153, 78).

²⁹ სიხშირული მონაცემები აღებულია შემდეგი ნაშრომებიდან: გ. ციბი-ფის (191, 68, 71) კანტონისა და პიპინგის ჩინურისათვის, ჟ. გრიზპერგის (100, 16) კუსისა და იუროკისათვის.

	p	t	k	p ^h	t ^h	k ^h	პ	ტ	კ
კანტონის ჩინური	1,57	6,14	8,70	0,36	1,03	0,50			
პაინგის ჩინური	2,37	6,18	2,58	0,56	2,56	1,02			
კუსი	0,27	2,37	0,38				0,00	0,11	0,10
იუროკი	0,83	1,43	3,83				0,10	0,02	1,01

ასპირაციის ნიშანიც ასევე ვერ მიიჩნევა მიმართებათა ერთი რიგის საფუძვლად, რადგან ისეთ ენებში, სადაც არსებობს მკლერი ასპირირებული ფონემები, ფონემათა ეს რიგი ინაწილებს მკლერთათვის დამახასიათებელ კანონზომიერებას. სანიმუშოდ მოგვყავს ბენ-გალიური ენის ფონემათა სიხშირული მიმართებანი (165).

b	4,40	bh	0,84	p	1,73	ph	0,21
d	2,88	dh	0,42	t	3,87	th	0,52
g	1,83	gh	0,25	k	6,54	kh	2,06

ასევე, გლოტალიზაციის მკლერობასთან შეერთების შემთხვევაში ვიღებთ ნიშანს — იმპლოზიურობას, რომელიც აგრეთვე მკლერთათვის დამახასიათებელ კანონზომიერებას ავლენს, ოღონდ უკიდურესი სახით: არსებობს სისტემები ლაბიალური და დენტალური მკლერი იმპლოზიური ხშულებით, მაგრამ ასეთ სისტემებს, როგორც წესი, აკლია ველარული მკლერი იმპლოზიური ხშული (103, 128). მკლერი იმპლოზიური ველარის ადგილს ხშირად ყრუ გლოტალიზებული ველარი იკავებს (მაგ. აფრიკის ენა ჰაუსაში).

ამდენად, უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ ლოკალურ რიგთა ეს ორი საპირისპირო მიმართება უკავშირდება მკლერობა-სიყრუის ფონეტიკურ ნიშანს და არა დაჭიმულობის, ასპირაციის ან გლოტალიზაციის ნიშნებს.

ასპირაციისა და გლოტალიზაციის ნიშნები ცარიელ უჭრედთა განაწილების ანალიზისას უფრო მეტ მნიშვნელობას იძენენ. მართალია, ლოკალური რიგების სიხშირული ურთიერთმიმართება ორივე ტიპის სისტემებში ერთგვარია, მაგრამ ლაბიალურ რიგში ცარიელი უჭრები გვექონდა ყრუ ასპირირებულ და გლოტალიზებულ ფონემათა კლასებში და არ გვექონდა მარტივ ყრუ ფონემათა კლასში. ამ ფაქტის დაკავშირება შესაძლებელია იმასთან, რომ ასპირაციისა და გლოტალიზაციის ნიშანთა შეერთება სიყრუის ნიშანთან, როგორც

წესი, ყრუ ფონემათა სიხშირეს ძალიან ამცირებს, იმდენად, რომ მათი სიხშირე შესაბამის მეღერათა სიხშირეზე ნაკლები აღმოჩნდება (მდრ. ინდოევრ. ენების მარტივი ყრუ ლაბიალის სიხშირე /p/ — 2,75 და იბერიულ-კავკასიურ ენათა ასპირირებული და გლოტალიზებული ლაბიალის სიხშირე /ფ/ — 0.58 და /პ/ — 0.21).

დისტრიბუციული მიმართებები. დისტრიბუციული მიმართებების შესახებ ჩვენ ძალზე შეზღუდული მასალის საფუძველზე ვმსჯელობთ. მაინც შეიძლება ითქვას, რომ დისტრიბუციული მიმართებები შეესაბამება ფონემათა სიხშირულ მიმართებებსა და ცარიელ უჯრედთა განაწილებას. ქართულ ენაში ლაბიალური მეღერი /ბ/-ს დისტრიბუციული ძალა მეტია ველარული მეღერი /გ/-ს. დისტრიბუციულ ძალაზე, ხოლო ყრუ ასპირირებული და გლოტალიზებული ლაბიალური /ფ/ და /პ/-ს დისტრიბუციული ძალა ნაკლებია შესაბამისი ველარული /ქ/ და /კ/-ს დისტრიბუციულ ძალაზე. (15; 19, 25). იაპონურ ენაში /ბ/ და /გ/ სისრულის ერთნაირი ხარისხით ხასიათდებიან, ხოლო /კ/-ს სისრულის ხარისხი მეტია /პ/-ს სისრულის ხარისხზე (111, 143—169).

ამრიგად, სამივე ფუნქციონალური კრიტერიუმის თვალსაზრისით (ცარიელ უჯრათა განაწილება, სიხშირული მიმართებები, დისტრიბუციული მიმართებები) არამარკირებულია: 1. ლაბიალური და მეღერი და 2. ველარული და ყრუ არტიკულაციების შეერთება. სპირისპიროდ, მარკირებულია: 1. ლაბიალური და ყრუ და 2. ველარული და მეღერი არტიკულაციების შეერთება.

გადახრები ძირითად სიხშირულ მიმართებათაგან. როგორც წესი, ცარიელ უჯრედთა განაწილება გაცილებით უფრო თანამიმდევრულ სურათს იძლევა, ვიდრე სიხშირული მიმართებები. ცარიელ უჯრედთა განაწილების ამსახველი წესებიდან ის მცირერიცხოვანი გამონაკლისები, რომლებიც ჩვენთვის ცნობილი იყო, ამ წესების შესახებ მსჯელობისას მოვიყვანეთ. ახლა მხოლოდ კანონზომიერ სიხშირულ მიმართებათაგან არსებულ გადახრებს შევხებით. მოგვაქვს ლოკალური რიგების სიხშირულ მიმართებათა ამსახველი ცხრილიც (ცხრილი 6, გვ. 97-98), რომელიც გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს საშუალო სიხშირულ მიმართებათა და ცალკეულ ენებში არსებულ სიხშირულ მიმართებათა ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. რაც შეეხება დისტრიბუციულ მიმართებებს, აქ

ჩვენს ხელთ ისეთი მცირე მასალაა, რომ ამ რიგის საკითხების შესახებ მსჯელობა არ ხერხდება.

1. ველარული და ლაბიალური რიგების მიმართება ყრუ ფონემათა კლასში. მიმართება: ყრუ ველარის /k/ სიხშირე სქარბობს ყრუ ლაბიალის /p/ სიხშირეს — უგამონაკლისოა როგორც მარტივ ყრუ ფონემათა, ისე ასპირირებულ და გლოტალიზებულ ფონემათა კლასებში.

რაც შეეხება მქლერთა კლასს, აქ მიმართებას: მქლერი ლაბიალის /b/ სიხშირე სქარბობს მქლერი ველარის /g/ სიხშირეს—აქვს გამონაკლისები. შებრუნებული მიმართება გვაქვს შეგრულ-ჭანურში, სვანურში, ძველ ქართულში, აფხაზურში, ბულგარულში, ბერძნულში, პორტუგალიურში, შვედურში, უნგრულში, ფილიპინურში. ამრიგად, ეს მიმართება სტატისტიკური ხასიათისაა (ჩვენთვის ცნობილი 50 ენიდან იგი დარღვეულია 11 ენაში).

გადახრა ძირითად მიმართებათაგან შესაძლებელია დიაქრონიულ პროცესებს მივაწეროთ. ამის საფუძველს გვაძლევს ის, რომ ორივე განხილული ტიპის ენებში სიხშირული მანძილი მქლერ ფონემებს შორის ნაკლებია, ვიდრე ყრუ ფონემებს შორის (ფონემათა შორის სიხშირული მანძილი უდრის ფონემათა სიხშირეების სხვაობის შეფარდებას მათ ჭამთან. მაგალითად, სიხშირული მანძილი ბ/გ უდრის /ბ/ და /გ/ ფონემების სიხშირეების სხვაობის ფარდობას მათსავე ჭამთან).

იბერიულ-კავკასიურ ენებში სიხშირული მანძილი ლაბიალურ და ველარულ ხმულეებს შორის ასეთია:

$$b/g=0.23 \quad k/p=0.46 \quad k/პ=0.70$$

ინდოევროპულ ენებში:

$$b/g=0.065 \quad k/p=0.14$$

ბუნებრივია, რომ დიაქრონიულ პროცესთა შედეგად მქლერ ფონემათა მიმართების დარღვევა უფრო ადვილად მოხდეს, ვიდრე ყრუ ფონემათა მიმართების დარღვევა.

ამას გარდა, როგორც შემდეგ ვნახავთ, შესაძლებელი ჩანს უფრო ზოგადი ახსნის შემოთავაზება, რომელიც ერთ მიზეზს მოუძებნის სხვა უნივერსალურ მიმართებათა სტატისტიკურ ზასიათსაც.

2. დენტალური რიგი. აღმოჩნდა, რომ განზოგადებას: დენტალური რიგი ყველაზე მაღალი სიხშირით ზასიათდება ლოკალურ რიგებს შორის, კიდევ უფრო მეტი გამონაკლისები აქვს, ვიდ-

რე მკლერთა კლასში ლაბიალური და ველარული ფონემების მიმართებას. მაგრამ გადახრა შესაბამისობაში აღმოჩნდა ზემოთ ჩამოყალიბებულ მიმართებებთან. მკლერთა კლასში, თუ /d/ არ ხასიათდება ყველაზე მაღალი სიხშირით, მაშინ უმაღლესი სიხშირისაა /b/. გვაქვს სიხშირული რიგი b—d—g შემდეგ ენებში: ებრაული, ქაიროს არაბული, დიდოური, ლაკური, ბენგალიური, ყრუთა კლასში კი /k/-ს სიხშირე შესაძლებელია სკარბობდეს /t/-ს სიხშირეს (გვაქვს სიხშირული რიგი k—t—p შემდეგ ენობრივ ერთეულებში: უკრაინული, ბენგალიური, იუროკი; k^h—t^h—p^h—მეგრულში, კუბაჩურში, ანდიურში, ახვახურში, თურქულში, ჩირიკაქუაში, მაიდუში, კლამათში, ბენგალიურში; k—t—p მეგრულში, ქანურში, ახ. ქართულში, ძვ. ქართულში, ხევსურულში, კუბაჩურში, დიდოურში, თაბასარანულში, ბოთლიხურში, ანდიურში, ახვახურში, ლაკურში, ბაცბურში, კლამათში, ჩირიკაქუაში). გადახვევათა ხასიათი, როგორც ვთქვით, შესაბამისობაშია ველარული და ლაბიალური რიგების მიმართებასთან: შესაძლებელია სიხშირული რიგი b—d და k—t, მაგრამ გამორიცხულია g—d და p—t.

ცხრილი 6

ლოკალური რიგების ურთიერთმიმართება ხშულთა კლასში

1. ორწევრა სისტემები მკლერონის დაპირისპირებით

	b	d	g	p	t	k
1. ინგლისური	1,81	4,31	0,74	2,04	7,13	2,71
2. პოლანდიური	1,20	4,67	0,03	1,59	7,83	3,21
3. ფრანგული	1,39	3,55	0,76	3,54	6,28	4,81
4. იტალიური	0,89	4,74	0,41	2,78	7,02	3,63
5. ესპანური	2,05	5,20	0,07	2,64	4,27	3,82
6. ლათინური	1,40	3,41	0,96	2,01	7,72	3,71
7. ბულგარული	1,32	3,55	1,46	2,82	7,54	2,92
8. რუსული	1,76	3,42	1,10	2,19	7,49	3,49
9. პოლონური	1,30	2,30	1,45	2,55	0,44	0,27
10. ჩეხური	1,86	3,73	0,15	3,52	5,40	3,53
11. უკრაინული	2,11	3,24	0,00	2,82	3,84	4,11
12. პორტუგალიური	0,30	2,44	0,52	2,69	5,06	3,44
13. ბერძნული	0,49	2,87	1,74	3,38	7,58	4,07
14. ალბანური	2,46	3,22	2,06	5,16	14,58	5,23
15. ლიტვური	1,35	2,61	1,36	3,71	5,76	4,61
16. შვედური	1,30	5,10	1,70	1,40	6,70	3,50
17. უნგრული	2,35	2,30	2,60	0,50	8,00	4,80
18. ფილიპინური	2,20	1,60	3,90	3,20	4,40	4,20
19. ებრაული	6,7	2,26	0,86	2,53	6,80	4,80
20. ქაიროს არაბული	3,03	2,45	1,25	0,00	3,10	2,23
21. კაივა	5,08	2,58	0,25	4,69	3,46	3,42
22. თურქული	1,96	5,63	1,44	0,61	3,60	4,63
23. ინდონეზიური	5,23	4,14	3,55	6,48	9,53	7,34

2. ორწევრა სისტემები ასპირაციის დაპირისპირებით

	p	t	k	p ^h	t ^h	k ^h
1. დანიური	1,49	5,42	3,05	1,05	3,47	2,10
2. პიპინგის ჩინური	2,37	6,18	2,58	0,56	2,56	1,02
3. კანტონის ჩინური	1,95	6,14	8,70	0,36	1,03	0,50

3. ორწევრა სისტემები გლოტალიზაციის დაპირისპირებით

	p	t	k	p	t	k
1. ჰაუსა	1,70	1,98	2,19	0,02	0,37	0,28
2. კუსი	0,29	2,39	0,38	0,00	0,11	0,10
3. იუროკი	0,89	1,43	3,83	0,10	0,02	1,02

4. სამწევრა სისტემები

	b	d	g	p ^h	t ^h	b ^h	p	t	k
1. ახ. ქართული	2,51	4,93	2,50	0,52	3,34	1,25	0,28	0,82	1,12
2. ხვესტრული	1,90	3,92	1,91	0,15	3,01	1,25	0,09	0,86	1,05
3. ძვ. ქართული	1,50	6,50	1,98	0,58	4,00	0,98	0,43	0,81	1,21
4. სვანური (უშგ.)	1,0	5,33	2,99	0,51	2,38	1,60	0,12	1,12	0,81
5. სვანური (ლენტ.)	1,46	4,10	2,40	0,62	1,22	1,65	0,28	0,70	1,95
6. მეგრული	1,90	4,55	2,41	0,98	3,92	4,49	0,16	0,55	1,70
7. ქანური	0,79	3,65	1,27	1,27	3,03	4,02	0,38	0,9	2,28
8. თაბასარანული	2,64	4,51	1,36	1,59	0,59	1,09	0,84	0,31	1,06
9. ახური დიალ.	1,95	3,42	1,53	0,21	2,81	1,20	0,00	0,58	0,31
10. ბოთლიხური	4,76	5,76	1,23	0,06	1,27	0,78	0,00	0,68	1,05
11. ანდიური	4,67	5,34	1,41	0,17	0,61	0,88	0,00	0,5	0,91
12. ახვახური	2,87	4,16	2,39	0,06	0,61	1,13	0,00	0,56	1,46
13. ლაკური	3,70	1,89	1,26	0,35	1,25	1,13	0,03	0,77	1,28
14. კუბანური	6,30	3,10	0,88	0,23	1,35	1,70	0,06	0,75	1,44
15. დიდორი	3,23	2,93	0,42	0,17	0,94	1,02	0,00	0,84	1,38
16. ბაიბური	2,10	3,53	1,59	0,74	1,74	1,59	0,03	1,42	1,50
17. აფხაზური	1,70	2,72	2,13	1,25	0,89	0,92	0,48	1,77	1,41
18. ოსური	1,69	5,74	1,78	0,62	4,83	2,77	0,00	0,04	0,25
19. ძვ. სომხური ³⁰	170	172	139	35	231	302	147	381	323
20. მაილუ ³¹	1,46	2,58	—	1,98	3,75	3,87	0,05	0,48	2,25

³⁰ ძველ სომხურში, როგორც ჩანს, p t k გლოტალიზებული არ იყო. ამის შესახებ იხ. ქვემოთ, გვ. 135. სომხურისათვის მოყვანილია აბსოლუტური და არა ფარდობითი სინშირები.

³¹ მაილუს მეღერი ფონემები იმპლოზიურია.

აღსანიშნავია, რომ ველარული რიგის ფონემა დენტალურზე მაღალი სიხშირისა ყველაზე ხშირად გლოტალიზებულ სერიაში აღმოჩნდება, შედარებით იშვიათად — ასპირირებულ სერიაში და ყველაზე იშვიათად — მარტივ ყრუ ხშულთა სერიაში. იბერიულ-კავკასიურ ენათათვის გლოტალიზებული ველარის საშუალო სიხშირე სპარბობს კიდევ გლოტალიზებული დენტალური ხშულის სიხშირეს ($\gamma=1.23$; $\delta=0.81$).

ამ მოვლენაზე დაწვრილებით შემდეგ გვექნება მსჯელობა.

3. ერთი ლოკალური რიგის მქლერ და ყრუ ხშულთა ურთიერთშიმართუების შესახებ. მქლერობისა და სიყრუის ნიშნების წარმოების რაგვარობის ნიშნებთან მიმართების განხილვისას ვნახეთ, რომ არსებობს ენები, რომელთა ხშულთა კლასში მქლერ ფონემათა სიხშირე სპარბობს ყრუ ფონემათა სიხშირეს, ხოლო ნაპრალოვანთა კლასში პირიქით, ყრუ ფონემათა სიხშირე სპარბობს მქლერ ფონემათა სიხშირეს.

ხშულთა კლასის შესწავლა გვიჩვენებს, რომ მქლერ და ყრუ ფონემათა ფუნქციონალური ძალის ასიმეტრიული განაწილება ერთი კლასის ფარგლებშიც არის შესაძლებელი: არსებობს ენები, რომელთა ხშულთა სისტემაშიც ზოგ ლოკალურ რიგში ყრუ ფონემის სიხშირე სპარბობს, ზოგში კი მქლერი ფონემისა. მოვეყავს ამ ტიპის ენათა მონაცემები:

I. ორწევრა სისტემები

	b	p	d	t	g	k	მქლერი	ყრუ
1. უნგრული	1,71	1,04	3,30	7,18	2,45	5,72	7,46	13,94
2. ებრაული	6,7	2,53	2,26	6,8	0,86	4,2	9,82	13,53
3. ქაიროს არაბული	3,03	0,00	2,45	3,19	1,25	2,23	6,73	5,42
4. თურქული	1,96	0,61	5,63	3,62	1,44	4,63	9,03	8,87
5. კაივა	5,08	4,69	2,58	3,46	0,25	3,42	7,51	11,57
6. ესპანური	2,50	2,10	4,00	4,60	1,00	3,80	7,00	10,50

II. სამწევრა სისტემები

	b	p ^h	p	d	t ^h	t	g	k ^h	k	მქლ.	ყრუ	მქლ.
1. დიდოური	3,23	0,17	—	2,93	0,94	0,84	0,44	1,02	1,38	6,58	2,13	2,22
2. ზეგრული	1,90	0,98	0,16	4,55	3,52	2,05	2,41	4,49	1,07	8,86	9,31	1,78
3. ჯან. (არქ.)	3,14	0,84	0,54	2,94	2,18	1,04	1,25	4,28	1,85	7,34	7,30	3,47
4. ჯან. (ზოფ.)	0,79	1,27	0,38	3,65	3,03	0,99	1,27	4,02	2,28	5,62	8,32	3,65
5. კუბაურ.	6,30	0,23	0,06	3,10	1,34	0,75	3,88	1,70	1,44	10,28	3,37	2,25
6. ოსური	1,65	0,62	0,00	5,74	4,83	0,04	1,78	2,77	0,25	9,21	8,22	0,29

წარმოდგენილი მასალა იძლევა შემდეგი განზოგადების საფუძველს: შე რ ე უ ლ ი ტ ი პ ი ს ს ი ს ტ ე მ ე ბ შ ი ლ ა ბ ი ა ლ უ რ ი რ ი გ შ ი მ ე ლ ე რ ი ს ს ი ხ შ ი რ ე ს ქ ა რ ბ ო ბ ს ყ რ უ ს ს ი ხ შ ი რ ე ს, ვ ე ლ ა რ უ ლ რ ი გ შ ი კ ი ყ რ უ ს ს ი ხ შ ი რ ე ს ქ ა რ ბ ო ბ ს მ ე ლ ე რ ი ფ ო ნ ე მ ი ს ს ი ხ შ ი რ ე ს.

ეს მიმართებაც შეესაბამება ადრე განხილულ მოვლენებს: როგორც ვნახეთ, ლაბიალური მჟღერი ხშირად ყველაზე მაღალი სიხშირით ხასიათდება მჟღერ ფონემათა შორის, ლაბიალური ყრუ კი — უმცირესი სიხშირით ყრუ ფონემათა შორის. არაა მოულოდნელი, რომ ლაბიალურ ფონემათა რიგში იქმნება ისეთი სიხშირული მიმართება, როცა მჟღერი სქარბობს ყრუს, თუნდაც ეს მიმართება ხშულთა კლასში ძირითად მიმართებას არ ემთხვეოდეს.

ველარული მჟღერი მჟღერთა შორის ყველაზე დაბალი სიხშირით ხასიათდება, ველარული ყრუ კი — ყრუებს შორის ოპტიმალურია, ამიტომ ბუნებრივია, რომ ველარულ რიგში ყრუს სიხშირე სქარბობდეს მჟღერის სიხშირეს, თუნდაც ამ ენათა ძირითადი მიმართება ხშულთა კლასში განსხვავებული იყოს.

ამ რიგის სისტემები იმავე ტიპოლოგიურ კლასს უნდა მივაკუთვნოთ, რომელსაც ეკუთვნის სისტემები ზარვეზებით ყრუ ლაბიალური და მჟღერი ველარული ხშულების ადგილას (კლასიკური არაბული, იტონამა, დასავლეთის მიეოკი. იხ. ზემოთ).

ხშულთა კლასში მიღებულ მიმართებათა გავრცელება თანხმოვანთა სისტემაზე. ლოკალური რიგების გაპირობებული ერთიერთმიმართება: მჟღერთა კლასში ლაბიალური ერთეული ფუნქციონალურად უფრო ძლიერია, ვიდრე ველარული, ხოლო ყრუთა კლასში — პირიქით, ველარული ერთეული არის უფრო ძლიერი, ვიდრე ლაბიალური; — რომელიც ჩვენ ხშულ ფონემათა ფუნქციონირების შესწავლისას მივიღეთ, ვრცელდება სხვა კონსონანტურ კლასებზეც: ნ ა პ რ ა ლ ო ვ ა ნ და ს ო ნ ო რ ფ ო ნ ე მ ა თ ა კ ლ ა ს ე ბ შ ე და ა მ დ ე ნ ა დ ს ა ე რ თ ო დ კ ო ნ ს ო ნ ა ნ ტ უ რ ფ ო ნ ე მ ა თ ა კ ა ნ ო ნ ზ ო მ ი ე რ ე ბ ა დ შე ი ძ ლ ე ბ ა მ ი ვ ი ჩ ნ ი თ .

ამას მოწმობს იერარქიული რიგები: n—m—y (ნაზალთა კლასი მარკირების მიმართების თვალსაზრისით შესწავლილია ჩ. ფერგუსონის მიერ 92, 56-57), და v—y, x—f; ნაპრალოვანთა კლასში ლოკალური რიგების ხშულთა კლასის ანალოგიური მიმართების არსებობა შენიშნა თ. გამყრელიძემ (31, 12-13). მოყვანილ რიგებს შორის ყველაზე ნაკლები სტაბილობით ხასიათდება იერარ-

ქიული რიგი x—f. ახსნა შემდეგში უნდა ვეძებოთ: /v/ ფონემის სონორობა განსაკუთრებულ მდგომარეობაში აყენებს მას ნაპრალოვანთა კლასში, რადგან მას აქვს სხვა სონორ ბგერებთან საერთო ფუნქციონალური თვისებები (ჩქამიერ ფონემებთან შედარებით მაღალი სისწირე და დიდი დისტრიბუციული თავისუფლება). მისი არსებობა სისტემაში ნაპრალოვანთა კლასის მიმართებით ნაკლებ არის გაპირობებული, ვიდრე სხვა ნაპრალოვან ფონემათა არსებობა. /v/ ფონემის ყრუ ალოფონის—[f]-ს ფონოლოგიზაციის შედეგად ვიღებთ შესაბამის ფონემას, რომლის სისტემაში არსებობა დამოუკიდებელი შეიძლება აღმოჩნდეს სისტემაში ველარული ნაპრალოვანის /x/-ს არსებობისაგან. აქაც, ისევე როგორც სხვაგან, უნივერსალურ მიმართებათაგან გადახვევა სხვადასხვა მიმართულების კანონზომიერებათა გადაკვეთის შედეგია.

4. გლოტალიზაციის ნიშანი ნაპრალოვანთა, ხუულთა და აფრიკატთა სისტემაში

ლოკალურ რიგებთან მკლერობისა და სიყრუის ნიშნების მიმართების შესწავლისას შევეხეთ გლოტალიზაციის ნიშანსაც, რამდენადაც გლოტალიზებული ფონემები ყრუ ფონემებს წარმოადგენენ და სიყრუის ნიშნისათვის დამახასიათებელ საერთო კანონზომიერებას ინაწილებენ, ამასთან, როგორც ვნახეთ, უკიდურესი საზიო ავლენენ მას.

ახლა განვიხილავთ გლოტალიზებულ ფონემათა ქცევის ისეთ მხარეებს, რომლებიც ან საკუთრივ ამ ნიშნის სპეციფიკით არის გაპირობებული, ან იმ თვისებით, რომელიც ამ ნიშნის მქონე ფონემებს ინტენსივობის ნიშნის მქონე ფონემებთან აქვთ საერთო.

ყველაზე თვალსაჩინოა გლოტალიზაციის ნიშნის კომბინირების შეზღუდულობა ნაპრალოვანების ნიშანთან. ნაპრალოვანთა კლასში გლოტალიზაციის დაპირისპირების მქონე სისტემები ძალიან იშვიათია. რაც შეეხება აფრიკატთა კლასს, აქ გლოტალიზაციის ნიშანი გაცილებით უფრო ბუნებრივ მოვლენას წარმოადგენს. შეიძლება ითქვას, რომ თუ გლოტალიზაციის დაპირისპირება დასტურდება ხუულთა კლასში და ენას აქვს აფრიკატები, გლოტალიზაციის დაპირისპირება გვექნება აფრიკატთა კლასში³².

³² გლოტალიზებულ აფრიკატთა ფართო გავრცელება შენიშნული აქვს გ რ ი ნ ბ ე რ გ ს (103, 130).

კავკასიურ ენათა ხშულთა და აფრიკატთა კლასებისათვის მკლერობის, ასპირაციისა და გლოტალიზაციის ნიშანთა საშუალო სიხშირული მახასიათებლები (ცხრილში მოცემული ენების მიხედვით) ასეთია:

	ხ შ უ ლ ე ბ ი	ა ფ რ ი კ ა ტ ე ბ ი
მკლერობა	8,37	0,57
ასპირაცია	3,36	2,20
გლოტალიზაცია	2,22	1,60

ამრიგად, ტექსტობრივი სიხშირის თვალსაზრისით ვიღებთ ნიშანთა ასეთ იერარქიას: ხშულთა კლასში: — მკლერი — ასპირირებულ — გლოტალიზებულ, აფრიკატთა კლასში: ასპირირებულ — გლოტალიზებულ — მკლერი. ამრიგების შედარებით დანჩანს, რომ გლოტალიზაციის ნიშნისათვის აფრიკატობა უკეთეს პირობას წარმოადგენს, ვიდრე ხშულობა.

ნიშანთა აქ მოყვანილ იერარქიულ რიგებს, ჩვეულებრივ, ცალკეული ლოკალური რიგის ფონემებიც იმეორებენ, მაგრამ არსებობს გადახრებიც. არის შემთხვევები, როდესაც გლოტალიზაციის ნიშნის მქონე ფონემა ასპირირებულ ფონემაზე მაღალი სიხშირისა აღმოჩნდება. შესაძლებელია იმ პირობების საკმაო სიზუსტით განსაზღვრა, რომლებშიც ამ მოვლენას აქვს ადგილი.

ხშულთა კლასში ასეთ პირობას ველარული არტიკულაცია წარმოადგენს. ჩვენი მასალის მიხედვით, გლოტალიზებული ველარული /კ/-ს სიხშირე ასპირირებული ველარის /ქ/-ს სიხშირეს სჭარბობს რვა ენობრივ ერთეულში: ძველ ქართულში, სვანურის ღენტეხურ დიალექტში, ბაცბურში, ახეახურში, დიდოურში, ლაკურში. თითქმის ტოლია /ქ/-სა და /კ/-ს სიხშირე ბოთლიხურში, თაბასარანულში, ანდიურში.

ლაბიალურ რიგში ასეთ გადახვევას ადგილი არ ჰქონია, დენტალურ რიგში კი მხოლოდ ერთი ენა — აფხაზური ამჟღავნებს გლოტალიზებული ხშულის ფუნქციონალურ უპირატესობას ასპირირებულ ხშულთან შედარებით. აფხაზურში ველარულ რიგშიც ასეთსავე მიმართებას აქვს ადგილი. შესაძლებელია დავასკვნათ, რომ თუ ხშულთა კლასში გლოტალიზებული ფონემის სიხშირე სჭარბობს ასპირირებულისას დენტალურ ან ლაბიალურ რიგში, აუცილებლად ასეთივე მდგომარეობა გვექნება ველარულ რიგშიც.

ეს წესი ეთანხმება გლოტალიზაციის ნიშნის ლოკალურ რიგებთან მიმართების კანონზომიერებას, რომლის შესახებ სხვაგან გვექონდა მსჯელობა: ვ ე ლ ა რ უ ლ ი რ ი გ ი გ ლ ო ტ ა ლ ი ზ ა ც ი ი ს ნ ი შ ნ ი ს ა თ ვ ი ს გ ა ც ი ლ ე ბ ი თ უ კ ე თ ე ს ი პ ი რ ო ბ ა ა , ვ ი დ რ ე ლ ა ბ ი ა ლ უ რ ი დ ა დ ე ნ ტ ა ლ უ რ ი რ ი გ ე ბ ი .

ამრიგად, ხშულთა კლასში გამოიყოფა ლოკალური რიგი, რომელშიც ზდება ასპირაციისა და გლოტალიზაციის ნიშანთა გაბატონებული მიმართების დარღვევა. აფრიკატთა კლასში დარღვევათა ასეთი ლოკალიზაცია არ ხერხდება. გლოტალიზებული ფონემები შესაძლებელია ასპირირებულ ფონემებზე მაღალი სიხშირის აღმოჩნდეს, როგორც სისინა, ისე შიშინა, ფარინგალურ და ლატერალურ აფრიკატთა რიგებში. ამიტომ ვფიქრობთ, რომ აქ დარღვევები რძენად არტიკულაციის ადგილს არ უნდა დავუკავშიროთ, რამდენადაც თვით აფრიკატობის ნიშანს.

სისინა რიგში /წ/-ს სიხშირე მეტია /ც/-ს სიხშირეზე მეგრულში, ქანურში, კუბაჩურში, ხოლო ბოთლიხურში, ახვახურსა და აფხაზურში ამ ფონემათა სიხშირე თითქმის ტოლია. ასეთივე მიმართებაა მაილუში (ამერიკის ინდოელთა ენა /წ/ — 19,9, /ც/—00,2. შიშინა რიგში გლოტალიზებული /ჭ/-ს სიხშირე ასპირირებული /ჩ/-ს სიხშირეს სჭარბობს: ბოთლიხურში, ანდიურში, დიდოურში, ლაკურში და ჩირიკაპუაში (ჭ—02,8, ჩ—01,8)³³ /ყ/-ს სიხშირე მეტია /კ/-ს სიხშირეზე ძველ ქართულში, ხევსურულში, სეანურში, ანდიურში, ახვახურში, კუბაჩურში, აფხაზურში.

ასეთსავე მიმართებას აქვს ადგილი ლატერალურ აფრიკატთა რიგშიც. ჩვენთვის ცნობილია ლატერალურ აფრიკატთა სიხშირული მიმართებანი სამი დაღესტნური და ამერიკის ინდიელთა ერთი ენისათვის:

	ლ'	ტა
ანდიური	0,67	0,74
ბოთლიხური	0,33	0,89
ახვახური	1,42	1,17
ჩირიკაპუა	0,01	0,12

ამათგან სამში (ანდიური, ბოთლიხური, ჩირიკაპუა) გლოტალიზებული აფრიკატის სიხშირე სჭარბობს ასპირირებული ლატერალის

³³ ჩირიკაპუასა და მაილუს აფრიკატთა სიხშირეები მოგვყავს ჟ. გ რ ი ნ ბ ე რ - ჯ ი ს ნაშრომის მიხედვით (100, 17).

სიხშირეს. ამრიგად, აფრიკატთა სამეულში თითქმის თანაბარი ძალით გვაქვს ორი ძირითადი ალტერნანტული რიგი: 1. ასპირირებული — გლოტალიზებული — მჟღერი და 2. გლოტალიზებული — ასპირირებული — მჟღერი. ამასთან, ლატერალური და ფარინგალური აფრიკატები მეტ მიდრეკილებას იჩენენ მეორე იერარქიული რიგისადმი, ვიდრე სისინა და შიშინა აფრიკატები. ჩვენი მასალის მიხედვით კავკასიურ ენებში აფრიკატთა საშუალო სიხშირეები ასეთია:

ძ	0,15	ჩ	0,42		
ც	0,72	ჩ	0,91	ჭ	0,57
წ	0,56	ჭ	0,42	ყ	0,62
				ლ'	2,52
				ტა	3,25

როგორც ვნახეთ, ფონოლოგიურ სისტემებში ცარიელ უჩრათა განაწილება შეესაბამება სიხშირულ მიმართებებს. ჩვეულებრივ, ხარვეზი სისტემაში არის ოპოზიციის იმ წევრის ადგილას, რომელიც სხვა ენებში ნაკლები სიხშირით ხასიათდება. ამასთან, ცარიელ უჩრათა განაწილება ყოველთვის უფრო თანმიმდევრულ სურათს იძლევა. ცარიელ უჩრათა მიმართ დადგენილი კანონზომიერებანი, ფონემათა სიხშირულ მიმართებათაგან განსხვავებით, როგორც წესი, გამონაკლისებსაგან თავისუფალია (101, 513).

მართლაც, სიხშირულ მიმართებათაგან განსხვავებით, აფრიკატთა სისტემაში ცარიელ უჩრათა განაწილება უგამონაკლისო კანონზომიერების ჩამოყალიბების საშუალებას იძლევა: გლოტალიზაციის და ასპირაციის მქონე სისტემებში გლოტალიზებული ფონემა აფრიკატთა კლასის ძირითად ელემენტს წარმოადგენს. აფრიკატთა სისტემებს შესაძლებელია ჰქონდეს მხოლოდ ასეთი სახე:

1) ძ ც წ, ან 2) - ც წ, ან 3) - - წ

ამრიგად, ცარიელ უჩრათა განაწილება მხარს უჭერს იერარქიულ რიგს: გლოტალიზებული — ასპირირებული — მჟღერი.

ასეთია როგორც კავკასიური, ისე ამერიკელი ინდიელების ენათა ჩვენება. მხოლოდ გლოტალიზებული აფრიკატი აქვს სისინა რიგში, მაგალითად, ბაგვალალურსა და კაშაის, ლატერალურ რიგში — ბაგვალალურსა და ჰუპას³⁴, ფარინგალურ რიგში — ქართულსა და ზანურს.

³⁴ ლატერალურ აფრიკატთა რიგში მხოლოდ გლოტალიზებული წვერი არის წარმოდგენილი აგრეთვე წყნარი ოკეანის ატაბასკურ და ჩრდილო-დასავლურ აპაჩეს ენათა ოჯახების რიგ ენაში.

ანალოგიურ სურათს გვიჩვენებს ინტენსივობის კორელაცია, როგორც ხშულთა, ისე აფრიკატთა კლასებთან მიმართებით:

ა) ხ შ უ ლ თ ა ს ი ს ტ ე მ ა შ ი ი გ ი უ პ ი რ ა ტ ე ს თ ბ ა ს ვ ე ლ ა რ უ ლ ა რ ტ ი კ უ ლ ა ც ი ა ს ა ნ ი ჰ ე ბ ს: თ უ ხ შ უ ლ თ ა ს ი ს ტ ე მ ა შ ი ა რ ს ე ბ ო ბ ს ი ნ ტ ე ნ ს ი ვ ო ბ ი ს დ ა პ ი რ ი ს პ ი რ ე ბ ა, ი გ ი ა უ ც ი ლ ე ბ ლ ა დ გ ვ ე ქ ნ ე ბ ა ვ ე ლ ა რ უ ლ რ ი გ შ ი, მ ა გ რ ა მ შ ე ს ა ძ ლ ე ბ ე ლ ი ა, ა რ ა ყ ო ს ლ ა ბ ი ა ლ უ რ დ ა დ ე ნ ტ ა ლ უ რ რ ი გ ე ბ შ ი³⁵.

ბ) რ ა ც შ ე ე ხ ე ბ ა ა ფ რ ი კ ა ტ თ ა ს ი ს ტ ე მ ა ს, მ ა ს თ ა ნ ი ნ ტ ე ნ ს ი ვ ო ბ ი ს ნ ი შ ა ნ ი კ ო მ ბ ი ნ ი რ ე ბ ი ს გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ უ ლ უ ნ ა რ ს ა მ ქ დ ა ვ ნ ე ბ ს. შეიძლება ითქვას, რომ თუ ინტენსივობის დაპირისპირება არსებობს ენაში და ენას აქვს აფრიკატთა სისტემა, ინტენსივობის კორელაცია იარსებებს აფრიკატთა სისტემაში. ამასთან, ცარიელ უჩრათა განაწილების თვალსაზრისით ინტენსიური აფრიკატები გარკვეულ უპირატესობას ავლენენ არაინტენსიურებთან შედარებით. აფრიკატთა ცალკეულ რიგებში ინტენსივობის დაპირისპირების მოშლის შემთხვევაში ოპოზიციის დარჩენილი წევრი ინტენსიური ბგერის სახით რეალიზდება. ასე მაგალითად, ანდიურ ენებში ძლიერი /ც/-ს პოზიცია ცალკეობით მკვიდრია სუსტი /ც/-ს პოზიციაზე (37, 17).

გლოტალიზაციისა და ინტენსივობის ნიშანთა ერთნაირი განაწილება ხშულთა ლოკალურ რიგებსა და აფრიკატთა კლასში უნდა მივაწეროთ ამ ორი ნიშნის მნიშვნელოვან საერთო თვისებას: დაქიშულ არტიკულაციასა და შესაბამისად ბგერის ინტენსივობას.

გლოტალიზაციისა და ინტენსივობის ნიშნებს განსხვავებს ნაპრალოვნობის ნიშანთან დაკავშირების განსხვავებული უნარა. ამ განსხვავებას უნდა განაპირობებდეს გლოტალიზაციისთვის დამახასიათებელი დამატებითი ხშვა და აგრეთვე გლოტალიზებულ ბგერათა მცირე გრძლივობა.

5. სისინა და შიშინა რიგების ურთიერთმიმართება ნაპრალოვნათა და აფრიკატთა კლასებში

ნაპრალოვნათა კლასში ყველა ფუნქციონალური კრიტერიუმში სისინა რიგის უპირატესობაზე მიუთითებს შიშინა რიგთან შედარებით.

³⁵ ხუნძურში, ანდიურში, ბოთლიხურში, ლოდობერიულში, კარატულში, ახვახურში, ტინდიურში ინტენსივობის დაპირისპირება არის ველარულ რიგში და არ არის ლაბიალურ და დენტალურ რიგებში; ხინალულურში ეს დაპირისპირება გვაქვს დენტალურ და ველარულ რიგებში, მაგრამ არა გვაქვს ლაბიალურ რიგში.

1. არ არსებობს ენები, სადაც შიშინა ნაპრალოვნები იქნებოდნენ წარმოდგენილი სისინა ნაპრალოვნების გარეშე. ყრუ სისინა ნაპრალოვანი უცილობლად შედის მსოფლიოს ენათა მინიმალურ კონსონანტიზმში.

2. სიხშირული მიმართება სისინა და შიშინა რიგებს შორის ისეთია, რომ სისინა რიგის ფონემათა სიხშირე, როგორც წესი, სპარბობს შიშინა რიგის ფონემათა სიხშირეს. მოგვეყვას კავკასიურ ენათა საშუალო სიხშირული მონაცემები ნაპრალოვანი ბგერებისათვის:

სისინა — 3.54%

შიშინა — 1.87%

როგორც ზემოთ მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, ეს მიმართება არ არის უგამონაკლისო, გამონაკლისები უფრო მეტია მეღერთა (ე. ი. მარკირებულ) სერიაში, ვიდრე ყრუ ნაპრალოვანთა (ე. ი. არამარკირებულ სერიაში).

აფრიკატთა კლასში შებრუნებული ვითარება გვაქვს. როგორც ცარიელ უჭრათა განაწილების თვალსაზრისით, ისე სიხშირულ მიმართებათა თვალსაზრისით აფრიკატთა კლასში შიშინა არტიკულაციას ენიჭება უპირატესობა სისინა არტიკულაციასთან შედარებით.

შიშინა აფრიკატთა უპირატესობა აისახება როგორც იმაში, რომ არსებობს ენები, სადაც არის შიშინა აფრიკატები და არ არის სისინა აფრიკატები³⁶, ისე იმაში, რომ ორივე რიგის არსებობის შემთხვევაში ბევრ ენაში სისინა რიგი უფრო დიფერენცირებულია, ვიდრე შიშინა რიგი: გარკვეული დაპირისპირებები არსებობს სისინა აფრიკატთა რიგში და არ არსებობს შიშინა აფრიკატთა რიგში³⁷. იბერი-

³⁶ ასეთი ენებია, მაგალითად: ინგლისური, შვედური, ესპანური, მაკედონიური, სპარსული, ბოშური, ტატური, ქურთული, სანსკრიტი, ჰინდი, ურდუ, პენჯაბური, არაბული, ასურული, ბაოანური, დაგურული, დუნსიანური, შირა-თიგურული, აზერბაიჯანული, სალიტ. თურქული, თურქმენული, ყირიზის თათრული, კარელური, უმპურტული, პერმული, კომი-ზირიანული, ნგანასანური, ენეცური, სელკუპური, იორიბული, კეტური, კორიაკული, კორეული, ვიეტნამური, ინდონეზიური, ტაი, ჰაიდა, დელავარი, დაკოტა, იუროკი, კაროკი, კაშაია, კეჩუა, ვიოტი, ვინტუ, პატეინი.

³⁷ ასეთი ენებია: ანდიური, აღულური, ბოთლიხური, წახურული, კამალალური, მოლდავერი, ბულგარული, სერბო-ხორვატული, მონგოლური, ყირგიზული, ყარაჩაულ-ბალყარული, ხაკასური, ხორეზმული, ვესპური, ვოდური; არსებობს გამონაკლისები ამ წესიდან: ბარაბინელი თათრების ენა (ls, s, š), ჩელიმურ-თურქული (dz, ts, z, s, š) და მაიდუ.

ულ-კავკასიურ ენათა საშუალო სიხშირული მონაცემების მიმართება ასეთია:

სისინა აფრიკატები — 1.43%
შიშინა აფრიკატები — 1.75%

სხვაობა სისინა და შიშინა აფრიკატთა სიხშირეებს შორის ნაკლებია, ვიდრე სისინა და შიშინა ნაპრალოვნებს შორის, ხოლო ვადახვევათა რიცხვი აფრიკატთა კლასში უფრო დიდია, ვიდრე ნაპრალოვანთა კლასში.

აქაც, ისევე როგორც ბევრ სხვა შემთხვევაში, ცარიელ უჭრათა განაწილება გაცილებით უფრო მაღალი ალბათობის მქონე წესს იძლევა, ვიდრე სიხშირული მიმართებები.

ამ რიგად, სისინა და შიშინა არტიკულაციითა ფუნქციონალური დირექტულება ისევე გაპირობებული ჩანს, როგორც ჩვენ მიერ ზემოგანხილული ბევრი სხვა ფონეტიკური ნიშნისა. ნაპრალოვანთა კლასში სისინა რიგი აშკარად არამარკირებული ხასიათისაა, აფრიკატთა კლასში კი მეტი საფუძველი არსებობს შიშინა რიგის არამარკირებულად მიჩნევისათვის.

6. ველარული რიგი ნაპრალოვანთა კლასში

იბერიულ-კავკასიურ ენათა ნაპრალოვანთა კლასში სიხშირული მიმართების თვალსაზრისით ლოკალური რიგების ამგვარი იერარქია არსებობს: სისინა — ველარული — შიშინა. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ საშუალო მონაცემებს:

სისინა — 3.54%
ველარული — 2.76%
შიშინა — 1.87%

გაბატონებული მიმართებიდან გადახვევა გვაქვს ქართული ენის ხვესურულ დიალექტსა და მეგრულ-ჭანურში. ამ ენობრივ ერთეულებში /შ/-ს სიხშირე სჭარბობს /ხ/-ს სიხშირეს³⁸. შესაძლებელია

³⁸ უნდა აღინიშნოს, რომ მორფემათა ლექსიკონში ფონემათა სიხშირეების განაწილების თვალსაზრისით ხვესურული არ წარმოადგენს გამოწვევის ამ წესიდან: აქ (/ხ/ > /შ/ — 2.80; /შ/ — 1.10 იხ. ზემოთ, გვ. 76.

ეს ვითარება ხევსურულში კ>ხ პროცესის განუხორციელებლობას მივაწეროთ, მეგრულ-ქანურში კი შესატყვისობას: ქართ: ს: ზან. შ, მაგრამ ასეთ შემთხვევაში ასახსნელია, რატომ არა გვაქვს ასეთავე ვითარება ძველ ქართულსა და სვანურში.

ველარულ და შიშინა ნაპრალოვანთა ურთიერთმიმართება ფართო ტიპოლოგიური თვალსაზრისით ასე წარმოგვიდგება: ენობრივ სისტემებში /š/ და /x/ ტიპის ფონემათა არსებობა ურთიერთდამოუკიდებელ მოვლენას წარმოადგენს. არის ენები შიშინა ნაპრალოვანებით და ველარული ნაპრალოვანების გარეშე³⁹ და არსებობს ენები ველარული ნაპრალოვანებითა და შიშინა ნაპრალოვანების გარეშე⁴⁰. აუცილებელ წინაპირობას სისტემაში როგორც შიშინა, ისე ველარული ნაპრალოვანების არსებობისათვის წარმოადგენს სისინა ტიპის ნაპრალოვანთა არსებობა.

ერთი სისტემის ფარგლებში ფუნქციონირების შემთხვევაში, შესაძლებელია როგორც ისეთი მდგომარეობა, როცა ველარულ ნაპრალოვანთა სიხშირე სჭარბობს შიშინა ნაპრალოვანთა სიხშირეს (ამის მაგალითს, როგორც ენახეთ, იბერიულ-კავკასიური ენები წარმოადგენენ), ისე საპირისპირო მდგომარეობა, როცა შიშინა ნაპრალოვანთა სიხშირე სჭარბობს ველარულ ნაპრალოვანთა სიხშირეს. ასეთ მიმართებას აქვს ადგილი მაგალითად, რუსულში: ш—207, х—102 (131, 321), აგრეთვე ამერიკელ ინდიელთა ენებში: ჰიდატსა, ვინებაგო, ჩოკტავი (188, 85-93).

რაც შეეხება ცარიელ უჯრათა განაწილებას, იგი ამ მეორე მიმართებას უკერს თითქოს მხარს. ჩვენ ხელთ არსებული მასალა საშუალებას გვაძლევს წარმოვადგინოთ განზოგადება, რომელიც, ვფიქრობთ, შემდგომ დაზუსტებას მოითხოვს. შიშინა და ველარულ ნაპრალოვანებიან ენებში ველარულ ნაპრალოვანთა რიცხვი ტოლია ან ნაკლებია შიშინა ნაპრალოვანთა რიცხვზე. ბევრ ენაში გვაქვს ხარვეზი მარკირებული სერიის ველარულ რიგში შიშინა რიგში შესაბამისი ფონემის არსებობის პირობებში. ასეთია, მაგალითად, შემდეგი ენების სისტემები: რუსული, საამური, ბურიატ-

³⁹ ასეთებია, მაგალითად: ჩუვაშური, ტუვიური, ესტონური, კარელიური, ვესპური, უორული, სელკუპური, შვედური, ინგლისური, მონგოლური, ტუნგუსური, თირატული, თალიშური, იშკამიური, პორტუგალიური, რუმინული, კატალონიური, უნგრული, კაივა, ფოქსი, დაკოტა, ჩატინი.

⁴⁰ ასეთებია, მაგალითად: ესპანური, პოლანდიური, ტაი, ნანაიური, ულჩური, ოროკული, უდგუა, იტელმენური, ალუტური, ნიუხური, კეტური, ჰუპა, ტლინგითი, პაილა, კვაიუტლი, ჩინუკი, მაილუ.

მონგოლური, აისორული, ამხარული, თურქმენული, გაგაუზური, ყირიმის თათართა ენა, დაკოტა. საპირისპირო შემთხვევა: ხარვეზი შიშინა სერიაში ველარული სერიის სისრულის პირობებში — არ შეგვხვდრია, მაგრამ რამდენადაც არსებობს ამ რიგის მიმართებათა შესაბამისი სიხშირული მიმართებები (იხ. იბერიულ-კავკასიური ტიპი), თეორიულად დასაშვებად მიგვაჩნია ასეთი ტიპის ხარვეზიან სისტემათა არსებობა.

ამგვარი ტიპოლოგიური მონაცემების ფონზე ველარულ ნაპრალოვანთა მაღალი სიხშირე იბერიულ-კავკასიურ ენებში ამ ენათა ტიპოლოგიურ მახასიათებლად წარმოგვიდგება. არსებობს შესაძლებლობა ქართველურ ენებში ველარულ ნაპრალოვანთა მაღალი სიხშირე მეორეულ მოვლენად იქნეს მიჩნეული და /კ/-ს გასპირანტებასა და ჰ>ხ პროცესს მიეწეროს.

თ ა ვ ი I I I

დიფერენციალურ ნიშანთა კავებულება, ფუნქციონირების ხასიათი და ფუნქციონალურ მიმართებათა განმსაზღვრელი ფაქტორები

1. მაკრიკების მიმართების გაპროგნოზული ხასიათი და დიფერენციალურ ნიშანთა სიმეტრიული განაწილების პრინციპი

დიფერენციალურ ნიშანთა ფუნქციონირების ამსახველი წესები. რომლებიც ჩვენი ნაშრომის მეორე თავში იყო განხილული, ამ ნიშანთა გაპროგნოზებულ ფუნქციონირებას ასახავდა. გაპროგნოზებულ ხასიათს ატარებდა, როგორც ვნახეთ, მკლერობისა და სიყრუის ნიშანთა ფუნქციონირება ხშულთა, აფრიკატთა და ნაპრალოვანთა კლასებში; ურთიერთშეპირობებული იყო წარმოების ადგილის (ლაბა-ლობის და ველარობის) და მკლერობა-სიყრუის ნიშანთა ფუნქციონირება კონსონანტურ ფონემათა კლასში; სიბილანტურ ნიშანთა (სინონობის და შიშინობის) ფუნქციონირება აფრიკატთა და ნაპრალოვანთა კლასებში. ამრიგად, ჩვენი მასალა ერთხელ კიდევ ადასტურებს მარკირების მიმართების გაპროგნოზებულ ხასიათს და გვიჩვენებს, რომ დიფერენციალურ ნიშანთა ფუნქციონალურ მიმართებათა აღწერა ამ ნიშანთა ურთიერთშეპირობების რთული სისტემის გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია. განვიხილოთ ფუნქციონალურ მიმართებათა გაპროგნოზებული ხასიათი დიფერენციალურ ნიშანთა სიმეტრიული განაწილების დაშვების თვალსაზრისით.

მარკირების მიმართების გაპროგნოზებული ხასიათის დაშვება აშკარად ზღუდავს დიფერენციალურ ნიშანთა სიმეტრიული განაწილების პრინციპს, რომელიც ერთი ნიშნის მქონე ფონემათა ერთგვაროვანი ფუნქციონირების დაშვებას წარმოადგენს. სისტემაში ერთეულ-

თა სიმეტრიული განაწილების დაშვება კი სტრუქტურული ენათ-
შეცნიერების ძირითად დაშვებას წარმოადგენს. როგორც ზემოთ
ვნახეთ, მარკირების მიმართების გააზრება აბსოლუტური, განუპირო-
ბებელი მიმართების სახით ნ. ს. ტრუბეცკოის თეორიაში სწორედ
ფონემური სისტემის სიმეტრიული ხასიათის შენარჩუნებას ემსახუ-
რებოდა. დიფერენციალურ ნიშანთა სიმეტრიული განაწილებას დაშ-
ვებას ემყარება შეზღუდვების კლასიფიკაცია სინტაგმატური ანა-
ლიზისას და ფონემურ ინვენტარში ხარვეზების არსებობის შემთ-
ხვევაში ამ ხარვეზთა შევსების ტენდენციის ვარაუდი.

დიფერენციალურ ნიშანთა სიმეტრიული განაწილების პრინციპს
ემყარება ბგერათშეერთებათა ყველაზე გავრცელებული კლასიფიკა-
ცია არსებულთი, შემთხვევითი (არსებობისა თუ არარ-
სებობის თვალსაზრისით), დაუშვებელი შეერთებები (ახ. მა-
გალითად, 186; 93, 316-318). შემთხვევითად მიიჩნევა ბგერათშე-
ერთებები, რომელთა აღწერა ფონემათა კლასების ტერმინებათ გერ-
ხერხდება. ასევე, როგორც ფონემური ინვენტარის დადგენისას, ისე
ფონეტიკური ანალიზისას, საექვო, ორაზროვან შემთხვევებში უპი-
რატესობა ეძლევა ანალიზს, რომელიც შედარებით სიმეტრიულ სუ-
რათს იძლევა, ე. ი. რომლის შედეგადაც ფონოლოგიურ აღწერაში
„შემთხვევითი“ ხარვეზების მინიმალური რიცხვი რჩება. ისეთ პარა-
დიგმატულ სისტემათათვის, როგორიცაა:

(1) b — ან	(2) b p ან	(3) — ც წ
d t	d t	ჭ ჩ ქ
g k	— k	

ჩვეულებრივ ხარვეზის შევსების ტენდენცია ივარაუდება (57a,
109-110). მაგრამ ჩვენ ვნახეთ, რომ უმციირესი ფონემური ელემენ-
ტების ქცევა განსხვავებულ პირობებში შესაძლებელია განსხვავე-
ბული იყოს,—ეს კი გვაიძულებს, ექვის თვალთ შევხედოთ „შემთ-
ხვევითი ხარვეზის ცნებას“. ვფიქრობთ, რომ ასეთ ხარვეზთა დიდი
წილი სრულიად კანონზომიერი ხასიათისაა და განსაზღვრულია შეზ-
ღუდვებით, რომელთაც გამოვლენის პირობები ადებს დიფერენცია-
ლურ ნიშანთა ფუნქციონირებას. ჩვენი შრომის მეორე თავში შე-
ვეცადეთ გვეჩვენებინა, რომ ხარვეზიან პარადიგმატულ სისტემებს
გეაკრად განსაზღვრული სახე აქვთ. დასაშვებია სისტემები (1), (2)
და (3) და გამოორიცხულია ისეთები, როგორიცაა:

(4) — p ან	(5) b p ან	(6) d ც წ
d t	d t	— ჩ ქ
g k	g —	

იგივე შეიძლება ითქვას სინტაგმატურ შეზღუდვათა შესახებაც. ქართულ ენაში /ბ/ ფონემის სისრულის ხარისხი, რაც ამ ფონემის ვალენტობას ასახავს, ყველაზე მაღალია როგორც ლაბიალურ ფონემათა კლასში (ე. ი. ბ, ფ, პ-ს შორის), ისე მქედრ ხშულთა კლასში (ე. ი. ბ, დ, გ-ს შორის), ხოლო /პ/ ფონემის სისრულის ხარისხი ყველაზე დაბალია ლაბიალურ ფონემათა კლასშიც და გლოტალაზებულ ფონემათა კლასშიც: ამრიგად, /ბ/ ფონემას აქვს ინდივიდუალური გარემოცვები, რომლებიც არა აქვს მასთან ერთ კლასში გაერთიანებულ სხვა ფონემებს და ამ გარემოცვათა გარკვეული წილის აღწერა კლასთა ტერმინებით არ ხერხდება. უნდა ჩავთვალოთ თუ არა გარკვეულ პირობებში /ბ/-ს გამოვლენა და ამავე პირობებში /პ/-ს არ არსებობა შემთხვევით მოვლენად? ვფიქრობთ, რომ ამ დისტრიბუციული ფაქტების შესაბამისობა ცარიელ უჯრათა განაწილების კანონზომიერებებთან და აგრეთვე სიხშირულ მონაცემებთან (როგორც ვნახეთ, /ბ/ ჩვეულებრივ ყველაზე მაღალი სიხშირით ხასიათდება მქედრ ხშულ ფონემათა შორის, ხოლო /პ/ — ყველაზე დაბალი სიხშირით გლოტალიზებულ ხშულ ფონემათა შორის) მიუთითებს მათ კანონზომიერ ხასიათზე.

ამრიგად, მარკირების მიმართების გაპირობებული ხასიათის დაშვება საშუალებას იძლევა უფრო ადეკვატურად აღვწეროთ ენობრივი ფაქტები, სრულად გავეთვალისწინოთ ამ მიმართების განმსაზღვრელი ფუნქციონალური მოვლენები; იგი პერსპექტიულია იმ აზრით, რომ ამცირებს „გამონაკლისების“ რიცხვს ჩვენ აღწერაში და ზრდის კანონზომიერ მოვლენათა რიცხვს. სისტემაში ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში ამ ხარვეზის თავიდან აცილება კი არ ხდება როგორც „შემთხვევითი“ მოვლენისა, არამედ იგი გარკვეული ზოგადი კანონზომიერების გამოვლენად მიიჩნევა და ამ კანონზომიერების ძიებისაკენ უბიძგებს მკვლევარს.

განვიხილოთ უფრო დაწვრილებით მარკირების მიმართების გაპირობებული ხასიათის დაშვებისა და დიფერენციალურ ნიშანთა სიმეტრიული განაწილების პრინციპის ურთიერთმიმართების საკითხი: მოითხოვს თუ არა მარკირების მიმართების გაპირობებული ხასიათის აღიარება სიმეტრიულობის პრინციპის უარყოფას? და ამასთან დაკავშირებით: თუ მარკირების მიმართება აუცილებლობით გულისხმობს გამოვლენის პირობათა გათვალისწინებას, ხომ არ ნიშნავს ეს, რომ ფუნქციონალური კვალიფიკაცია უნდა მიეცეს ნიშანთა კომპლექსს და არა ცალკეულ ნიშნებს პირობებთან კავშირში. ამრიგად, დიფერენციალურ ნიშანთა სიმეტრიულობის პრინციპთან

უშუალო კავშირშია ნიშანთა როგორც დამოუკიდებელ ფუნქციონალურ ერთეულთა სტატუსის საკითხი:

საკითხის ამ მეორე მხარეზე პირველად ჯ. მაკ-კოლიმ გაამაზველა ყურადღება. იგი ასე სვამს საკითხს: რა უფრო სამართლიანია, ვილაპარაკოთ ნიშანთა მარკირებაზე პირობებთან მიმართებით, თუ ნიშანთა კომბინაციების მარკირებაზე? (132, 566) გასაკვეთია, მარკირების მიმართება მთლიანად რთული სტრუქტურების ფუნქციას წარმოადგენს, მარტივი ერთეულების რთულ სტრუქტურებად შეერთების შედეგად წარმოიქმნება, თუ უმარტივეს ოპოზიციურ ერთეულებს თავის-თავად აქვთ გარკვეული ფუნქციონალური უნარი, რომელიც მოდიფიკაციას განიცდის სხვა ერთეულებთან ერთეამიერი და ხაზოვანი შეერთების პროცესში?

ვფიქრობთ, ემპირიული საფუძველი არსებობს იმისათვის, რომ აქ ჩამოყალიბებულთაგან მეორე ალტერნატივა ვარჩიოთ. ფონემათ-განმასხვავებელ ნიშნებს, მათი აკუსტიკურ-არტიკულატორულ თვისებების შესაბამისად, განსხვავებული ფუნქციონალური უნარი აქვთ, რომელზედაც გარკვეულ გავლენას ახდენს გამოვლენის პირობები— როგორც ერთეამიერი, ისე ხაზოვანი კონტექსტი¹. დიფერენციალურ ნიშანთა ფუნქციონალურ თავისებურებათა გამოვლენა ხერხდება ამ ნიშანთა მქონე მთელი ფონემური კლასების ფუნქციონირებაზე დაკვირვების შედეგად. ფუნქციონალური თვისებები, რომლებიც საერთოა გარკვეული ფონემური კლასისათვის, შესაძლებელია ამ კლასის გამაერთიანებელ ფონეტიკურ ნიშანს დაუუკავშიროთ. მაგალითად, ექვს გარეშეა, რომ ქართული ენის როგორც მკდერ, ისე ყრუ ფშვინვიერ და ისე ყრუ გლოტალიზებულ ფონემებს გარკვეული ფუნქციონალური თვისებები ახასიათებთ, რომლებიც განასხვავებენ სხვადასხვა კლასის ფონემებს და აერთიანებენ ერთი კლასის ფონემებს. იგივე უნდა ითქვას ლაბიალური, დენტალური, ველარული კლასის ფონემათა შესახებ. ეს ფუნქციონალური თვისებები, ცხადია, უნდა მივაწეროთ შესაბამის ფონეტიკურ თვისებას — მკდერობას, ასპირაციას, გლოტალიზაციას, ლაბიალობას, დენტალობას, ველარობას.

¹ საკითხის საპირისპირო გადაწყვეტისათვის (იხ. 31, 11).

ამრიგად, შეიძლება გამოიყოს ფონემურ კლასთა დამახასიათებელი ფუნქციონალური თვისებები და მიეწეროს ისინი ამ კლასთა წარმომქმნელ დიფერენციალურ ნიშნებს. მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფონემათა ყოველი ფუნქციონალური მახასიათებელი ვერ მიიჩნევა მის შემადგენელ დიფერენციალურ ნიშანთა ფუნქციონალურ თავისებურებათა გამოვლენად. რიგ შემთხვევაში ფონემები ავლენენ დამოუკიდებელ ფუნქციონალურ თვისებებს, რომლებიც აშკარად მათ შემადგენელ დიფერენციალურ ნიშანთა ურთიერთქმედების შედეგს წარმოადგენს. შესაბამისად, ფონემათა ფუნქციონირების ხასიათი შეიძლება იყოს ორგვარი: 1) ცალკეულ ფონემათა ფუნქციონირება მთლიანად გამოიყვანება იმ ფონემურ კლასთა ფუნქციონირებიდან, რომელთა შემადგენლობაშიც ისინი შედიან; 2) ცალკეულ ფონემათა ფუნქციონალური მახასიათებლები ვერ გამოიყვანება მთლიანად შესაბამისი დიფერენციალური ნიშნების ფუნქციონალური მახასიათებლებიდან. ასეთ შემთხვევებში საქმე გვაქვს დიფერენციალურ ნიშანთა გაპირობებულ ფუნქციონირებასთან.

განვიხილოთ დიფერენციალურ ნიშანთა ზოგიერთი გაპირობებული მიმართება კლასთა უპირობო მიმართებათა ფონზე. ჩვენ შესწავლილი გვაქვს დიფერენციალურ ნიშანთა მარკირების პირობები ჩქამიერ ფონემათა კლასებში, ჩვენი შემდგომი მსჯელობა ამ მასალას დაემყარება.

ჩვენ მიერ ემპირიულად მიღებულ ფონემათა მიმართებათაგან რიგი უგამონაკლისო სახეს ატარებდა, რიგი კი სტატისტიკური ხასიათისა იყო. თუ ფონემათა სიხშირულ მიმართებებს განვიხილავთ შესაბამისი დიფერენციალური ნიშნების სიხშირულ მიმართებათა ფონზე, შემდეგ სურათს მივიღებთ: ფონემათა მიმართებები, რომლებიც დიფერენციალურ ნიშანთა მიმართებებს ემთხვევა, უგამონაკლისოა, ხოლო ფონემათა მიმართებები, რომლებიც არ ემთხვევა დიფერენციალურ ნიშანთა მიმართებებს, სტატისტიკური ხასიათისაა². ცალკეულ ენებში მათ ცვლის ალტერნანტული მიმართებები, რომლებიც შესაბამის დიფერენციალურ ნიშანთა მიმართებებს ემთხვევა.

² ეს დებულება შეიძლება განვიხილოთ როგორც შევსება და დაზუსტება უნივერსალურ იმპლიკაციათა ქვეშარტების იერარქიისა, რომელიც წარმოდგენილია ქ. გრინბერგის ნაშრომში: Synchronic and Diachronic Universals in Phonology, გვ. 513.

სანიმუშოდ განვიხილოთ ლაბიალური და ველარული რიგის ფონემების ურთიერთმიმართება ხშულთა კლასში, სისინა და შიშინა რიგის ფონემების ურთიერთმიმართება ნაპარალოვანთა და აფრიკატთა კლასებში და ასპირირებულ და გლოტალიზებულ ფონემათა ურთიერთმიმართება ხშულთა და აფრიკატთა კლასებში.

1. ხშულ ფონემათა კლასში ველარული რიგის საერთო სიხშირე სჭარბობს ლაბიალური რიგის საერთო სიხშირეს. მოგვყავს. საშუალო სიხშირული მონაცემები კავკასიური ტიპის ენებისა და ინდოევროპული ტიპის ენებისათვის (თვალსაჩინოებისათვის გაეიქმეო-რებთ II თავში მოყვანილ სიხშირულ მონაცემებს).

კავკასიური ენები ინდოევროპული ენები

ლაბიალური	3,45	3,87
დენტალური	5,61	9,50
ველარული	4,46	4,73

ლოკალური რიგების მიმართება მქლერ და ყრუ ხშულ ფონემათა კლასებში ერთგვარი არ არის, იგი გაპირობებულ ხასიათს ამჟღავნებს. მქლერ ფონემათა კლასში ლაბიალური ფონემის სიხშირე სჭარბობს ველარული ფონემის სიხშირეს, ხოლო ყრუ ფონემათა კლასში — პირიქით, ველარული ფონემის სიხშირე სჭარბობს ლაბიალური ფონემის სიხშირეს. მოგვყავს კვლავ საშუალო მონაცემები.

კავკასიური ენები ინდოევროპული ენები

ბ 2,73	ფ 0,54	პ 0,18	პ 2,75	ბ 1,22
დ 3,95	თ 1,85	ტ 0,81	ტ 6,36	დ 3,14
გ 1,69	ქ 1,54	კ 1,23	კ 3,66	გ 1,07

ამრიგად, მიმართება ყრუ ფონემათა კლასებში იდენტურია ლოკალური რიგების საერთო მიმართებისა, ხოლო მქლერ ფონემათა კლასებში — საერთო სიხშირულ მიმართებათა საპირისპიროა. შესაბამისად, ყრუ ფონემების მიმართება (ველარული ფონემის /k/ სიხშირე მეტია ლაბიალური ფონემის /p/ სიხშირეზე) ჩვენი მაასალის ფარგლებში უგამონაკლისია, ხოლო მიმართებას მქლერთა კლასში (ლაბიალური /b/-ს სიხშირე მეტია ველარული /g/-ს სიხშირეზე), რომელიც გადახრას წარმოადგენს საერთო მიმართებებისაგან, აქვს გამონაკლისები.

2. ნაპარალოვანთა კლასში სისინა ფონემების სიხშირე სჭარბობს შიშინა ფონემების სიხშირეს, აფრიკატთა კლასში კი ჩვეულებრივ

შებრუნებულ მიმართებას აქვს ადგილი. მოგვაქვს კავკასიურ ენათა საშუალო მონაცემები:

	ა ა კ რ ა ლ ო ვ ნ ე ბ ი	ა ფ რ ი კ ა ტ ე ბ ი
სისინა	4,54	1,43
შიშინა	1,86	1,75

ცარიელ უჭრათა განაწილების თვალსაზრისითაც აფრიკატთა კლასში შიშინა რიგს ენიჭება უპირატესობა სისინასთან მიმართებით. შიშინა აფრიკატთა რიგში ხარვეზი გვაქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სისინა აფრიკატთა შესაბამისი უჭრა ცარიელია.

სისინა და შიშინა ფონემების საერთო მიმართება კი ისეთია, რომ სისინა ფონემებს საერთო სიხშირე სჯარბობს შიშინა ფონემების საერთო სიხშირეს:

სისინა 4.57
შიშინა 3.61

შესაბამისად, ნაპრალოვანთა კლასში არსებული მიმართება, რომელიც ნიშანთა საერთო მიმართებას ემთხვევა, რეალობაციის გაცილებით უფრო მაღალი ხარისხით ხასიათდება, ვიდრე აფრიკატთა კლასში არსებული მიმართება, რომელსაც გამოინაკლისთა გაცილებით უფრო დიდი რიცხვი ახასიათებს.

3. გლოტალიზაციისა და ასპირაციის ნიშნების ერთი სისტემის ფარგლებში თანაარსებობის შემთხვევაში ასპირაციის ნიშნის საერთო სიხშირე სჯარბობს გლოტალიზაციის ნიშნის საერთო სიხშირეს. მოვიყვანთ საშუალო მონაცემებს კავკასიური ენებისათვის:

	ხ შ უ ლ ე ბ ი	ა ფ რ ი კ ა ტ ე ბ ი
ასპირაცია	3.93	2.20
გლოტალიზაცია	2.22	1.60

პირობები, რომლებშიც შერბუნებულ ვითარებას შეიძლება ექნეს ადგილი, შემდეგია: ხშულთა კლასის ველარული რიგი და აფრიკატთა კლასი. აქ ხშირად გლოტალიზებულ ფონემათა სიხშირე სჯარბობს ასპირირებულ ფონემათა სიხშირეს. მაგრამ ამგვარი ფონემური მიმართება, რომელიც ეწინააღმდეგება ნიშანთა საერთო მიმართებას, ამ რიგებისათვის ერთადერთ მიმართებას არ წარმოადგენს. მთელ რიგ ენებში გვაქვს მიმართება, რომელიც ასპირაციისა და გლოტალიზაციის ნიშანთა საერთო მიმართებას ემთხვევა.

სამაგიეროდ ასპირირებული და გლოტალიზებული ფონემების მიმართება ლაბიალურ რიგში, რომელიც ნიშანთა საერთო მიმართებას ემთხვევა, უგამონაკლისაა, ხოლო დენტალურ რიგში ამ მიმართებისათვის ჩვენთვის მხოლოდ ერთი გამონაკლისია ცნობილი (აფხაზური).

მოყვანილი მასალა, ვფიქრობთ, საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ მარკირების მიმართების გაპირობებული ხასიათი არ ეწინააღმდეგება დიფერენციალური ნიშნის ფუნქციონალური რეალობის აღიარებას და არ გამორიცხავს დიფერენციალურ ნიშანთა სიმეტრიული განაწილების პრინციპს. როგორც ჩანს, ეს ორი მოვლენა (დიფერენციალურ ნიშანთა ფუნქციონირების სიმეტრიულობა და გაპირობებულობა) მუდმივ ურთიერთმოქმედებაში იმყოფება, ისინი მუდმივად ზღუდავენ ერთმანეთს. ამასთან, ცალკეულ ენებში ხან ერთი იმარჯვებს და ხან მეორე. ამდენად, შესაძლებელია საფუძველს არ იყოს მოკლებული იმ მკვლევართა აზრი, რომელნიც წარმომქმნელი გრამატიკის ფონოლოგიურ კომპონენტში სიმეტრიის პრინციპის შეტანის საჭიროებაზე მოუთითებენ (158).

ზოგად მიმართებათა თვალსაზრისით, ხან გაპირობებული მიმართებები წარმოგვიდგება ძირითად, დომინანტურ მიმართებებად, და სიმეტრიის პრინციპი გადახრათა წყაროს წარმოადგენს (ჩვენ მიერ ზემოთ განხილული პირველი და მეორე შემთხვევები), ხან პირიქით, ძირითადი მიმართება დიფერენციალურ ნიშანთა მიმართებას ემთხვევა და გადახრები ფუნქციონირების პირობებით იხსნება (ჩვენ მიერ განხილული მესამე შემთხვევა).

ამრიგად, ფონოლოგიური დონის უნივერსალური წესების სტატისტიკური ხასიათი, როგორც წესი, ამ ორი ძირითადი პრინციპის ურთიერთმოქმედების შედეგს უნდა წარმოადგენდეს³. ამასთან, რამდენადაც კლასთა მიმართებების ზემოქმედება ფონემურ მიმართებებზე (ე. ი. გაპირობებულ მიმართებათა სიმეტრიის პრინციპისათვის დამორჩილება) დიპრონული პროცესების გზით ხორციელდება, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შესაძლებელი უნდა იყოს ზო-

³ ჩ. ოსგუდს სტატისტიკური უნივერსალიზმი განსაკუთრებით საინტერესოდ მიაჩნია, რადგან, მისი აზრით, უნივერსალურ მიმართებათა გამონაკლისები ფუნქციონალურ კანონთა მთელი სიმრავლის ურთიერთქმედებას ასახავენ. იგი ფიქრობს, რომ არაუნივერსალური, მაგრამ კანონზომიერი მოვლენის რთული მოდელირებიდან შესაძლებელია გამოვიყვანოთ ენის განსაზღვრედი პრინციპები (150, 302).

გადი მიმართებიდან გადახრის დიაქრონიული გზების ჩვენება. ზოგად მიმართებათაგან გადახრის ახსნა ორი რიგის მოვლენათა საფუძველზე არის შესაძლებელი: 1. ზოგადი პრინციპების ურთიერთმოქმედების საფუძველზე და 2. დიაქრონიულ პროცესთა საფუძველზე. ამასთან მეორე პირველის რეალიზაციას, გამოვლენის ფორმას წარმოადგენს.

კიდევ ერთ საბუთს იმისას, რომ მარკირების მიმართება პირველ ყოვლისა დიფერენციალურ ნიშნებს უნდა მიეწეროს, იძლევა კონსონანტურ და ვოკალურ, ორალურ და ნაზალურ ფონემათა შედარებითი ფუნქციონალური ანალიზი. ნაზალობის ნიშანი ორალობასთან შეპირისპირებით მარკირებულ ნიშნად უნდა დახასიათდეს. ამის საფუძველი შემდეგია: 1. ნაზალურ ფონემათა რიცხვი არ შეიძლება იყოს მეტი, ვიდრე ორალურ ფონემათა რიცხვი, ე. ი. ორალურ ფონემათა კლასის დიფერენციაციის ხარისხი ყოველთვის უფრო მაღალია, ვიდრე ნაზალურ ფონემათა დიფერენციაციის ხარისხი. 2. საერთო სიხშირე ორალური ფონემებისა ყოველთვის სჭარბობს ნაზალურ ფონემათა საერთო სიხშირეს.

მაგრამ ცალკეულ ნაზალურ ფონემათა სიხშირე ხშირად ცალკე აღებული ორალური ფონემების სიხშირეზე მაღალი აღმოჩნდება. /n/, /m/ ტიპის ფონემათა სიხშირე, როგორც წესი, მეტია /p/, /t/, /k/ ტიპის ცალკეულ ფონემათა სიხშირეზე. ამიტომ ცალკეულ ფონემათა მიხედვით რომ ვიმსჯელოთ, ვერ გამოვაკლენთ ორალურ და ნაზალურ ფონემათა ფუნქციონალურ მიმართებას. მაგრამ რომ შევადაროთ ორალობის ნიშნისა და ნაზალობის ნიშნის სიხშირე, ორალთა საერთო სიხშირე უფრო მაღალი აღმოჩნდება, ვიდრე ნაზალთა საერთო სიხშირე. იგივე ითქმის ვოკალურ და კონსონანტურ ფონემათა მიმართებაზე — კონსონანტურ ფონემათა რიცხვი ენებში ჩვეულებრივ სჭარბობს ვოკალურ ფონემათა რიცხვს, კონსონანტურ ფონემათა საერთო სიხშირე ჩვეულებრივ მეტია ვოკალურ ფონემათა სიხშირეზე, მაგრამ ცალკეულ ვოკალურ ფონემათა სიხშირე ხშირად მეტია ცალკე აღებულ კონსონანტურ ფონემათა სიხშირეზე.

ამ ფაქტების დამაკაჟყოფილებელი აღწერა და რა?დენადმე ახსნაც შეუძლებელია, თუ მარკირების მიმართებას მივიჩნევთ ფონემათა მიმართებად და არა დიფერენციალურ ნიშანთა მიმართებად, ხოლო დიფერენციალურ ნიშანთათვის ამ მიმართების მიწერის შემთხვევაში კი ფაქტები შემდეგნაირად შეიძლება აღვწეროთ:

ზემომოყვანილ შემთხვევაში ორი კრიტერიუმი (დიფერენციალური ნიშნებით წარმოქმნილი ფონემური კლასების დიფერენცია-

ციის ხარისხი და დიფერენციალურ ნიშანთა სიხშირული მიმართება) შეთანხმებულ ჩვენებას იძლევა. მათ საფუძველზე კონსონანტობის ნიშანი შეიძლება არამარკირებულად მივიჩნიოთ ვოკალობათან მიმართებით, ხოლო ორალობისა — ნაზალობასთან მიმართებით. დიფერენციალური ნიშნის საერთო სიხშირე ნაწილდება ამ ნიშნის შქონე ფონემებზე. რამდენადაც მარკირებული ნიშანი ნაკლებ ფონემებს წარმოქმნის, იქმნება პირობა, რომ ამ კლასის ცალკეულ ფონემათა სიხშირე მაღალი აღმოჩნდეს არამარკირებული ნიშნით შედგენილ ფონემათა სიხშირეზე, რამდენადაც ამ უკანასკნელთა რიცხვი გაცილებით უფრო დიდია⁴.

ამრიგად, ჩვენ ცალმხრივად მიგვაჩნია როგორც მარკირებას მიმართების აბსოლუტური ხასიათის დაშვება, ისე მისი გაპირობებული ხასიათის აბსოლუტიზაცია. ვფიქრობთ, მოვლენის ქეშმარიტი არსის სხვადასხვა მხარეებია შენიშნული, ერთი მხრივ, ნ. ტრუბეცკოისა და, მეორე მხრივ, თანამედროვე მკვლევართა ნაშრომებში და სრული სურათი ამ ორი თვალსაზრისის შეერთების შედეგად უნდა მივიღოთ.

დაპირისპირებულ ერთეულთა ფუნქციონირება ხშირად გაპირობებულ ხასიათს ამკლავებს — ფონოლოგიურ თეორიას უნდა შეეძლოს ამ ფაქტის ფიქსირება და ახსნა. ნ. ს. ტრუბეცკოის თეორიის ნაკლად უნდა მივიჩნიოთ ამ რიგის მოვლენათა შეგნებული გამორიცხვის ტენდენცია მარკირების მიმართების განსაზღვრიდან, მაგრამ ეს არ უნდა ნიშნავდეს დიფერენციალურ ნიშანთა ფუნქციონალური დამოუკიდებლობის და მათი განაწილების სიმეტრიული ხასიათის სრულ უარყოფას. ეს არ ნიშნავს იმას, რომ მარკირება მთლიანად რთული სტრუქტურების, ფონემების ფუნქციად უნდა გამოვაცხადოთ.

ამის საწინააღმდეგოდ მეტყველებს ისიც, რომ გაპირობებულია არა მარტო დიფერენციალურ ნიშანთა ფუნქციონირება ფონემის სტრუქტურაში, არამედ ფონემათა ფუნქციონირება ფონემათაშეერთების სტრუქტურაშიც. და თუ ამგვარი ფაქტები ფუნქციონალურ თვისებათა რთული სტრუქტურებისათვის მიწერის საფუძველად ჩავთვალეთ, მაშინ ვერც ფონემას ჩავთვლით ძირითად ფუნქციონალურ ერთეულად. უფრო თანმიმდევრული იქნებოდა ფონემათაშეერთების შეფასება მარკირების მიმართების თვალსაზრისით.

⁴ ამ რიგის ფაქტების სხვაგვარი ინტერპრეტაციისათვის იხ. (50).

ვფიქრობთ, რომ დისტინქციური ღირებულების მქონე უმცირეს ერთეულად, რომელსაც ფუნქციონალური თვისებები შეიძლება მიეწეროს, დიფერენციალური ნიშანი უნდა მივიჩნიოთ, მაგრამ გარკვეული ფუნქციონალური თვისებები აქვთ ფონოლოგიური დონის უფრო რთულ ერთეულებსაც — ფონემებსა და ფონემათშეერთებებს. ამ რთულ სტრუქტურათა ფუნქციონალური თვისებები ნაწილობრივ მათი შემადგენელი დიფერენციალური ნიშნების თვისებებით არის განსაზღვრული, ნაწილობრივ კი ამ ნიშანთა ურთიერთშეერთების შედეგადაა წარმოქმნილი.

შემდეგ პარაგრაფებში შევეცდებით ვაჩვენოთ, რომ თუმცა ფონოლოგიური დონის უმცირეს ფუნქციონალურ ერთეულებად დიფერენციალური ნიშნები უნდა მივიჩნიოთ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ არ არსებობს დისტინქციური (სიტყვათაგანმასხვავებელი) ფუნქციის მქონე უფრო მცირე ერთეულები, მაგრამ მათ ფუნქციონირებაზე დაკვირვება ავლენს დიფერენციალურ ნიშანთა რთულ სტრუქტურას, გამოგვავლენინებს დიფერენციალურ ნიშანთა კომპონენტებს, რომელთაც შეიძლება მიეწეროს დიფერენციალურ ნიშანთა ფუნქციონირების ესა თუ ის თავისებურებანი.

2. ფონემათა და დიფერენციალურ ნიშანთა ფუნქციონალურ მიმართებათა ინტერპრეტაციისათვის

მკვლევართა დიდი წილის აზრით, მარკირების მიმართება, ანუ ოპოზიციურ ელემენტთა ფუნქციონალური უთანაბრობა გარკვეულ ფსიქო-ფიზიკურ მოვლენებზე არის დამოკიდებული. ბგერათა ენობრივი გამოყენების სახეს ბგერათა ფიზიოლოგიურ-აკუსტიკური თვისებები და ადამიანის ფსიქიკური წყობის გარკვეული თავისებურებები უნდა განსაზღვრავდნენ (122, 390-391; 100, 70-71, 104-177; 153-171)⁵.

⁵ ოპოზიციურ ერთეულთა ფუნქციონალური უთანაბრობის საფუძველის ძიებისას ზოგი ავტორი მხოლოდ არტიკულატორულ ფაქტორებზე მიუთითებს, ზოგი — მხოლოდ აკუსტიკურ მოვლენებზე, ზოგიც ორივე ამ ფაქტორის მოქმედებას მიიჩნევს შესაძლებლად.

არტიკულატორულ მოვლენებზე არის ორიენტირებული მარკირების მიმართების ნ. ტრუბეცკოვის ული ინტერპრეტაცია. მისი აზრით, არამარკირებული ფონემები, რომლებიც მინიმალურად არის გადახრილი ნორმალური სუნთქვისაგან. არტიკულატორული სირთულე-სიმარტივე ივულისხმება აგრეთვე ფონემათა სინშირული მიმართებების გ. ე. კ. ფ. ი. უ. ლ. ახსნაში (197; 79-81).

არტიკულატორული და აკუსტიკურ-პერსეფციული ინტერპრეტაციის შეერთების ნიმუშს წარმოადგენს ახსნა, რომელსაც ქ. მილერი აძლევს დენტო-

ვიზიარებთ რა ამ დებულებას, შევეცდებით მიღებულ მიმართებათა კორელაციების გამოვლენას ბგერათა ფიზიოლოგიურ-აკუსტიკურ მახასიათებელთა შორის. შევეცდებით იმ პრინციპების გამოვლენას, რომლებიც უნდა განსაზღვრავდნენ გარკვეული ფიზიკური მახასიათებლების მქონე ბგერათა ენობრივი გამოყენების ინტენსივობას.

როგორც ვნახეთ, ქართველურ და კავკასიურ ენათა ხშულთა კლასში ყველაზე მაღალი სიხშირით ხასიათდება ფონემათა სერია, რომელიც განისაზღვრება როგორც მჟღერი, ამასთან მჟღერობის დაბალი ხარისხის მქონე. ამრიგად, ვითარება ისეთია, რომ შესაძლებელია გამოდგეს სიხშირულ მიმართებათა იმ სახის ინტერპრეტაციისათვის, რომელსაც გ. კ. ციბფი იძლეოდა: მჟღერ ხშულთა მჟღერობის ხარისხი იმდენად მცირეა, რომ იგი მხედველობაში არ მიიღება და ეს რიგი უნიშნოდ, არამარკირებულად ჩაითვლება (სწორედ ასეთ კვალიფიკაციას აძლევს კავკასიურ ენათა მჟღერ ხშულებს რ. იაკობსონი გ. ახვლედიანისა და თ. აბზიანიძის მონაცემებზე დაყრდნობით (129,46)⁶.

აღეოლარულ ფონემათა განსაკუთრებულ ფუნქციონალურ მდგომარეობას: პერსპექტიული აღრევა გაცილებით ხშირია წარმოების ადგილის თვალსაზრისით, ვიდრე ლარინგალური არტიკულაციის თვალსაზრისით, ამიტომ ერთი ლოკალური რიგის ფონემათა მაღალი სიხშირე ხელს უწყობს მეტყველების გარჩევადობას, ხოლო ამ ლოკალური რიგის დენტალურით წარმოდგენა მისი არტიკულატორული თვისებებით არის შეპირობებული (145, 87).

როგორც არტიკულატორულ, ისე აკუსტიკურ ფაქტებს ითვალისწინებს რ. იაკობსონის თეორია, რომლის მიხედვითაც უპირატესობა ეძლევა არტიკულატორული თვალსაზრისით მინიმალურად დიფერენცირებულ ელემენტთა აკუსტიკურად მაქსიმალურად კონტრასტულ დაპირისპირებებს. უკანასკნელი დროის გამოკვლევებშიც ფუნქციონალურ მოვლენათა კორელაციებს ეძებენ როგორც აკუსტიკურ, ისე არტიკულატორულ თვისებებში (იხ. მაგ. 83, 878-880).

⁶ ს. ჟღენტის გამოკვლევის მიხედვით სვანური ენის მჟღერ ხშულთა მჟღერობის ხარისხი მეტია, ვიდრე ქართული და მეგრული მჟღერი ხშულებისა (16, 208). თუ სწორია ვარაუდი, რომ გარკვეული შესაბამისობა არსებობს მჟღერ ხშულთა მჟღერობისა და დაკომპლექსირების ხარისხსა და მათ ფუნქციონალურ დატვირთვას შორის, მაშინ ს. ჟღენტის დებულება შემოწმებას საჭიროებს. ფუნქციონალური სურათი სვანურში ისეთივეა, როგორც სხვა კავკასიურ ენებში, ამასთან ხშულთა კლასში მჟღერთა ფუნქციონალური უპირატესობა უფრო თანმიმდევრულადაა გამოვლენილი, ვიდრე მეგრულ-ქანურში.

ექსპერიმენტული მონაცემების გარდა, ს. ჟღენტის აზრით, სვანურის მჟღერ ხშულთა მჟღერობის სისრულეს ისიც გვაეარაუდებინებს, რომ ამ ენაში აუსლაუტში მჟღერ ხშულთა დაყრუება არ ხდება. ამავე მოვლენის საფუძველზე იგი ძველ ქართულშიც ეარაუდობს სრული მჟღერობის მქონე ხშულებს (16, 82).

ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია ფუნქციონალურ მონაცემთა სხვა-გვარი, აკუსტიკურ ასპექტზე ორიენტირებული ინტერპრეტაციის წარმოდგენა.

ნაშრომის მეორე თავში გაანალიზებულ ხშულთა სისტემებში ფუნქციონალური უპირატესობა აღმოაჩნდა: ა) ნახევრადმჟღერ და-ჰიმულ ფონემებს (არადაჰიმულ ყრუ ასპირირებულ და დაჰიმულ ყრუ გლოტალიზებულებთან მიმართებით — „კავკასიური“ ტიპი) და ბ) ყრუ დაჰიმულ ფონემებს (არადაჰიმულ მჟღერ ფონემებთან მიმარ-თებით — ინდოევროპულ ენებში გაბატონებული ტიპი). ეს დაკვირ-ვება გვაყარაუდებინებს, რომ გარკვეული კავშირი უნდა არსებობ-დეს ბგერათა დაჰიმულობის, შესაბამისად ინტენსივობის ზარისხსა და მათ ფუნქციონალურ დატვირთვის შორის. ბგერის ინტენსივობა მის გრძლივობასთან ერთად იდენტურ სპექტრალურ მახასიათებელ-თა პირობებში განსაზღვრავს ბგერის ხმასიძლიერისა და გარჩევა-დობის ხარისხს. შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ბგერები, რომ-ლებიც ხმასიძლიერის მაღალი ხარისხით ხასიათდებიან და ამდე-ნად ხელს უწყობენ სამეტყველო კომუნიკაციის ეფექტურობას, უფრო დიდი ფუნქციონალური დატვირთვით ხასიათდებიან. ამ თვალსაზრისით, მაღალი ინტენსივობის მქონე გლოტალიზებულ ფონემათა მცირე ფუნქციონალური დატვირთვა შესაძლებელია აინხნას მათი მცირე გრძლივობით.

აუსლატში მჟღერობის ნიშნის შენარჩუნება განსაზღვრავს სვანური და ძვე-ლი ქართული ენის მჟღერ ხშულთა უფრო დიდ დისტრიბუციულ ძალას ახალ ქართულთან და მეგრულ-ქანურთან შედარებით. ამდენად, ძველ ქართულსა და სვანურში მჟღერი ხშულები კიდევ უფრო დიდი ფუნქციონალური დატვირთვით ხასიათდება, კიდევ ახალ ქართულსა და მეგრულ-ქანურში. და თუ მართლაც არ-სებობს გარკვეული შესაბამისობა მჟღერთა მჟღერობის და დაჰიმულობის ხარისხსა და ფუნქციონალურ უნარს შორის, მაშინ შესაძლებელი ჩანს ვივარაუდოთ, რომ სვანურისა და ძველი ქართულის მჟღერი ხშულები უნდა დახასიათდეს როგორც სუსტი მჟღერობისა და დაჰიმული არტიკულაციის მქონე ბგერები.

ძველი ქართული ენის მჟღერ ხშულთა სუსტ მჟღერობას და დაჰიმულობას უნ-და მოწმობდეს ისიც, რომ ხშირად ნასესხებ სიტყვებში ყრუ ფონემების აღვილას მჟღერები გვაქვს. მაგალითად გამოდგება ფორმები: ე ბ ი ს კ ო პ ო ს ი, ე ბ ი ს-ტ ო ლ ე, ო კ დ ო ნ ბ ე რ ი. ამგვარი მოვლენა სწორედ სუსტი მჟღერობის მქონე სისტემებს ახასიათებს. ასე მაგალითად, ადილურ ენაში, სადაც ხშულთა მჟღერობის ხარისხი სუსტია, რუსულიდან ნასესხებ სიტყვებში ხშირია ყრუთა შენაცვლება მჟღერებით: булкъон — полковник; кабнска — капуста; бэлътоку — платок; сырашыч—пряник (27, 39-40) როგორც ჩანს, უცხო ენათა ყრუების შრობლიური ენის ბგერებით გადმოცემისას სუსტი მჟღერობა მხედველობაში არ მიიღება და იდენტიფიკაცია ხდება დაჰიმულობის თვალსაზრისით სიახლოვის საფუძველზე.

წარმოდგენილი ვარაუდის სასარგებლოდ მეტყველებს აგრეთვე ბგერათა გარჩევადობის შესასწავლად ჩატარებული ექსპერიმენტების მონაცემებიც. ქართულ ენაში ბგერათა გარჩევადობის შესასწავლად ჩატარებულმა ექსპერიმენტმა⁷ გარჩევადობის თვალსაზრისით ნიშანთა შემდეგი იერარქია გამოავლინა: ხშულთა კლასში — მჟღერები (55,8) — ასპირირებული (49,4) — გლოტალიზებული (42,5); აფრიკატთა კლასში: ასპირირებული (74,1) — მჟღერები (62,1) — გლოტალიზებული (54,4); ნაპრალოვანთა კლასში: ყრუები (62,8) — მჟღერები (49,4)⁸. როგორც ვხედავთ, სრულ პარალელშიმს აქვს ადგილი ბგერათა ფუნქციონალურ და პერსექტულ წინართებებს შორის.

ლაბიალურ და ველარულ ფონემათა გარჩევადობის თვალსაზრისითაც ფუნქციონალურ მონაცემთა პარალელური მიმართებები ვლინდება. მჟღერ ფონემათა კლასში /b/-ს უფრო მაღალი გარჩევადობა ახასიათებს, ვიდრე /g/-ს, ხოლო ყრუ ფონემათა კლასში პირიქით, ველარულები უკეთესი გარჩევადობით ხასიათდებიან, ვიდრე ლაბიალურები. მოვიყვანთ ინგლისური, უნგრული და ქართული ენისათვის ჩატარებული ექსპერიმენტების მონაცემებს⁹:

⁷ ექსპერიმენტი ჩატარებულია ჩვენ მიერ საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ექსპერიმენტული ფონეტიკის ლაბორატორიაში, ამ ლაბორატორიის თანამშრომელთა დახმარებით. ექსპერიმენტი ჩატარდა ორ სერიად, თეთრი ხმაურის ფონზე. პირველი სერია ჩატარდა +6 db სიგნალი / ხმაური შეფარდების პირობებში, მეორე კი +10 db-ის პირობებში. საცესტო სტიმულები: ჩქამიერი თანხმონები ხუთივე ხმოვანთან კომბინაციაში წიციბხა ორმა დიქტორმა. ხშულები და აფრიკატები შესწავლილია CV და VCV ტიპის მარცვლებში, ნაპრალოვანები კი მხოლოდ VCV ტიპის მარცვლებში. ბგერათა აღქმის სტაბილობა განისაზღვრება სწორად იდენტიფიცირებულ სტიმულთა შეფარდებით სტიმულთა საერთო რაოდენობასთან.

⁸ მოყვანილია +6 db სიგნალი/ხმაური შეფარდების პირობებში ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგები.

⁹ ინგლისურისათვის მოყვანილია სწორად იდენტიფიცირებულ სტიმულთა აბსოლუტური რაოდენობა, ხოლო უნგრულისა და ქართულისათვის — სწორად იდენტიფიცირებულ სტიმულთა ფარდობა სტიმულთა საერთო რაოდენობასთან. ინგლისური ენის ბგერათა გარჩევადობის მონაცემები მოღებულია ჟ. შილერისა და ვ. ნაილის გამოკვლევიდან (146), უნგრულის კი ტ. ტარნოჩის გამოკვლევიდან (168). ინგლისურისათვის ექსპერიმენტი ჩატარებულია თეთრი ხმაურის ფონზე, უნგრულისათვის — მეტყველებსებური ხმაურის ფონზე. თეთრ ხმაურს გარკვეული უპირატესობა ენიჭება სხვა შემთხვეულ ხმაურებს შორის.

ინგლისური

	- 12 db	- 6db	0 db		- 12 db	- 6 db	0 db
p	51	80	150	b	60	136	235
k	62	107	138	g	29	63	261

2. უნგრული

	15 db	0 db		15 db	0 db
p	90	46,5	b	79	75
k	91	78,5	g	83	66,5

3. ქართული

	6 db	10 db		6 db	10 db
ბ	55,5	62,1	ფ	31,1	48,5
გ	33,7	56,4	ქ	31,8	58,2
	6 db	10 db			
პ	27,7	42,2			
კ	34,5	60,0			

აღსანიშნავია, რომ გლოტალიზებული ველარული ფონემა გარჩევადობის ძალიან მაღალი ხარისხით ხასიათდება. ეს შეესაბამება მის განსაკუთრებულ მდგომარეობას ხშულთა ფუნქციონალურ იერარქიაშიც.

ფუნქციონალური მიმართებების პარალელური მიმართებები ბგერათა და ბგერათა კლასთა აღქმადობის თვალსაზრისით ვლინდება სხვა დიფერენციალურ ნიშანთა შესწავლისასაც. ასე, მაგალითად, ქართულში ხშულთა აღქმის სტაბილურობა უფრო მაღალია — 68,3, ვიდრე ნაპარალოვანთა აღქმის სტაბილურობა — 57,9; ასეთივე მიმართებას აქვს ადგილი რუსულშიც ლ. ზინდერისა და ა. შტერნის გამოკვლევის მიხედვით (45).

ვფიქრობთ, რომ სიხშირული მახასიათებლებისა და გარჩევადობის ხარისხის შესაბამისობა არ უნდა იქნეს ინტერპრეტირებული ისე, თითქოს სიხშირული მიმართებანი განსაზღვრავდნენ გარჩევადობას, რადგან ბგერათა გარჩევადობის მონაცემების ინტერპრეტაცია დამა-

რის, რადგან იგი თანაბარ პირობებს ქმნის განსხვავებული სპექტრალური მახასიათებლების მქონე ბგერათათვის. არსებობს გამოკვლევა, რომელშიც კორელაციური მეთოდით შედარებულია სხვადასხვა ტიპის ხმაურის ფონზე ჩატარებული ექსპერიმენტების შედეგები. ამ შედეგებს შორის მაღალი კორელაციის არსებობის საფუძველზე ეთლება დასკვნა, რომ თეთრი ხმაური შესაძლებელია მიჩნეული იქნეს რეპრეზენტატიულად და სანდოდ ამ რიგის კვლევისათვის (81, 201-202).

კმაყოფილებლად ხერხდება აკუსტიკური მახასიათებლების საფუძველზე. როგორც უკვე ითქვა, ბგერათა გარჩევადობა დამოკიდებულია ბგერათა სიგრძეზე, ინტენსივობაზე და ფორმანტულ სტრუქტურაზე. შევეცდებით ამ მახასიათებლებზე დაყრდნობით წარმოვადგინოთ ბგერათა გარჩევადობის მონაცემების ინტერპრეტაცია.

ყრუ სპირანტები, როგორც არტიკულაციურად უფრო დაქიმული ბგერები, შესაბამის მქონე სპირანტებთან შედარებით მეტი სიგრძით და ინტენსივობით ხასიათდებიან, ამიტომ მათი გარჩევადობის ხარისხიც უფრო მაღალია. ასეთივე ვითარებაა მქლერობის დაპირისპირების მქონე ენათა ხშულთა კლასშიც. რაც შეეხება კავკასიურ ენათა სისტემას, აქ განსხვავებულ ვითარებას აქვს ადგილი. გლოტალიზებული ხშულები, რომლებიც ყველაზე მაღალი ინტენსივობით ხასიათდებიან, ვერ ჩაითვლება გარჩევადობის თვალსაზრისით ოპტიმალურ ბგერებად, რადგან მათი გრძლივობა ყველაზე მცირეა. ყრუ ასპირირებულ და მქლერ ხშულებს შორის უფრო დაკიმული არტიკულაცია და შესაბამისად მეტი ინტენსივობა ახასიათებს ნახევრად-მქლერ ფონემებს /ბ, დ, გ/.

ასევე, ლოკალური რიგების მიმართებასაც ფიზიკური საფუძველი ეძებნება. ე. ფიშერ-იორგენსენის ნაშრომის მიხედვით, დანიურში /k/-ს გრძლივობა სჭარბობს /p/-ს გრძლივობას. /g/-ს გრძლივობა კი ნაკლებია /b/-ს გრძლივობაზე. ამ საკითხზე არსებულ გამოკვლევათა მიხედვით, /b/-ს-ს გრძლივობა სჭარბობს /g/-ს გრძლივობას ინგლისურში, გერმანულში, ფრანგულში და ბრეტონულშიც (94, 177-202).

საინტერესოა აგრეთვე სინთეზირებულ ბგერათა აღქმის ანალიზის შედეგები: ერთი და იმავე სახით სინთეზირებული ბგერითი ელემენტი ხანმოკლე ხშვით აღიქმება როგორც /p/, ხოლო ხანგრძლივი ხშვით კი — როგორც /k/ (166).

ასეთივე მიმართება არსებობს მქლერ ფონემებს შორის მქლერობის ხარისხის თვალსაზრისით (/b/-ს მქლერობის ხარისხი სჭარბობს /g/-ს მქლერობის ხარისხს) და ყრუ ფონემებს შორის განხშვის ხანგრძლივობის თვალსაზრისით (/k/-ს განხშვის ხანგრძლივობა სჭარბობს /p/-ს განხშვის ხანგრძლივობას (137).

ფიზიკურ მონაცემებზე დაყრდნობით იხსნება გადახრა ველარულ რიგშიც. გლოტალიზებული ფონემები ყველაზე დიდი ინტენსივობით ხასიათდებიან, მაგრამ მათი გრძლივობა ძალიან მცირეა. ყრუ ხშულებში ველარულთა სიგრძე ყველაზე დიდია, ამდენად ბუნებრივია, რომ ველარული გლოტალიზებული ხშული, რომელიც მა-

ღალი ინტენსივობის მქონეა და სხვა გლოტალიზებულ ხშულებთან შედარებით საკმაო სიგრძისაა, კარგი გარჩევადობის მქონეა.

ამრიგად, დასტურდება გარკვეული პარალელიზმი ბგერათა ფუნქციონალურ მიმართებებსა და გარჩევადობის თვალსაზრისით. მათ ურთიერთმიმართებას შორის, რომელიც, ვფიქრობთ, ძნელია შემთხვევითად ჩაითვალოს. ჩვენ არა გვგონია, რომ წარმოდგენილი მასალის საფუძველზე შესაძლებელია გადაჭრილად ჩაითვალოს ბგერათა ფუნქციონალურ მიმართებათა ინტერპრეტაციის საკითხი. ბგერათა ფუნქციონირება უნდა განისაზღვრებოდეს მოკლენათა რთული კომპლექსით, აკუსტიკურ და ფიზიოლოგიურ ფაქტორთა ურთიერთმოქმედებით, არა მარტო მსმენელთა, არამედ მოლაპარაკეთა მოთხოვნილებითაც. ვფიქრობთ, რომ ფუნქციონალურ მიმართებათა ამხსნელ ერთიან თეორიაში აქ წარმოდგენილმა პარალელიზმმაც უნდა იპოვოს ადგილი.

3. დიფერენციალურ ნიშანთა რთული ანაზღაურების საკითხი

დიფერენციალურ ნიშანთა ფუნქციონირების ანალიზის შედეგად გაიჩნდა, რომ ერთსა და იმავე ნიშანს შესაძლებელია განსხვავებული ფუნქციონალური ხასიათი ჰქონდეს რელიზაციის განსხვავებულ პირობებში. ამას გარდა, გამოვლინდა ნაწილობრივი პარალელიზმი ზოგიერთ ნიშანთა ფუნქციონირებაში. ერთი და იმავე A ნიშნის ფუნქციონირება პირობათა ერთ წყებაში შესაძლებელია B ნიშნის მსგავსი იყოს, მეორე წყებაში კი C ნიშნის ფუნქციონირებასთან იჩენდეს სიახლოვეს. ეს გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ A-ს აქვს როგორც B-სთან, ისე C-სთან საერთო ფიზიკური მახასიათებლები, რომლებიც მისი ფუნქციონირების თავისებურებებს განსაზღვრავენ. ამდენად დიფერენციალურ ნიშანს აქვს გარკვეული სტრუქტურა, იგი გარკვეულ თვისებათა შეერთებას წარმოადგენს.

ასე, მაგალითად, გლოტალიზაციის ნიშნის ფუნქციონირებაში გამოიყოფა რამდენიმე ასპექტი, რომელთა გამაპირობებლად ამ ნიშნის სხვადასხვა კომპონენტები გამოდიან. პირველ ყოვლისა, გავიხსენოთ ფუნქციონალური თვისება, რომელიც გლოტალიზებულ ფონემათა კლასს სხვა ყრუ ფონემებთან აქვს საერთო: ველარული ფონემის ფუნქციონალური ძალა აღემატება ლაბიალური ფონემის ფუნქციონალურ ძალას — ეს იქნება გლოტალიზაციის ნიშნის სიყრუის კომპონენტის შესაბამისი ფუნქციონალური თვისება. ამას გარდა, გლოტალიზაციის ნიშანს ინტენსივობის ნიშანთან საერთო აქვს მა-

ღალი კომბინირების უნარი აფრიკატობის წიშანთან და ხშულთა კლასში ველარულ არტიკულაციასთან.

გლოტალიზაციის წიშანს ინტენსივობის წიშანთან საერთო აქვს არტიკულაციურ ორგანოთა დაქიმულობისა და ინტენსივობის ძალა-ლი ხარისხი. ამ საერთო თვისებას შეიძლება დავუკავშიროთ გლოტალიზაციის და ინტენსივობის წიშანთა საერთო ფუნქციონალური თავისებურებაც. და, ბოლოს, გლოტალიზაციის წიშანს აქვს ფუნქციონალური თვისება, რომლითაც იგი მკვეთრად უპირისპირდება ინტენსივობის წიშანს: გლოტალიზაციის წიშანი ძალზე ძნელად უკავშირდება ნაპრალოვნობის წიშანს, მაშინ როდესაც ნაპრალოვნობა ინტენსივობის წიშანის ფუნქციონირებისათვის განსაკუთრებით ხელსაყრელ პირობას წარმოადგენს. სხვაობა გლოტალიზაციისა და ინტენსივობის წიშანის ფუნქციონირებაში შესაძლებელია დავუკავშიროთ კომპონენტს, რომელიც მათ დიდად ასხვავებს: გლოტალიზებული ბგერები ყველაზე მოკლეა კორელაციურ ფონემებს შორის — ინტენსიური ბგერები კი ყველაზე მყოვარი. ნაპრალოვნები, რომლებიც ჩვეულებრივ მყოვარი ბგერებია, კარგად იგუებენ ინტენსივობის წიშანს და ძნელად — გლოტალიზაციის წიშანს. გლოტალიზაციის წიშანის კიდევ ერთი კომპონენტი, — რომელიც შესაძლებელია წამყვანად მივიჩნიოთ სხვა კომპონენტებს შორის — დამატებითი ხშვა ყელში, — ასევე შეიძლება შემაფერხებლად მოქმედებდეს ნაპრალოვნობის წიშანთან დაკავშირების თვალსაზრისით.

ლარინგალური არტიკულაციის სხვა წიშანთა ფუნქციონირების ანალიზიც ავლენს წიშანთა რთულ სტრუქტურას. როგორც ვნახეთ, ინდოევროპული და კავკასიური ტიპის მქლერი და ასპირირებული ფონემები ავლენენ როგორც მსგავს, ისე განსხვავებულ ფუნქციონალურ თვისებებს, რომლებიც ამ წიშანთა სხვადასხვა ფონეტიკური კომპონენტებით უნდა იყოს შეპირობებული. შევეუდაროთ ერთმანეთს ხშულ ფონემათა კლასში ლარინგალური არტიკულაციის წიშანთა ფუნქციონალური იერარქია იბერიულ-კავკასიურ და ინდოევროპულ ენებში. კავკასიურ ენებში ხშულ ფონემათა კლასების სიხშირული მიმართებები ასეთია: მქლერი და ქიმული ფონემები (8,37) — ფშვინვიერი არადაქიმული ფონემები (3.96) — გლოტალიზებული ფონემები (2.22). ინდოევროპულ ენათა ხშულთა კლასების სიხშირული მიმართება ასეთია: ყრუ და ქიმული ფონემები (12.77) — მქლერი არადაქიმული ფონე-

მე ბი (5.43). ასეთი იერარქიაა იმ ენებში, სადაც ყრუ ფონემები არაასპირირებულია (მაგ., რუსული, ფრანგული) და იმ ენებშიც, სადაც ყრუ დაქიმული ფონემები ასპირირებულია (მაგ., ინგლისური, გერმანული). ამ ორი ტიპის ფონემურ სისტემათა ფუნქციონალურ მახასიათებელთა ერთმანეთთან შედარება გვიჩვენებს, რომ მქლერი დაქიმული და არადაქიმული ფონემები განსხვავებულ ადგილს იჭერენ ფუნქციონალურ იერარქიაში. იბერიულ-კავკასიური ტიპის მქლერი დაქიმული ფონემები (მათი მქლერობის ხარისხი დაბალია) სისტემაში ყველაზე მაღალი სიხშირით ხასიათდებიან, ხოლო ინდოევროპული ტიპის მქლერი დაქიმული ფონემები ნაკლები სიხშირით ხასიათდებიან, ვიდრე შესაბამის სისტემათა ყრუ დაქიმული ფონემები. ასევე ყრუ ფშვინვიერ ფონემათა ადგილი ფუნქციონალურ იერარქიაში განსხვავებულია იმის მიხედვით, დაქიმული არტიკულაციით ხასიათდებიან ეს ფონემები თუ არადაქიმული არტიკულაციით: ინდოევროპული ტიპის დაქიმული ფშვინვიერები პირველ ადგილს იკავებენ ფუნქციონალურ იერარქიაში, ხოლო იბერიულ-კავკასიური ტიპის არადაქიმული ფშვინვიერები — მეორე ადგილს მქლერ დაქიმულ ფონემათა შემდეგ.

ამ ორი იერარქიული რიგის შედარება ავლენს აშკარა კავშირს ლარინგალური არტიკულაციის ნიშანთა ისეთი კომპონენტისა, როგორცაა დაქიმულობა (ინტენსივობა), ფუნქციონალურ იერარქიაში ლარინგალური არტიკულაციის ნიშნების ადგილთან. დაქიმული ბგერები, მიუხედავად იმისა, მქლერებია ისინი თუ ყრუები, ფშვინვიერები თუ არაფშვინვიერები, პირველ ადგილს იჭერენ იერარქიაში, ხოლო არადაქიმული ბგერები, ასევე მიუხედავად იმისა, მქლერებია ისინი თუ ყრუები, ფშვინვიერები თუ არაფშვინვიერები, ჩამოუვარდებიან დაქიმული არტიკულაციის (და მაღალი ინტენსივობის) მქონე ბგერებს ფუნქციონალური თვალსაზრისით. ზემოთ გვქონდა შემთხვევა გვეჩვენებინა, რომ ლარინგალური არტიკულაციის ნიშანი უკავშირდება ბგერის ინტენსივობისა და გრძლივობის გარკვეულ ხარისხს.

ამრიგად, ლარინგალური არტიკულაციის ნიშანთა სტრუქტურაში შემავალი კომპონენტებიდან გამოიყოფა თვისებები, რომლებიც განსაზღვრავენ ამ ნიშანთა ფუნქციონალურ იერარქიას — ესენია ინტენსივობა და გრძლივობა, და კომპონენტები, რომლებიც განხილულ ფუნქციონალურ თვისებასთან კავშირს არ ავლენენ (ესენია მქლერობა-სიყრუე, ასპირაცია).

დგება საკითხი, ხომ ვერ გახდება ასეთი ვითარება საფუძველი დიფერენციალურ ნიშანთა რელევანტური და არარელევანტური ნიშნების გამოჩენისათვის? ინდოევროპული ტიპის სისტემებში მკვლევარმა შეიძლება ჩაითვალოს რელევანტურ (მარკირებულ) ნიშნად, ხოლო იბერიულ-კავკასიური ტიპის სისტემებში — დაქიშვად. იქნება თუ არა ასეთ შემთხვევაში მიღწეული ფუნქციონალურ მონაცემთა ადეკვატური აღწერა? ვფიქრობთ, რომ არა, რამდენადაც ზემოთ განხილულის გარდა დიფერენციალურ ნიშნებს სხვა ფუნქციონალური თვისებებიც აქვთ, რომელთა გამაპირობებლად უკვე ის კომპონენტები გვევლინება, რომელთა ფუნქციონირება ზემოთ გახილულ მიმართებებში არ აისახებოდა.

საქმე ისაა, რომ ინდოევროპული და იბერიულ-კავკასიური ტიპის ფონემებს, განსხვავებულის გარდა, მსგავსი ტიპოლოგიური თვისებებიც აქვთ. ასეთია ლოკალური რიგის ნიშნების მიმართებები მკვლერ და ყრუ ფონემათა კლასებში. მკვლერ ფონემათა ყველა ტიპი: მარტივი მკვლერი, ასპირირებული, იმპლოზიური — ერთგვარ ფუნქციონალურ თვისებებს ავლენს. ლოკალური რიგების იერარქია მკვლერ ბგერათა კლასებში ამგვარია: **ლ ა ბ ი ა ლ უ რ ი — ვ ე ლ ა რ უ ლ ი**. ყრუთა კლასებში კი შებრუნებული იერარქია გვაქვს: **ე ე ლ ა რ უ ლ ი — ლ ა ბ ი ა ლ უ რ ი**. ასეთი იერარქია არსებობს როგორც მარტივ ყრუ, ისე ასპირირებულ, გლოტალიზებულ, ინტენსიურ ყრუ ფონემათა კლასებში. გვეძლევა შესაძლებლობა დავასკვნათ, რომ ლოკალური რიგების ფუნქციონალური ურთიერთმიმართება შეპირობებულია მკვლერობისა და სიყრუის კომპონენტებით და დამოუკიდებელია ისეთი კომპონენტებისაგან, როგორცაა ასპირაცია, გლოტალიზაცია. გამოიყო მეორე ფუნქციონალური ასპექტი, რომლის გამაპირობებელი ლარინგალური არტიკულაციის ნიშანთა კომპონენტთაგან არის მკვლერობისა და სიყრუის კომპონენტები.

ასპირაციისა და გლოტალიზაციის კომპონენტებს დამატებითა თვისებურება შეაქვთ მკვლერ და ყრუ ფონემათა ფუნქციონირებაში. არ არსებობს ენები ცარიელი უჭრით მარტივ ყრუ ფონემათა კლასში, მაგრამ არის ენები ცარიელი უჭრით ყრუ ასპირირებულ და ყრუ გლოტალიზებულ ფონემათა კლასებში. ამ ფიზიკურ მახასიათებელთა დამატება ხელს უწყობს ძირითად ფუნქციონალურ მიმართებათა უკიდურესი სახით — ცარიელ უჭრათა სახით გამოვლენას.

დააქრონიული პროცესებიც დიფერენციალურ ნიშანთა შემადგენელი კომპონენტებით არის შეპირობებული. ფონემათა კლასების

განახვავებული რეფლექსები შესაბამისი დიფერენციალური ნიშნების სხვადასხვა კომპონენტებით არის განსაზღვრული. მაგალითად, მკვლელობის ნიშნის მქონე ფონემათა განსხვავებული შესატყვისები: შესატყვისობა მკლერი: გლოტალიზებული (დადასტურებულია მაგალითად, ნახური ჭგუფის ენებში) და შესატყვისობა მკლერი: ინტენსიური (დადასტურებულია დაღესტნურ ენებში) სხვადასხვა კომპონენტებით უნდა იყოს შეპირობებული. მკვლეობისა და გლოტალიზაციის ნიშნებს აკავშირებს ლარინგალური არტიკულაცია: სახმო სიწების მდგომარეობის თვალსაზრისით ერთმანეთთან ყველაზე ახლოს მკვლეობისა და გლოტალიზაციის ნიშნები დგას. მკვლეობისა და ინტენსივობის ნიშნების ურთიერთგადასვლას კი კავკასიური ტიპის მკლერების დაქიმულობის მაღალი ხარისხი უნდა განაპირობებდეს. კავკასიური ტიპის მკლერების დაქიმულობის მაღალი ხარისხი გლოტალიზაციის ნიშანთანაც აახლოვებს მათ. ამ რიგის მოვლენებს ყურადღებას აქცევენ ნ. ხომპკი და მ. ჰალეც. ისინი წერენ: ტსვანაში (ამერიკის ინდიელთა ენა) ნაზალთა მომდევნო პოზიციაში მკლერი ხშულები გლოტალიზებულად იქცევიან, არაჩქამიერი ნაპრალოვნები — ყრუ ასპირირებულ ხშულებად, ჩქამიერი ნაპრალოვნები — ყრუ ასპირირებულ აფრიკატებად. ამ პროცესს ისინი „გაძლიერებას“ უწოდებენ, ამასთან აღიარებენ, რომ მათ მიერ შემოთავაზებული თეორიის ფარგლებში არ არაებობს შესაძლებლობა ფორმალურად გამოვლინდეს ის ფაქტი, რომ ეს სამი პროცესი რაღაც კავშირში არის ერთმანეთთან (89, 401). მართლაც, ისეთი თეორიის ფარგლებში, რომელიც არ ითვალისწინებდა დიფერენციალურ ნიშანთა რაულ შინაგან სტრუქტურას, მათ მართივ, ელემენტარულ ერთეულებად მიიჩნევენ და მათ შემადგენელ კომპონენტთა დიდ წილს ფონოლოგიური თეორიის ფარგლებიდან გამორიცხავს, შეუძლებელია ფუნქციონალურ და დიაქრონიულ მოვლენათა დაშლამაყოფილებელი აღწერა და ახსნა. თუ ფონოლოგიურ აღწერას მოთხოვნად წავუყენებთ, რომ მას ჰქონდეს ამხსნელობითი ძალა სისტემათა სინქრონიული და დიაქრონიული ფუნქციონირებისათვის, მაშინ მასში გათვალისწინებული უნდა იყოს ფონეტიკური თვისებები, რომლებიც ერთი სისტემის ფარგლებში ავტომატურად ურთიერთდაკავშირებული ფიზიკური თვისებების სახით ფუნქციონირებენ. არ არის აუცილებელი რომ ავტომატურად ურთიერთდაკავშირებულ თვისებათაგან ერთი რელევანტურად, ფუნქციონალურად მივიჩნიოთ, დანარჩენები კი ფონოლოგიური აღწერის გარეთ დავტოვოთ. დისტინქციური ღირებულებე-

ბის მქონე ერთეული შესაძლებელია წარმოვიდგინოთ როგორც ფიზიკურ თვისებათა რთული ნაერთი, რომელიც სიტყვათგანმასხვავებელი ფუნქციით განუყოფელი ერთეულის სახით ფუნქციონირებს. მაგრამ ამ ერთეულის ფუნქციონირების თავისებურებებს სინქრონიასა და დიაქრონიას: სხვა ერთეულებთან მისი შეკავშირების წესებსა და ცვალებადობას ამ ერთეულის შინაგანი ატრუქტურა განსაზღვრავს. დიფერენციალურ ნიშანთა რთული აგებულების გათვალისწინების გარეშე, როგორც ზ. ჯაფარიძემ უჩვენა (40), შეუძლებელია აგრეთვე ენობრივ ერთეულთა აღქმის მონაცემებზე დამაკმაყოფილებელი აღწერა და ახსნა. ამგვარი მიდგომა, ვფიქრობთ, მართებულ მიმართებას დაამყარებს ფორმასა და სუბსტანციას შორის ფონოლოგიის დონეზე. ფორმა კი არ გამოყოფს სუბსტანციიდან მოვლენათა ერთ წყებას, დანარჩენს კი სრულიად მოუწესრიგებლად ტოვებს, არამედ ფორმა გარკვეული წესით მიეპართება სუბსტანციურ მოვლენათა მთელ სიმრავლეს და ენობრივ ფუნქციონირებაში გარკვეულ ადგილს მიუჩენს მას. სიკარბე ბუნებრივ ენათა არსებითი თვისებაა, რომელიც არ უნდა განიღვენოს ენათა აღწერიდან, მას ადგილი უნდა ჰქონდეს ენობრივი აღწერის ფარგლებში. ასეთ შემთხვევაში ფონოლოგიას მართლაც მიეცემა ფუნქციონალური ფონეტიკის სახე და ორ დისციპლინად გათიშული მოძღვრება ენობრივ ბგერათა შესახებ ორგანული მთლიანობის სახეს მიიღებს.

თ ა ვ ი I V

ენათა კლასიფიკაციისა და ისტორიის ზოგირთი საკითხი უნივერსალურ მიმართებათა თვალსაზრისით

1. კავკასიის ენათა ტიპოლოგიური დახასიათება გვირათა სიხშირული მიმართებაზის საფუძველზე

იბერიულ-კავკასიურ ენათა ძირითადი ტიპოლოგიური მახასიათებლების შესახებ უნივერსალურ სიხშირულ მიმართებათა განხილვისას უკვე გვქონდა წსჯელობა. ლინგვისტურ უნივერსალიათა დადგენა და ენათა ტიპოლოგიური კლასიფიკაცია „ერთი მონეტის ორ სხვადასხვა მხარეს წარმოადგენს“ (160, 61). ენობრივი უნივერსალიები ტიპოლოგიური ძიების შედეგია, უნივერსალურ მიმართებებს კი დიდი მნიშვნელობა შეიძლება ექნეთ ენათა საკლასიფიკაციო კრიტერიუმების შემუშავების საქმეში. რამდენადაც იმპლიკაციური (ცალმხრივი გაპირობებულობის ამსახველი) მიმართებები უნივერსალურ კავშირს ამყარებენ არაუნივერსალურ მოვლენებს შორის, ყოველი იმპლიკაციური უნივერსალის დადგენა ენათა გარკვეული ტიპოლოგიური კლასის გამოყოფას ნიშნავს.

ამ ბოლო დროს ხშირად გაიხაზება ტიპოლოგიური კლასიფიკაციის კრიტერიუმების შერჩევის ნებისმიერი ხასიათი, მწვავედ დგას რელევანტური საკლასიფიკაციო ნიშნების შერჩევის საკითხი (98, 68, 66—67.). ვფიქრობთ, ამ საქმეში ტიპოლოგიას განსაკუთრებული სამსახური შეუძლია გაუწიოს უნივერსალურ მიმართებათა ძიებამ, რამდენადაც იმპლიკაციური უნივერსალიები მნიშვნელოვან ტიპოლოგიურ კრიტერიუმებს წარმოადგენენ.

შევეცდებით შევაჯამოთ, რას გვაძლევს ზემოთ წარმოდგენილი განზოგადებები იბერიულ-კავკასიურ ენათა ტიპოლოგიური დახასიათებისათვის.

როგორც ვნახეთ, მედერობა-სიყრუის ნიშანთა მქონე ფონეკების სიხშირეების განაწილება ენათა ფონოლოგიურ სისტემებში შემდეგი ტიპოლოგიური კლასების გამოყოფის შესაძლებლობას იძლევა:

1. ენები სიხშირული იერარქიით ყ რ უ-მ ე ლ ე რ ი ჩამოერთა ყველა კლასებში.

2. ენები, რომლებშიც თანაარსებობს ფუნქციონალური იერარქიები: მ ე ლ ე რ ი — ყ რ უ და ყ რ უ — მ ე ლ ე რ ი. ამ უკანასკნელ ტიპში ორი ქვეტიპი გამოიყოფა:

ა) ენები, რომელთა ხშულთა სისტემაში გვაქვს იერარქია მ ე ლ ე რ ი — ყ რ უ, ნაპრალოვანთა სისტემაში კი — ყ რ უ — მ ე ლ ე რ ი.

ბ) ენები, რომლებშიც ეს ორი იერარქიული რიგი თანაარსებობს ხშულთა კლასშივე (ლაბიალურ რიგში გვაქვს იერარქია მ ე ლ ე რ ი — ყ რ უ, ხოლო ველარულ რიგში — იერარქია ყ რ უ — მ ე ლ ე რ ი) ასეთ ენათა ნაპრალოვანთა კლასში გვაქვს იერარქია ყ რ უ — მ ე ლ ე რ ი.

იბერიულ-კავკასიური ენები ასიმეტრიული სისტემების მქონეა. ამასთან, ეს ტიპოლოგიური კლასი, როგორც ჩანს, იბერიულ-კავკასიური ენებით არ ამოიწურება, მასში უნდა შედიოდეს ამერიკის ინდიელთა რიგი ენა, რომელთა ფონემური ინვენტარიც ძალიან ახლოს არის იბერიულ-კავკასიურ ენათა ფონემურ ინვენტართან¹. ამას გარდა, ამ ტიპს მიეკუთვნება ორწევრა სისტემათა მქონე იხეთი ენები, როგორცაა: უნგრული, ებრაული, ქაიროს არაბული, თურქული, კაივა, გერმანული.

იბერიულ-კავკასიური ენები ასიმეტრიული ტიპის ორ ქვეტიპს შორის ნაწილდება. ჩვენი მასალის მიხედვით, პირველ ქვეტიპს შემდეგი ენობრივი ერთეულები მიეკუთვნება: ახ. ქართული, ძვ. ქართული, ხევსურული, სვანურის ორივე ჩვენ მიერ შესწავლილი დიალექტი, ანდიური, ახვახური, ბოთლიბური, ლაკური, თაბასარანული, ბაცბური, ჩაჩნურის ახური დიალექტი, აფხაზური.

მეორე ტიპს, რომელშიც სიმეტრია ხშულთა კლასშია დარღვეული, მიეკუთვნება შემდეგი ენები: დიდოური, კუბაჩური, ჰეგრული, ქანურის ორივე შესწავლილი დიალექტი. ამავე ტიპს მიეკუთვნება კავკასიური არეალის ინდოევროპული ენა — ოსური.

¹ იბერიულ-კავკასიურ და ამერიკის ინდიელთა ენების ფონეტიკური სისტემების მსგავსებაზე მიუთითებს ტ. მილევსკი (144).

ამ ნაშნის მიხედვით ქართველურ ენათაგან მეტსიახლოვეს იჩენენ ერთმანეთთან ქართული და სვანური, მეგრულ-ქანური კი მათგან განსხვავებულ სურათს გვიჩვენებს.

იბერიულ-კავკასიურ ენათა მნიშვნელოვან ტიპოლოგიურ ნიშნად შესაძლებელია აგრეთვე ველარულ ნაპარალოვანთა /ღ, ხ/-ს მაღალი სიხშირის მიჩნევა. მათი სიხშირე, როგორც წესი, სქარბობს შიშინა ნაპარალოვანთა /ყ, შ/-ს სიხშირეს. ინდოევროპული ენები კი ამ ორი რიგიდან შიშინა რიგს ანიჭებენ აშკარა უპირატესობას.

ამ საერთო თვისებას მხოლოდ მეგრულ-ქანური არ იზიარებს. როგორც ვხედავთ, სიხშირულ მიმართებათა თვალსაზრისით ქართველურ ენებს შორის ყველაზე დიდ დაშორებას კავკასიური ტიპისაგან და ყველაზე დიდ სიახლოვეს ინდოევროპულ ტიპთან მეგრულ-ქანური ავლენს. მას ინდოევროპულ ტიპთან აახლოვებს მკვლევრობის დაპირისპირების არსებობა ხშულთა კლასის გარკვეულ ლოკალურ რიგებში და შიშინა რიგის ნაპარალოვანთა უფრო მაღალი სიხშირე ველარულ რიგთან შედარებით.

კავკასიურ არეალში მოხვედრილ ინდოევროპულ ენათაგან ერთი—ოსური, როგორც ვნახეთ, სიხშირულ მიმართებათა თვალსაზრისით ახლოს დგას იბერიულ-კავკასიურ ენებთან. მეორე ინდოევროპული ენა—სომხური დღეს დიალექტური თვალსაზრისით რთულ სურათს გვიჩვენებს: კონსონანტურ სისტემაში სხვაობათა საფუძველზე მკვლევრები გამოყოფენ დიალექტთა 7 ჯგუფს. ამ დიალექტთაგან ზოგს ორწევრა სისტემები აქვს ($b-p^h$, $p-p^h$ ტიპისა), ზოგს სამწევრა. სამწევრა სისტემების მქონე დიალექტთაგან მხოლოდ საქართველოს ტერიტორიის დიალექტებში არსებობს გლოტალიზებული ხშულები. ასეთი კრელი დიალექტური ვითარებებს, ამას გარდა, ორთოგრაფიისა და ზეპირი მეტყველების საკმაო დაშორების გამო ჩვენ არ გვიცდია თანამედროვე სომხური ფონემების სიხშირულ მიმართებათა დადგენა.

ძველ სომხურ ენას ხშულთა სამეულებრივი სისტემა ჰქონდა. უკანასკნელ დროს ამ სამეულეების გავრცელებული ინტერპრეტაცია ასეთია: მკვერი ასპირირებული (t^h , d^h , g^h) — ყრუ მარცხი (p , t , k) — ყრუ ასპირირებული (p^h , t^h , k^h) (28; 79; 185; 66), მაგრამ ამავე დროს, სომხურის კავკასიური გარემოცვა და ნასესხობათა ფორმა საფუძველს აძლევს ზოგიერთ მკვლევარს, გამოთქვა ვარაუდი მარტივ ყრუ ბგერებად მიჩნეული რიგის (p , t , k) შესაძლებელი გლოტალიზებულობის შესახებ (იხ. მაგალითად 132, 17:

48,40): ეს რიგი ქართულ ნასესხობებში გლოტალიზებული თანხმოვნებით იცვლება, ხოლო ქართველურ ენათაგან სესხების შემთხვევაში იგი გლოტალიზებულ თანხმოვნებს ენაცვლება (2, 0117). ძველი სომხური ენის გრაფიკათა სიხშირულ მიწარებათა ჩვენება ამ ჰიპოთეზის შესამოწმებელ გარკვეულ ფუნქციონალურ კრიტერიუმად შეიძლება ჩაითვალოს.

მოგვეყავს ჩვენ მიერ გამოთვლილი სიხშირული მონაცემები?

p	149	p ^h	35	b ^h	171
t	381	t ^h	231	d ^h	172
k	323	k ^h	302	g ^h	139

როგორც ვხედავთ, ფუნქციონალური კრიტერიუმი ეწინააღმდეგება დაშვებას ყრუ არაასპირირებულ ფონემათა გლოტალიზებული ხასიათის შესახებ. კორელაციურ რიგებს შორის ამ რიგს ყველაზე დიდი ფუნქციონალური დატვირთვა აქვს, რაც მის არამარკირებულ ბუნებაზე მიუთითებს. როგორც ვნახეთ, გლოტალიზებულ ფონემათა ქცევა სრულიად განსხვავებულია კავკასიურ და აპერაიის ინდიელთა ენების მიხედვით: გლოტალიზებული ფონემები, როგორც წესი, ხშულთა სისტემაში ყველაზე მცირე ფუნქციონალური დატვირთვის მქონეა. ამდენად, ფიქრობთ, შეუძლებელი ხდება ძველი სომხურის ხშულთა სისტემის ყრუ არაასპირირებული რიგის გლოტალიზებულობის დაშვება.

ზოგიერთი მკვლევარი ახალ სომხურში მკლერ ხშულთა მკლერობის არასრული ხარისხის არსებობას ძველ სომხურზე ავრცელებს და ფიქრობს, რომ რიგი b, d, g (ან b^h, d^h, g^h) სუსტი მკლერობის მქონე ბგერათა რიგს წარმოადგენდა (132, 17). ჩვენი მასალა არც ასეთ ვარაუდს უჭერს მხარს, რადგან სუსტი მკლერობის მქონე ფონემები, როგორც წესი, მაღალი ფუნქციონალური დატვირთვის მქონენი არიან (იხ. იბერიულ-კავკასიურ ენათა მასალა), ძველი სომხური ენის მკლერი ბგერები კი, როგორც ცხრილიდან ჩანს, ყველაზე დაბალი სიხშირისაა ხშულ ფონემათა კლასში (გამონაკლისს ქმნის მკლერი ლაბიალური ფონემა. ასეთი ვითარება კი ბუნებრივია ზემოთ წარმოდგენილ კანონზომიერებათა ფონზე).

² მკვლევართა აზრით, ძველი სომხური ენის გრაფიკა კარგად ასახავს მეტყველებას (იხ. მაგ., 143, 8). საანალიზოდ აღებულია ტექსტი Ազարայիցայ պատմութիւն, თბილისი, 1882, გვ. 10—21 და 241—251, მოგვეყავს ასოლუტური და არა ფარდობითი სიხშირეები.

ბოლოს, გვინდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ძველი სომხური ენის ხშულთა სისტემაში მკლერი ასპირირებულის დაშვება მარტივი მკლერის არარსებობის პირობებში, ჩოგორც ჩანს, არ ეწინააღმდეგება ტიპოლოგიურ მასალას. დამატებითი არტიკულაციის მქონე მკლერი ფონემების ადგილი სისტემაში განსხვავდება დამატებითი არტიკულაციის მქონე ყრუ ფონემათა ადგილისაგან.

გლოტალიზებულ ფონემათა მიმართ ამ მოვლენაზე ყურადღება ჯ. გრინბერგმა გაამახვილა (103, 133—134). სისტემაში გლოტალიზებული ყრუს არსებობისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მარტივი ყრუს არსებობა. მაგრამ მკლერი იმპლოზიურის არსებობა დასაშვებია (და ძალიან ხშირია) მარტივი მკლერის არსებობის გარეშე. ეს მსჯელობა, როგორც ჩანს, ვრცელდება ასპირაციის ნიშანზეც. ყრუ ასპირირებული არ შეიძლება არსებობდეს სისტემაში მარტივი ყრუს გარეშე, მკლერი ასპირირებული კი დასაშვებია მარტივი მკლერის გარეშე. ამდენად, ჯ. გრინბერგის მიერ წამოყენებული დებულების ზოგადობის ხარისხი იზრდება.

რაც შეეხება ჩვენ მიერ გამოყოფილ ფონოსტატისტიკურ ნიშნებს, რომლებიც კავკასიის ენებს ერთ ტიპოლოგიურ კლასად აერთიანებენ, ოსურის მაგალითი უჩვენებს, რომ ისინი საკმაოდ ლაბილურ ენობრივ მოვლენებს წარმოადგენენ და ენათა გენეტიური ურთიერთმიმართების შესახებ მსჯელობისათვის ღირებულება არა აქვთ.

2. მიღებული უნივერსალური მიმართებები და ენათა დიაქრონიული შესწავლის ზოგიერთი საკითხი

უნივერსალური ენობრივი მიმართებები დიაქრონიულ ენათმეცნიერებას ორი თვალსაზრისით შეიძლება აინტერესებდეს:

1. იმპლიკაციური უნივერსალური მიმართებები ასახავს არა მარტო ენობრივ სტატიკას, არამედ ენობრივ დინამიკასაც და, ამდენად, ისინი განვითარების ტენდენციებსაც უნდა ასახავდნენ.

2. ამ მიმართებათა გამოყენება შესაძლებელია რეკონსტრუირებულ სისტემათა ვერიფიკაციის მიზნით.

3. წინააღმდეგობა უნივერსალურ მიმართებებთან ექვს ადრავს რეკონსტრუქციის მართებულობაში, მათთან თანხმობა კი კიდევ ერთ საბუთს გვაძლევს რეკონსტრუქციის ზასარგებლოდ³. ნაშრომის მესამე თავში შევეცადეთ გვეჩვენებინა, რომ ფონემურ ერ-

³ უნივერსალითა დიაქრონიული კვლევისათვის გამოყენების ეს ორივე ასპექტი გამოვლენილი აქვს რ. იაკობსონს (127, 17-25; 122, 396).

თეულთა ფუნქციონალურ და ფონეტიკურ მახასიათებელთა შორის მჭიდრო კორელაცია არსებობს. ბგერათა ფუნქციონალურ თავისებურებებში აისახება არა მარტო ის ფონეტიკური თვისებები, რომლებსაც ფონოლოგიური აღწერა რელევანტურად მიიჩნევს, არამედ ისინიც, რომლებიც ჩვეულებრივ არარელევანტურად მიიჩნევა და ენათა ფონოლოგიურ აღწერათა გარეთ რჩება. მჭიდრო კავშირი ბგერათა ფონეტიკურ და ფუნქციონალურ ასპექტებს შორის საშუალებას იძლევა ფუნქციონალური მონაცემები გამოყენებულ იქნეს რეკონსტრუირებულ სისტემათა და „შკვდარ“ ენათა ფონემური სისტემების ფონეტიკური ინტერპრეტაციის მიზნით. რეკონსტრუირებულ სისტემათა და „შკვდარ“ ენათა სისტემათა შესწავლისას მკვლევრის განკარგულებაშია გარკვეული ფუნქციონალური მახასიათებლები (რეკონსტრუირებულ ერთეულთა დისტრიბუციული და სინძირული მიმართებები), შესაბამის ბგერათა ფონეტიკური სახის აღდგენა კი დიდ სიძნელებთან არის დაკავშირებული. ამ სიძნელებმა წარმოშვა ე. წ. „აღგებრული“ ნიდეგომა, რომელიც რეკონსტრუირებულ ერთეულთა ბგერითი მხარის აღდგენაზე პრინციპულად ამბობს უარს.

პირველი ნაბიჯები რეკონსტრუირებულ სისტემათა ანალიზის „აღგებრული“ ნიდეგომის დასაძლევად რ. იაკობსონმა გადადგა. მან უჩვენა, რომ ტიპოლოგიური კვლევის მონაცემებზე დაყრდნობით ფონოლოგიურ თეორიას შეუძლია მოგვეცეს რეკონსტრუირებულ სისტემათა ინტერპრეტაციის შეფასების საფუძველი. რ. იაკობსონმა ცხადი გახადა, რომ ენობრივ სისტემათა იერარქიული აგებულების ამსახველი იმპლიკაციური უნივერსალები საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ, ფონემათა რომელი ტიპების აღდგენა არის დასაშვები ერთი სისტემის ფარგლებში და რომლების — არა. მანვე მოგვცა ამ მეთოდის გამოყენების პირველი ცდაც ინდოევროპულ რეკონსტრუირებულ ზმულთა მიმართ.

ფუნქციონალური და ფონეტიკური ტიპოლოგიის შემდგომი დამუშავება, ბგერათა ფონეტიკურ და ფუნქციონალურ ასპექტთა შორის მიმართებათა კვლევის შედეგები საფუძველი უნდა გახდეს ისეთი ფონოლოგიური თეორიის შემუშავებისათვის, რომელიც რეკონსტრუირებულ სისტემათა ფონეტიკურ ინტერპრეტაციას ფუნქციონალურ მონაცემებზე დაამყარებს.

შევეცდებით წარმოვადგინოთ მიღებულ ფუნქციონალურ კანონზომიერებათა გამოყენების რამდენიმე ნიმუში კონკრეტული ისტორიული კვლევისათვის. ჯერ განვიხილავთ შემთხვევებს, რომლე-

ბიკ სინქრონიულ მასალაზე მიღებული წესების დიაქრონიული ფუნქციონირების ნიმუშად მიგვაჩნია, ხოლო შემდეგ წარმოვადგენთ საერთო-ინდოევროპული და საერთო-ქართველური ზნულთა სისტემების ინტერპრეტაციის ცდას ფუნქციონალური მოწამებების საფუძველზე.

2. 1. სინქრონიული მიმართებები და დიაქრონიულ გადასვლათა მიმართულების განსაზღვრა

ქართველურ ენათა ფარინგალური რიგი. ქართველურ ენებში არსებობს ფარინგალური რიგის გამარტივების გამოკვეთილი ტენდენცია. ეს პროცესი საფეხურებად მიმდინარეობს. პროცესის თანმიმდევრობა თანხმობაშია სინქრონიულ მდგომარეობათა შესწავლას შედეგად მიღებულ მიმართებებთან. სხვადასხვა ქართველურ ენებსა და დიალექტებში ამ რიგს შესაძლებელია ჰქონდეს შემდეგი სახე: 1. — ჯ, ყ, 2 — ყ, ან რიგი სულ არ იყოს წარმოდგენილი (ქანურის ათინურ და ვიწურ-არქაბულ კილოკავებში).

როგორც ზემოთ ვნახეთ, აფრიკატთა კლასში სიხშირულ მიმართებათა თვალსაზრისით გვაქვს ორი ალტერნანტული რიგი: ა) ა ს ს ი რ ი რ ე ბ უ ლ ი — გ ლ ო ტ ა ლ ი ზ ე ბ უ ლ ი — მ ყ დ ე რ ი და ბ) გ ლ ო ტ ა ლ ი ზ ე ბ უ ლ ი — ა ს ს ი რ ი რ ე ბ უ ლ ი — მ ყ დ ე რ ი, ცარიელ უკრათა განაწილებს თვალსაზრისით მიღებული რიგი კი ამათგან მეორეს ემთხვევა. ამდენად, გლოტალიზებული ფონემები აფრიკატთა კლასის ყველაზე სტაბილურ ელემენტებს წარმოადგენენ და /ყ/-ს ხანგრძლივი არსებობა ქართველურ ენათა ფონემატურ სისტემებში არ არის ინდივიდუალური ფაქტი, მას უფრო ზოგადი კანონზომიერების ფარგლებში ექმნება ადგილი. ხარვეზები ერთნაირად ნაწილდება აფრიკატთა ყოველ რიგში: იქნება ეს სინა, შიშინა, ფარინგალური თუ ლატერალური აფრიკატების რიგი⁴.

აღსანიშნავია ისიც, რომ გლოტალიზებულ ფონემათა ფუნქციონალური უნარი იზრდება არტიკულაციის სიღრმის ზრდის შესაბამისად: ველარული გლოტალიზებული გაცილებით მეტი ფუნქციონალური ძალით ხასიათდება, ვიდრე ლაბიალური და ზშირად დენტალურიც. ამდენად /ყ/-ს მაღალი სტაბილობა იმავე ადგილას ნაწარმოებ სხვა ბგერებთან შედარებით ორმხრივ დასაბუთებას იღებს.

⁴ ეს მოვლენა ერთ-ერთ საბუთად შეიძლება გამოდგეს ფარინგალური რიგის აფრიკატული ხასიათის სასარგებლოდ (ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. 22, 538-539; 13, 80; 9, 86).

რაც შეეხება ჰიპოთეზას მეღერი ფარინგალური ბგერას აღდგენის შესახებ (იხ. მაგალითად 3, 308—323; 16, 142—148), აქ ჩვენ მიერ მიღებული წესები ვერავითარ დახმარებას ვერ გავაწევს. რადგან იმპლიკაციური წესების (თუ x , მაშინ y სახის წესები) დიაქრონიული აზრი ასეთია: y არ დაიკარგება, სანამ არსებობს x და x არ წარმოიქმნება, თუ არ არსებობს y . ამდენად, ამ წესების მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ როგორც *ზ-ს ყველაზე ადრეული დაკარგვა სავარაუდო *ზ ჯ ყ სამეულში, ისე მისი განუვითარებლობა, რამდენადაც წარმოქმნის პროცესში იგი უკანასკნელ ელემენტს უნდა წარმოადგენდეს, გაქრობის პროცესში კი — პირველს.

ცვლილებათა თანამიმდევრობა მეგრულ-ქანურ ასიმეტრიულ ხშულთა სისტემებში. წესი, რომელიც მივიღეთ ხშულთა შერეული სისტემის მქონე უნათა ანალიზის შედეგად (ხშულთა ასიმეტრიულ ლაბიალურ რიგში გვექნება იერარქია მ ე ლ ე რ ი — ყ რ უ, ხოლო ველარულ რიგში: ყ რ უ — მ ე ლ ე რ ი), ვფიქრობთ, განსაზღვრავს ცვალებადობის თანმიმდევრობას მ ე ლ ე რ ი — ყ რ უ იერარქიიდან ყ რ უ — მ ე ლ ე რ ი იერარქიაზე და, პირიქით გადაავლის დროს.

მეღერი — ყ რ უ იერარქიიდან ყ რ უ — მეღერი იერარქიაზე გადასვლის ტენდენციის არსებობის შემთხვევაში სისშირული მიპართება ჯერ ველარულ რიგში უნდა შეიცვალოს ($g - k^h \rightarrow k^h - g$), ხოლო შემდეგ ლაბიალურ და დენტალურ რიგებში. ამასთან, დენტალური რიგის ყველაზე მაღალი სისშირე და სტაბილობა უნდა მიუთითებდეს, რომ ცვლილება ამ რიგში ყველაზე ბოლოს ხდება:

პირიქით, ყ რ უ — მეღერი იერარქიიდან მეღერი — ყ რ უ იერარქიაზე გადასვლის ტენდენციის არსებობის შემთხვევაში სავარაუდოა, რომ პირველ რიგში ცვლილებას ლაბიალურ რიგში ექნეს ადვილი ($p^h - b \rightarrow b - p^h$).

ამ თვალსაზრისით საინტერესოა მეგრულ-ქანური ენის დიალექტების ჩვენების განხილვა იბერიულ-კავკასიურ, ძირითადად ქართველურ ენათა მონაცემების ფონზე.

დანარჩენ ქართველურ ენებში (ქართული, სვანური) ყოველ ლოკალურ რიგში სუსტი მეღერობის მქონე ფონემათა სისშირე სპარბობს ასპირირებულ ფონემათა სისშირეს. გამართლებული ჩანს მეგრულ-ქანურისათვისაც ამოსავლად ამგვარი სისტემის ვარაუდი. მეგრულსა და ქანურის არქაბულ კილოკავში მეღერობის დაპირისპირებისაკენ ერთი ნაბიჯია გადადგმული: მათ მ ე ლ ე რ ი — ყ რ უ იერარქია აქვთ ლაბიალურ და დენტალურ რიგებში /ბ/—/ვ/, /დ/—

/თ/, ყ რ უ—მ ე ლ ე რ ი იერარქია კი — მხოლოდ ველარულ რიგში /ქ/—/გ/; ჰანურის ხოფურ კილოკავში კი პროცესი უფრო შორს ჩანს წასული: მ ე ლ ე რ ი—ყ რ უ იერარქია გვაქვს მხოლოდ დენტალურ რიგში /დ/—/თ/, ყ რ უ—მ ე ლ ე რ ი იერარქია კი ველარულის გარდა ლაბიალურ რიგშიც /ქ/—/გ/; /ფ/—/ღ/.

2. 2. რეკონსტრუირებულ სისტემათა ინტერპრეტაცია ფუნქციონალური ტიპოლოგიის მონაცემების საფუძველზე

კავკასიის ენათა ტიპოლოგიური დახასიათებისას ჩვენ წარმოვადგინეთ მკვდარი ენის — ძველი სომხური ენის ხშულთა სისტემის ინტერპრეტაციის ნიმუში ფუნქციონალური ტიპოლოგიის მონაცემების საფუძველზე. ახლა ამ თვალსაზრისით განვიხილავთ საერთო-ქართველურ და საერთო-ინდოევროპულ ხშულთა სისტემებს.

საერთო-ქართველური ხშულთა სისტემა ფუნქციონალური ტიპოლოგიის თვალსაზრისით არსებული ეტიმოლოგიური ლექსიკონებისა და ეტიმოლოგიური გამოკვლევების საფუძველზე შევადგინეთ საერთო-ქართველურ ძირეულ და აფიქსალურ მორფემათა სია⁵. ჩავატარეთ ამ მასალის სიხშირული ანალიზი. შრომაში წარმოდგენილი სიხშირული მახასიათებლები აბსოლუტურ სიხშირეებს წარმოადგენენ. როგორც შევძევ დაინახავთ, ფონემათა სიხშირეების განაწილება საერთო-ქართველურ ლექსიკაში კანონზომიერ სახეს ატარებს: მაჩართება ბ—ფ—ისეთივეა, როგორც მიპართება დ—თ—ტ, ე. ი. ერთი დიფერენციალური ნიშნით გაერთიანებულ ფონემათა კლასი ერთგვარ ფუნქციონალურ თვისებებს ამჟღავნებს. ფონემათა

⁵ საერთო-ქართველურ მორფემათა სიის შედგენისას ვსარგებლობდით შემდეგი ეტიმოლოგიური ლექსიკონებით: ა. ჩიქობავა, ჰანურ-შეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი (24); K. H. Schmidt, Studien zur Rekonstruktion des Lautstandes der südkaukasischen Grundsprache (162); Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков (53). ამას გარდა, ქართველურ ენათა შედარებითი შესწავლის საკითხებზე ისაღმი მიძღვნილი შრომებით, რომლებიც გ. კლიმოვის მიერ შედგენილი ეტიმოლოგიური ლექსიკონის შემდეგ გამოქვეყნდა და რომელთა მასალა ამ ლექსიკონში არ შესულა. ამ შრომათაგან მასალით ყველაზე მდიდარია მონოგრაფიები: გ. მაქავეარიანი, საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა (14), თ. გამყარელიძე, გ. მაქავეარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში (8). სიაში არ შეგვიტანია ეტიმოლოგიურ ლექსიკონებში შესული ხმაბაძეითი სიტყვები, რომელთაც კანონზომიერი შესატყვისები არა აქვთ ქართველურ ენებში.

სიხშირეების განაწილება შეპირობებულია დიფერენციალურ ნიშანთა სიხშირეთა განაწილებით. გადახვევა კლასთა მიმართებებისაკენ იშვიათია და შეესაბამება დიფერენციალურ ნიშანთა მარკირების პირობებს, დადგენილს ცოცხალ ენათა ანალიზის საფუძველზე. ასეთივე კანონზომიერი ხასიათი აქვს ფონემათა სიხშირეების განაწილებას საერთო-ინდოევროპულ ლექსიკაში (133). ამრიგად, ემპირიული მასალა ეთანხმება თეორიულად დასაშვებ მოსაზრებას, რომ მონათესავე ენათა შედარების საფუძველზე დადგენილი წინარე ენის ლექსიკა შესაძლებელია განვიხილოთ როგორც საკმაოდ ვრცელი არჩევანი წინარე ენის მთელი ლექსიკიდან და მისი ანალიზის შედეგები სანდოდ ჩავთვალოთ წინარე ენაში არსებულ ფონემათა სიხშირულ მიმართებათა დასადგენად, ისევე როგორც ცოცხალი ენის ფუნქციონალური დახასიათებისათვის არ არის აუცილებელი მთელი ლექსიკის, ან ამ ენაზე შედგენილ გამონათქვამთა მთელი სიმრავლის ახალი სი. როგორც ხედავთ, 10 000 ფონემის შემცველი არჩევანი საკმარისია ენაში ოპოზიციურ ფონემათა იერარქიის დასადგენად.

საერთო-ქართველურში ხშულთა სიხშირული მიმართებები ასეთია:

ბ	83	ფ	43	ჰ	14
დ	97	თ	88	ტ	63
გ	62	ქ	44	კ	78
	242		175		155

საერთო-ქართველურ ხშულთა ფუნქციონალური სისტემა იმავე ტიპს განეკუთვნება, რომელსაც თანამედროვე ქართველური და მთის იბერიულ-კავკასიური ენები. შვიდღეთ ლარინგალური არტიკულაციის ნიშანთა შემდეგი იერარქია: მ ქ ლ ე რ ი — (242) — ფ შ ვ ი ნ ვ ი ე რ ი (175) — გ ლ ო ტ ა ლ ი ზ ე ბ უ ლ ი (155). როგორც ვნახეთ, ასეთივე მიმართებაა მთის კავკასიურ და თანამედროვე ქართველურ ენათა ხშულთა სისტემებში.

ფუნქციონალური მონაცემები საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ მსგავსად თანამედროვე კავკასიურ ენათა შესაბამისი ბგერებისა, საერთო-ქართველური მქლერი ხშულები ხასიათდებოდნენ მქლერობის სულტი ხარისხით და ინტენსივობის (არტიკულაციური დაქიმულობის) მაღალი ხარისხით, ხოლო ყრუ ფშვინვიერნი კი არადაქიმული არტიკულაციითა და დაბალი ინტენსივობით.

საერთო-ქართველური ველარული გლოტალიზებული ხშულის მაღალი სიხშირე არ ეწინააღმდეგება ტიპოლოგიურ მონაცემებს, რადგან ხშულთა კლასში ყველაზე ხელსაყრელ ერთჯამიერ კონტექსტს გლოტალიზაციის ნიშნისათვის სწორედ ველარული არტიკულაცია წარმოადგენს.

ერთადერთ გადახვევას ტიპოლოგიურ კანონზომიერებათაგან საერთო-ქართველური ფშვინვიერი ველარის დაბალი სიხშირე წარმოადგენს. ყრუ ფონემათა სერიებში (ეს ეხება როგორც მარტივ: ყრუ, ისე ფშვინვიერ და გლოტალიზებულ ფონემებს) ველარული ფონემის სიხშირე ყოველთვის სჭარბობს ლაბიალური ფონემას სიხშირეს. საერთო-ქართველურში კი /ფ/ და /ქ/ ფონემათა სიხშირე დაახლოებით ტოლი აღმოჩნდა. შევეცდებით ამ ფაქტს ახსნა დავუძებნოთ სხვა დროს სიბილანტურ ფონემათა სიხშირული მიმართებების განხილვასთან დაკავშირებით.

საერთო-ინდოევროპული ხშულთა სისტემა ფუნქციონალური ტიპოლოგიის თვალსაზრისით. რ. იაკობსონმა პირველმა აღნიშნა პროტონდოევროპული რეკონსტრუირებული ხშულთა სისტემის შეუთავსებლობა ტიპოლოგიურ მონაცემებთან: არ არსებობს ენა, რომელსაც /l—d/ წყვილის გვერდით ექნებოდა მჟღერი /d^h/ შესაბამისი ყრუ /l^h-ს გარეშე (127, 103). პროტონდოევროპულიათვის კი მკვლევრები აღადგენენ ხშულთა სისტემას t d d^h—ტიპის ფონემური რიგებით (იხ. მაგ. 136, 109)⁶.

განხილულ კანონზომიერებათა ფონზე პროტონდოევროპულ რეკონსტრუირებულ ხშულთა სისტემას კიდევ ერთი სუსტი ადგილი ეძებნება. პროტონდოევროპული /b/ ისეთი მცირე სიხშირით ხასიათდება, განსაკუთრებით ფუძის თავკიდურში, რომ პრაინდოევროპულიათვის მკვლევრები ლაბიალურ რიგში ხარვეზს ვარაუდობენ და რეკონსტრუირებული სისტემა შემდეგ სახეს იღებს:

(1)	a	b	c
	p	—	b ^h
	t	d	d ^h
	k	g	g ^h

⁶ შემდეგ ინდოევროპული რეკონსტრუირებული სისტემის ტიპოლოგიური მონაცემებისაგან გადახრის ბევრ სხვა შემთხვევასაც მიეკცა ყურადღება (იხ. მაგალითად: 167).

გ. უუკუას მონაცემების მიხედვით (133) საერთო-ინდოევროპული ხშულები სიხშირული თვალსაზრისით ასეთ მიმართებებს ავლენენ:

p	189	b	(31)	b ^h	142
t	158	d	83	d ^h	83
k	220	g	70	g ^h	61
	567		189		286

როგორც ვნახეთ, მქლერთა რიგში /b/-ს როგორც დაბალი სიხშირე, ისე მისი არარსებობა ეწინააღმდეგება ტიპოლოგიურ მონაცემებს: მქლერთა რიგში ყველაზე სუსტ ერთეულს ველარი წარმოადგენს, ხოლო ყრუთა რიგში ყველაზე სუსტი ერთეული ლაბიალური ფონემაა. ამდენად, არსებობს საფუძველი ეპკვი შვეიცარიის ხარვეზიანი სერიის მქლერ ფონემათა სერიად მიჩნევის სისწორეში.

აღსანიშნავია, რომ როგორც ეს გადახვევა უნივერსალურ კანონზომიერებათაგან (ხარვეზი მქლერი ლაბიალის ადგილას), ისე გადახვევა, რომელზედაც ყურადღება გაამახვილა რ. იაკობსონმა (მქლერი ასპირირებული რიგის არსებობა ყრუ ასპირირებული რიგის გარეშე) ერთი რიგისაა, ორივე მქლერად მიჩნეულ რიგებს ეხება.

პრაინდოევროპული ხშულთა სისტემის ხარვეზიანი რიგია ყრუ რიგად მიჩნევას დიაქრონიული ტიპოლოგიის მონაცემების გათვალისწინების საფუძველზე დასაშვებად თვლის პ. პედერსენი. იგი ასე მსჯელობს: არ არსებობს ენა, სადაც b ფონემა d და g-ს პარალელურად არ განვითარებულყო, ხოლო p ფონემის t და k-საგან დამოუკიდებელი განვითარება (f-დ ან h-დ ქცევა) მრავალ ენაშია დადასტურებული (151, 3-14). რადგანაც პ. პედერსენს ხარვეზი ლაბიალურ რიგში მხოლოდ დაკარგვის შედეგად მიაჩნია, იგი უშვებს, რომ დაკარგული ბგერა იყო p და არა b, ამრიგად, პრაინდოევროპული სათავის ხარვეზიანი რიგი იყო ყრუ, რომელიც, მისი აზრით, პროტოინდოევროპულში მქლერად იქცა. გამორიცხულად არ მიაჩნია მას ასეთივე ვარაუდი ასპირირებული რიგისათვის. მისი აზრით, ეს რიგი პრაინდოევროპულში ყრუ უნდა ყოფილიყო და პროტოინდოევროპული დონისათვის გამქლერებულყო.

ამრიგად, სინქრონიული ტიპოლოგია ამაგრებს დიაქრონიული ტიპოლოგიის საფუძველზე გამოთქმულ ვარაუდს.

პ. პედერსენის მიერ შემოთავაზებული ინტერპრეტაციის მიღების შემთხვევაში რჩება კიდევ ერთი შეუსაბამობა ტიპოლოგიურ

მოხატვებთან. როგორც ვნახეთ, ლაბიალური ფონემის სიხშირე დაბალა ყველა სახის ყრუ ფონემების კლასში, მაგრამ ცარიელი უჭრა ლაბიალური ფონემების ადგილას, როგორც წესი, მხოლოდ იმ შემთხვევაში გვაქვს, როცა შესაბამისი ყრუ რიგი არის არა მარტივი, არამედ ასპირირებული ან გლოტალიზებულია. თუ აუცილებელია ინდოევროპულის რომელიმე ეტაპისათვის ხარვეზიანი ხშულთა სისტემის რეკონსტრუქცია, მაშინ ხარვეზიანი რიგი ყრუ გლოტალიზებულად ან ასპირირებულად უნდა ჩაითვალოს. თ. გამყრელიძე და ვ. ივანოვი შესაძლებლად თვლიან, რომ ეს რიგი მიჩნეულ იქნეს გლოტალიზებულ ფონემათა რიგად. ჩვენ ეს ვარაუდი დამაჭერებლად მიგვაჩნია. მის სასარგებლოდ მეტყველებს დიჰრონიული ტიპოლოგიის მონაცემებიც. შესატყვისობა მქლერი : ყრუ გლოტალიზებული გვაქვს ნახური ჯგუფის ენებში. ამასთან ეს შესატყვისობა ფონეტიკური ახსნის თვალსაზრისით დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს, რამდენადაც მქლერობა და გლოტალიზაცია სახმო სიმების მდგომარეობის თვალსაზრისით ერთმანეთთან ყველაზე ახლოს მდგომი ნიშნებია. საერთო-ინდოევროპული ხშულთა სისტემა ასეთ სახეს იღებს:

a	b	c
p ^h	—	b ^h
t ^h	t̥	d ^h
k ^h	k̥	g ^h

აპრიგად, ტიპოლოგიური მონაცემების საფუძველზე ინდოევროპულ ხშულთა სისტემის რეინტერპრეტაციის შედეგად ვიღებთ სისტემას, რომელშიც შედის ყრუ, მქლერი და გლოტალიზებული ფონემები. ამგვარად რეკონსტრუირებული ხშულთა სისტემა ქალზე ახლოს დგას საერთო-ქართველურ რეკონსტრუირებულ ხშულთა სისტემასთან. ვნახოთ, რა მიმართებაა ამ სისტემათა შორის ფუნქციონალური თვალსაზრისით. გ. ეუკუას მონაცემები რომ წარმოდგენილ ინტერპრეტაციას შევეფარდოთ, მივიღებთ შემდეგ იერარქიულ მიმართებებს: ყ რ უ ა ს პ ი რ ი რ ე ბ უ ლ ი (567) — მ ქ ლ ე რ ი ა ს პ ი რ ი რ ე ბ უ ლ ი (286) — ყ რ უ გ ლ ო ტ ა ლ ი ზ ე ბ უ ლ ი (189). საერთო-ქართველურ ხშულ ფონემათა იერარქია კი, როგორც ზემოთ ვნახეთ, ასეთია: მ ქ ლ ე რ ი — ყ რ უ ა ს პ ი რ ი რ ე ბ უ ლ ი, — ყ რ უ გ ლ ო ტ ა ლ ი ზ ე ბ უ ლ ი. როგორც ვხედავთ, საერთო-ინდოევროპული და საერთო-ქართველური მქლერი და ყრუ ფონემები განსხვავებული ფუნქციონალური ძალით ზასიათ-

დებიან. ზემოთ ჩვენ შევეცადეთ შესაბამისობა დაგვემყარებინა ლარინგალური არტიკულაციის ნიშნების ფუნქციონალური იერარქიასა და ამ ნიშნის მქონე ფონემათა ინტენსივობის ხარისხს შორის. მოყვანილი ფუნქციონალური მახასიათებლები საშუალებას გვაძლევს გამოვთქვათ ვარაუდი, რომ ინდოევროპული ყრუ ასპირირებული ფონემები საერთო-ქართველურ ფონემათაგან განსხვავებით დაჭიმული არტიკულაციითა და მაღალი ინტენსივობით ხასიათდებოდნენ, ხოლო მჟღერები — მჟღერობის მაღალი ხარისხით, არადაჭიმული არტიკულაციითა და მცირე ინტენსივობით.

საერთო-ინდოევროპული ხშულთა სისტემის ფონემათა ერთი რიგის მჟღერის ნაცვლად გლოტალიზებულად მიჩნევის შემდეგ შესაძლებელია დადგეს საკითხი: თანამედროვე სომხური ენის დიალექტებში ამ რიგის შესატყვისად გვაქვს გლოტალიზებული ფონემები. ხომ არ არის ეს უძველესი ვითარების ასახვა და ხომ არ უნდა ვივარაუდოთ ძველ სომხურ ენაშიც გლოტალიზებულ ფონემათა სერიის არსებობა? ძველი სომხური ენის ხშულთა სისტემის ფუნქციონალური ანალიზი, რომელიც ზემოთ წარმოვადგინეთ, გვარწმუნებს, რომ ძველ სომხურში ამ ფონემებს გლოტალიზაციის ნიშანი არ უნდა ჰქონოდათ. ამრიგად, სომხური ენის განვითარების იმ ეტაპზე, რომელიც ძველი სომხური ენის წერილობითმა ძეგლებმა შემოგვინახეს, საერთო-ინდოევროპული ენის გლოტალიზებული ფონემების შესატყვისად მარტივი ყრუ ფონემები არის წარმოდგენილი.

ОТНОШЕНИЕ МАРКИРОВАННОСТИ В ФОНОЛОГИИ

Резюме

Языкознание последних десятилетий характеризуется усилением интереса к общим языковым явлениям и отношениям. Накопление эмпирических обобщений обусловило необходимость поиска принципов, упорядочивающих и объясняющих эти обобщения. Таким принципом для современного языкознания является принцип иерархического строения языка. Иерархические отношения пронизывают всю языковую структуру: они определяют взаимоотношение языковых подсистем, отношения категорий в языковых подсистемах, взаимоотношение противопоставленных единиц, принадлежащих к одним и тем же категориям. Предметом изучения настоящей работы является асимметричное, иерархическое отношение противопоставленных единиц на фонологическом уровне. Этот тип иерархических отношений в Пражской лингвистической школе получил название «отношения маркированности». Отношение маркированности является понятием, объединяющим в общую закономерность отдельные универсальные отношения, а также дающим возможность выявить внутреннюю структуру языковых единиц.

Наименьшими оппозитивными единицами фонологического уровня, отношение которых можно определить как противопоставление маркированных — немаркированных элементов, являются дифференциальные признаки. Иерархическое отношение оппозитивных признаков фонем можно исследовать с различных точек зрения: как в пределах отдельных систем, так и с точки зрения языка вообще, как с синхронной, так и с диахронической точки зрения; как в функциональном, так и в фонетическом, логическом и психологическом аспектах. Эти аспекты состоят в обязательной взаимосвязи, поэтому результаты, полученные при исследовании одной из перечисленных сторон, можно интерпретировать и использовать при других подходах. В данной работе предпринимается попытка исследовать класс шумных фонем с точки зрения уни-

версальных функциональных отношений, выявить фонетические свойства звуков, соотносимые с функциональными закономерностями, а также охарактеризовать с точки зрения функциональной типологии системы фонем «киберийско-кавказского» типа и исследовать возможности применения полученных результатов в диахронической лингвистике.

ГЛАВА ПЕРВАЯ

Отношение маркированности предметом специального исследования впервые становится в Пражской школе, в трудах Н. С. Трубецкого и Р. Якобсона, хотя асимметричное строение языковых категорий, особенно на уровне грамматики, привлекало внимание языковедов и раньше.

После тридцатых годов понимание отношения маркированности претерпело значительные изменения. Оппозитивными единицами, по отношению к которым определяется маркированность, теперь представляются не фонемы, а дифференциальные признаки; изменилось число функциональных критериев, на основе которых определяется это отношение; пришлось отказаться от допущения независимости отношения маркированности от условий функционирования оппозитивных единиц; изменилась также трактовка вопроса о взаимоотношении различных аспектов (функционального, логического, психологического, фонетического) данного явления.

Неизменной оставалась лишь сущность этого понятия, а именно, оппозитивные единицы признаются неравнозначными с функциональной точки зрения, поэтому их взаимоотношение представляется асимметричным, иерархическим. Н. С. Трубецкий определял маркированность-немаркированность оппозитивных единиц, основываясь лишь на структурной нейтрализации противопоставлений фонем, а критерии маркированности, перечисленные в работах таких авторов, как Дж. Гринберг, П. Постал, на синхронном уровне можно свести к следующим: 1. Соединение признаков в пучки (в структуры фонем). 2. Соединение признаков в последовательности и 3. Частотные отношения признаков, которые в отличие от первых двух критериев, отражают не абсолютные, а относительные ограничения соединения признаков.

В работе представлена попытка выявить причины ограничения функционального аспекта отношения маркированности в теории пражских лингвистов и проследить изменения, способствовавшие снятию этих ограничений.

Происшедшие перемены представляются взаимосвязанными и в основном вытекают из изменений, внесенных в фонологическую теорию Р. Якобсоном. Современное состояние

разработки отношения маркированности отражено главным образом в работах Дж. Гринберга, Н. Хомского, М. Халле, П. Посталя.

Оппозитивными единицами в теории Н. С. Трубецкого являлись фонемы. Поэтому исключалась возможность учета функционирования дифференциальных признаков в структуре фонем. Вследствие переноса оппозитивной функции с фонемы на дифференциальный признак стало возможным расширение понятия контекста, распространение компонентного анализа на одновременные соединения (Р. Якобсон). А это повлекло за собой установление нового критерия отношения маркированности, так как оппозитивные признаки проявляют такую же различную способность соединения в пучки, как и в последовательности.

Второй критерий соединения признаков в последовательности в теории Н. С. Трубецкого подвергался двойному ограничению: Н. С. Трубецкой вычленил из фонотактики языка явления, обозначаемые им термином «нейтрализация» (снятие бинарных парадигматических противопоставлений фонем), а нейтрализацию, в свою очередь, подразделял на контекстуальную и структурную, и значимой с точки зрения маркированности считал лишь структурную нейтрализацию.

Устранение первого ограничения — распространения отношения маркированности на противопоставления локальных признаков, стало возможным в результате переноса оппозитивной функции на дифференциальный признак. Этот перенос сделал возможным унифицированное описание всей системы противопоставлений.

Ограничение критерия маркированности структурной нейтрализацией в работе рассматривается как следствие допущения абсолютного характера этого отношения. Это допущение означает, что маркированность-немаркированность членов противопоставления считается совершенно независимой от условий функционирования.

А само это допущение, в свою очередь, является следствием строгого соблюдения принципа симметричного распределения языковых единиц, характерного для структурного языкознания. Н. С. Трубецкой считал обязательным, чтобы члены противопоставлений получали постоянную и однозначную квалификацию с точки зрения маркированности. Поэтому из числа явлений, определяющих маркированность, он исключал контекстуальную нейтрализацию, которая довольно часто имеет двусторонний характер — т. е. в одной позиции нейтрализации представителем архифонемы выступает первый член оппозиции, а в другой — второй. А это означает,

что маркированным (а соответственно, и немаркированным) окажется то один из них, то второй.

Допущение обусловленности отношения маркированности, которое подразумевает менее строгую трактовку понятия системы и более гибкий подход к сложным языковым явлениям, лишает смысла рассмотренную выше проблему. Функциональная сила противопоставленных признаков может изменяться в соответствии с условиями, в которых эти признаки выступают. Признаки взаимообуславливают характер функционирования друг друга, как в структурах фонем, так и в линейных последовательностях. Обусловленный характер отношения маркированности впервые отметил Дж. Гринберг. Представители порождающей грамматики (Н. Хомский, М. Халле, П. Постал) при построении фонологической теории исходят из обусловленного характера понятия маркированности.

Итак, в результате переноса оппозитивной функции с фонемы на дифференциальный признак и допущения обусловленного характера отношения маркированности стало возможным расширение функционального аспекта этого отношения — полный и непротиворечивый учет данных о соединении признаков как в пучки, так и в последовательности.

В результате расширения функционального критерия, особенно в результате учета частотных отношений оппозитивных единиц, маркированность превращается в универсальное отношение. Функциональная неравнозначность членов всех противопоставлений каждого языка проявляется если не в абсолютных, то в относительных ограничениях соединения признаков.

ГЛАВА ВТОРАЯ

1. Функциональная иерархия признаков в классе шумных фонем исследуется на основе двух функциональных критериев: распределения пробелов в парадигматических системах фонем и частотных отношений фонем и дистинктивных признаков фонем. Дистрибутивные данные привлекались реже, в качестве указания на то, что выявленные закономерности имеют соответствия и в этой области. Следовательно, выявленные закономерности в основном отражают взаимоотношение признаков при соединении в одновременные пучки — фонемы.

На основе этих критериев функциональные отношения признаков изучались преимущественно на материале фонологических систем «иберийско-кавказского» типа, т. е. типа, об-

ладающего довольно дифференцированным классом шумных фонем: в системах этого типа сосуществуют признаки звонкости, аспирации, глоттализации, интенсивности. Привлекался материал и других языковых типов: индоевропейских, тюркских, семитских, угрофинских, индонезийских, тибетобirmanских, африканских, америкийских языков.

Исследовались признаки, принадлежащие трем основным категориям: а) признаки места артикуляции, б) признаки способа артикуляции и в) признаки ларингальной артикуляции (источника звука).

2. **Функционирование признаков ларингальной артикуляции в классах взрывных, щелинных и аффрикат.** Кавказский фонологический тип представляет собой пример обусловленного функционирования признаков как звонкости, так и глухости. Из приведенных в работе таблиц (таблицы 1—3) выведена основная фоностатистическая характеристика системы кавказских шумных: в классе взрывных функционально самым сильным является признак звонкости, а в классе щелинных и аффрикат глухие фонемы имеют большую функциональную силу. На основе частотных данных устанавливаются различные иерархические ряды признаков в различных подклассах шумных фонем (в качестве иллюстрации приводятся средние частотные характеристики признаков): Взрывные: звонкость (8.37) — аспирация (3.96) — глоттализация (2.22). Аффрикаты: аспирация (2.20) — глоттализация (1.60). — звонкость (0.57); Щелинные: глухость (6.19) — звонкость (1.98).

Описанный фоностатистический тип языков соотносится с определенным фонетическим типом, а именно, в этих языках звонкие взрывные характеризуются слабой степенью звонкости и большей напряженностью артикуляционных органов (соответственно большей интенсивностью) по сравнению со звонкими взрывными типа русского или французского, в то время как звонкие щелинные характеризуются более высокой степенью звонкости.

3. **Взаимоотношение признаков места артикуляции и ларингальной артикуляции.** Общие частотные отклонения локальных рядов по данным иберийско-кавказских и индоевропейских языков таковы: дентальные — веллярные — лабиальные. При раздельном рассмотрении взаимоотношений признаков в классах звонких и глухих фонем получаем следующую картину:

b 2,73	p 0,57	p 0,18
d 3,95	t 1,85	t̥ 0,81
g 1,69	k 1,54	k̥ 1,23

b 1,22	p 2,75
d 3,14	t 6,36
g 1,07	k 3,66

В языках обоих типов в классе звонких фонем частотность звонкой лабиальной фонемы /b/ выше частотности велярной звонкой фонемы /g/, а в классе глухих наблюдается обратное соотношение: частотность глухих велярных фонем выше частотности соответствующих глухих лабиальных фонем.

Выявленные соотношения характеризуют глухие и звонкие фонемы всех типов: как простые, так и аспирированные и глоттализированные (имплозивные). Они не зависят также от функциональной силы (от маркированности-немаркированности) соответствующего класса фонем.

Соответственно этим соотношениям распределены и пробелы в парадигматических системах языков. В лабиальном ряду пробел возможен лишь на месте глухой фонемы, а в велярном ряду — на месте звонкой фонемы. Изучение двучленных и трехчленных систем взрывных с противопоставлениями по признакам звонкости, аспирации, глоттализации позволяет выделить семь типов систем с пробелами:

1. b —	2. b p —	3. b — —	4. b p
d t	d t t̥	d t t̥	d t
g k	g k k̥	g k k̥	— k
5. b p p	6. b —	7. b p —	
d t t̥	d t	d t t̥	
— k k̥	— k	— k k̥	

Асимметричные системы типа (6) и (7) имеют параллель и в частотных отношениях. Существуют системы, в которых в лабиальном ряду частотность звонкой фонемы выше частотности глухой, а в велярном ряду частотность глухой выше частотности звонкой. Такого рода трехчленные системы взрывных имеются в ряде кавказских языков. Двучленные асимметричные фонемные системы имеются, например, в испанском, венгерском, арабском говоре Каира, древнееврейском, турецком, каива (см. таблицу на стр. 99).

Итак, распределение частотностей фонем в коррелятивных сериях не всегда так симметрично, как это представлялось Г. К. Ципфу, однако, строение асимметричных систем

подчиняется строгой закономерности и определяется разницей в условиях маркированности признаков звонкости, глухости, лабиальности и веларности.

Полученные соотношения локальных рядов (обусловленные признаками звонкости и глухости) можно считать действительными для всей системы консонантных фонем. Они распространяются на классы щелковых (31, 12) и назальных фонем.

4. Признак глоттализации в классах взрывных, щелковых и аффрикат. С признаком щелковости глоттализация сочетается значительно реже, чем с признаками взрывности и аффрикатности. Что же касается этих последних признаков, в сочетании с ними глоттализация создает единицы разной функциональной силы.

В функциональной иерархии признаков как класса смычных (звонкость — аспирация—глоттализация), так и класса аффрикат (аспирация—глоттализация—звонкость) глоттализация следует за признаком аспирации. Однако в отдельных фонологических подсистемах глоттализованная фонема может оказаться функционально более сильной единицей, чем аспирированная фонема. В классе смычных таким условием является веларная артикуляция. В классе аффрикат такая локализация отклонений не представляется возможной. Частотность глоттализованной аффрикаты может оказаться выше частотности аспирированной аффрикаты как в классе свистящих, так и шипящих, фарингальных и латеральных аффрикат. С точки зрения частотных соотношений в классе аффрикат выделяются два основных иерархических ряда: аспирированный—глоттализованный — звонкий и глоттализованный — аспирированный — звонкий.

Распределение пробелов и парадигматических системах обычно подчиняется более строгим закономерностям, чем частотные отношения. Это верно и для класса аффрикат. С точки зрения распределения пробелов глоттализованная аффриката является самым стабильным членом системы аффрикат. С этой точки зрения выделяется только один иерархический ряд: глоттализованный — аспирированный — звонкий. В каждом ряду аффрикат система с пробелами может иметь только такой вид: — с ç; — — ç.

Итак, наилучшим условием функционирования (условием наименьшей маркированности) признака глоттализации можно считать веларный ряд смычных и аффрикатность.

5. Признак интенсивности в классах взрывных, щелинных и аффрикат. С точки зрения сочетаемости с другими признаками, функционирующими в классе шумных, признак интенсивности проявляет большую функциональную близость с признаком глоттализации: а) в классе смычных оптимальным условием для его функционирования является признак велярности и б) этот признак проявляет исключительную способность функционирования в классе аффрикат.

Одинаковое распределение признаков глоттализации и интенсивности в классах смычных и аффрикат можно соотнести с общим свойством этих признаков: глоттализованные звуки, также как и интенсивные, характеризуются с физиологической точки зрения напряженностью артикуляционных органов, а с акустической точки зрения — интенсивностью.

Отличаются эти два признака друг от друга разной способностью сочетаемости с признаком щелинности. Интенсивность, в отличие от глоттализации, хорошо сочетается со щелинностью. Отличительными чертами признака глоттализации, которые должны препятствовать его соединению с признаком щелинности, представляются дополнительная смычка в гортани и малая длительность.

6. Взаимоотношение свистящих и шипящих рядов в классах щелинных и аффрикат. Все функциональные критерии свидетельствуют о преимуществе свистящего ряда фонем перед шипящими в классе щелинных: свистящие щелинные более распространены в языках мира, чем шипящие и пробелы в свистящем ряду щелинных возможны лишь в том случае, если имеются пустые клетки на месте соответствующих шипящих; частотность свистящих щелинных всегда выше частотности соответствующих шипящих. Средние частотные характеристики кавказских щелинных таковы:

свистящие — 3.54

шипящие — 1.87

В классе аффрикат наблюдается обратное соотношение: шипящие аффрикаты являются функционально более сильными фонемами, чем свистящие: а) есть языки, в которых имеются шипящие аффрикаты и нет свистящих. Обратное соотношение почти не наблюдается; б) во многих языках шипящий ряд аффрикат является более дифференцированным, чем свистящий: некоторые противопоставления (напр., звонкости, аспирации...) имеются в шипящем ряду и не имеются в свистящем. Системы аффрикат с противопоставлениями аспирации и глоттализации (система «иберийско-кавказского» типа) при наличии пробелов могут иметь следующий вид

(распределение пробелов определяется двумя закономерными отношениями класса аффрикат: иерархией глоттализации — аспирированный — звонкий и иерархией шипящий — свистящий):

- | | | |
|-------------------|-------------------|-------------------|
| 1) — с ç
ž ě ě | 2) — — ç
ž ě ě | 3) — с ç
— ě ě |
| 4) — — ç
— ě ě | 5) — — ç
— — ě | |

Невозможны системы типа:

ž с ç	или	— с ç
